ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 28 დეკემბერი 2012 №26(182)



აი, ისტორია?!

მურმან ჯგუბურიას ესეი

მზე დამსხვრეულ სარკეში

ერეკლე საღლიანის ლექსები

მახვილსიტყვაობის ნიმუშები

ვანო ჩხიკვაძის მცირე პროზა

ნუთუ ამ დღისთვის დაიწერა?!

მწერალთა თუ უწიგნურთა კავშირი?!

ჯიბრან ხალილ ჯიბრანის ჩანაწერები

უხამსი მწერლობა — მიზეზთა შედეგი

სიყვარულმა დაღუპა სამხედრო მინისტრი

ვაცლავ ჰაველი — დრამატურგი და პოლიტიკოსი

შინაარსი

წარსული მომავლისათვის	2	**ნინო ჩხიკვიშვილი ნუთუ... საგანგებოდ ამ დღისთვის დაიწერა?!**
თქმა მართლისა	3	**იკა ქადაგიძე მწერალთა თუ უწიგნურთა კავშირი?!**
ექსპრეს-ინტერვიუ	7	**მზია დედანაშვილი „ვიყო გუშინდელზე უკეთესი“** (მოამზადა ნატა ვარადამ)
პროზა	9	**ვანო ჩხიკვაძე მცირე პროზა**
პოეზია	14	**ერეკლე საღლიანი პირველი ლოცვის მადლი და სხვა ლექსები**
პოეტის ერთი ლექსი	16	**გიორგი ჩანგაშვილი ლექსად შემონახული ჩემი გვარის ისტორია**
დიალოგი	18	**ელოცათ მისი ჯანმრთელობისათვის** (ინტერვიუ აკადემიკოს სერგეი სერგეევიჩ ავერინცევის ქვრივთან ნ. პ. ავერინცევასთან)
გამოხმაურება	23	**თამარ ღონღაძე ორჯერ დაბადება** (აუგუსტო როა ბასტოსის „ხის ჯვარცმა“)
უცხოეთის ცხოვრებიდან	24	**მაია ნაჭყებია „აქ ვდგავარ და სხვაგვარად არ შემიძლია“** (ვაცლავ ჰაველი, დრამატურგი და პოლიტიკოსი)
ჩვენი ყოფა, წუთისოფელი	32	**თამთა ცეცაძე უხამსი მწერლობა — მიზეზთა შედეგი** (საუბარი ნანა ბერეკაშვილთან)
აი, ისტორია?!	36	**გურამ ყორანაშვილი როგორ იწერება საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია**
ესეისტიკა	41	**როსტომ ჩხეიძე ქება სიბნელის, სიბრმავის ქება**
კრიტიკა	44	**გულბად ამირანაშვილი მზე დამსხვრეულ სარკეში** (გია ფოცხვერიას ლექსების ორტომეული)
რეპორტაჟი	46	**ნინო დეკანოიძე ლექსის ფერი და ლექსის სურნელი...** (განხილვა გია კობახიძის ახალი პოეტური კრებულისა)
ლიტერატურული ცხოვრება	50	**სალომე ასათიანი „გახსოვდეს სიკვდილი“! „გახსოვდეს სიცოცხლე“!** (ირაკლი კაკაბაძის პოეტური მისტიფიკაცია)
გამოხმაურება	51	**ზურაბ ლავრელაშვილი არაბი თუ ხარ, ტფილისელი ხარ!** (ანუ აქა ამბავი „ვეფხისტყაოსნის“ უცნაური გეოგრაფიისა და რუსთველოლოგიის გაბედითებისა)
დაუვიწყარი სახელები	53	**მურმან ჯგუბურია მის კითხვაში მთელი ცხოვრება გაატარო** (ოთარ ჩხეიძის „ჩემი სავანე“)
	54	**პაპუნა ცალქალამანიძე რამ გაახარა ჰაინრიხ ბიოლი** (ოთარ ჩხეიძის გახსენება „ჩემი სავანის“ გარემოში)
ახალი თარგმანები	56	**ჯიბრან ხალილ ჯიბრანი ქვიშა და ქაფი**
ნაკვესები	61	**მახვილსიტყვაობის ნიმუშები**
მოზაიკა	63	**სიყვარულმა დაღუპა სამხედრო მინისტრი**

ორკვირეული ჟურნალი

დამფუძნებელი **„ილიონი“**

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96_20_62
რეკლამა – (995 93) 65_93_68
გავრცელება – (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 322) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge

ბეჭდვითი სამსახური "ომეგა თეგი"
სარაჯიშვილი, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: 00 995 322 53 03 62

PRINTED BY "OMECA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE: 00 995 322 53 03 62

მთავარი რედაქტორი – **როსტომ ჩხეიძე**
პროზის რედაქტორი – **ივანე ამირხანაშვილი**
პოეზიის რედაქტორი – **მაკა ჯოხაძე**
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – **თამაზ ნატროშვილი**
მხატვრული რედაქტორი – **კარლო ფაჩულია** დიზაინერი – **მალხაზ იაშვილი**
სტილისტ-კორექტორი – **ნინო დეკანოიძე** დაკაბადონება – **თენგიზ რობიტაშვილი**
ოპერატორი – **თამარ ჩიხლაძე** სარეკლამო მენეჯერი – **ეკა ბუჯიაშვილი**
გავრცელების სამსახური – **ლევან კიკნაძე**

გარეკანზე: **შუქურა**

ირაკლი შუბაშიკელის კომპიუტერული გრაფიკა

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 11 იანვარს

ნინო ჩხიკვიშვილი

ნუთუ... საგანგებოდ ამ დღისთვის დაიწერა?!

ქეთევანი (ლია გოგიძე)
ალვერდიხანი (გელა ხახანაშვილი)

იმ დღეს, სექტემბრის მიწურულს, **მესხეთის თეატრმა** თბილისში საშემოდგომო, საერთაშორისო ფესტივალზე **ოთარ ჩხეიძის** სპექტაკლი **„ქეთევანი“** აღდგენილი ჩამოიტანა (რეჟისორ-კონსულტანტი **გიორგი შალუტაშვილი**)... ეს ამბავი როსტომმა შემატყობინა და, მიუხედავად იმისა, რომ აფორიაქებული ვიყავი, გადავწყვიტე, წავსულიყავი.

რატომ ვიყავი აფორიაქებული?

რატომ არაფერს გწერდი?

ამისი მიხვედრა არ გაგიჭირდება: კარგად იცი, პოლიტიკიდან რაოდენ შორსა ვარ, მაგრამ ამ ქვეყანაში ყველაფერი ისე ააწყო, თუ ოდნავ მაინც გსურდა ადამიანად, პიროვნებად დარჩენილიყავი, პოლიტიკოსი უნდა გამხდარიყავი, უფრო მეტიც... მეამბოხე, რევოლუციონერი!

ჰო... სექტემბრის მოვლენას ვგულისხმობ... საქართველოსთვის კიდევ ერთ ტრაგიკულსა და სამარცხვინო ამბავს, აი, იმას, ციხის კადრები რომ გავრცელდა და შეიძრა მთელი ქვეყანა!

იცი, მაშინ რა მომაგონდა? დიდი ივანე ჯავახიშვილის ერთი ჩანაწერი: დავით ულუსა და დავით ნარინის ეპოქას აღწერს, იქვე მესტუმრე ჯიქურის სიმკაცრეზე საუბრობს და განმარტავს: „მართალია, საქართველოში სიკვდილით დასჯა და დამასახიჩრებელი სასჯელები დიდი თამარის დროს იქმნა მოსპობილი, მაგრამ ეს იმიტომ, რომ მაშინდელი საქართველო კულტურულად ფრიად მაღალ დონეზე იდგა. მას შემდგომ კი, მე-13 ს. პირველ ნახევარში, ცხოვრების პირობებიც ძალზე გადუხჭირდა, ხალხიც კულტურულად დაქვეითდა და ასეთ პირობებში ბოროტი ადამიანების მხეცურმა ბუნებამაც იჩინა თავი, რომ ულმობელი სიმკაცრის გარდა, სხვას არაფერს შეეძლო მისი შეკავება“.

როგორია, დღევანდელ ყოფას მიესადაგება თუ არა? ჰოდა, რა გამოდის — ის, რომ მე-13 საუკუნეში ვყოფილვართ ჩარჩენილები?!

თუმცა ამაზე დაწვრილებით აღარ მოგიყვები, ეს უჩემოდაც კარგად იცი. ამაზე ისედაც ხშირად ვკამათობთ;

ახლა მარჯანიშვილის თეატრში წარმოდგენილ სპექტაკლს დავუბრუნდები:

და კვლავაც გავიმეორებ იმას, რაც ისედაც ხშირად მითქვამს — *კლასიკა ჩვენი ცხოვრების თანამგზავრია!*

რაღაც უცნაური რამ მოხდა: გეგონებოდა პიესა საგანგებოდ ამ დღისთვის დაიწერა, ოღონდაც მწერალმა ისტორიით შენიღბა სათქმელიო!

დედოფლის ტრაგიკულმა აღსასრულმა და უფლისთვის თავგანწირვამ საქართველოს ბედი აირეკლა!

ამ პიესის შესახებ ბევრი რამ ჯერ კიდევ დასაწერია (და არამარტო ამ პიესის გამო). სულ რამდენიმე დეტალზე გავამახვილებ ყურადღებას: თავდაპირველად „საჭურისნი“ ერქვა, მხოლოდ დამდგმელი რეჟისორის — ნანა დემეტრაშვილის — თხოვნით შეცვალა მწერალმა პიესის სახელწოდება. დაიდგა კიდეც 70-იანი წლების დამდეგს მესხეთის თეატრში და „თედორესთან“ ერთად სრულიად საქართველო მოიარა. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა. თითქმის 45 წელიწადი, და აი, დღესაც (სამწუხაროდ) აქტუალურია ყველა ის პრობლემა, რაც ამ პიესაში წამოჭრა მწერალმა და რაც ასე აშკარაა გამჭვირვალე მინიშნებებითა და ქვეტექსტებით. და თუ მაშინ ოთარ ჩხეიძე რუსეთის მარწუხებიდან თავის დაღწევას ლამობდა, ახლა, თანამედროვე ყოფაში, მოძალადე, რენეგატი ქართველებისგან ისევ და ისევ საქართველოს დასაცავად აღსდგა მწერალი.

რაღაც ამოუხსნელი მუხტით გადაეჯაჭვა სცენა და დარბაზი ერთმანეთს... ქუჩიდან მომიტინგე სტუდენტთა საპროტესტო შეძახილები აღწევდა და უცნაური განცდა დამეუფლა: ჩვენი ძვირფასი მწერალი და მასწავლებელი **ოთარ ჩხეიძე** და სულ ახლახან გარდაცვლილი რეჟისორი **ნანა დემეტრაშვილი** ჩვენს გვერდით იყვნენ, უხილავად მონაწილეობდნენ ამ სპექტაკლ-აქციაში და შეგვახსენებდნენ, რომ სცენაზე გაცოცხლებული წარსული მხოლოდ გარდასული, გაქვავებული რეალობა როდია, და რომ ჩვენ, ქართველები (ალბათ ზუსტად ისევე, როგორც სხვა, დიდი ისტორიის წარმომადგენლები) ერთიან დროში ვცხოვრობთ! და თუ დაირღვევა ეს სულიერი, მისტიკური კავშირი ჩვენს სახელოვან წინაპრებსა და თანამედროვეობას შორის, მაშინ ჩვენ, როგორც ერი აღარ ვიარსებებთ... გავქრებით, თუკი დავივიწყებთ ქართულ ენას, ზნეს, ტრადიციებს. თუკი არამხოლოდ ფიზიკურად, არამედ სულიერადაც დავსაჭურისდებით, რადგანაც სულიერი დასაჭურისებისაგან მოდის ყველა ის უბედურება, რომელიც თავს დაგვტეხია ოდესმე და ამის შემდეგაც უცილობლად თავს დაგვატყდება, თუ იმ გზით არ ვივლით, ქრისტეს რჯულისთვის შეწირულ ჩვენს წინაპრებსა და არა მხოლოდ მათ, აგერ, ლამის ჩვენს თანამედროვეთაც რომ გაუკაფავთ. გახსოვს, რას ამბობს ჩვენი მამა გაბრიელი (ურგებაძე): საქართველოში წმინდანთა უწყვეტი ჯაჭვი არსებობსო!

ხედავ, რიტორიკამ გამიტაცა. თითქოს მთავარ სათქმელს ავცდი, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არაა... ამის საბაბი ნამდვილად მქონდა! კარგად დაიმახსოვრე: „პატრიოტიზმი სამშობლოს რო პატრონობა უნდა იმასა ნიშნავს!“ *(ოთარ ჩხეიძე).*

გთხოვს: არ დაკარგო რწმენა და სამშობლო! თუ საჭირო გახდა... შეეწირო კიდეც!

გკოცნი

შენი მოსიყვარულე დედა

„ნეტარ ილია ჩემს ამიგრანტ ვაჟს“

იკა ქადაგიძე

მწერალთა თუ უწიგნურთა კავშირი?!

დღევანდელ ჩვენს ქართულ მწერლობას რომ ვაკვირდებით ერთი სამწუხარო მოვლენა აღინიშნება: ოციანი თუ ოცდაათიანი წლების ქართველი მწერლები გაცილებით ფართოდ და ღრმად იყვნენ განათლებულები, ვიდრე მათი მომდევნო თაობები.

გრიგოლ აბაშიძე

ამასწინათ ერთმა სათნო ბუნების პოეტმა გულისტკივილით შემომჩივლა. რომ ერთ-ერთ გახმაურებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ენერგიულად შეაგულიანეს, საფუძვლიანი რჩევა-დარიგებებით დახუნძლეს, ჟიურის შემადგენლობის ავტორიტეტი წმინდანთა ღვაწლს გაუთანაბრეს და ხატოვნად გაისტუმრეს შემოქმედებით მოუსავლეთში. პროზაულად ლიტერატურულ სარბიელზე ძალების მოსინჯვა რომ ეწოდება და სინამდვილეში ეშმაკების ფერხულს წააგავს. აქ დღისით ყველა უწყინარი კრავივით გამოიყურება, წყვდიადის დადგომა ფერხულის მოყვარულებს თვალისდახამხამებაში გარდაქმნის და ისინიც, „გვამნი პატიოსანნი", უხილავი ზემდგომის ბრძანებისამებრ სხვადასხვა ფერის, ზომისა და მოყვანილობის წუღებს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დაუნანებლად ცვეთენ, მზის ამოსვლამდე როკვის დამათრობელ ზარხოშში იძირებიან. როგორც კი ინათებს, არაქათგამოცლილები თავთავიანთ სადგომში შეილალებიან და შთამბეჭდავ ნიღბებს ამოფარებულნი სოლიდურად იქცევიან.

ეს ამბავი ერთ-ერთი ცნობილი ზღაპრის შინაარსს ჩამოჰგავს. თუმცა მასში მონაწილე „ალქაჯები" კარუსელის პრინციპით შედგენილ კონკურსის მესვეურთაგან დიდად არ განსხვავდებიან. თვითვე განსაჯეთ, ჟიურის ერთ-ერთი წევრის იატაკქვეშა აღსარების თანახმად, ავტორთა ანონიმურობა ფორმალობას ემყარება, მათი ვინაობა სათავეშივე ცნობილია, რათა ჟიურომ სხვის დარახტულ ბედაურს, უკაცრავად და რჩეულს, შემთხვევით თვალი არ დაადგას და წინასწარ დაგეგმილ-გაწერილი გამარჯვება უცხოს არ მიაკუთვნოს.

კულუარებში მსგავს მიკერძოებაზე (უფრო თანამედროვედ ჟღერს: ჩაწყობა) მწერლების უმრავლესობა თვალს ხუჭავს. დიდი ვერაფერი ნუგეშია დროდადრო ჟიურის რომელიმე წევრს, განუწყვეტელი ზემოქმედების პირობებში, ნებისყოფა თუ ღალატობს და საფუძვლიანი ეჭვი დასაბუთებულად გრგვინავს. ვითარება უცვლელია: ლიტერატურული კორუფციის სისტემა კვლავ შეუფერხებლად მოქმედებს.

შარშან, ელექტრონულ სივრცეში, მოულოდნელად აღზევებულმა ახალგაზრდა პოეტმა, რომელიც მწერალთა კავშირის ყბადაღებული გამომცემლობის დირექტორად დანიშნეს, ასი ყველაზე რეიტინგული პოეტის გამოსავლენად გამოკითხვა ჩაატარა. ესოდენ ღირსშესანიშნავი მოვლენა ყურადღების მიღმა დამრჩა, რადგან ინტერნეტში ყარიბივით შევისეირნებ ხოლმე. იმჟამად ჩემდამი კეთილგანწყობილმა კოლეგამ საგანგებოდ დამირეკა და აღელვებულმა მამცნო, რომ ახალგაზრდა პოეტთა იღბლიანი ჯგუფი პირველობის მოსაპოვებლად ინტერნეტ-რეიტინგს აწარმოებდა, სადაც „რჩეულთა" კასტაში მისი მეცადინეობით დავსახელდი. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ჩამონათვალში მოსახვედრად პოეტს სულ რამდენიმე წუთი თუ წამი ეძლეოდა. ზუსტად აღარ მახსოვს, ინსტრუქციის თანახმად, ორგანიზატორებს დრო მკაცრად შემოეზღუდათ. ჩემდა გასაკვირად, კოლეგას მეც გავახსენდი. „ძველმოდური", მოურჯულებელი მწერალი, რომელიც ნებისმიერ ჩარჩოში მოთავსებაზე აცრილია. მოკლედ, კეთილშობილური მიზნიდან გამომდინარე, მან ასი რეიტინგული პოეტის სიაში ჩამწერა და ქულების შესაგროვებლად თვითონ უნდა მეზრუნა. მისი შემართება ხუმრობას შევუფარდე, რითაც ლიტერატურულ დოღში ჩაბმული შემოქმედის გულისწყრომა დავიმსახურე. კოლეგას მშვენივრად მოეხსენებოდა, მსგავს გამოკითხვებს როგორ ვეკიდებოდი. არასდროს აღმძვრია სურვილი სამთავრობო ეგზიტპოლების თარგზე აჭრილი რეიტინგები სერიოზულად აღმექვა. უწყინარი წამოწყების უკან მზაკვრული ჩანაფიქრი ინიღბებოდა. ახალგაზრდების ჯგუფი, მწერალთა კავშირში ზარ-ზეიმით რომ გააერთიანეს და ორგანიზაციაში გაწევრიანებისთანავე უცხოეთის რიგი ქვეყნები ოპერატიულად შემოატარეს, უფრო მსუყე დივიდენდების მოლოდინში სახელის მოხვეჭასთან ერთად კომერციულ წარმატებასაც „უმიზნებდა". ე.წ. რეიტინგ-ლისტის გამარჯვებულს წიგნს გამოუცემდნენ. ორგანიზატორებმა ქულების შესაგროვებლად წინასწარ იზრუნეს, შესაბამისი მექანიზმი ჩართეს, რაც მათ სანაცნობო წრეზე ჯეროვნად აისახა. ეფექტური მოგების ამბავი სწრაფად გავრცელდა და გამოკვლევის მესვეურთა წინაღმდეგ ფრონტის ხაზი გაიხსნა. ელიტარული წრეები ეგზიტპოლის შემდგენლებს ეშმაკობას მიუხვდნენ.

კოლეგა ჩემს პუბლიცისტურ სტატიებს კითხულობდა. იცოდა, რომ მწერალთა კავშირის თემაზე საგანგებო ციკლი შევქმენი და, ბუნებრივია, მიხვდა, ორგანიზაციის ახალი ფრთის უზურპატორულ „გამოხტომებს" დუმილით არ შევეგებებოდი. ამ რეიტინგდოღში მართლაც სავალალო შედეგი გამოკვეთილიყო: ზოგიერთებმა პირველობისათვის ბრძოლაში მხოლოდ საკუთარი თავი დაასახელეს. ობიექტურ სინამდვილესა და მეგობრობასაც აღარ გაუწიეს ანგარიში. რჩეულთა კასტიდან სიის სათავეში დიდი ქართველი მწერლისა და რეჟისორის გოდერძი ჩოხელის მოქცევამ შეაწუხა და ირიბი იერიშის მეშვეობით ძმაკაცის წინ წასაწევად (ჟარგონულად: გასაქაჩად) დაიწუწუნა. აქაოდა, წიგნის გამოსაცემი თანხა არ გააჩნია და უმაღლესი ქულების შეგროვებაში თუ შეეწევით, საწადელს უთუოდ აისრულებსო. მეორე ადგილი ცნობილ მსახიობს, ნიკო გომელაურს ხვდა წილად. ამ გარემოებამ გამოკითხვის ორგანიზატორებს ნირი წაუხდინა. მიზნის მისაღწევად, სულ მცირე შვიდი მეწინავე ადგილი სჭირდებოდათ. „შესანიშ-

ნავ შვიდეულს" ტყუილად ხომ არ ბაძავდნენ. ამ მარათონში გამომცემლობის ახალი დირექტორი ძალზე აქტიურობდა. საკუთარი წამოწყების დასაგვირგვინებლად თავს არ ზოგავდა. მოარული ხმების თანახმად, წინა ხელმძღვანელის გაძევებისთანავე ქაჯეთად წოდებულ „ეროვნულ მწერლობაში" ფეხი შედგა თუ არა, მაშინვე არცთუ ურიგო მანქანა შეიძინა და მფარველები ბალანსის არამიზნობრივი ხარჯვისათვის ქვეითად რომ გამოდევნებოდნენ (ეს ხუმრობით, თორემ ფეხით მოსიარულე ხელმძღვანელობა ვის გაუგონია?), ახალგაზრდის სიცქვიტით გაწბილებულებს აზიზი ფილტვებით შარაგზაზე ავარდნილი მტვერი „ლექსის" გაცვეთილი რითმასავით ბლომად უნდა ეყლაპათ. ეს ახალთაობელის ერთგვარი ავტოგრაფი გახლდათ, ძველებს დაუნანებლად რომ უსახსოვრა.

წეღან ფეხით მოსიარულე უფროსობა ვახსენე და გონებაში 2-3 წლის წინანდელი ამბავი ამომიტივტივდა. სახელმწიფო ტრანსპორტით მგზავრობისას (სახელმწიფო ჯერ არ არსებობს და მიკვირს, ეს ავტობუსები არშემდგარი ქვეყნის ეპოლეტებად ვინ დააკერა?1) ნაცნობი ხმა მომესმა. ვიღაც მწერლებზე ხმამაღლა საუბრობდა. ცნობისმოყვარეობის მიუხედავად აზრად არ მომსვლია უცნობის მონოლოგი ჩემეული კომენტარით გამეფორმებინა, უბრალოდ, ჩასვლა მიწევდა და წინ გადავინაცვლე. ამასობაში ძვირფას ქურქში ჩაცმულმა მოსულმა ქალმა ლაპარაკი დაასრულა და თვითონაც დაწინაურდა. გზის დათმობა ორივეს მოგვიხდა. ჩემს წინ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იდგა. სიმართლე გითხრათ, დავიბენი. ქ-ნ გონაშვილს ყბადაღებულ ყვითელ ავტობუსში პირველად ვხედავდი. მან იმარჯვა და ბილეთი ამიღო. მადლობის თქმა დამცალდა, უკვე ფილარმონიის სიახლოვეს ვიდექით. ქ-ნი გონაშვილი აღელვებული ჩანდა. რატომღაც გამენდო, მითხრა, რომ კულტურის ახალ მინისტრთან მოლაპარაკებისას, შენობის დაბრუნების საკითხი ვის სასარგებლოდ გადაწყდებოდა, არ იცოდა, ათას მითქმა-მოთქმასაც გაკვრით შეეხო. საზოგადოებაში მოარული ხმები საფუძვლიანად ადარდებდა.

ბოლო დროს არცთუ იშვიათად ერთობლივ ღონისძიებებზე ერთმანეთს შემთხვევით ვხვდებოდით. ჩემი განდგომილობა კარგად მოეხსენებოდა. თუმცა მისთვის სალამი არასდროს დამიმადლებია, არც პირადი საქმეების მოსაგვარებლად შემიწუხებია. მოუცლელობის გამო ისიც არ იცოდა, რომელ თაობას მივეკუთვნებოდი. ფაქტია, მის „ბომონდში" არ ვირიცხებოდი, თუმცა კავშირის ხელმძღვანელობის საქმიანობაზე რასაც ვწერდი, აშკარად ინფორმირებული იყო. არ ვიცი, შემთხვევითმა შეხვედრამ განაპირობა თუ რაიმე ზეგრძნობიარე ძალამ იმოქმედა. უცებ მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ არც აცია, არც აცხელა, უცნაური რამ განმიცხადა:

— მწერალთა კავშირიდან მხოლოდ ორი თარო წამოვიღე! — წამით გუნებაში გავივლე, ძალით წაგვრილი თუ წაგლეჯილი შენობის მცველი ან წარსულიდან გამოხმობილი ენთუზიასტი აჩრდილი ხომ არ ვგონივარ-მეთქი. მაგრამ ფაქტია, აფორიაქებულმა ხელმძღვანელმა საჭიროდ მიიჩნია, რომ ეს მეც მცოდნოდა. თაროების შემადგენლობისა რა მოგახსენოთ, ეს საიდუმლო არ გაუხმაურებია. ბავშვობაში ერთ ოინბაზ გოგონასთან ვამხანაგობდი. ერთხელ სპორტულ შეჯიბრში რომ დავამარცხე და ინტელექტუალურ პაექრობაშიც უღვთოდ დავჯაბნე, გაბრაზებული დამემუქრა, რომ ნათესავს მომიყვანდა, ვინც აუცილებლად ჩამჭრიდა. „მრისხანე ურჩხულის" ცოდნის დონით ჩემზე არანაკლებ მეზობლის ბავშვებიც დაინტერესდნენ. ისინი ზურგსუკან წიგნის ჭიას მეძახდნენ და, ვერ წარმოედგინათ, ჩემს გარდა დედამიწაზე მეორე „უბედური" თუ დაიარებოდა, ვინც გართობას წიგნით თვალების ამოღამება ამჯობინებდა. მოკლედ „მოწინააღმდეგეს " კითხვები სეტყვასავით დააყარეს და მოსთხოვეს, „ფალავნის" განსწავლულობა დაეკონკრეტებინა.

— შინ უამრავი წიგნი აქვს, დიდი ბიბლიოთეკის პატრონია და ნახავთ,თუ არ ჩაგჭრით! — ის თავისას გაიძახოდა.

— მაინც რამდენი წიგნი წაუკითხავს? — მოუსვენარ თანატოლებს დავასწარი და ამხანაგს გამომცდელად დავაცქერდი.

— რამდენი და, — იგი წამით დაიბნა და რიხით განაგრძო: ორი თარო წიგნებითა აქვს გამოტენილი. ყველა წაკითხული აქვს.მართლა! —

მახსოვს მაშინ ჩემი ხარხარი ბავშვებმა პირველად გაიგონეს. ეს ორი თარო ისე ჟღერდა, ამ „წვრილმანით" მოგვრილ მხიარულებას კალმით ვერ აგიწერთ!

ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, ამდენი წლის შემდეგ ეს საკრალური ორი თარო თავს კვლავ თუ შემახსენებდა!

ასეა,როცა სახელმწიფო ტრანსპორტით მგზავრობ და შემთხვევით მწერალთა კავშირის ხელმძღვანელს გზად გადაეყრები!

თავს ვერ დავდებ, ახალთაობელი კავშირელები რამდენ თაროს დასჯერდებიან?! ერთი კია, გამოკვლევის შედეგი მათთვის არასახარბიელო სურათს ქმნიდა.

რეიტინგ-ლისტში გოდერძი ჩოხელის დაწინაურებას ესოდენ მარტივად ვერ „მოუვლიდნენ" და, ჩიხში მომწყვდეულებმა, აღარ იცოდნენ სანუკვარი პირველობა რა მანქანებით გაენაღდებინათ.

კოლეგის თხოვნით ესოდენი ნეპოტიზმითა და ძმაბიჭობით დამცირებული „გამოკვლევის" შესაფასებლად ჩემეული დასკვნა გამოვაქვეყნე. რამდენიმე აღიარებულ კოლეგას პრინციპული, მკაცრი აზრის გამოთქმა უკვე მოესწრო.

— შენეული სიმძაფრე გვჭირდება. ვიცი, უკან არ დაიხევ.სიმართლის თქმით ბევრ მომხრეს შეგვძენ! — დაჟინებით მთხოვა. სამაგიეროდ არ დაზარებია ინტერნეტში განთავსებული არცთუ ისე მცირე მოცულობის მასალა ჩემთვის დაწვრილებით (სიტყვა-სიტყვით) გაეცნო.

არასახარბიელო სურათმა დამარწმუნა, მწერალთა კავშირს თავისი საცეცები ინტერნეტშიც ძალუმად გაეშალა. ხელმძღვანელობის მიერ დაფრთიანებული „ყოჩები" სოციალურ ქსელს საფუძვლიანად დაპატრონებოდნენ და ნაირ-ნაირი გამოკვლევებითა და შოუებით, რაც მათ უპირობო რეკლამირებას მოითხოვდა, უთვალავ ადამიანს თვალში ნაცარს აყრიდნენ.

ეს ახალგაზრდები ენერგიულობითა და ლექსის არტისტული წაკითხვის მანერით დედაქალაქს იოლად შეეჩვივნენ და მალე მათი მონაწილეობის გარეშე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი აღარ ტარდებოდა. მათ ბათუმში, პოეტურ თავყრილობაზე შევხვდი, სადაც იქაურმა პოეტმა ბელა ქებურიამ მამა პეტრე (კვარაცხელიას) შემოქმედებითი საღამო შინაარსიანად ჩაატარა. სტუმრებს სათანადოდ დაგვხვდნენ. ახალგაზრდები ქ-ნი ბელას სალონის სასურველი წევრები გამოდგნენ. ერთ-ერთი მისი ნათლული გახლდათ, ქ-ნი ბელა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ახლობელი აღმოჩნდა და დიდი მისახვედრი არ არის, კავშირში ენერგიული ახალგაზრდების გაწევრიანებაზე ვინ და როგორ იზრუნა.

სხვათა შორის, ახალთაობელთა შემართება უყურადღებოდ არ დამიტოვებია და მათ პოეზიას ერთ-ერთი რადიოგადაცემა დავუთმე. ჯანსაღად მოაზროვნე ხელოვანის ვალდებულებაა, დაინტერესდეს: „ჰეი, ვინ მოდის, მანდ მომავლიდან!“ ბუნებრივია, უმცროსი კოლეგებისთვის არც ჩემი წიგნები დამნანებია, თუმცა თვითონ უფრო პრაგმატულად მოიქცნენ და თამამად მირჩიეს, მათი კრებულები აუქციონზე (საღამოებზე აუქციონებს მართავდნენ) შემეძინა. სხვათა შორის, ეს „ნოვაციური“ მიდგომა არ გამიპროტესტებია. ყველამ თვითონ იცის, გზა როგორ გაიკვალოს და თავის დასამკვიდრებლად რა მოიმოქმედოს. ზოგს აუქციონი ხიბლავს, სხვას — ტრიბუნა. ვის ნაჩუქარი წიგნების გადაყრა და ამით ტრაბახი და ა.შ.

მოკლედ, გამოკვლევა ჩარჩულ სულისკვეთებას ასხივებდა. მეტიც, ამაოების ბაზარს დამსგავსებოდა. საჭირო ქულების შესაგროვებლად პოეტები ვის აღარ აწუხებდნენ, კოლეგის მხარდასაჭერად რამდენიმე ადამიანს მეც ვთხოვე ხელი გამოეღო, თუმცა ჩემს კომენტარში განვაცხადე, რომ ამ ფარისევლურ მარათონში მონაწილეობას არ ვაპირებდი. ქულების ჩამომათხოვრებას არ ვგეგმავდი და მწერალთა კავშირის ბოლშევიკურ სისტემაში მორიგ ჭანჭიკად ჩახრახვნა არ მხიბლავდა. საერთოდ, ესოდენ ქორვაჭრული ტიპის დოღი ჩემთვის მიუღებელი იყო, რადგან პოეტების დამცირებას ისახავდა მიზნად.

ამ აურზაურმა ინგლისური დეტექტივი „ფავორიტი“ გამახსენა, რომელშიც ჟოკეების დრამატული თავგადასავალი შეულამაზებლადაა აღწერილი. სიმართლის დასადგენად შემართული მთავარი გმირი ლამის სიცოცხლეს გამოესალმა. დოღი კრიმინალურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რასაც სერიოზული მსხვერპლი მოჰყვა. არცთუ ცოტა დეტექტივი წამიკითხავს, მაგრამ დიკ ფრენსისის „ფავორიტი“ ორგანიზებული დანაშაულის ხარისხს ფართო პლანში აანალიზებს და გულუბრყვილო ხალხს აფრთხილებს, ვარდისფერი სათვალე უჯრაში გადაინახონ.

მწერლური სივრცის სიღრმე არანაკლებ დრამატიზმს მოიცავს და, ღმერთს დიდი გამძლეობით თუ არ დაუჯიდებიხარ, პრემიას ვინ დაეძებს, გამორიცხული არ არის, გაუთავებელი ინტრიგები სავალალოდ შემოგვიბრუნდეს.

ჩემს მოსაზრებას უმალ გამოეხმაურნენ. მხარდამჭერი კომენტარების ქარავანი დაიძრა. გამეხარდა, მათ შორის ახალთაობელიც რომ ერია. ის თავისი თანატოლების მეთოდებს გაბედულად აკრიტიკებდა და „აჯანყებულთა“ პათოსს ენერგიულად უერთდებოდა. რჩეულთაგან განსხვავებით მარტოოდენ კარიერასა და კომერციულ წინსვლაზე არ გაფაციცებულიყო, ნიჭიერ მეგობრებთან ერთად მივიწყებულ პოეტებს ქომაგობდა, რის გამოც კავშირის მიღმა დარჩა, საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ ორგანიზაციის მიერ გამართულ კონკურსებში გამორჩეული ახალგაზრდების მიღება მუდმივად „ავიწყდებოდათ“. ძველი მექანიზმი შეუმცდარად მოქმედებდა. ახალ ნომენკლატურას მასწავლებლებისგან ესტაფეტა გადაებარებინა. „გაღლეტილ კავშირს“ პრემიები და პრივილეგირებული მოგზაურობანი მხოლოდ იმათთვის ემეტებოდა, ვინც ხელმძღვანელობის ხუშტურს მორჩილად ასრულებდა და „ხელდამსხმელებს“ გუნდრუკს უკმევდა. პატრიოტობას იფიცებდნენ და ამავდროულად გოდერძი ჩოხელის პირველობა აღიზიანებდათ. აქაოდა პროზაიკოსი კაცი პოეტების სათავეში რატომ მოექცაო.

ახალი ორგანიზატორები — უფროსობის მსგავსად — წიგნის უფასო გამოცემას ფუყე პომპეზურობითა და მალული ოპერატიულობით გეგმავდნენ. როცა „აჯანყებულები“ დავინტერესდით, გამოკვლევის უკან რა იმალებოდა, ინფორმაციის დაზუსტების ნაცვლად რეიტინგის მესვეურები გაქრნენ. ახალი რეკვიზიტები მოიმარჯვეს და კითხვებზე პასუხის გაცემა არც უფიქრიათ. სიმართლე რომ ითქვას, ბოლომდე აღარ მივყოლივარ, ეს ჩარჩული ფარსი როგორ დასრულდა.

მოგვიანებით, ერთ-ერთ ღონისძიებაზე, გამოკითხვის ორგანიზატორმა და გამომცემლობის აწ უკვე ყოფილმა დირექტორმა მისაყვედურა, შავი დღე რატომ დავაწიე.

— ისეთი ფრონტი გამიხსენი, ბევრი პოეტი გადამიდგა. ეს რატომ გამიკეთე? — მისალმებისთანავე დაიწუწუნა, რაზეც მივუგე, ჩემი წიგნები წაკითხული რომ ჰქონოდა, მსგავსი შეკითხვის დასმა აზრადაც არ მოუვიდოდა.

ჩემი შეხედულება, რომ მწერალთა კავშირში (და არა მხოლოდ ამ სამწერლო ორგანიზაციაში) არავის წიგნს არ კითხულობენ, ახლახან კიდევ ერთხელ დადასტურდა. მწერალთა კავშირის მიერ ჩატარებულმა გურამ რჩეულიშვილის სახელობის ახალგაზრდა მწერალთა კონკურსმა ამაზრზენი სიმართლე გამოამზეურა. აქ მომხდარ საყოველთაო სირცხვილს ახალგაზრდა, ნიჭიერი და გაბედული (ერუდირებული თავისთავად!) პოეტი ლექსო დორეული გამოეხმაურა და ამ ორგანიზაციაში დაკანონებული სისტემის სიმახინჯე წარმოაჩინა.

ფაქტია, ვაჟა ფშაველას ას ორმოცდათი წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული პრემია იმ წიგნს მიეკუთვნა, რომელიც, არც მეტი და არც ნაკლები, დაჯილდოებიდან ერთი თვის შემდეგ გამოიცა!

ურყევზე ურყევი ფაქტია აგრეთვე, რომ სახელმოხვეჭილი არგენტინელი მწერლის ალვარო იუნკეს ცნობილი მოთხრობა „საფრთხობელები“ ვიღაცამ პირწმინდად მიითვისა და ეს პლაგიატობა ჟიურის მხედველობიდან გამორჩა. მსოფლიო დონის ნაწარმოები მწერალთა კავშირის მიერ დაბეჭდილ ალმანახში „ალავერდი“ პერსპექტიულ ავტორთა ოცეულშიც ვერ მოხვდა. პლაგიატობის „გამაიმასქნებელს“ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ვერ გაითვალისწინა, რომ ცნობილი მწერლებით დაკომპლექტებული ჟიური „პირზერძეშეუმშრალ “ დებიუტანტთა ნაცოდვილარში შედევრს ვერ ამოიცნობდა, რომელსაც სხვათა შორის, სათაურიც კი არ ჰქონდა შეცვლილი. როგორც ჩანს, პლაგიატის ავტორი ფავორიტად არ მოიაზრებოდა და შურისგების ლიტერატურულ სცენარს შემაშინებელი სერიოზულობით მოეკიდა, რათა „ხელდამსხმელთა“ ცოდნის ხარისხი საჯაროდ გამოემზეურებინა!

საეჭვო ფაქტებით ჟონგლირებამ ბოლშევიკურ ყაიდაზე აწყობილი კავშირი საერთაშორისო სკანდალში გახვია.

ვაი სირცხვილო! ვინ ვინ და ამ კავშირის ნამდვილი სულისჩამდგმელი და დამაარსებელი, დიდი მამულიშვილი და პოეტი, თანამედროვეთაგან „ლიტერატურულ სინდისად“ წოდებული კოტე მაყაშვილი ალბათ საფლავში ბრუნავს, ქართულ მწერლობას საქვეყნოდ ჩირქი რომ მოეცხო. თანაც ვისგან! მისმა „მემკვიდრეებმა“ წინაპრისგან — ერთადერთი რამ — უცვლელი თავმჯდომარეობის სურვილი — შეითვისეს და თანამდებობასთან (და არა პასუხისმგებლობასთან!) გამოთხოვება შემზარავი მოვლენის განვითარებამაც ვერ გაუქარწყლათ.

ახალგაზრდა პოეტისა და კრიტიკოსის სამართლიანი მოთხოვნა, რომელიც მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას მოუწოდებდა უმძიმესი შეცდომისათვის ბოდიში მოეხადათ ქართველი ხალხის, არგენტინის მთავრობისა და

საზოგადოების წინაშე, „ალავერდის“ დარჩენილი ტირაჟი გაენადგურებინათ და სამსახურებრივი გულგრილობისა და უპასუხისმგებლობის გამო ამ ორგანიზაციაში დაკავებული თანამდებობებიდან გადამდგარიყვნენ, ისე აღიქვეს, როგორც ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

რომ იტყვიან, ყურიც არავის შეუბერტყავს. კულუარებში ცხარე დაპირისპირებასა და ინტრიგებში გამობრძმედილ გვარდიას ოდნავაც არ ადარდებს, მათი უწიგნურობა საქვეყნოდ რომ გამომჟღავნდა და ეს „წვრილმანი“ ახალგაზრდობას უმალვე თვალში ეცა.

როგორც ჩანს, მწერალთა კავშირში წიგნის სიყვარული ცოდვის ტოლფასია!

სხვათა შორის, მავანმა ახალგაზრდა „მეამბოხის“ წაქეზებაში შარი რომ არ მოგვდოს, საინტერესოა მწერალთა კავშირის ღვაწლმოსილი, უხუცესი წევრი, მეცნიერი და მწერალი ბ-ნი რეზო კვერენჩხილაძე, რომელიც სამოცი წელია აქ მუშაობს, თავის მეორე ოჯახზე რას წერს. სამწერლო-სალიტერატურო ცხოვრებაში უშუალო მონაწილეობამ მას უბიძგა საქართველოს სამწერლო-გაერთიანება-ორგანიზაციათა ისტორია საფუძვლიანად შეესწავლა და გამოეკვლია. ამ თემას ეძღვნება რეზო კვერენჩხილაძის 100-მდე წერილი და ბოლო დროს გამოცემული ვრცელი სოლიდური ნაშრომები: „საქართველოს მწერალთა კავშირი 1917-1982“ („მერანი„, 1983) „XX საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრება“ („უნივერსალი„, 2008), აგრეთვე „ქვიშხეთის ხიბლი“ („უნივერსალი„, 2009) და ახლახან დაბეჭდილი სქელტანიანი წიგნი „მეოცე საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების მესვეურნი“.

„ახალ პირობებში მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა რეორგანიზაციას უნდა შესდგომოდა. თითქოს კიდეც დაიწყეს, კერძოდ, მრავალრიცხოვანი კავშირი მხოლოდ სიტყვაკაზმული მწერლობის შემქმნელთა (ბელეტრისტთა, პოეტთა და დრამატურგთა) ორგანიზაციამდე უნდა დაეყვანათ, მაგრამ ბოლომდე ვერ მიიყვანეს. პირიქით, გაზრდა დაიწყეს, უკანასკნელ წლებში კი უფორმო მასად აქციეს. თავმჯდომარის ხელფასიანი მოადგილეების რაოდენობაც გაადიდეს.

ერთი სიტყვით, ვერც დროის გამოწვევას გაუმკლავდნენ და ვერც მლანძღველებს გასცეს დასაბუთებული პასუხი.

ამის მიზეზი მარტივია: არათუ ფართო საზოგადოებამ, არამედ მწერლების უმრავლესობამ, მათმა ხელმძღვანელებმაც არ იციან თავიანთი შემოქმედებითი ოჯახის ისტორია“.

მკითხველს მწარედ გაეღიმება. თანამედროვე მწერლებს თურმე მოწოდება არ გააჩნიათ, კითხვაზე, უკაცრავად და, აცრილები არიან და ყველა სიკეთესთან ერთად მშობლიური ორგანიზაციის შექმნის მიზანი და დანიშნულება ყურმოკრულადაც არ სმენიათ!

ამდენი რამ რომ გაეთვალისწინებინათ, ეგებ ოდნავი რიდი დაჰყოლოდათ, ვის ნამემკვიდრალ შენობაში დააბიჯებენ, რომელი წინაპრის აჩრდილს ეხმიანებიან და ვის სავარძელში მოკალათების სურვილი ახრჩობთ! კომუნისტური დროის მაღალჩინოსანმა მათ სულში როდის დაიბუდა და ყალბი ჯილდოების, პრემიებისა და კონკურსების მანიამ ძირითად საქმეს წერა-კითხვას როდის მოსწყვიტა!

პლაგიატი რომ თავიდან აიცდინო, სულ მცირე ახალი პროლეტმაფია არ უნდა ჩამოაყალიბო და ნამდვილ მწერლებს (ნაკითხს მაინც) უვიცი ადამიანები სისხლისმსმელი მოხელეებივით არ მიუსიო: ცოდნის გვერდის ავლით კარიერას, ჰონორარს, პრემიასა და მსუყე გასამრჯელოს არ დახარბდე!

კომუნისტური წნეხი ხელოვნურად არ გაახანგრძლივო. გულგრილობითა და უპასუხისმგებლო საქციელით მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ღირსება სირცხვილად არ გადააქციო, ყველგან მეუფების ავადმყოფური ჟინი დათრგუნო, დიდების წრეგადასული წყურვილის გადამკიდემ კითხვაზე ხელი აიღო და მხოლოდ საკუთარი „სიბრძნის“ ხორცშესხმით დაკავდე.

ზოგადად ლიტერატურულ სივრცეში განსაკუთრებით კი მწერალთა კავშირში უცხო ნამდვილად არ ყოფილა სხვისი ნიჭით შეწუხებულ ხელოვანთა ენერგიული ჩარევა არასასურველი მეტოქის თავიდან მოსაშორებლად.

წიგნში „მეოცე საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების მესვეურნი“ („უნივერსალი“, 2012), ვკითხულობთ:

„ცნობილია, რომ სიმონ ჩიქოვანი ბევრს ჯაბნიდა მწერლობისა და მხატვრობის ცოდნით, საერთოდ ჭკვიანი კაცი იყო და მასთან საუბრისას ბევრი მწერალი იჩრდილებოდა. ერთხელ ამით გაღიზიანებულ რომელიღაც მწერალს სიმონის მეგობრის ა. სულაკაურისთვისაც კი უთქვამს, თუ ძმა ხარ, უთხარი რა გააჭირვა საქმე, სუფრაზეც არ ისვენებსო. ყველაფერმა ამან გამოიწვია ს. ჩიქოვანის საყვარელი საქმიდან, წარმატებული რედაქტორობიდან ჩამოცილების გაუმართლებელი გადაწყვეტილება“.

რა გასაკვირია, წიგნთან ურცხვად და აფრაკად მყოფ მწერლებს ელვარე ნიჭითა და განსწავლულობით გამორჩეული თანამოკალმის „გასანეიტრალებლად“ თადარიგი დაეჭირათ და ორგანიზებული ინტრიგის დახმარებით თავიანთი წრიდან არასასურველი მოწმე განედევნათ. საიდან უნდა სცოდნოდათ, რომ სიმონ ჩიქოვანის პიროვნული პატიოსნება და თავგამოდება რომ არა, რეპრესირებულ მწერლის ლევან გოთუას შესანიშნავი რომანი „გმირთა ვარამი“ ციხის კედლებს ვერ გასცდებოდა და მომავალ თაობებს პლაგიატორთა ნაჯღაბნის გარდა ბევრი არაფერი შერჩებოდათ! არც არგენტინელ ალვარო იუნკეს აღადგენდნენ მკვდრეთით და კავშირის ათასმეერთე წევრობის კანდიდატად არ გაამწესებდნენ!

დემოკრატიული „მიღწევების“ მიუხედავად, ჯერ კიდევ შეუძლებელია გამოუცემელი წიგნი წინასწარ კლასიკოსი მწერლის პრემიით დააჯილდოვო და ამ ჟესტით თავი მოიწონა. პლაგიატორები დააფრთიანო, მწერლებს სირცხვილი შეამთხვიო და, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ხუთასკაციანი ორგანიზაცია წარბშეუხრელად მართო!

XXI საუკუნეში მარადიული თანამდებობები ჩამორჩენილ ქვეყნებშიც უქმდება. რაღა ჩვენ გაგვიწყრა ღმერთი — ყველაფერი პირწმინდად დავივიწყოთ. რეფორმების ჩატარება სიკვდილის შიშს გავუთანაბროთ და, სულ მცირე, რიგგარეშე ყრილობა მოვიწვიოთ, სადაც კავშირის ბედი ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდება. როცა კავშირის ყველა თაობის წევრს ორგანიზაციაში არსებული უვარგისი სისტემის მიმართ საფუძვლიანი პრეტენზია გააჩნია, არჩევნებს წინ რა უდგას? ცვლილებებს როდემდე უნდა გავურბოდეთ? როდის შევიგნებთ, რომ მავანთა უპასუხისმგებლობასა და გულგრილობას ქართული მწერლობა არ გადავაყოლოთ, უწიგნურთა პარპაშის გამო მწერლობას სახელი ებღალება. ფსევდოხელოვანთა აღვირახსნილ თარეშს ბოლო ხომ უნდა მოეღოს?! საბჭოური იდეოლოგიის შხამი თავისით არ გამოიწურება და, ფაქტია, კანონიერ ქმედებას გზა უნდა გაეხსნას. უფორმო მასად ქცევის საფრთხე რეალურია, როდესაც პლაგიატორობა წახალისებულია და უხვი პრემიებითა და ჯილდოებით განებივრებული ხელმძღვანელები წიგნების წასაკითხად თავს ოდნავადაც აღარ იწუხებენ!

მზია დედანაშვილი

„ვიყო გუშინდელზე უკეთესი“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— ძნელი არ იქნება გავიხსენო ის შავი დღეები — კვამლში გახვეულ თბილისში სამოქალაქო ომი რომ მძვინვარებდა. უცხო და შინაურმა ძალებმა მოახერხეს ხელიდან არ გამოცლოდათ თავისთავზე მორგებული კომფორტული ცხოვრების წესი — ძლივსმოპოვებული ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადებით, რომლის მიღწევას უამრავ ადამიანთა სიცოცხლე შეეწირა.

...და დაიწყო ეშმაკისა და მისი მცირერიცხოვანი მიმდევრების ნამდვილი ზეობის, უმრავლესობისთვის კი უკიდურესი გაჭირვების ხანა: სიბნელე, სიცივე, შიმშილი, მასობრივი მკვლელობები და სრული განუკითხაობა (1992-2003 წწ).

საბედნიეროდ, ღმერთმა არ მიგვატოვა — თანდათან ბრძოლისუნარიანი თაობა ჩამოყალიბდა, ძალა მოიკრიბა ხალხთან ერთად და ეშმაკის ზეობა დაასრულა. ქვეყანა თანდათან დაუბრუნდა დამოუკიდებელი ქვეყნის შენებას. ძნელია იმ ქაოსის შემდეგ, მანამდე რომ არსებობდა, ყოველნაირი კეთილდღეობის მიღწევა... ბუნებრივია ამას თაობების დიდი ძალისხმევა დასჭირდება... მაგრამ ახალგაზრდა, ენერგიული, დამოუკიდებელი ქვეყნის შენებისათვის თავდადებული, ნიჭიერი ხელისუფლების ძალისხმევით და ღმერთის თანადგომით უდიდესი წარმატებების მომსწრე ვართ და უფრო მეტი გვეიმედება... თუ ამის დანახვა და აღიარება შევძელით, ზოგს მოკლე მეხსიერება უშლის ხელს ამ სიკეთის აღიარებაში და დღეს ეძებს უკიდურესად გაჭირვებულ ადამიანებს. ვფიქრობ, ასეთ ადამიანებს შინაგანი სიცარიელე, მუდმივად დაუკმაყოფილებლობის და წუწუნის, უმადურობის განცდა აწუხებს... გამონაკლისი კი შეიძლება ნებისმიერ დროში მოხდეს — როცა დიდი განსაცდელისათვის ღმერთი თავის რჩეულს ზომაზე მეტ ტვირთს ანიჭებს ცხოვრების გზაზე — სხვებისათვის სამაგალითოდ.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— თუ სურვილს ავყვებოდი — ვისურვებდი განახლებულ ძველ თბილისში მქონოდა სახელოსნო-გალერეა.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— ჩემი აზრით, უმაღლესი ბედნიერებაა — აკეთო საყვარელი საქმე, ურთიერთობდე საინტერესო ადამიანებთან, უყვარდე მას, ვინც გიყვარს, რეალურად იყო საჭირო, სასარგებლო. ყოველდღე ცხოვრების ორომტრიალში მონაწილეობდე.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— თინათინი, ავთანდილი, ფრიდონი, ტარიელი, ნესტანი და სხვა მრავალი ნაწარმოების პერსონაჟი.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— გიორგი ჭყონდიდელი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ქეთევან წამებული და სხვა.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— მეტისმეტად ბევრია, ჩემი აზრით, მსოფლიო მნიშვნელობის დიდი მხატვარი, რომლებიც მიყვარს ადრეული პერიოდიდან დღემდე, მაგრამ თუ ერთზე უნდა შევჩერდე — ეს ლეონარდო და ვინჩია.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— აქაც ძალიან ძნელია ერთი ან რამდენიმე ავტორის გამორჩევა მსოფლიო მუსიკის საგანძურის შემქმნელთაგან... ქართული საგალობლების ავტორებით დავიწყებდი... შემდეგ მოცარტი, ბეთჰოვენი...

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— კეთილსინდისიერებას, დამოუკიდებლობას, სიყვარულის უნარს, ვაჟკაცობას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— კეთილსინდისიერებას, დამოუკიდებლობას, სიყვარულის უნარს, კდემამოსილებას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის ყველაზე მიმზიდველი?

— სიყვარული (რწმენასთან და იმედთან ერთად).

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ხატვა (აგრეთვე ფიქრი, კითხვა, მუსიკის მოსმენა, წერა და სხვა ბევრი მნიშვნელოვანი რამ).

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ჩემივე თავის საუკეთესო ვარიანტი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— შინაგანი თავისუფლება.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობარში?

— ერთგულებას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ის, რომ არ ვარ უკეთესი.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ვაკეთო ჩემი საყვარელი საქმე და ვუყვარდე მას, ვინც მიყვარს.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ღმერთმა არ ქნას და სიკვდილს ვნატრობდე.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— უკეთესი, ვიდრე ვარ.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ფერი, როგორც მასალა ე.ი. საღებავი, ჩემი აზრით, არც სიყვარულს იწვევს და არც სიძულვილს. ნებისმიერი ფერი მხატვრის ხელით ისე უნდა გაჟღერდეს შესაბამის ფერადოვან გამაში, ისეთ ძლიერ სასიამოვნო მღელვარებას უნდა იწვევდეს ჩემში, რომ მაყურებელს მოულოდნელი ემოციისგან სუნთქვა შემეკრას. მსოფლიო ფერწერის შედევრებიდან სრულიად აშკარაა, რატომ მიზიდავს ველასკესის „ინფანტა მარგარიტაში“ — წითელი, ოქროსფერი, მწვანე, შავი და სხვა ფერით მიღებული მსუყე ფერადოვანი გამა... ან რემბრანტთან მოულოდნელი ტონალური დაპირისპირების ფონზე ფერადოვანი ლაქების თავისუფალი მონასმები ზუსტი აქცენტებით — მოწითალო, მუქი

მოშავო, თეთრი, ოქროსფერი და სხვა. სრულიად სხვა გამომსახველობა აქვს ფერს იმპრესიონისტებთან, უკიდურესად შთამბეჭდავია ფერის როლი მათ ფერწერაში. მაღალი ჟღერადობით, თითქმის სუფთა, დაუმუშავებელი ფერთა ურთიერთობით გამოწვეული მძაფრი ემოციებით ავსებენ სურათს. აქ ყოველი ფერი მთავარია და მეტყველი... ექსპრესიონისტებმა კიდევ უფრო გაამძაფრეს ფერის ინტენსიობა... შემდეგ კი ფერს აგრესიულობაც დაეკისრა. არ მომწონს, როცა ფერწერა მაყურებელს თრგუნავს ან აგრესიას აღვიძებს მასში.

ასე ვიტყოდი — ნებისმიერი ფერი მიყვარს, თუ ისეა მოწოდებული ტილოზე, რომ სასიამოვნო მღელვარებისგან სუნთქვა მეკვროდეს, ისე, როგორც ხშირად ჩემი მეგობრის ქმნილებებში ვხვდები. მადლობა მ.ნ.-ს ამისთვის.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— არ მიყვარს შხამისმფრქვეველი ყვავილები.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— არ მიყვარს სვავი, ყვავი, ღამურა და მათი მსგავსნი.

— თქვენი საყვარელი პოეტი?

— განსაკუთრებით ისინი, ვინც დროს გაუძლო და დღესაც თანამედროვეა. მაგალითად, შოთა რუსთაველი.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ასეთი ბევრია მსოფლიოში ბიბლიური დროიდან დღემდე. ძნელია დაკონკრეტება.

— საყვარელი გმირი კაცი ისტორიაში?

— ყველა ის ადამიანი, ვინც თავგანწირვით ემსახურება საქართველოს დამოუკიდებლობას, კეთილდღეობას, გამთლიანებას. მედგრად აგრძელებს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებული გმირების — საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და მათი ერთგული თანამებრძოლების დიდ საქმეს.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— თინათინი, ნესტანი, ასმათი.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— თამარი, ქეთევანი.

— საყვარელი სახელი?

— იესო.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— ღალატს.

— ისტორიული პირი, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ყოველი ადამიანი, რომელმაც სამშობლოს უღალატა საკუთარი კეთილდღეობისათვის. დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ — თავისი ცოდვაც დაამძიმებთ.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?

— ყოველი თავდაცვითი და განმათავისუფლებელი საომარი მოქმედება. თუნდაც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავგანწირული ბრძოლები წარსულში და დღევანდელი პოლიტიკური ბრძოლა ტერიტორიების დაბრუნებისათვის.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ყველა ის რეფორმა ჩემთვის ფასეულია, რომელიც საქართველოს გაბრწყინებას ემსახურება, რადგან ღრმად მჯერა საქართველოს დიდი აღორძინებისა. როგორც არქეოლოგიური გათხრებიდან ჩანს, ძლიერი საქართველო რეალურად არსებობს, მას მხოლოდ ათასწლეულების ნაცარი უნდა მოცილდეს, რაც უკვე დაწყებულია. იმედი მაქვს, ღმერთის თანადგომით, საქართველოს მნიშვნელოვანი წარმატებები ელის უახლოეს დროში.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— ზოგიერთი კომპიუტერული პროგრამის თავისუფლად ფლობას ვისურვებდი აუცილებელი საჭიროებისათვის.

— როგორი გინდოდათ, რომ მომკვდარიყავით?

— დასანანი.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— გაწონასწორებული.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ალბათ შეცდომის ან ცოდვის მონანიებას გულისხმობთ. თუ ასეა, შემწყნარებელი ვარ გულწრფელი მონანიებისა და შესაბამისი ქმედებების მიმართ.

— თქვენი დევიზი?

— ვიყო გუშინდელზე უკეთესი.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— ეთქვა, რომ არასოდეს მიმატოვებს, თუმცა ღმერთის თანადგომას მუდამ ვგრძნობ.



გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა **გრიგოლ რობაქიძის ნაწერების ხუთტომეულის** პრეზენტაცია და გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ხელნაწერები, ფოტოები, წიგნები და აფიშები.

კომპანია **მაგთიკომი**, რომლის დევიზიცაა — „ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“, დიდიხანია ლიტერატურის მუზეუმთან მეგობრობს. მისი ხელშეწყობითა და დაფინანსებით არაერთი წიგნი გამოიცა. მათ შორისაა ეს ხუთტომეულიც.

საღამო გახსნა მუზეუმის დირექტორმა **ლაშა ბაქრაძემ**. მან დამსწრე საზოგადოებას ეს მნიშვნელოვანი დღე მიულოცა და მადლობა გადაუხადა წიგნის შემდგენელს **ლალი ცომაიას** (მუზეუმის საგამომცემლო განყოფილების გამგე) გაწეული შრომისათვის.

პაატა ნაცვლიშვილმა (წიგნის კონსულტანტი და წინასიტყვაობის ავტორი) გაიხსენა პირველი შეხვედრა გრიგოლ რობაქიძის ნაწერებთან: „...დიდი ხნის მანძილზე მისი სახელის ხსენება არ შეიძლებოდა... მეორე კურსის სტუდენტს საშუალება მომეცა „გველის პერანგი“ წამეკითხა, ჩვენმა ჯგუფელმა მოიტანა უნივერსიტეტში და რამდენიმე დღით მეც მათხოვა. იმ რამდენიმე დღეში ორჯერ ნაკითხვაც მოვასწარი და ერთი დიდი რვეულიც ამონაწერებით ავავსე“. დაბოლოს ისიც აღნიშნა, რომ მსგავსი შრომატევადი საქმის შესრულება ევროპის ქვეყნებში ფასდება „ჰონორის კაუზის“ მინიჭებით.

ლალი ცომაიამ ისაუბრა იმის შესახებ, თუ რაოდენ რთული იყო გამოცემაზე მუშაობა. ათი გრძელი წელიწადი დასჭირდა ხუთტომეულის შედგენას: დღეისათვის მიკვლეული პოეტური, პროზაული, დრამატურგიული, პუბლიცისტური თუ ეპისტოლური ნაწერების, თარგმანების განთავსებას ჟანრულ-ქრონოლოგიური პრინციპით, კომენტარების დართვას, ფსევდონიმთა დაზუსტებას... დასასრულ მადლობა გადაუხადა თანამდგომისთვის მუზეუმის დირექციას, თანამშრომლებსა და კომპანია მაგთიკომს.

საზოგადოებამ დიდი ინტერესით მოისმინა **ილამაზ მიწიშვილისა** და **დალი ფანჯიკიძის** (გრ. რობაქიძის ესეის „ადოლფ ჰიტლერის“ მთარგმნელი) გამოსვლა.

ვანო ჩხიკვაძე

მცირე პროზა

კუტი

ნეტავი სხვას რას უნდა გაეხარებინა სოფელი, როგორც ამ კოთხუნჯის ჩამოსვლა ახალისებდა. წელიწადში რამდენჯერმე დაგვაფასებდა ხოლმე. ასე ხშირად, როგორც არაერთხელ უთქვამს,უფრო ჩვენი ხათრით გვსტუმრობდა, თორემ, თვითონ, გამორჩეულად, სოფელი შემოდგომით უყვარდა, ამინდები რომ გაირინდებოდა, გატკბებოდა მცხუნვარებაჩამცხრალი მზე და თავისით ცვიოდა ნენგოდან გამოქცეული, გაკროლილი კაკალი.

ჩამობრძანდებოდა თავის მოკლე მეტსახელიანად (მაშ რას იზამდა, სახელს შინ ხომ არ დატოვებდა), „სოიუზტრანსის“ წინა კარიდან ჯერ თვითონ ჩამობრძანდებოდა, მერე ვიღაც ხვთისნიერი ჩამოაწვდიდა ჯარმოვლილი ძმის ჩამოტანილ ხის ტყავგადაკრულ ჩემოდანს.

ჩამოსულა და ჩამოსულაო, კუტი-კატო ჩამოჰყოლია „საიუსტრანსაო“ — მიწაზე არ ჰქონდა ხეირიანად ფეხი დადგმული, რომ შეუდგებოდათ ქოთქოთი გასათხოვარს თუ გაუთხოვარს, ქვრივსა თუ ქმრის უხასიათობით თავმობეზრებულებს. კუტის დაძახებას ვინ აკადრებდა, სულ საალერსო სიტყვების ტახტრევანით დააბრძანებდნენ, ვითომ სამზეოს, ჩვენი გულების ნუგეშად და საოხად, ერთი თამარ მეფე გაეჩინა და მეორე ეს თმადაკუწუწებული კატო.

მეტსახელი მას შემდეგ შერქმეოდა, ჩვილობაში ტახტიდან რომ გადმოვარდნოდათ და ფეხზე კაიხანს ვერ გაევლო.

ჩვენ სოფელში და ჰყავდა გამოთხოვილი და იმასთან ჩამოდიოდა ხოლმე.

სადა ხარ, ქალო, სადაო, — შეეგებებოდნენ ავტობუსიდან ჩამოსულს და ისიც გაბედნიერებული მოირხეოდა, გალეული ხელსაფქვავივით იქნევდა, აქეთ-იქით, მოკლე ფეხებზე შემდგარ ფერდებს.

ეჰ, ნეტა ვის აჯაგრავდა იმის სილამაზე, ვის აინტერესებდა კატოს ბროლის ტუჩ-კბილი ან ღობეზე გადმოკიდებული, ფშუტე გოგრასავით უკანალი, ვის გაექცეოდა სხვანაირად თვალი.

ნეტა გაჰქცეოდათ და...

რა ვქნა, უიღბლო ვარ, უიღბლოო, დაიჩივლებდა ხოლმე, როცა გათხოვებაზე სიტყვას ჩამოუგდებდნენ, ვითომ მხოლოდ უიღბლობა იყო ერთადერთი მიზეზი ბედი რომ „დაუმძვირდა“.

დამაცადეთ, მოვშინაურდე მაინცაო, დაუტევდა დამხვდურებს, მაგრამ ამ სწრაფმავალ წუთისოფელში ვინ დაგაცდის, ვინ ამოგასუნთქებს, ანდა რა დიდი მოშინაურება სჭირდებოდა? მე შენ გეტყვი იმის გარდერობს კარადები ვერ დაიტევდნენ... რა ჰქონდა იმ ჩემოდანში, არ აღვწერ, ცოდვით გული რომ არ დაგეწვათ, მაგრამ კატოს სასახელოდ უნდა ითქვას, სამკითხაო კარტი, ყოველთვის ახალი, ხელუხლებელი ჩამოჰქონდა.

ცოტას შეიარაქათებდა, გაიხდიდა საგარეო კაბას, შეიმოსებოდა წელთან გაბანტული, ჩინური ხალათით, რომლის გახუნებულ ლურჯ-მწვანე ფერებში, ასევე გახუნებული აღმოსავლური დუმფარები ლივლივებდნენ, წაუყრიდა ქოშებში ფეხს და გაიტაცებდნენ...



აბა, სდიე მინდორში ქარს, ვიღა იყო კატოს თვალის დამკვრელი, გოგოები იღლიებით აკონწიალებულს, ლამის დილამდე დაარბენინებდნენ სოფლის მიჩუმათებულ უბნებში, ორღობეებში, დაარბენინებდნენ კი არა, თეძოებიდან ამოვარდნილს, დააგორებდნენ, როგორც სარტყელმოწყვეტილ კასრს და ისიც, დროდადრო შეუძახებდა ხოლმე, ნელა, თქვე გასაწყვეტლებო, ქვებზე ქოში არ გამაფუჭებინოთო.

მაშ! რაღა „კუტის“ და რაღა კონკიას ფეხსაცმელი!

ქოშები, ჩვენი სოფლის ქვებზე, პირველად იმტვრევდნენ ცხვირ-პირს თუ რა — ან იმათ მეტი რაღა გაფუჭება უნდოდათ, ჭვინტთან, ცერად გადაჭრილი ლანჩიდან კოხტად რომ მოჩანდა ერთმანეთს მიჭუჭკული, დამბალი სიმინდის მარცვლებივით დაბერილი ფეხის თითები და აგლეჯილი ტყავის წიბოები ლეკვის ყურებივით რომ აპრეხოდა.

მაინც... ყველაფერი შვენოდა და ყველაფერს უხდებოდა, ხალისი შეჰქონდა სადაც შედიოდა, იმედს ამობერტყავდა და ახარებდა ადამიანებს.

არც ეს ეკითხებოდა, შარშანდელი ნამკითხვები აუხდათ თუ არა და, არც ესენი ედავებოდნენ გაცრუებული მოლოდინის გამო.

მთავარი დღევანდელობა იყო, დღეს რას ამოშაქრავდა კუტი-კატოს ოქროს ნისკარტი.

ლამპით განათებულ მაგიდის შუაგულში სათითაოდ ცვიოდა კარტის ფურცლები, სუნთქვაშეკრული, შიშითა და ცნობისმოყვარეობით გაფართოებული თვალების წინ იშლებოდა წარსული და მომავალი.

— ეგრეა, რა... არ მიჯერებდი და, აჰა, ესეც მე ვარ? კარტი ეგრე ამბობს... ეს „ყვავიც“ გავიდა, ყველაფერი ცუდი წარსულში რჩება... საღამოს გზით მოდის... ჰოო, ჰოო, მოვა და ხუთ მადლობასაც მეტყვი, ანდა ვინ იცის, შეიძლება აღარც გაგახსენდე...

— ხუთი კი არა, ექვსი თან შემოგევლოს! — ისე იტყოდა ნათქვამით გაბადრული „ბედისმაძიებელი“, ვითომ ცარიელ მადლობაში რამე ეყარა.

— ამ საქმისა თუ რამე გამეგება, ნამდვილად ესეა! — კუტის კოტიტა თითები ნელა გადააცოცებდნენ გულის ვალეტზე დაგდებულ გულის დამას, — მოდის და რაღაც უჭირავს, გოგო, ბრჭყვიალა ქაღალდში...

— შიგნით რაა, თორე ბრჭყვიალა ქაღალდი...

— საქორწინო კაბა... ეგეთი, გულამოღებული, მკერდის ორივე მხარეს ამოფუშფუშებული, თმაში დასამაგრებელი თეთრი ვარდით...

— სიყვარულის ფერი ხომ წითელია, — მოკრძალებით შებედავდნენ.

— კაბა თეთრია და ვარდიც... სიწმინდის ნიშანი... ანდა იყოს წითელი, შენ როგორც გაგეხარდება...

დაჭყეტილი, ცნობისმოყვარე თვალები კიდევ უფრო ფართოვდებოდნენ, წინ წამოიწევდნენ, ჩააცქერდებოდნენ ლამპის სინათლის წრეში მარტო დარჩენილ ვალეტსა და დამას.

— რა ვქნა, შენ კიდევ აქა ხარ? გაიქეცი და გაემზადე, დაკალი ქათამი!.. ხო იცი, ჩემს ნათქვამს წყალი არ გაუვა... ჰოო, ჰო, დაკალი-მეთქი... მომწყდი თავიდან, განა არ ვიცი რისი დამკვლელიცა ხარ!.. — აბა, ვისი რიგია, თორემ დაიხურა კანტორა! — წამოკრეფილ კარტს აჩენჩხავდა, აურევდა და ნებს, მთქნარებაამტყდარ პირზე, სამჯერ მირტყამდა.

რბილად, მსუბუქად, რა თქმა უნდა.

უფასო მუშა გამიგია და უჭმელი არაო, დაფაცურდებოდა ოჯახის დიასახლისი, ვახშამთან ერთად ალუბლის „ვიშნოვკასაც“ შემოდგამდა მაგიდაზე, ცოტა შეჭიკჭიკდებოდნენ, შექეიფიანებულ კუტს თხოვნითა და ყელის გამოწევით, გიტარას ბავშვივით ჩაუგორებდნენ კალთაში.

ესეც ცოტას გაიპრანჭებოდა და ყელმოღერებული ჩამოჰკრავდა ბროლის თითებს:

— ზიპლიპიტო ჩუმად იყო,
ხმას არ იღებდა,
არ იღებდა, არ იღებდა,
ხმას არ იღებდა...

მსმენელების აღტაცებით გათამამებული, ხმას კიდევ უფრო მეტ ეშხს შემატებდა:

— კნეინები შეეხვეწნენ,
ამაიღეო,
ამაიღე, ამაიღე,
ამაიღეო...
ზიპლიპიტომ ამაიღო,
ვაჰ რა ჰქონია,
რა ჰქონია, რა ჰქონია,
რა ხმა ჰქონია...

— ოი, შენ არ გაქრი, ქალო, შენა! — დადუმებულ შუაღამეში ცეცხლივით ამობურბურდებოდა ხოლმე ქალების სიცილი და გნიასი...

ცუდს რას აკეთებდა, ჩამოვიდოდა, სოფლის ორღობეებში მასთან ერთად დაქროდა, ცოცხლდებოდა ათეულობით ახდენილი თუ აუხდენელი ოცნება, ქალების, ქალწულებისა, გასათხოვრად შეღერებულებისა თუ ცხოვრებანანახი დედაკაცებისა.

იმის კვიმატ ენას ყველას სალბუნი მოეძებნა, მარტო ღეჭიაანთ ლალოს გული ვერ მოეგო:

— კუტის ენა გახმეს, კუტისა, მაგას რო არ ეთქვა, ეს ჩემი პირქვედასამარხი, იქიდან ცოცხალი არ ჩამოვიდოდა, ციხეში ჩალპებოდა და, მოვისვენებდიო, — გნიასებდა უხასიათო ქმარზე გულმოსული.

აჰა, ესეც კუტი-კატოს ბრალი ყოფილა!

იღბალი არ გინდა?

— არაო, ჩემ თავს კარტს როგორ გავუშლიო, — წამოსცდებოდა ხოლმე ზოგჯერ, — ზეპირად ვიცი, უიღბლო ვარ, უიღბლო... ამ დუნიაზე, ჩემ სახელზე არგაჩენილ კაცს ძებნა როგორ დავუწყოო.

სხვებისთვის ეძებდა.

ეძებდა და ზოგჯერ „გაარტყამდა“ — პოულობდა კიდეც.

მერე ვიღას ახსოვდა...

მარტო ღეჭიაანთ ლალო არ „უვიწყებდა“ სიკეთეს — კუტის ენა გახმეს, კუტისაო...

ამინდები როცა აურევდნენ, ცოტა სოფელიც რომ მოიწყენდა კატოს და კატოც — სოფელს, ისევ იმ „სოიუზტრანსში“, ისევ იმ ჩემოდნით, რომელშიც კიდევ უფრო გახუნებული ჩინური, დუმფარებიანი ხალათი, შელანძღული ქოშები, იაფფასიანი ნელსაცხებლები და სხვა წვრილმანები ეწყო, ჩააბარგებდნენ, თოჯინასავით დასვამდნენ მძღოლის უკან, ფანჯარასთან.

ვიდრე ავტობუსი დაგორდებოდა, გარედან ხელით კოცნას უგზავნიდნენ.

ესეც, რა თქმა უნდა, კოცნით პასუხობდა.

დაძრულ მანქანას მარტო ღეჭიაანთ ლალო მიაყოლებდა ხოლმე ქოქოლას — კუტის ენა გახმეს, კუტისაო...

ხვალ ომი იქნება

ჩვენ წინ, ცისკენ შექანებული, ფართე ეკრანივით გადაშლილი ფერდობის გაყოლებაზე, გაზაფხულის შემპარავი ბინდი წვებოდა.

აივნის ბოლოში, ტაბურეტზე შემოდგმულ ოციანში ჩაშვებული რეზინის გამჭვირვალე მილიდან, შუშის საღვინეებში, ალისფერი მოჩქეფდა.

ბოსელთან, ბოძზე გამობმული ხარი და დეკეული ბალახს უგემურად იღეჭებოდნენ.

ქალმა, მოზრდილი, სპილენძის ქვაბით, ჯერ ჩამოწვეული რძე გამოატარა, მერე — აკეცილ წინსაფარში მოგროვილი, საბუდრებიდან წამოკრეფილი კვერცხი.

ფრთხილად მოჰქონდა, თითქოს მიწას ფეხს არ აკარებდა.

— ჩვენ, თუხარელებს, ყველაფერი ნატურალური გვიყვარს... ამას კიდევ შრომა სჭირდება... შრომა არ გვეზარება, აქაურობა სულ ჩემი და ჩემი შვილების დამარმარებულია... ცოცხალ კაცს უნდა ეტყობოდეს, რომ ცოცხალია და არა ლეში! — მასპინძელი სავსე ჯამს ჩაჰყურებს.

წინ სოფელია გადაშლილი:

მკვრივი.

ხორკლიანი.

უხეში.

წვრილმანი და მსხვილმანი ვნებებით ნაბლანდი.

გვერდითაც, სუფრის ჩაყოლებაზე, სოფლელები მისხედან, ვითომ ჩუმები, თავდახრილები, ნუნუა რომ შეუღიტინებთ მაშინღა გათამამებულები, მუშტზე მაყურებლები, მძიმე ყოფის გამო ქვეყნიერებაზე გაგულისებულები.

საბოლოოდ მაინც ავ-კარგის გამრჩევნი, მტერ-მოყვარის მიმდევრები. ღონიერ თითებში ჭიქას რომ ჩაბღუჯავენ, მაშინ ამოხეთქავს, ამოდუღდება შელახული ღირსება, ახსენდებათ ხარივით დაჩოქებული სამშობლი და მომუჭული თითებით უპეებს იმშრალებენ.

რა ვუყოთ, სულ ხომ არ ივიწყებენ, სიმთვრალეში ხომ მაინც ეწინწკნებათ სული.

— აი, ზემოთ, კორბითში თხუთმეტი სამლოცველო იყო... იქ ჩვენ ვეღარ მივდივართ... როდემდე? ჩემ სამშობ-

ლოში ავტომატიან რუსსა და ოსს უნდა ვკითხო, როგორ უნდა მივდგე-მოვდგე?.. არადა, ჩვენ, თუხარელები...

ამის გვარის კაცებს დიდი მამულები და გავლენა ჰქონიათ.

იყო ასეთი დრო.

სამწუხაროდ იყო...

ხშირბინდი მსუბუქდება, სწორედ კორბითის მხრიდან ნელა, მძიმე ფარდასავით დაეშვება, ჩამოცურდება სათიბებზე და ჯაგნარებზე, აეფარება ტერასებზე დაყვავილებულ ხეხილს.

მერამდენე წელიწადია უცნაური, შემაშფოთებელი დუმილი ნთქავს მთელ მიდამოს.



მხატვარი დიმიტრი ერისთავი

და მიუხედავად იმისა, რომ განათებული აივანი ბობოქრობდა, გულუხვი მასპინძლის წყალობით დაზვინული სუფრა თავს იწონებდა და ცას შესჭყვიტინებდა გადაწელილი გარმონი, ჩემდა გასაკვირად მაინც დიდი, გაუსაძლისი სიჩუმე საფეთქლებსა და ყურებში გროვდებოდა.

— ჩვენა, თუხარელები, ჩვენ... — კიდევ ერთხელ მომიბრუნდა მასპინძელი, მაგრამ საცეკვაოდ გაიტაცეს და ვეღარ გააგრძელა მონოლოგი...

მას შემდეგ, ორიოდ თვეში, თუხარელების მოვლილი, დოვლათით სავსე სახლიდან და კარ-მიდამოდან, კვამლით გამოლოკილი კედლებიღა დარჩა.

აგვისტოს ომი ერთი ღონიერი ქართული ოჯახის იავარქმნით დაიწყო., მეციხოვნეებივით დამდგარი სოფლები წალეკა და შიდა ქართლს ჯიგარი გამოაცალა.

პრეზიდენტმა კიდევ, ქვა-ღორღი და კლდეები დავკარგეთო! — ქვეყანას ამაზე ნაკლები „გულშემატკივარი“ არ უნდა ჰყავდეს...

ჩვენ, თუხარელებიო...

ნეტავი რისი თქმა უნდოდა მასპინძელს!

მაღლაკელიძის ალიყური

— კაცო, ახლა, ეს ჩვენი მაღლაკელიძე გავაცილე, — მწერალთა კავშირში მისულს მიყვება იოსებ ნონეშვილი, — ხომ იცი, ის ცნობილი გენერალი, ჯერ ჟორდანიას მთავრობაში რომ იყო, მერე გერმანიაში და, ომის დროს, აგერ, ძაუგთან, ფაშისტების მხარეს რომ იდგა თეთრ ცხენზე ამხედრებული... ეტყობა ასაკმა ცოტა გამოაპრუტუნა, ხომ იცი, — საფეთქელთან დაიტრიალა თითი და ხმას დაუდაბლა — რას მეუბნება, არ გაინტერესებს? იოსებ, შენ ყველაფრის შემძლე ხარ და, ბელგიაში, ბრიუსელში უნდა გამიშვაო... სახტად დარჩენილმა ვკითხე, რა გინდა ბრიუსელში-მეთქი... რა მინდა და, ბიჭი მომენატრა, იმის უნახავად ნუ მომკლავო... მოდი და ელაპარაკე, მე რა გამშვები ვარ! საზღვარგარეთ თუ დავდივარ, მეც სხვები მიშვებენ... თანაც არ გაინტერესებს ბიჭი — მაღლაკელიძის შვილი ვინ არის? — ხმას კიდევ უფრო დაუდაბლა, — მაღალი ჩინის ოფიცერი და ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში მუშაობს!

ესეც რომ არ იყოს, მაღლაკელიძეს ან ისე ვინ გაუშვებს და მითუმეტეს... ნატოს შტაბ-ბინაში... გესმის, კაცო? მაინც რა არის ეს ასაკი, ჰა? —გულწრფელად უკვირს ბატონ იოსებს, — თანაც ამ თხოვნით პირველად კი არ მოდის, შვილის უნახავად როგორ მოვკვდე, ძალიან მენატრება და მაშ რა ვქნაო... მე რაღა ვქნა, ვინმეს რომ ვუთხრა კიდეც, არ მეტყვიან, ავლიპ ზურაბაშვილის პაციენტი გამხდარხარო?.. აფსუს, რა კაცი იყო!..

გენერალი მაღლაკელიძე, ხანდაზმული, მაგრამ მაინც მკვრივად შეკრული სიმბოლო — „ნაშთი“, თვრამეტი-ოცდაერთი წლების თავისუფალი საქართველოსი, ბოლოს, გამომცემლობა „მერანში,“ მგონი კონსულტანტად მუშაობდა.

მას შემდეგ, ერთადერთხელ, სწორედ იქ შევხვდი, ნიკა აგიაშვილს და გამომცემლობის თანამშრომლებს ესაუბრებოდა.

ბატონმა ნიკამ მკლავში ხელი ჩამავლო, ახალგაზრდა კაცი ხარ და მოუსმინეო.

— რუსები რომ მოდიოდნენ, ხელშეკრულებას რად არღვევთო, ჟორდანიას პირადად ლენინთან უნდოდა დალაპარაკება.

გამოიძახა რუსეთის ელჩი.

შემოვიდა კაბინეტში, სუფთა მაიმუნი, მგონი ვოლგის-პირელი ბურლაკი თუ მეთევზე... მოკლედ, რევოლუციის მიერ გაელჩებული მუჟიკი.

რუსთან, მითუმეტეს ბოლშევიკთან, კულტურულ ლაპარაკს რა უნდა.

აუხსნა ჟორდანიამ საქმის ვითარება, რომ მოდიხართ და მოდიხართ, სამართალი აღარ არის? დამაკავშირეთ ლენინთანო.

ელჩმა იქექა კეფა, მძიმე-მძიმედ ტკეპნა სიტყვები, ხან რა მოიმიზეზა, ხან – რა. ხან — როსტოვთან გადაჭრეს დამაკავშირებელი სატელეფონო ხაზი და აღდგენას დრო დასჭირდებაო, ხან — თუ საჭიროდ ჩათვლის, ამხანაგი ლენინი თავად დაგიკავშირდებათო... მოკლედ, ვატყობ რომ მიედ-მოედება, დროს იგებს, დრო კი იმათთვის მუშაობს.

ეს გაიძვერა, ეს თაღლითი ატრიალებს გამორეცხილ თვალებს და როდემდე გინდა უსმინო ამის უტიფრობას? ველარ მოვითმინე, მოწყვეტით გავუშალე ყურისძირში, — დაგვანახვა ბებერი მაგრამ მაინც შთამბეჭდავი მარჯვენა, — გავუშალე და ძლივს აკრიფეს იატაკიდან.

ეხლავე დილეგში-მეთქი — ვუბრძანე ადიუტანტს.

იწყინა ჟორდანიამ, ჩვენი დაუძინებელი მტერია, მაგრამ მაინც ელჩია და არ უნდა გეკადრებინაო.

მაშ რა უნდა მექნა, ისედაც ვიღუპებოდით და ბოლშევიკ მამაძაღლთან კეკლუცობის დრო იყო?

ჰოდა, რომ არ ვკადრულობთ, იმიტომ ვართ ამ დღეში— თქვა, მივახალე გამწარებულმა მთავრობის მეთაურს.

— ამის შემდეგ მეორე მხარგრძელად უნდა მოგნათლო, — გაეხუმრა ბატონი ნიკა.

მაღლაკელიძემ მძიმე ხელისგულზე ცხვირსახოცი დაიფინა და დაბერილ ქუთუთოებიან, ცრემლჩამდგარ თვალებში მოისვა.

ბრიუსელში წასვლა კი არა, ახლა მთლად „ნატო“ აქეთ რომ დადის ჩვენს „სანახავად“ და გვიგიჟებს ჩვენს ჩრდილოელ დიდ მეზობელს, ამას რომ მოსწრებოდა, ბატონი იოსები, ნეტავ რას იტყოდა.

მაშინ კი — არ მავიწყდება მისი გაოცებული სახე, მაინც რა არის, კაცო, ასაკი, როგორ აცლის ჭკუა-გონებას ადამიანსო...

მუნდშტუკი

— ადამიანები არა ხართ? გამაგებინეთ რა ხდება ჩვენს თავს! — სამმტკაველიანი მუნდშტუკის სატუჩეთი საულვაშე მოიქექა მწერალმა — ამასწინათ „დედა ენის“ ერთ-ერთი გამოცემა ჩამივარდა ხელში, შემთხვევით, რა თქმა უნდა... რას ვიზამდი — გადავფურცლე... ახლა ხომ „დედა ენას“ ყველა უშვებს, ვისაც მოეპრიანება, მიაწერენ გოგეაშვილის მიხედვითო, ანდა სულაც არ მიაწერენ, დიდი ამბავი, ვინ არის მომჩივანი, ამათი ჭკუით რა შავდება, ვითომ... რათ უნდა, „მიხედვითო“, გამოეცი როგორც შეგვიდგინა იმ ღვთისნიერმა კაცმა... ჰოდა, ჩამივარდა-მეთქი ხელში ეს „მიხედვით“ „დედა ენა“, გადავფურცლე და მივყევი. თავიდან თითქოს არაფერი. რაცხა რაცხას ჰგავდა, პოლიგრაფიულადაც წუნს ვერ დასდებდი, მაგრამ უცებ, ვაი შენს ოტიას, „აი ასოო...“

— რაო? — იკითხა ერთმა პედაგოგმა ქალბატონმა და მოხარშულ დედალს ახლეჩილი ბარკალი ცივად მოიცილა პირიდან.

— გაგიკვირდათ, ხომ? — ჩაეკითხა თავისი ნათქვამის ეფექტით კმაყოფილი მთხრობელი, — რა ხასიათზე დავდგებოდი, შენ ჩემი უნდა გეკითხა... ჰო, ჰო, „აი ასო,“ ვკითხულობ შავით თეთრზე... მეგონა მეჩვენება-მეთქი, მაგრამ გაიბდღვენი, თუ გინდა, უკანასკნელი ბუწუწი... მაშინ მივხვდი, „მიხედვით“ რატომ ეწერა, ამოიღეს „აი თითი“ და ჩააბეჭდეს „აი ასო...“

— შენ არ გაქრი, რას არ მოიგონებ, ბატონო ოტია! — ხელი მკლავზე მსუბუქად ჩამოჰკრა მეორე, როგორც ეტყობა ძველმა ნაცნობმა, შეხუმრებულმა ქალბატონმა.

— მოიგონებო? რას ამბობ, დედ-მამის სული ნუ წამიწყდება... სად მაქვს მაგდენი ნიჭი, მაგის მომგონებელი ვარ მეე?

სამი მტკაველის სიგრძის მუნდშტუკის ბოლოში ახრჩოლებული თამბაქოს კვამლი აფრიალებული ცხვირსახოცით მოიგერია პირველმა ქალბატონმა.

მწერალთან შეხვედრის შემდეგ, „მეორე განყოფილებაზე“ მოწვეულ პედაგოგებს ქოთქოთი შეუდგათ და თამადის მცდელობის შემდეგ, როგორც იქნა, გავცდით „ასოს“ თემას.

— ჰოდა, ის როა, ის მეფქვილე პოეტი, მგონი თქვენს წისქვილ-კომბინატშიც მოღვაწეობდა და გაგეგონებათ... პრეზიდენტს რომ მოსწონს ნამეტანი, მისი ლექსები... ჰი, ჰი, ჰი... ისე, ჩავკარი თვალი და, ამ ხელობის თუ რამე გამეგება, მგონი არა უშავს, ზოგიერთ ჩემს თავგამოდებულ თანამოკალმეს კი უნდა სჯობდეს... ამას წინათ, მანქანის შესარჩევად, უფრო სწორედ თვალის შესავლებად ვიყავი ბაზრობაზე... გადავეყარე იქ... თვითონ მიცნო, რა თქმა უნდა... მომესალმა, მივესალმე — კაცს სალამს როგორ დოვუჭერ... კაი გულისხმიერი პიროვნება გამოდგა... მკითხა რაზე შეწუხებულხართ, აქ რომ მობრძანებულხართო. ვუთხარი, მანქანების ბაზრობაზე პურის შესაძენად ხომ არ მევიდოდი, ვეძებ ჩემი ასაკის და ოჯახის შესაფერ სატრანსპორტო საშუალებას-მეთქი.

რაკი ეგრეა, მეუბნება, თქვენ ხელი დაადეთ და მანქანა მე უნდა შეგიძინოთო, — მიიხედ-მოიხედა და, აგერ აი ამ „ჯიპზე“ რას იტყვით, თქვენ ნამდვილად მოგიხდებათო.

არ იკითხავთ, რა ღირდა ის „ჯიპი?“ არც მეტი არც ნაკლები, ოცი ათასი... დოლარი, რა თქმა უნდა, ლარზე ვიღა ლაპარაკობს ახლა — იმიტოა ჩვენი საქმე ლარივით... — დააყოლა სხვათაშორის.

— გიყიდათ? — ჩაერთო მეორე, სულწასული ქალბატონი, სუფრაზე ფხუკუნი როგორც კი ჩაცხრა.

— აპა! გავიგიჟე თავი... გამიძალიანდა, ღმერთმა მაჩუქა თქვენი პატივისცემის შანსი და უარს ნუ მეტყვითო... მეფქვილე პოეტს „ჯიპს“ ვაყიდინებდი? კაი ხანს ვიჭიდავეთ... ისე არ უნდა იყოს ცუდი კაცი!.. ეს უფრო მთავარია, ვიდრე ის თუ ვინ რას წერს, — მოქაჩა და სამი მტკაველის და კიდევ უფრო იქით აფუტებულმა თამბაქომ აგვიცრემლა ახლო მსხდომებს თვალები, — ჰოდა, იმას ვამბობდი, „აი, ასოო“... კაცო, რა ხდება ჩვენს თავს, გამაგებინეთ, ადამიანები არა ხართ? სანტექნიკი რომ გვყავდა, განათლების ავან-ჩავანი, იქიდან მოყოლებული მთლად დეიფსო ყველაფერი...

— მე თქვენს ადგილზე უარს არ ვეტყოდი, — ჩაილაპარაკა გულწრფელი ხმით პირველმა ქალბატონმა.

— რაზე არ იტყოდით უარს? — მიაცეცა მწერალმა გაოცებული თვალები, — ასოზე ბრძანებთ, თუ...

— „ჯიპის“ შემოთავაზებაზე.

სუფრასთან მყოფებმა ზოგმა შეუქეს სტუმარს თავშეკავება, ზოგმაც ქალბატონის მხარე დაიჭირა — აოხრია, და ეყიდა, მაგითი რა დააკლდებოდაო.

„აი, ასოსი“ რა ვთქვა, მაგრამ მწერალს, „მიხედვით დედა ენაში“, „აი ჯიპი“ რომ შეხვედროდა, ნეტავ თუ გაუკვირდებოდა-მეთქი, თვალს ვაყოლებდი მუნდშტუკზე ამოფრქვეულ სიგარეტის ბოლს, ქულა-ქულა რომ ამოიფრქვეოდა ხოლმე, მაღლა-მაღლა მიიწევდა და თანდათან იცრიცებოდა, ქრებოდა...

ჭეშმარიტება

მართალი ბრძანა, ჩვენმა ფილოსოფოსმა, ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგასო — ამბობს თავის ინტერვიუში ბატონი ე. და ახლა უკვე თავისი პირით აღიარებს, რომ სამშობლოსათვის არასოდეს უმსახურია, აქედან გამომდინარე — არც ჭეშმარიტებისათვის, რადგან თავად სამშობლოა ჭეშმარიტება, ხილული ღმერთი, რომლის ღალატისთვისაც, სიცოცხლეზე უფლების აყრით ისჯება ადამიანი.

ნებისმიერ მძიმე პოლიტიკურ სიტუაციაში, ბრბოზე გათვლილი, ყალბი ემოციების აღმგზნები, ლამაზად თქმის ხელოვნება ბევრს ხელეწიფება.

არ შეიძლება ჭეშმარიტება ჭეშმარიტებაზე მაღლა იდგეს, რადგან თავად სამშობლოა ჭეშმარიტება-მეთქი.

პრეზიდენტს, სამუშაო კაბინეტში, ილიას სურათი უკიდია.

მის ქვეშევრდომებს — პრეზიდენტის.

„ქვევრიდან ხაპში, ხაპიდან დოქში“ — პრეზიდენტი თუ ილიას „ეთაყვანება“, ესენი რა, წითელი კოჭები არიან?

ორი ჭეშმარიტებიდან ხომ ცხადია, რომ ერთ-ერთი უეჭველად „შემოგდებული,“ ყალბი სინჯის „ოქროა“.

ილიას სამშობლო და ჭეშმარიტება არასოდეს გაუმჯნავს, არასოდეს დაუდია სასწორის სხვადასხვა პინაზე.

ზარი

ატენი. მიხანაანთ უბანი.

ქვის კიბეებით პატარა, ხეივნიან ეზოში ავდივართ, მერე — მეორე სართულის აივანზე.

შავპერანგიანი ბიჭები გზას გვითმობენ.

ყვავილების სუნი, ზღურბლიდანვე, სუნთქვას მიკრავს — ოთახში, კუბოსთან, შვილმკვდარი დედა ზის, ქანდაკებასავით, სახეგამკაცრებული და საოცრად ფხიზელი, მოძრავი თვალებით.

— თქვენც შეწუხდით? თქვენც გაიგეთ ჩემი უბედურება? — როგორც მაშველ რგოლს მკლავში ჩამეჭიდა. — ვიცი, ვიცი, ჩემი შვილი უფალთან რომ მიდის, მაგრამ დედა ვარ და გული მიკვდება, მეგლიჯება...

ვიხრები, მხარზე თანაგრძნობით ვეხები, დაძაბული ვეძებ საჭირო, მალამოსავით სიტყვას, მაგრამ არსებობს კი სიტყვა, დედის მწუხარებით დაფლეთილ გულს რომ მოუფონებს?

განაჩენი

გაზაფხულის მზით გამთბარ ეზოში ჩამოვედი. ეზო ცარიელია, არადა ძალიან მინდა, ვინმეს გაზაფხულის მშვენიერებაზე რამე ვუთხრა.

გავიხედოთ და, კორპუსებს შორის, ეზოს ბოლოდან მეზობელი, ვარძელაშვილი მოიკაკვება, ხმელ-ხმელი, ასაკიანი, პატიოსანი ინტელიგენტი, უშვილძიროდ გადაგებული და სათვალის მიღმა ჩაბუდებული, ირონიული ღიმილით მიყურადებული ჩვენი არეული ქვეყნის მაჯისცემას.

ეს ის ვარძელაშვილია, ამასწინათ რომ მომიბოდიშა, წუხელ, ღამით, ჩვენს ქალაქში, თავისი წესიერებით, პატიოსნებით გამორჩეული ათეული შევადგინე, უყოყმანოდ დახვრეტა მივუსაჯე და, უნდა მაპატიო, იმ ათეულში თქვენც შეგიყვანეთო...

ის პურის მაღაზიიდან მოდიოდა, მე — მივდიოდი — აციმციმებულ თვალებზე კარგად დავაკვირდი, სადღაც, ტვინის რომელიღაც ხვეულში რამე ხომ არ მოეშალა-მეთქი.

— არ გაინტერესებთ რატომ მივიღე ეს სასტიკი გადაწყვეტილება? — განაგრძო პატივცემულმა, როცა შემატყო, რომ შემაშფოთებელმა ეჭვებმა გამკენწლეს, — დახვრეტა იმიტომ მოგისაჯეთ, რომ გავბრაზდი, ამ გათახსირებულ, გარყვნილ, ყველაფრის მკადრებელ საზოგადოებაში, თეთრი ყვავებივით რატომ გამოირჩევიან-მეთქი...

დახვრეტის მისჯა ვის გაახარებს, მაგრამ მაინც კმაყოფილი დავცილდი...

ახლაც, ცალოფანის პარკზე ეტყობა, რომ მაღაზიიდან მოდის.

გამეხარდა, ხმისგამცემის დანახვა, მაგრამ მერე გულში გამკენწლა, ისეთი სახით მოდის, ვაითუ, წუხელის, ათი პატიოსანი კაცი ველარ შეაგროვა და გაბრაზებულმა დახვრეტა ჩამოხრჩობით შემიცვალა-მეთქი.

კორპუსებს შორის ჩავუხვიე და ვარძელაშვილს თავი გავარიდე.

ლამაზი ქალი

— ცოდვაა ლამაზი ქალი... შეუხედავი, რაც არის ეგ არის, ასაკში შესული შეიძლება ერთგვარად დამშვენდეს კიდეც, სიბერის დარბაისლობამ გაასიმპატიუროს, აი, ლამაზი ქალი კი... კაკალი, ყინვის პირველ შემოტევებსაც ვერ უძლებს, უცებ დასცვივა ხოლმე ფოთოლი, მიხედავ და ცარიელი ტოტები შეგრჩება ხელში — ლამაზი ქალიც ერთბაშად ჩამოყრის ეშხს და, მხოლოდ საოჯახო ალბომი თუ გაგახსენებს, რომ ოდესღაც სიტურფით ყვაოდა...

— კიდევ რას გვიბრძანებთ, რითი მოგვიწამლავთ გუნება-განწყობილებას? — შარიშურა კაბიანი ქალბატონი, ხმამაღალი ფრანგული კინომუსიკის ფონზე ცდილობს საცეკვაო რიტმი არ დაარღვიოს.

მარჯვენა ხელის თითები ეწაფებიან მისი წელის მხურვალებას და კიდევ ერთხელ ვიკრებ გამბედაობას:

— სისულელე, ნათქვამი თუ ნამოქმედარი, რომელიც ლამაზ ქალს ახალგაზრდობაში უხდება კიდეც, ასაკში აუტანელს ხდის...

— მე მგონი, არც ძალიან ახალგაზრდა ვარ და არც ძალიან სულელი...

— სამაგიეროდ, ბოლომდე მოშვებული, ეზოს საერთო ონკანივით, თქვენი ენერგია, სითბო, ჟრუანტელი, უქმად მოთქრიალებს და დროის უდაბნოში უსარგებლოდ იკარგება...

— საიდან იცით?

— ვიცი, მარტოხელობა ჩვევად გექცათ... დროა მის კავალრობაზე უარი თქვათ...

ეს რომ ვუთხარი, გაეღიმა, ღაწვებზე სიწითლემორეულმა, მღელვარება რომ დაემალა, თავი გვერდზე შეაბრუნა, მაგრამ ბიუსტჰალტერში დატყვევებულმა მკვრივმა ძუძუებმა გათქვეს — შეირხნენ, ბოჩოლებივით მკერდზე მირქინეს და გაირინდნენ.

„მარლბორო“ და ჩაის პაკეტი

რამდენიმე წლის წინათ, ვაშინგტონში ყოფნისას, გარედან შევათვალიერეთ თეთრი სახლი, კონგრესის სასახლე და საქართველოს საელჩოსაკენ მივდივართ.

გამვლელები დიდ ინტერესს იჩენენ ჯემი მონის მიმართ.

ყურადღებით გახალისებული ჩემი მსახიობი თანამგზავრი უფრო არტისტულად ურტყამს ნაფაზებს და ელეგანტური ჟესტიკულაციით მიყვება თავისი ახალი ნოველის სიუჟეტს.

მოქალაქეებმა ყურადღებით ნამეტანი როცა შეაწუხეს (განსაკუთრებით ერთი თვალებგადმოკარკლული ზანგი ქალი ჩააშტერდა და, გვერდით ჩავლისას კისერი მისკენ დარჩა მოღრეცილი), მიხვდა, რაღაც მთლად ისე რომ არ იყო საქმე, თვითონ რომ უნდოდა.

— რა უნდა, ამ ჩემისას, რას მომჩერებია? — ისე მეკითხება თითქოს იმ ზანგის გულის მესიდუმლე ვიყო.

— შეხედული, კოლხი ვაჟკაცი ხარ და მოეწონე.

— კარგი ერთი...

— ეტყობა სცენიდან ან ფილმიდან ახსოვხარ და ავტოგრაფის თხოვნას ვერ გიბედავს.

— რას ამბობ, სად მნახავდა, — გააყოლა თვალი დაეჭვებულმა და სიცილი რომ ამიტყდა, მომიბრუნდა, — მაშაყირებ?

— გითხრა, სიმართლე, რატომ გიყურებს? აბა, მიიხედ-მოიხედე, მთელ ვაშინგტონში, შენს გარდა, სიგარეტს სხვაც თუ ეწევა! ალბათ უკვირს, ვინ არის ეს პაპუასიო...

— ვითომ ეგრეა? მე კი მეგონა გადავრიე მთელი ვაშინგტონი-მეთქი...

— ტყუილად გეგონა, აბა, გადააგდე სიგარეტი, თუ ვინმემ მოგხედოს... ამერიკას, საქართველოში, ერთი კაცი აინტერესებს მხოლოდ და, მე მგონი, ის ერთი კაცი შენ არა უნდა იყო...

— რა ბოროტი ვინმე ხარ... თუმცა სტალინის მშობელ ქალაქში უკეთესი როგორ უნდა გაზრდილიყავი!.. მე თქვენ გაგაზანგებთ, თუ თქვენს ჯიბრზე კიდევ ერთი კოლოფი არ შევიძინო, — მივიდა ჯიხურთან, ყველაზე ძვირადღირებული „მარლბორო“ იყიდა, ჩემი და ზანგი ქალის ჯიბრზე იქვე გახსნა და საჩქაროდ მოუკიდა...

მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ რამდენიმე წელიწადში...

სამაგიერო ჩემს ლიტერატურულ საღამოზე გადამიხადა:

გამოვიდა და ყვება:

— ამერიკაში ვაართ, რა, ამის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი ვაჩვენეთ ქართული კულტურის დღეზე. საერთოდ ჩაი მიყვარს და, ერთ ჯერზე შეიძლება მეორე და მესამე ფინჯანიც მივაყოლო. ჩვეულებას ამერიკაში ხო არ ვუღალატებ? — ყოველ ფინჯანს ერთჯერადი ჩაის პაკეტით ვაყენებ. ამან მიყურა, მიყურა და მეუბნება, შენ, ჩემო ძმაო, რა ამბავში ხარ, თავი რომ აუშვი, აღარ უშლიანო. ვაჰ, დავიბენი, ვერ გავიგე, ჩემთვის დილის საუზმეს შევექცევი, ჩაის ვაყოლებ და ასეთი რა შევცოდე-მეთქი.

რო დამდგარხარ და ყოველ ფინჯანზე ახალ-ახალ პაკეტს ხარჯავ — საქართველოში, მე და ჩემი ოთხსულიანი ოჯახი, ერთი პაკეტით ორი-სამი დღე გამოვდივართ, თანაც არ დაგავიწყდეს, დილა-საღამოს და ზოგჯერ შუადღითაც გეახლებით... შენ რა, გინდა ამერიკელები გააკოტროვო? გავიწყდება ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები რო არიანო... მოკლედ, გაუტია და გაუტია, სულ ყელში ამომადინა, რაც ამერიკაში ჩაის გეახელით...

აცინა, ახარხარა დარბაზი და დავუძახე:

— კარგი, მაგრამ ახლა მეც გავიხსენო თეთრი სახლის წინ სტალინზე რაცა ბრძანე-მეთქი?

— ისეთი არაფერი, ამ პატიოსან გორელებს რომ ეწყინოთო, — ხელები გამისავსავა, ოღონდ ეგ არა თქვაო.

ეჰ, კარგი დღე იყო, მას მერე ვეღარც ჩამოვიდა...

ჯემალ მონიავას სიკვდილმა მხარი მომტეხა და დამადამბლავაო, შემომჩივლა, 2009 წლის ზამთრის ერთ საღამოს, თავადაც უკვე მძიმე ავადმყოფმა, ნუგზარ შატაიძემ...

ისიც მალე წავიდა, იმ საღამოდან მოკლე ხანში...

თუმცა, ამაზე სხვა დროს...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ერეკლე საღლიანი

პირველი ლოცვის მადლი

რამინ მიქაბერიძეს

იმღერ და დღესაც, ისე ვით წინათ,
ადიდებ ჯილაგს აღსავლის ბჭესთან,
ასეთი ხმა თუ გამოსცა რკინამ
ხალიბი გრდემლზე როდესაც სჭედდა.
იმღერ და ბური ეცლება თვალებს,
გუგებში დილა წრიალებს თითქოს,
ტკბილ მოგონებად გაჰყვება ხვალეს,
პირველი ლოცვის მადლი და სიტკბო.
მჯერა, კვლავ დაგვცდის სასტიკი დროცა,
კვლავაც შეიშრობს თვალზე ცრემლს სტვირი,
ვღიღინებთ, ვებრძვით დარდ-ვარამს როცა,
როდესაც გვილხინს, ფარულად ვტირით.
დღე გულზე თავის შუქ-ნიშანს გადებს,
ცა კვლავაც ღრუბლის საფარველს იხსნის,
აფრთხობს წყვდიადში წარმართულ ლანდებს
ჯვარზე გადმოღვრილ მაცხოვრის სისხლი.
ხან მთვარე გადგას თავზე და ხან მზე,
გტკივა და მაინც კვლავაც ხარ მხნედა,
სხივთა ისრებით მოხატულ ბანზე
ტურფანი კვლავაც მოწყენით სხედან.
სხედან და ქარი ბალახს მტვერს აცლის,
ავსებს სიცოცხლით სანატრელ წიაღს,
ანაგურს გაღმა დროული კაცი,
ისმენს ალესილ ნამგლების ნკრიალს.
სულში შეხლა და მლახვრავი ომი,
იმღერ და მღერით თავს იშობ ახლად,
გძაგს კვლავაც სიტყვა ქვესკნელში მძრომი,
გძაგს სიტყვა, თუ არ მიფრინავს მაღლა.
უთქვამს ბრძენს: ჰანგი არს სულის ალი,
გრგვინავს ვულკანი, თუხთუხებს ლავა,
გვასვი სიმღერა ისე, ვით წყალი,
რომ არ გვახრჩობდეს წყურვილი კვლავაც.
იმღერ და დღესაც, ისე ვით წინათ,
ადიდებ ჯილაგს აღსავლის ბჭესთან,
ასეთი ხმა თუ გამოსცა რკინამ
ხალიბი გრდემლზე როდესაც სჭედდა.

* * *

წყალი ბორგავს და ღელვას არ იშლის,
თეთრ ქაფს სხეულზე ნელ-ნელა ვიშრობ,
ნიჩბებდალეწილ ნავების ჩრდილში
ბინდი ისრუტავს დარჩენილ ქვიშრობს.
შიშველ ნაპირზე გაშლილი რამლი,
გაურბის ჩქარი ტალღების წრიალს,
მთვარე დაჰყურებს გრძნეულის თვალით
შავი ზღვის ფსკერზე გაწოლილ წყვდიადს.

* * *

დილით ზღვის მძაფრი სურნელი რომ გცემს,
იფიქრებ, ცაცხვი აყვავდა თითქოს,
დათესავ სიტყვას, სიკეთის მომცველს,
დილით ზღვის მძაფრი სურნელი რომ გცემს,
მფარველი ჩვენი წყალობას მოგვცემს,
ღვთის კარზე თუკი ქველობას ვითხოვთ,
დილით ზღვის მძაფრი სურნელი რომ გცემს,
იფიქრებ, ცაცხვი აყვავდა თითქოს,

* * *

ზღვის ტალღას კვლავაც მოწყვიტე ტაში,
როცა ლექსების მარათონს მართავ,
მთელი ცხოვრება ჩაწურე წამში,
ზღვის ტალღას კვლავაც მოწყვიტე ტაში,
რა იქნებოდა, ნეტავი მაშინ?
მზე რომ დაგება გონიოს კართან,
ზღვის ტალღას კვლავაც მოწყვიტე ტაში,
როცა ლექსების მარათონს მართავ,

* * *

მენდე, მართალი ვარ შენთან ცამდის,
ნაჩეხზე რაკი მზის სხივი დამდის,
სიტყვას ვიფარებ ტანჯულო, სანამ
კორტოხზე მწუხრის ჩრდილები წვანან.
სიტყვას ვიფარებ, გწირავ ტარიგად,
რომ მით შევიცნო, ვცხონდე რა რიგად,
წერილ არს კვალად, გვწყალობს პატრონი,
ერთმანეთით ვართ, არ ვართ მარტონი!
ჟამი გვფურცლავს და სადგომს ვიკეთებთ,
არა, არ გვტოვებს არსად სიკეთე,
ჩემსახიერო, ჩემში რაც არის,
ცეცხლია მხოლოდ, არა ნაცარი!
წყალთან და ხმელთან ერთად მადავე
და შემაჩეჩე ხელში სადავე,
მომეც, ნუგეში, შვება მცირედი,
ვიყო კვლავ ძმათა სასო, იმედი.
შენს წიაღში ვარ, ვიმღერი ლალეს
რომ არ მტანჯავდეს კვლავ სივალალე,
შენით ვარ ჩემთა ჭირთა მძლეველი,
ჩვენშია, ჩვენში სასუფეველი!
მენდე, მართალი ვარ შენთან ცამდის,
ნაჩეხზე რაკი მზის სხივი დამდის,

* * *

ერთი სიკვდილით ნაკლები ხარ და
ერთი სიცოცხლით ჩემზე მეტი ხარ,
მწადია, ლექსი მოგიძღვნა, მაგრამ
სალექსოდ ვეღარ გამიმეტნიხარ!
ტკბილ სიზმრებში გხვევს შენ, თოვლის ფარდა,
თეთრი სამეფოს საყდრის სვეტი ხარ,
ერთი სიკვდილით ნაკლები ხარ და
ერთი სიცოცხლით ჩემზე მეტი ხარ.

* * *

უსაზღვრო სივრცის მპყრობელო,
ხარ ჩვენი საესავი და
ბნელეთის მანათობელო,
წახვალ და მოხვალ თავიდან.
შვილო და თანაც მშობელო,
არა ვცხონდები გვამითა,
მრავალჟამიერ, სოფელო,
გლოცავ უჟამო ჟამიდან.

* * *

შავღელედან რომ გაჰყურებ ცხუმარს,
გგონია, ნისლი გაწვაო ხევში,
მაღალ მთებს უწვდი მარჯვენას ძმურად,
შავღელედან რომ გაჰყურებ ცხუმარს,
აქ ღვთის წყალობად კვლავ თვლიან სტუმარს,
არ დაელევათ რახი და ხემსი,
შავღელედან რომ გაჰყურებ ცხუმარს,
გგონია, ნისლი გაწვაო ხევში.

თამბი

ნეტავი შენ არ მომეკალი,
საკუთარი მამა შემომკვდომოდა,
ნეტავი შენ არ მომეკალი,
ღვიძლი ძმა შემომკვდომოდა.
სვანური ხალხური პოეზიიდან

არ სწადდა, მაგრამ თეთრ თამბის მაინც,
მოუხდა ვეფხთან ჭიდილი, შებმა,
არცერთი დარჩა მიმტანად ამბის
ვეღარ მივიდნენ ძმებთან და დებთან.
სწადდათ მწყურვალთ და დაქანცულ-დაღლილთ,
დიდი ღირსების უღელში შებმა,
ხმალი დადრიკა უეცრად თამბიმ,
ტოტი შემართა უეცრად ვეფხმა.
დრო იყო ბრძოლის ფერხულში ჩაბმის,
სული შეიკრა ორივემ ერთხანს...
ჯავრი იყარა ნადირზე თამბიმ,
ჯავრი წაიღო იმ ქვეყნად ვეფხმა.
ღრუბლები-თეთრი ქულები ბამბის,
ეკვრიან ცხედარს, ქარი ძირს ფერთხავს,
მძიმე წადილი ახრჩობდა თამბის,
გული გაუხსნა მას თურმე ვეფხმა,

ერთი ხმლით, ხოლო მეორე ჭანგით,
გულს უსინჯავდნენ ერთმანეთს მკერდთან,
ვეფხის მოხრჩობას ერჩივნა თამბის,
ძმები და მამა მოეკლა ერთად.
გულამოსკვნით და ცრემლების ლამბვით,
ჩამოწვა ცა და იქუხა მეხმა,
სიცოცხლის წესი ასწავლა თამბის,
სიკვდილის გზანი უწალდა ვეფხმა.
ტირილითა და გოდებით გაბმით,
მოლაშქრე იწყებს მტრის ხოტბის შესხმას
და, მხოლოდ მაშინ დამარცხდა თამბი,
როდესაც სული დალია ვეფხმა.

* * *

ლაორბის თავზე დააფრთხო ორბი,
ხევსური კაცის ხირიმის ხმამა,
ბინდი სოფლისკენ მოიწევს, მორბის,
აქ მოსვლა მიღირს მარტოკა ამად.
თუ სუნი არ მცემს აქაურ ხორბლის,
არსობის ხმიადს შევირგებ შხამად,
ლაორბის თავზე დააფრთხო ორბი,
ხევსური კაცის ხირიმის ხმამა.

* * *

როგორც უდაბნოს მხურვალე ქვიშას,
ისე შევყურებ მაშვრალი ზეცას,
გიტოვებ ფიქრს და ჩემეულ ნიშანს,
როგორც უდაბნოს მხურვალე ქვიშას.
ღიმილი უკვე სიცოცხლეს ნიშნავს,
ნიშნავს და შორით გიღიმი მეცა,
როგორც უდაბნოს მხურვალე ქვიშას,
ისე შევყურებ მაშვრალი ზეცას.

ჩემს შვილს სანდროს

შეგყურებ, როგორც არწივის მართვეს,
რომელიც უკვე აფრენას ლამობს,
მე შენთვის ერთი სიცოცხლე მმართებს,
შეგყურებ, როგორც არწივის მართვეს.
სიხარულს იმედს ვერავინ მართმევს,
ვებრძვი სიძნელეს ისევ შენს გამო,
შეგყურებ, როგორც არწივის მართვეს,
რომელიც უკვე აფრენას ლამობს.

ლექსად შემონახული ჩემი გვარის ისტორია

ესაა ამონარიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატის, ჩემი პაპის, გიორგი ჩანგაშვილის არქივიდან.

ჩემს სოფელში, ზემო ხოდაშენში (ახლანდელი ახმეტის რაიონი), უცხოვრია მღვდელს, ნესტორა სიდამონიძეს 1912-1918 წლებში და პაპა აბრამა დიმიტრის-ძე ჩანგაშვილთან სტუმრად მოუყვანია ვაჟა-ფშაველა, ახმეტის დიაკონი გიორგი ხიზანიშვილი და კანცელარიის მდივნები, სადაც გაშლილა კარგი სუფრა და გამართულა კაფიობა ვაჟა-ფშაველასა და სუფრის წევრებს შორის. როცა შეზარხოშდნენ, სიმღერაც მოსდომებიათ.

წინაპართა ნაამბობი ლექსად დაუწერია და შეუნახავს სახალხო მთქმელს — სიკო ჩანგაშვილს.

რა საამურად მღეროდნენ,
ხმა ჰქონდათ არაგვ-ივრისა,
ფრინველთა გალობა იყო,
თითქოს მაისის დილისა.

ჩემ პაპა იადონს ჰგავდა,
ისე ტკბილათა მღეროდა.
მუსიკა იყო თუ კაცი,
თვალს და ყურს არა სჯეროდა.

ვაჟასაც თურმე არაგვის
ბულბული ეჯდა ყელშია,
მხოლოდ ჩემ პაპამ აჯობა
ქართლ-კახურ სიმღერებშია.

ლხინის მეორე ნახევარს
რომ გასცდნენ გადააბიჯეს,
პაპამ თქვა ღვინის მეტი სმა
კაცს აბეჩავებს, აგიჟებს.

სამაგალითო ხალხი მყავს,
დავატკბოთ, გავახაროთო,
და ვაჟას სტუმრობა ჩვენთან
ცუდად არ ჩავატაროთო.

პაპამ ჩონგური დაუკრა,
შვილიშვილები გვაცეკვა,
ვაჟა გადმოხტა ღიმილით
მხრებით ცა შუაზე გაკვეთა.

ორბის ფრთებივით გაშალა
თავის დიდრონი მკლავები,
ორ მზის ამოსვლას უგავდა
გაბრწყინებული თვალები.

ლექსებთან ერთად დიდ ვაჟას
სცოდნოდა კარგი ცეკვაცა,
იმის თაფლნარევ ხოხბის ხმას
ტკბილად ვიგონებთ დღესაცა.

ღამე რომ შუა გაიყო
დაემშვიდობნენ პაპასა,

ჩემ პაპა გაღიზიანდა
არსად უშვებდა ვაჟასა.

მეორე დილით მოვიდა,
ხომ არ გაწყინეთ რამეო,
თუ გაწყენინე რაიმე
შენს ღვინოს დააბრალეო.

ჩემ პაპა მაშინ მოუყვა
ვაჟას წარსულის ამბავსა,
ჩვენი მოდგმა ხარ, განა სხვა,
თავი უცხოდ არ ჩათვალო.

შენ პაპის პაპას ჩემ პაპის
პაპის და ჰყავდა ცოლადა.

იმ ვეფხვთა ბოკვერი ხარ შენც
სადაც ჩვენ ჯიში სტანია,
ჩემ პაპის პაპა ბრძოლებში
მაგარ ყოფილან ძალიან.

მოდგმით მჭედლები ყოფილან
სჭედნენ ფარს, ხანჯალს, ხმალსაო,
ზღაპრებიც ბევრი სცოდნიათ,
ლექსების გამოთქმაცაო.

და რაკი რაზიკაანებს
ჩანგაანთ ქალი ჰყოლიათ,
მაგ კარგ ლექსების ნიჭი სჩანს
ჩვენ მოდგმას გამოგვყოლია.

არსენაზე რომ ლექსია
ჩემ პაპის დაწყობილია,
ჩემ მამამ დაამთავრა და
მოეკლათ როგორც ილია.

მათ ვეფხისტყაოსანიც და
ეფრემვერდიცა ჰქონიათ,
ვიღაცას მოუპარნია
მოშურნეც ბევრი ჰყოლიათ.

ხალხისგან გამიგონია
ტულუზაურნი, არხლელნი,
სანამ იქ დავსახლებულვართ
მანამ ვყოფილვართ ჩარგლელნი.

ვაჟა პასუხი:
თუ ასე იყო არა ეს
დღემდის არ გამიგონია,
მეტად მოვილხენ ახლა მე
თავი ჩარგალში მგონია.

თუ მართლა ჩანგაშვილების
ქალის შვილთ-შვილის შვილი ვარ,
რას მერჩით, თქვენი ვყოფილვარ
განა მაშ უცხო პირი ვარ.

მხატვარი კარლო ფაჩულია

ჩემ პაპა:
შორეულ დროს, ჩარგლიდან ვართ
თიანეთში გადმოსული.
ბახტრიონის აღებამდე
მზე იქა გვაქვს ამოსული.

მოდგმითა ვართ მუსიკოსნი,
მომღერლები მხნე მგოსნები,
მოცეკვავე, მოჭიდავე
და ხმალ-ხანჯლის ხელოსნები.

როცა თურმე ბახტრიონი
კრულ შაჰაბაზს აუღია,
გმირ ბიძინა ჩოლოყაშვილს
ქსან-არაგვი დაუვლია,
ფშავ-ხევსურეთ მთათუშეთი
და ქიზიყი მოუხმია,
ხალხთა შეერთებულ ძალით
მტრისთვის ბოლო მოუღია.

ასე უწყობდნენ ბრძოლებს ხელს
ფარხმლით ჩვენი მამა-პაპა,
ახლაც თურქმანები მათმა
ნაჭედ ხმალ-ხანჯალმა კაფა.

გამარჯვებულ მთიელ ხალხმა
იზეიმეს, იამაყეს,
ბიძინა ხალხს აქებდა და
ხალხმა ბიძინა რომ აქეს,

უპასუხა: მე ნუ მაქებთ,
თქვენი ბრძოლის ქება თქვითო.
კახეთი თქვენ მოიგეთ და
ვისაც გსურთ აქ დასახლდითო.

ერთი ჩვენი გვარის კაცი
ერეკლეს სულ თან დაჰყავდა,
ჭიანურზე და ენიან
სალამურზე ჟინსა ჰკრავდა.

ახმეტიდან ხოდაშენში
ერეკლე დიდ განგებიანს
თავის საუფლისწულოზე
რჩევით დაუსახლებია.

თურმე ჩემს კარგ პაპის მამას
დიმიტრას და მამა-ბიძას,
კარგ მამა-შვილს მაშინდელი
შინა განათლება მისცათ.

პუბლიკაცია მოამზადა
სამედიცინო უნივერსიტეტის
მეორე კურსის სტუდენტმა
გიორგი ჩანგაშვილმა

ელოცათ მისი ჯანმრთელობისათვის

(ინტერვიუ აკადემიკოს სერგეი სერგეევიჩ ავერინცევის ქვრივთან ნ. პ. ავერინცევასთან)

ა. კუპრინინი: გამარჯობათ, პატივცემულო რადიო მსმენელებო! ეთერშია რადიო „გრად პეტროვ“ ალექსანდრე კრუპინინთან ერთად. დღეს სტუმრად გვყავს ქალბატონი ნატალია პეტროვნა ავერინცევა, სერგეი სერგეევიჩ ავერინცევის მეუღლე. მოგესალმებით, ქალბატონო ნატალია!

ნ.პ. ავერინცევა: მოგესალმებით.

ა. კრუპინინი: ჩვენს გადაცემაში მონაწილეობს გაზეთ „კიფას“ რედაქტორი ალექსანდრე ბუროვი. ქალბატონი ნატალია სიამოვნებით დაგვთანხმდა, გაეზიარებინა თავისი მოგონებანი. გთხოვთ გვიამბოთ, როგორ გაიცანით ერთმანეთი?

ნ.პ. ავერინცევა: ჩვენ ორივე მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის განყოფილებაზე ვსწავლობდით. ის ერთი კურსით წინ იყო ჩემზე. ამ განყოფილებაზე ყოველთვის ცოტა სტუდენტი იყო — სერგეი სერგეევიჩის კურსზე სულ რვა კაცი, ორი ალბანელის ჩათვლით. ჩემს კურსზე თავიდან ხუთნი ვიყავით, პირველი სემესტრის დასასრულისთვის კი სულ სამნი დავრჩით. მესამე კურსის ბოლოს მხოლოდ მეღა შემოვრჩი კურსს. ბუნებრივია, ჩვენ ყველა ერთმანეთს ვიცნობდით. სერგეი სერგეევიჩი სტუდენტური სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე გახლდათ და ამ საზოგადოებას გაზეთის გამოცემა შესთავაზა. ყველა ენთუზიაზმით დათანხმდა, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, დამხმარენი შემოეფანტნენ და გადაბეჭდვაში დახმარება მე შევთავაზე. ბეჭდვა დღესაც მხოლოდ ერთი თითით ვიცი, მაგრამ უარაფრობას მაინც ეს სჯობდა. აი, ასე გავიცანით ერთმანეთი ახლოს.

ა. კუპრინინი: ჩვენ ყველა ვიცნობთ სერგეი სერგეევიჩ ავერინცევს, როგორც გამოჩენილ მეცნიერს, ფილოლოგს, ისტორიკოსს. საინტერესოა იმის გაგება, თუ როგორი ადამიანი იყო? მაგალითად, როგორ ცდილობდა თქვენი გულის მოგებას?

ნ.პ. ავერინცევა: სერგეი მიყვებოდა რაღაცებს, ან მიკითხავდა ლექსებს. საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი, ამიტომ ჩემთან ვერ ვპატიჟებდი, მე მივდიოდი მასთან სტუმრად, ან უნივერსიტეტში ვხვდებოდით, კათედრაზე. სტუდენტობის წლებში რამდენჯერმე ვიყავით თეატრშიც. მან უნივერსიტეტში 1956 წელს ჩააბარა, მე კი 1957-ში.

ა. კუპრინინი: როგორი გემოვნება ჰქონდა სერგეი სერგეევიჩს? რა უყვარდა?

ნ.პ. ავერინცევა: უყვარდა წიგნები. კინო და თეატრი მაინცდამაინც არ იზიდავდა. სპექტაკლი სულ რამდენიმე ჰქონდა ნანახი, ფილმები 5-6 -ოდე. 2 ფილმი ბერგმანისა, 2 თუ 3 ტარკოვსკისა, ასევე მუნჯური ფილმი „ჟანა დ’არკი“, რომელმაც მასზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა.

ა. კუპრინინი: მხატვრული ლიტერატურის კითხვა თუ უყვარდა?

ნ.პ. ავერინცევა: დიახ, ძირითადად ლექსების. ამბობდა, პროზის კითხვა, თითოეულ რომანში გმირთა მრავალრიცხოვნობის გამო, კუზმინის ლექსისა არ იყოს, დამახსოვრება იმისა თუ ვინ არის არმანი და ვინ დალაი, ან ვისი ქალიშვილია ლიზა, აღემატება ჩემს ძალებსო. თუმცა, ბუნებრივია, კითხულობდა რუსულ კლასიკურ პროზას: ტოლსტოისაც, დოსტოევსკისაც, ტურგენევსაც, ლესკოვსაც. უყვარდა კლასიკური რუსული ლიტერატურა.

ა. კუპრინინი: პოეზიიდან?

ნ.პ. ავერინცევა: რა თქმა უნდა, უყვარდა პუშკინიც და ლერმონტოვიც, ჟუკოვსკიც, მანდელშტამიც, ვიაჩესლავ ივანოვიც. ბავშვობიდან უყვარდა ტიუტჩევი, უკვე შვიდი წლიდან კითხულობდა, როცა ჯერ კიდევ ყველაფერი არ ესმოდა, მაგრამ კითხულობდა დიდი აღფრთოვანებით და ზეპირად იმახსოვრებდა. ძალიან უყვარდა ფეტი, ახმატოვა.

ა. კუპრინინი: თანამედროვე ხელოვნებისადმი როგორი დამოკიდებულება ჰქონდა?

ნ.პ. ავერინცევა: თანამედროვე პოეტებიდან აფასებდა **ოლგა სედაკოვასა და ბახიტა კენჟეევას.**

ა. კუპრინინი: დასავლელი ავტორებიდან ?

ნ.პ. ავერინცევა: ძალიან უყვარდა გერმანული ლიტერატურა. XX ს-ის ფრანგული ლიტერატურიდან — კლოდელი და პეგი. ახალგაზრდობაში ასევე ძალიან უყვარდა ფლობერი. 14 წლამდე, როდესაც გადაწყვიტა დაკავებულიყო ძველი ენებით, ძალიან უყვარდა XVIII ს-ის ფრანგული ლიტერატურა. კითხულობდა რუსულ თარგმანებს, თუმცა ფრანგულ ენას ადრეული ასაკიდან ასწავლიდნენ. მათთან მოდიოდა ხანშიშესული ქალბატონი, რომელიც გასამრჯელოს ბავშვებისთვის ენების სწავლებით შოულობდა. ეს იყო საბჭოთა მოსკოვში. იგი დიპლომატის ქალიშვილი გახლდათ. რევოლუციის დროს ჩინეთში აღმოჩნდა და იქიდან მოსკოვში დიდი ძალისხმევით გამოაღწია. მართალია, არსად გადაუსახლებიათ, მაგრამ სამსახურში მოწყობას ვერ ახერხებდა. კერძოდ მუშაობდა. სერიოჟას ძირითადად ინგლისურს და ფრანგულსაც ასწავლიდა. ამიტომ ეს ორივე ენა ბავშვობიდან იცოდა. გერმანული კი უნივერსიტეტში ისწავლა.

ა. კუპრინინი: იგი ხომ პროფესორთა ოჯახიდანაა?

ნ.პ. ავერინცევა: დიახ, სერგეის მამა ბიოლოგიის პროფესორი გახლდათ, მაგრამ ძალიან უყვარდა მუსიკა, ლიტერატურა და არქიტექტურა, პატარა სერიოჟა ავერინცევი მოსკოვში დაჰყავდა და სხვადასხვა ლამაზ შენობებს ათვალიერებინებდა, ხელოვნებაზე ბევრ წიგნს ყიდულობდა მისთვის. ამიტომ სერგეი სერგეევიჩი ბავშვობიდანვე საკმაოდ კარგად იცნობდა ევროპული კულტურას.

ა. ბუროვი: ერთხელ სერგეი სერგეევიჩმა პირად საუბარში მიამბო პაპამისის შესახებ, რომელიც ცხოვრების დასაწყისში ყმა იყო, შემდეგ კი — რკინიგზელი. მამა კი „რაზნოჩინცებიდან“ პროფესორებში გამოერია. იგი მას შემდეგი ფრაზით ახასიათებდა: „ადამიანი, კულტურას მიწევნილი“. მამამისი ბევრს მოგზაურობდა, მონაწილეობდა ანგლო-ბურების ომში.

ნ.პ. ავერინცევა: დიახ, მამამისი მეორე კურსის სტუდენტი იყო, როდესაც დაიწყო ეს ომი, და შეიძლება ითქ-

ვას, გაიქცა, რადგან მას ოფიციალურად არ გაუშვებდნენ. რა თქმა უნდა, ბურების მხარეს იბრძოდა, ძალიან მალე გაუცრუვდა იმედი და წამოვიდა, გაიარა აფრიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, არ ვიცით, როგორ და რით გადაადგილდებოდა. ბევრი რამ ნახა. შემდეგ დაბრუნდა, დაასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტი. ამის მერე სრულყოფდა სწავლას, დაამთავრა განათლება ჰაიდელბერგში. და აი, ჩვენ სულ ცოტა ხნის წინათ მივიღეთ მისი დიპლომის ასლი. იგი მიწვეული იყო აფრიკაში, ერთ-ერთ ბიოლოგიურ სადგურზე, მაგრამ მგზავრობისას გემის ბაქანზე მოიტეხა ფეხი, ასე რომ, დანიშნულების ადგილამდე არ მიუღწევია, ბიოლოგიურ სადგურზე, სადღაც ჩრდილოეთ აფრიკაში დარჩა. შემდეგ მუშაობდა კვლავ ბიოლოგიურ სადგურზე ნეაპოლში, ბევრს მუშაობდა არხანგელსკში.

სერგეი ავერინცევი

ა. კუპრინინი: ეს იყო ჯერ კიდევ რევოლუციამდე, 1917 წელს?

ნ.პ. ავერინცევა: დიახ, იგი 1875 წელს დაიბადა.

ა. კუპრინინი: ანუ სერგეი სერგეევიჩი ნაგვიანევი ბავშვი იყო?

ნ.პ. ავერინცევა: მამამისი 62 წლისა იყო, როდესაც იგი დაიბადა.

ა. ბუროვი: ძალიან მნიშვნელოვანია ეს კავშირი: მამა იყო XIX ს-ის ადამიანი. ტიუტჩევისადმი სიყვარულამდე სერგეი სერგეევიჩი სწორედ მამამ მიიყვანა, რადგან მან თითქმის მთლიანად იცოდა ზეპირად ტიუტჩევის შემოქმედება. მეტიც, პირადად იცნობდა „ვერცხლის საუკუნის“ ბევრ მოღვაწეს.

ნ.პ. ავერინცევა: დიახ, მამამისი სერგეი მაკოვსკისთან ერთად სწავლობდა. მათი შეხედულებანი მაინცდამაინც არ ემთხვეოდა, თუმცა ერთად სწავლობდნენ და იცნობდნენ ერთმანეთს. გიმნაზიაში იგი ლათინურს სწავლობდა და სერგეი სერგეევიჩს ჰორაციუსს უკითხავდა, მაშინ სერგეიმ ლათინური ჯერ კიდევ არ იცოდა. შემდეგ გამოიცა ტომი სემიონოვა-ტიან-შანსკის არცთუ კარგი თარგმანი ლათინური პარალელური ტექსტით. სერგეი სერგეეევიჩს ბავშვობისას მამა ამ წიგნიდან უკითხავდა ლათინურად და უხსნიდა რომელი სიტყვა რომელს შეესაბამებოდა. მის ნეკროლოგებში ვკითხულობდი, რომ მან უნივერსიტეტში შესვლამდე იცოდა ლათინური და ბერძნული ენები. ლათინურ ენას იმ სკოლაში, სადაც სწავლობდა, ბოლო კლასებში ასწავლიდნენ. ექსპერიმენტი ტარდებოდა მაშინ მოსკოვში. ამ ექსპერიმენტს გააფთრებით ეწინააღმდგებოდნენ მოსწავლეები და მათი მშობლები, ვერ ხვდებოდნენ, რაში სჭირდებოდათ საწყალ ბავშვებს, უამისოდაც გადატვირთულებს, შეესწავლათ რაღაც ლათინური ენა, რომელიც არავის არაფერში სჭირდებოდა. მაგრამ სერგეი სერგეევიჩისთვის ეს იყო დიდი ბედნიერება.

ა. კუპრინინი: იმ დროს არსებობდა კლასიციზმისკენ მიტრიალების იდეა, და ამ გაგებითაც გაუმართლა. მუსიკალური მისწრაფებანი თუ ჰქონდა?

ნ.პ. ავერინცევა: უყვარდა ძველი მუსიკა. რა თქმა უნდა უყვარდა საეკლესიო გალობა, უყვარდა გრეგორიანული ქორალები. უყვარდა ბახის, მოცარტის — ბაროკოს მუსიკა, ვაგნერიც უყვარდა. მამას უყვარდა ძალიან ვაგნერი და შვილსაც ასწავლა მისი სიყვარული. ბავშვობაში ვაგნერის მოსმენის ძალზე ცოტა საშუალება იყო. შემდეგ, 1950-60-იანი წლებიდან, გამოჩნდა ფირფიტები, 1970-80-იანი წლებიდან კი იმართებოდა მუსიკალური საღამოები, სადაც ვაგნერს უსმენდნენ კარგი ჩანაწერებით.

ა. ბუროვი: ნატალია პეტროვნა, მოგვიყევით, როგორ და სად ცხოვრობდით, რა პირობებში ცხოვრობდა სერგეევიჩი.

ნ.პ. ავერინცევა: სერგეი სერგეევიჩი დაბადებიდან პატარა კომუნალურ ბინაში ცხოვრობდა მოსკოვის პატარა ჩიხში, სანაპიროსა და ოსტაჟენკას შორის. ეს არის ბუტიკოვსკის ჩიხი, ასე იწოდებოდა იქვე მდებარე პატარა ქარხნის მფლობელთა სახელის გამო. ეს იყო სამსართულიანი სახლი, პირველ ორ სართულზე ცალკე ბინებით, რომელთაც წინა მფლობელები აქირავებდნენ. მესამე სართულზე კი იყო ბინა, სამ ადამიანზე გათვლილი: მეპატრონე, მეუღლე და მოსამსახურე. რევოლუციის მერე ამ ბინაში დაუჯერებელი რაოდენობის ხალხი ჩასახლდა. როდესაც სერგეი სერგეევიჩს გავყევი, ბინაში ცხოვრობდა 23 ადამიანი, ომამდე და ომის შემდეგ იყო 45 ადამიანი, დედამთილი მეუბნებოდა ამას.

ა. კუპრინინი: პეტერბურგშიც ასევე, და რამდენოთახიანი ბინა?

ნ.პ. ავერინცევა: 8 ოთახი. მაგალითად, ჩვენ წინ ორი და ცხოვრობდა, ერთი ბავშვით, მეორე — ქმრიანი. სერგეი სერგეევიჩის ოჯახს ერთი ოთახი ეკავა — 30 მ, რომელიც მათ გადატიხრეს და ერთი ნაწილი 20 მ იყო, მეორე — 10 მ.

ა. კუპრინინი: მაინც უცნაურია, რომ პროფესორი, კათედრის ხელმძღვანელი ცხოვრობდა კომუნალურ ბინაში. ეს ნორმალურად ითვლებოდა?

ნ.პ. ავერინცევა: არც მაინცდამაინც. მას შეეძლო მოენდომებინა და ცალკე ბინა მიეღო, მაგრამ შეგნებულად თქვა ამაზე უარი, რადგან ცალკე ბინა იმ დროს საშიში იყო. ვინმეს, შურის გამო,შეიძლებოდა დაესმინა, და მაშინ თვითონაც და ოჯახიც დაიღუპებოდა. ეს ხშირად ხდებოდა. კომუნალურ ბინებშიც კი მეზობლები ერთმანეთს ასმენდნენ ოთახის დაკავების მიზნით. მაგრამ მაინც კომუნალურ ბინაში ცხოვრება უფრო უხიფათო გახლდა.

ა. კუპრინინი: პოლიტიკურ საკითხებს როგორ ეკიდებოდა სერგი სერგეევიჩი? იგი ხომ ჩართული იყო პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ნ.პ. ავერინცევა: თავიდან თითქოს თავისი წიგნების მეტს ვერაფერს ხედავდა, მაგრამ აღმოჩნდა რომ პოლიტიკაში ძალიან კარგად ერკვეოდა. ყველა პოლიტიკური მოვლენის საქმის კურსში იყო და ძალიან ფხიზელი და გონივრული შეხედულებანი ჰქონდა, მისი პროგნოზები ძირითადად მართლდებოდა. სახალხო დეპუტატობაზე დიდი ყოყმანის შემდეგ დათანხმდა, ეს უკვე 1989 წელს.

ა. კუპრინინი: ანუ თავს პოლიტიკაზე მაღლა არ აყენებდა, არამედ მიიჩნევდა, რომ აუცილებელია?

ნ.პ. ავერინცევა: რა თქმა უნდა, მიიჩნევდა, რომ ეს მნიშვნელოვანია, ეს ცხოვრებაა.

ა. კუპრინინი: როგორ გახდა დეპუტატი?

ნ.პ. ავერინცევა: თავიდან მეცნიერებათა აკადემიიდან შესთავაზეს კენჭისყრა, მან უარი თქვა. შემდეგ მეცნიერებათა აკადემიამ აკრძალა ის სია (იმ სიაში იყო აკადემიკოსი ანდრეი დმიტრიევიჩ სახაროვი და ბევრი საპატიო პირი) და წარადგინა საკუთარი. მაშინ შეთავაზებულ იქნა ალტერნატიული სია, სადაც იყო სახაროვიც. ეს გააკეთეს ძირითადად აკადემიური ინსიტიტუტების უმცროსმა მეცნიერ-თანამშრომლებმა. მათ შესთავაზეს, რომ შესულიყო სერგეი სერგეევიჩიც. ის ყოყმანით დასთანხმდა. ეს სია გავიდა, ხოლო ხელმძღვანელობის სია არ გასულა. ყრილობაზე გამოსვლის უფლება არ მისცეს. თუმცა გამოსვლის შესახებ განაცხადი წინასწარ გააკეთა. ყრილობაზე რისი თქმაც სურდა, გაზეთ „სოვეტსკაია კულტურაში“ გამოაქვეყნა შემდეგ, 1990 წელს. აქტიურად მონაწილეობდა „სინდისის თავისუფლების“ კანონის შემუშავებაში. იგი სერიოზულად ეკიდებოდა დეპუტატის საქმიანობას. გამუდმებით დადიოდა კომიტეტის სხდომებზე და იქ ნამდვილად მუშაობდა, საერთო სხდომებზე კი ხანდახან ლექსებს წერდა.

ბუროვი: სერგეი სერგეევიჩის სადეპუტატო საქმიანობასთან დაკავშირებით ორი ამბავი მსმენია: პირველი იმაზე, რომ დეპუტატებს ახლად გამოსულ ევანგელეს ურიგებდა.

ნ.პ. ავერინცევა: არა, ეს არ ყოფილა, ეს ლეგენდებია.

ა.ბუროვი: მეორე ამბავი კი შემდეგია: სადეპუტატო საქმიანობა მძიმე იყო მისთვის, ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბევრი მოვლენა და პერსონაჟი მერე, დიდი ხნის განმავლობაში, ესიზმრებოდა, და რომ ეს ცუდად აისახა მის ჯანმრთელობაზე, შეიძლება ითქვას, საბედისწეროდაც კი.

ნ.პ. ავერინცევა: მე ასე არ ვფიქრობ, როგორც მოსკოვში, მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე მარიეტა ომაროვნა ჩუდაკოვამ განაცხადა: „თუ რამე აისახა საბედისწეროდ მის ჯანმრთელობაზე, ეს იყო ბრძოლა ინსტიტუტის ხელმღვანელობასა და რედაქტორებთან, რომლებიც გამალებით არედაქტირებდნენ მის ტექსტებს“.

ა. კუპრინინი: ეს იყო ჯერ კიდევ საბჭოთა დროს. მისი შრომები ძნელად გადიოდა?

ნ.პ. ავერინცევა: რა თქმა უნდა, მას ბრძოლა უწევდა თითეულ ფრაზაზე, სიტყვაზე, მიუხედავდ ამისა, რაღაც ჩნდებოდა. სერგეი სერგეევიჩი ცდილობდა მოენახა რაღაც კომპრომისი. რაღაცას უხაზავდნენ, რაღაცას უწერდნენ კიდეც. საბედნიეროდ, ეს არცთუ ისე ხშირად ხდებოდა. მაგრამ ორჯერ თუ სამჯერ მახსოვს, ასე მოხდა. ერთხელ, ზუსტად ვიცი, მარქსიზმის რომელიღაც კლასიკოსის ციტატა ჩაუსვეს. მეორე შემთხვევაში რაღაც ერთგულქვეშევრდომული ფრაზა ჩაუწერეს, რომელსაც თვითონ არასოდეს დაწერდა. მან ის უკვე დაბეჭდილ ტექსტში ნახა. ეს უკვე დაკაბადონების შემდეგ მოხდა. ამას ძალიან სერიოზულად ეკიდებოდა. დეპუტატად მუშაობა არანაირად არ მოსწონდა, იყო მძიმე. მით უმეტეს, იმის მოსმენა, თუ როგორ „უჯახუნებდნენ“ სახაროვს, მისთვის იყო დიდი სადარდებელი. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა საბედნიეროდ.

ა. კუპრინინი: მაგრამ ეს იყო ისტორიული მომენტი. ალბათ ამაში მონაწილეობა მას თავისთვის მნიშვნელოვნად მიაჩნდა?

ნ.პ. ავერინცევა: დიახ, მნიშვნელოვნად მიაჩნდა არა მხოლოდ სათავისოდ, არამედ ქვეყნისთვისაც. მაშინ ტელევიზორებს და რადიოებს არ სწყდებოდნენ.

ა. კუპრინინი: სულ მგონია, რომ სერგეი სერგეევიჩი ამასოფლისაგანი არ იყო.

ნ.პ. ავერინცევა: ასე ძალიან ბევრს ეჩვენებოდა, მეც ასე მეჩვენებოდა, მაგრამ მერე დავრწმუნდი რომ ეს ასე არ ყოფილა.

ა. კუპრინინი: როდესაც გაიცანით, უკვე ეკლესიური ადამიანი იყო? როგორ მოხდა მისი გაეკლესიურება?

ნ.პ. ავერინცევა: ეკლესიური არა ყოფილა, მაგრამ იყო მორწმუნე. ეკლესიაში მონათვლამდეც დადიოდა. ძალიან უყვარდა ღვთისმსახურებაზე დასწრება. ცდილობდა ყოველ კვირას ცოტა ხნით მაინც მისულიყო მსახურების დასასრულს. მისი მშობლები არ იყვნენ ათეისტები, მაგრამ არც ეკლესიურები ყოფილან, 1937 წელს ეს ძალიან სახიფათო გახლდათ. იგი 1973 წელს მოინათლა.

ა.ბუროვი: ანუ ამ დროისთვის იგი უკვე კითხულობდა თავის ცნობილ ლექციებს უნივერსიტეტში და გამოქვეყმებული ჰქონდა ცნობილი სტატია ქრისტიანობის შესახებ „ფილოსოფიის ენციკლოპედიის“ მე-5 ტომში, რის გამოც მამა ვიტალი ბარავოი, ცნობილი ავტორიტეტული ღვთისმეტყველი, სერგეი სერგეევიჩის წმინდანად შერაცხვას ითხოვდა. იგი ამ სტატიების გამოჩენას მაშინ აპოლოგეტიკურ გმირობად აფასებდა. ეს ღრმა საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური სტატიები დაწერილ იქნა ადამიანის მიერ, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ ყოფილა მონათლული. ანუ სერგეი სერგეევიჩი მონათვლამდე დიდი ხნით ადრე უკვე ემსახურებოდა ეკლესიას.

ა. კუპრინინი: იგი ისე სერიოზულად ეკიდებოდა მონათვლას, რომ თავს მზად არ მიიჩნევდა? სად მოინათლა?

ნ.პ. ავერინცევა: დიახ, მისთვის ეს იყო არა გზის დასაწყისი, არამედ — გზის დასასრული. ჩვენ ერთად მოვინათლეთ მოსკოვში, კერძო ბინაში. ეკლესიაში ითხოვდნენ პასპორტს, ეს უმალ ცნობილი ხდებოდა სამსახურში. მე მაშინვე გამომაგდებდნენ სამსახურიდან. აკადემიურ ინსტიტუტებში როგორღაც კიდევ ითმენდნენ, რომ ადამიანი დადიოდა ეკლესიაში, მაგრამ თუ სტუდენტებთან მუშაობდა, მაშინ მას შეეძლო „ცუდი გავლენის მოხდენა მათზე“.

ა.ბუროვი: სერგეი სერგეევიჩი მონათლა ვლადიმირ ტიმაკოვმა, იგი მსახურობდა მაშინ ნიკოლოზის ტაძარში, კუზნეცებში. მისი ვაჟი, მამა ვალენტინ ტიმაკოვი, ახლა საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარის მოადგილეა. მამა ვლადიმირ ტიმაკოვი ცოცხალია და ინახავს

წიგნს, რომელიც მას სერგეი სერგეევიჩმა აჩუქა. ესაა სერგეი სერგეევიჩის დისერტაცია „პლუტარქე და ანტიკური ბიოგრაფია“ — სამახსოვრო წარწერით ლათინურ ენაზე. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ შევხვდი მამა ვალენტინს მოსკოვში, და მან მიამბო, რომ მთელმა მისმა ბავშვობამ ამ წიგნის გვერდით ჩაიარა.

ა. კუპრინინი: ნატალია პეტროვნა, როდის გაიგეთ, რომ თქვენს გვერდით იყო სრულიად გამორჩეული, ცნობილი ადამიანი?

ნ.პ. ავერინცევა: მაშინვე გავიგე. იქამდე, ვიდრე ერთმანეთს ოფიციალურად გავიცნობდით, მე დავინახე იგი კათედრაზე. კათედრის ფართი ერთი ოთახისგან შედგებოდა, სადაც მიმდინარეობდა ლექციები და იჯდა ლაბორანტი. იქვე იდგა წიგნის კარადები. შესვენების დროს სტუდენტებს უფლება ჰქონდათ იქ შესულიყვნენ, რათა წიგნები გაეცვალათ, გასცნობოდნენ ცხრილს. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვყავდით გაშვებული ლექციიდან ალექსანდრ ნიკოლაევიჩ პოპოვს, რომელიც ბერძნულს გვასწავლიდა, მაგრამ რადგან ზარი უკვე დარეკილი იყო, სერგეი სერგეევიჩი შემოვიდა. ალექსანდრ ნიკოლაევიჩ პოპოვმა კი თქვა: აი, ეს სერგეი სერგეევიჩ ავერინცევი ძალიან ჭკვიანი კაცია. მე შევხედე, დავინახე ბიჭი და გაოგნებული დავრჩი, რომ ასე თქვეს მასზე. სერგეი სერგეევიჩი მაშინ 19 წლისა იყო.

ბუროვი: ეს თქვა მასწავლებელმა, რომელიც რევოლუციამდე გახლდათ საკუთარი გიმნაზიის დირექტორი და მფლობელი, სადაც ბერძნულს უფრო მაღალ დონეზე ასწავლიდნენ, ვიდრე საბჭოთა უნივერსიტეტებში.

ნ.პ. ავერინცევა: გიმნაზიაში ბერძნული რვა წელს ისწავლებოდა, კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე კი — ხუთს.

ა. კუპრინინი: როგორია გამოჩენილი ადამიანის გვერდით ცხოვრება? მასთან ერთად მუშაობდით?

ნ.პ. ავერინცევა: მის გვერდით ცხოვრება ძალიან კარგი იყო. იგი მიყვებოდა თავის მომავალ თხზულებებზე, შემდეგ მაძლევდა წასაკითხად და ითვალისწინებდა ჩემს კრიტიკას. ძალიან ხშირად არ ეთახმებოდა, მე რასაც ვამბობდი, მაგრამ ცვლიდა დაწერილს მესამე ვარიანტით.

ა. კუპრინინი: კარგი იუმორის გრძნობა ჰქონდა?

ნ.პ. ავერინცევა: დიახ, ძალიან კარგი. მისი იუმორის გრძნობაზე წარმოდგენა რომ შეგექმნათ, პირველ რიგში მისი სტატია უნდა წაიკითხოთ ვიაჩესლავ ივანოვის იუმორზე. მათი წარმოდგენები იუმორზე მნიშვნელოვანწილად ემთხვეოდა. არ უყვარდა ხმამაღალი სიცილი და ამბობდა, რომ თავი სტკივდებოდა, როცა დიდი ხნით და ხმამაღლა იცინოდა. უყვარდა ჩუმი იუმორი, რომელიც ეფუძნებოდა სიტყვათა თამაშს. ორივეს გვიყვარდა კატები, და ვიყენებდით სხვადასხვა სიტყვებს კატებთან დაკავშირებული. მაგალითად, ძველბერძნულად კატა „აილუროს“ ახალი ბერძნული წარმოთქმით „ელურუს“, რუსულად იქნება „ელურ“. იყო ერეტიკოსი პატრიარქი ტიმოფეი ელური, მას დაარქვეს კატა, ჩვენ გვქონდა სიტყვები: ელურომორფული, ელუროლოგია, ელუროლეპნი, ელუროსოფია და ა.შ. ეს ერთი მაგალითია.

ა.ბუროვი: მახსენდება, სერგეი სერგეევიჩი იყენებდა ასეთ გამოთქმას: „საზოგადოებრივ შეუსაბამობათა დარღვევა“.

ა. კუპრინინი: მოგვიყევით, რა დამოკიდებულება ჰქონდა სერგეი სერგეევიჩს პეტერბურგთან? იყო თუ არა აქ ნამყოფი?

ნ.პ. ავერინცევა: ძალიან უყვარდა. პირველად 12 თუ 14 წლისა ჩამოიყვანეს ქირურგთან კონსულტაციაზე, მას არ ჰქონია საბავშვო დამბლა, ან პოლიომელიტი, რასაც ხანდახან წერდნენ, არამედ — ხერხემლის გამრუდება. რის გამოც ერთი ფეხი მეორეზე მოკლე ჰქონდა. მას შესთავაზეს ოპერაცია, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, თუმცა ხერხემალზე. მაგრამ თუ ოპერაცია წარუმატებლად ჩაივლიდა, იგი მოძრაობის უნარს დაკარგავდა საერთოდ. წარმატებული ოპერაციის შემთხვევაში კი ძალიან ხანგრძლივი სარეაბილიტაციო ხანა იყო საჭირო. რაც მაშინ ძალიან რთული იყო. ფიქრის შემდეგ მშობლებმაც და თვითონაც უარი თქვეს ოპერაციაზე. კონსულტაციაზე მშობლების მეგობრის თანხლებით ჩავიდა. მოსკოვის მერე პეტერბურგი ძალიან მოეწონა. ტიროდა თურმე იქიდან დაბრუნებისას, რადგან მწყობრი და ჰარმონიული პეტერბურგიდან მოსკოვის ქაოსში უნდა დაბრუნებულიყო.

ა. კუპრინინი: ანუ ეს დაკავშირებული იყო მის სიყვარულთან კლასიციზმისადმი. ცნობილია მისი შესანიშნავი ლექციები, რომლებსაც აქ კითხულობდა.

ნ.პ. ავერინცევა: ლექციებს ნატალია იურიევნა სახაროვა აწყობდა. იგი მაშინ პედაგოგიურ უნივერსიტეტში კვალიფიკაციის ამაღლების განყოფილებას ხელმძღვანელობდა და რამდენიმე წელიწადს ზედიზედ ეპატიჟებოდა სერგეი სერგეევიჩს. ვიცი, რომ ამ ლექციებზე სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ბევრი სტუდენტიც დადიოდა.

ა. კუპრინინი: დიახ, მამა იანუარიუსი ყვებოდა ამის შესახებ.

ნ.პ. ავერინცევა: იგი დიდი სიამოვნებით დადიოდა აქ და განსაკუთრებული სიამოვნებით კითხულობდა ამ ლექციებს.

ა. კუპრინინი: ეს დაკავშირებული იყო ასევე იმასთან, რომ მოსკოვში არ აძლევდნენ ამ ლექციების კითხვის უფლებას, ანუ ატმოსფერო პეტერბურგში უფრო თავისუფალი იყო მაშინ?

ნ.პ. ავერინცევა: მეეჭვება, იგი ოდესმე ყოფილიყო უფრო თავისუფალი, მაგრამ იყო ასეთი ნიშა. როგორც ერთმა გერმანელმა ქალბატონმა თქვა, რომელიც რუსეთში ხშირად ჩამოდიოდა: თქვენ ყველგან კედელი გაქვთ, მაგრამ კედელში ყველგან არის ნახვრეტი. აქ მოინახა სწორედ ასეთი ნახვრეტი.

ა. კუპრინინი: — 1994 წლიდან თქვენ და სერგეი ცხოვრობდით საზღვარგარეთ.

ნ.პ. ავერინცევა: 1994 წლის ბოლოდან ვცხოვრობდით ვენაში, მაგრამ იგი ინარჩუნებდა მოვალეობებს უნივერსიტეტთან არსებულ მსოფლიო კულტურის ინსტიტუტში. ლექციებს განუწყვეტლივ ვერ კითხულობდა, მაგრამ წერდა ამ ინსტიტუტისთვის. გარდა ამისა, რადგან ვენაში სემესტრი 1 ოქტომბერს იწყება, ყოველთვის ცდილობდა სექტემბერს მოსკოვში ყოფილიყო, რათა მოესწრო შესავალი ლექციის წაკითხვა წმინდა ფილარეტის ინსტიტუტში და მონაწილეობა მიეღო კონფერენციაში, რომელსაც ეს ინსტიტუტი ყოველ წელს ატარებდა. ხანდახან კითხულობდა ლექციებს უნივერსიტეტშიც. ბოლო ლექცია 2002 წლის დეკემბერში წაიკითხა დიდ სამეცნიერო საბჭოზე უნივერსიტეტში და უკვე იყო შეთანხმება, რომ წაიკითხავ-

და ლექციას 2003 წლის სექტემბერშიც რექტორის მოწვევით. მაგრამ არ გამოვიდა.

ა. კუპრინინი: რასთან იყო დაკავშირებული თქვენი გადასვლა?

ნ.პ. ავერინცევა: იქ ლექციების წასაკითხად მიიწვიეს. მახსოვს, ვისხედით სამზარეულოში, უცბად გაისმა ზარი, აიღო ყურმილი, და ჰკითხეს: „თუ ისურვებდით ლექციების წაკითხვას ვენაში“, და იგი თითქმის განუწყვეტლად კითხულობდა ლექციებს ამ 10 წლის განმავლობაში. მხოლოდ 2 სემესტრი არ წაუკითხავს. უნდა წაეკითხა საერთო კურსი რუსულ ლიტერატურაში თავიდან ბოლომდე, დაიწყო ძველი რუსული ლიტერატურიდან, მიდიოდა დოსტოევსკისთან და შემდეგ ჩვენს დრომდე, როგორც თქვა მიხაილ ლეონოვიჩ გასპაროვმა: „პეტრაშევსკიდან პეტრუშევსკაიამდე“. ეს ლექციები გერმანულ ენაზე უნდა წაეკითხა, რადგან ისინი განკუთვნილი იყო სლავისტიკის ინსტიტუტის ყველა სტუდენტისათვის და არა მხოლოდ რუსისტებისთვის. კიდევ ჰქონდა სპეცკურსები და სპეცსემინარები შეთანხმებით სტუდენტებთან გერმანულ ან რუსულ ენაზე. თუ ეს იყო სემინარი პოეზიაზე და არა პროზაზე, მაშინ მოითხოვდა, რომ ყოფილიყო რუსულად, ლექსების განხილვა მაინც რუსულად უწევდა, რადგან ეს რუსული ლექსები იყო. მაგრამ სტუდეტებს მოხსენების გაკეთების საშუალებას გერმანულ ენაზე აძლევდა და გერმანულადვე ურთავდა კომენტარებს.

ა. კუპრინინი: გერმანულს თავისუფლად ფლობდა? რამდენ ენას ფლობდა სულ?

ნ.პ. ავერინცევა: დიახ, თავისულად ფლობდა გერმანულს, ინგლისურს, ფრანგულს, ამ ენებზე წერდა სტატიებს. უცხო ენებზე თვითონ წერდა, როგორც წესი, გარდა იტალიურისა, რომელიც არასოდეს უსწავლია, მას ის ესმოდა ლათანურისა და ფრანგულის მეშვეობით, საუბარი შეეძლო, მაგრამ მოხსენებას ვერ წერდა. თუმცა იმდენად კარგად იცოდა იტალიური, რომ თარგმანებს არედაქტირებდა, შეეძლო ეთქვა, რომ ამ ადგილას ავტორს ამის თქმა არ სურდა, ამ ადგილას არცთუ სწორედ იყო გამოყენებული გამოთქმა და სხვა. კლასიკური ენების გარდა — ლათინური, ბერძნული — იცოდა, ცოტა სირიული, კითხულობდა იტალიურად, ესპანურად და პოლონურად.

ა. კუპრინინი: როგორ იწყებოდა სერგეი სერგეევიჩის ყოველდღიური ცხოვრება?

ნ.პ. ავერინცევა: დგებოდა, მუშაობდა, ან მიდიოდა ლექციებზე. სადილობდა, ნასადილევს, როგორც წესი, ისვენებდა, თავს ცუდად გრძნობდა თუ ნასადილევს ვერ დაისვენებდა, მერე ისევ აგრძელებდა მუშაობას. ვცდილობდი, საღამოს 10 საათის მერე არ ემუშავა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში უძილობა სჭირდა. თუმცა ხანდახან 11 საათამდეც უწევდა მუშაობა და უფრო გვიანაც. მომთხოვნი არ ყოფილა, მიზეზიანი, მაგალითად, ბინაში რამე ისე თუ არ იყო, ან საჭმელი ისე მომზადებული, ან შესაფერი პერანგი და ჰალსტუხი ნაყიდი. ამ თვალსაზრისით ძალიან იოლი იყო მასთან ურთიერთობა. პრობლემა იყო მისი შეყვანა მაღაზიაში, რათა კოსტუმი მოეზომა, პერანგებისა და ჰალსტუხების ყიდვა გასინჯვის გარეშეც შემეძლო, მაგრამ არა — კოსტუმის, ყოველთვის მეუბნებოდა, „არ მინდა, უკვე მაქვს, მეყოფა“.

ა. კუპრინინი: ვენაში როგორ ცხოვრობდით?

ნ.პ. ავერინცევა: ამ თვალსაზრისით, განსხვავება არ ყოფილა. როდესაც იყო თავისუფალი დრო, ხშირად კვირა დღეს (შაბათს ისვენებდა), ეკლესიაში ღვთისმსახურების მერე მივდიოდით სასეირნოდ, ან მუსიკის მოსასმენად.

ა. კუპრინინი: როგორ ხედავდა ეკლესიის ადგილს სახელმწიფოში?

ნ.პ. ავერინცევა: მის მიერვე დაწერილ ბიოგრაფიაში ამასთან დაკავშირებით წერია: „მიმდინარე პირობებში შორს წასული მასების სეკულარიზაციები, მართლმადიდებელი, კათოლიკური, პროტესტანტული ერების და ა.შ. ჩვეული კონცეპტები საშიშია კონფესიურობასა და ნაციონალიზმს შორის კავშირის ილუზიით, რწმენისთვის დამღუპველია“. ქრისტიანობის მომავალს ის ხედავს როგორც „უმცირესობის ბედს, რომელიც არ უნდა გამოვიდეს ისტორიიდან, ფიზიზლად გააცნობიეროს თავისი უმცირესობის სტატუსი და შეინარჩუნოს უნარი მშვიდობიანი წინააღმდეგობისა ყველაფრისადმი, რაც შეუთავსებელია ქრისტიანულ სინდისთან. ამ ერთგულების აქტში უნდა გაერთიანდეს ყველა, ვისთვისაც სიტყვა ქრისტიანობა მეტია, ვიდრე ხელისუფლების, საზოგადოების, პრესის პოლიტიკური ან მორალური ზემოქმედება და ასევე გაერთიანდეს კონფესიურ ბარიერებზე ამაღლებით“. ავერინცევის პოზიცია აქაც ვარაუდობს ორ მხარეს შორის პოლემიკას კონფესიური იზოლაციონიზმის წინააღმდეგ, რომელსაც არაფრის გაგება არა სურს ქრისტიანულ გამოცდილებაზე თავისი კონფესიის გარეთ, და ასევე ინდიფერენტიზმის მოთმინებად გასაღების წინააღმდეგ, რომლისთვისაც „რწმენა კი არ არის პროგრესის საზომი, არამედ პირიქით, დროის სული არის რწმენის საზომი“ — ასე წერდა თვითონ.

ა. კუპრინინი: იგი ძალიან ბევრს თარგმნიდა წმინდა წერილს რუსულ ენაზე. როგორ ეკიდებოდა ღვთისმსახურების თარგმნას რუსულ ენაზე?

ნ.პ. ავერინცევა: მიიჩნევდა, რომ ლოცვები, რომელებსაც კითხულობენ ლიტურგიაზე (ეკტენიები, მამაო ჩვენო, სახარება და სამოციქულო) უნდა ყოფილიყო აუცილებლად რუსულ ენაზე, რადგან ლოცვა ყველამ გაცნობიერებულად უნდა წაიკითხოს, უნდა ესმოდეს, რას ამბობს, რაზე ლოცულობს. მაგრამ გალობა შეიძლება დაიტოვოს სლავურზე, რადგან ის ძალიან ლამაზია და მათი თარგმნა ძნელიცაა.

ა. კუპრინინი: უღრმესი მადლობა ნატალია პეტროვნა. მახსოვს, როდესაც სერგეი სერგეევიჩი ავადმყოფობდა, ჩვენი მღვდლები „სამწყსო საათების დროს“ ჩვენს მსმენელს მოუწოდებდნენ მისი ჯანმრთელობისთვის ელოცათ. ჩვენს რადიოეთერში სერგეი სერგეევიჩის სახელი ძალიან პატივცემულია, ეთერში ხშირად ისმის მისი სტატიები და შრომები, მადლობლები ვართ, რომ შესაძლებლობა გამონახეთ, ჩვენს რადიოს სწვეოდით.

ნ.პ. ავერინცევა: გმადლობთ, ჩემთვისაც ძალიან სასიხარულო იყო.

ა. კუპრინინი: — ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ალექსანდრე ბუროვს, გაზეთ „კიფას“ რედაქტორს, რომლის წყალობითაც ეს შეხვედრა გახდა შესაძლებელი, და რომელიც მონაწილეობდა ჩვენს გადაცემაში.

ა.ბუროვი: დიდი მადლობა

ა. კუპრინინი: მშვიდობით, შეხვედრამდე.

რუსულიდან თარგმნა
ნინო პეტრიაშვილმა

თამარ ღონღაძე

ორჯერ დაბადება

თითქოს ისეთ სამყაროში ხვდები, რომელშიც დრო გაჩერებულა, თუმცა მოვლენები ერთმანეთს ენაცვლება... ყველაფერი ოდესღაც არაერთხელ მომხდარა და, ამავე დროს, ახალი ჭრილობებივით მტკივნეულად ფეთქავს ადამიანური განცდები, ვნებები; ეს ყოველივე თან მარადისობას შერთვია და მის განუყოფელ ნაწილად ქცეულა, თან ამ წამს მომხდარის სიმძაფრით იჭრება გონებაში. მთხრობელი ერთდროულად გარდასულ დღეთა მეისტორიედაც შეიძლება მიიჩნიო და დიდ მეზღაპრედაც, შეთხზულით ყველაზე დიდ სიმართლეს რომ შეგვახსენებს. მკითხველმა იცის: ასეთი რამ ერთბაშად მხოლოდ დიდმა ნიჭმა შეიძლება განგაცდევინოს.

უცხოელ მწერალთან კვლავ შეხვედრის, მისი ნაფიქრ-განცდილის გულში გამოტარების, მის ფიქრთან, აზრთან თანაზიარობის სურვილი თუ „შეეყარა“ მკითხველს, ეს უთუოდ მთარგმნელის დიდი დამსახურებაცაა. **ელეონორა კუჭავამ** ჩვენი დროის დიდ მწერალს შეგვახვედრა. ეს გახლავთ წარმოშობით პარაგვაელი, ლათინოამერიკელი **აუგუსტო როა ბასტოსი**. „ჩვენი მწერლობის“ (2012, №15) ფურცლებზე დაიბეჭდა მისი გახმაურებული რომანის — **„ძე კაცისა“** — ერთი თავი **„ხის ჯვარცმა“**, რომელიც მართლაც დამოუკიდებელ მოთხრობასავით იკითხება.

ხორხე ლუის ბორხესი წერდა: „დრო ვერ აღადგენს იმას, რასაც ჩვენ ვკარგავთ: მხოლოდ მარადისობა ინახავს.“ მარადისობაში შენახულის შესახებ გვიამბობს ბასტოსი. კონკრეტულ გარემოში კონკრეტული ადამიანები ცხოვრობენ და, როგორც ყოველთვის, წუხან და უხარიათ, დარდობენ და ლაღობენ, თითქოს მათ ქანცგაცლილ სხეულებში სულიც მილეულა, მაგრამ სწამთ ღმერთისა, თუმცა იქვე სცოდავენ... თითქოს ერთი ადამიანის მოგონებებს მივადევნებთ გულისყურს, რომელიც ამ ყველაფრის შესახებ ამბობს: „მე არ ვაცოცხლებ ამ მოგონებებს; მე მათ ვინანიებ“. სიმართლის ღია წყლულები ლაპლაპებს თხრობის ზედაპირზე. დიქტატორის შიში, დამონებული ხალხის მორჩილების შესაძლო დაკარგვის გამო, ერთი შეხედვით დაბეჩავებულთა სულის ღონიერება და ამბოხი წითელი მიწის მტვრით დაფარულა, მაგრამ მაინც ცხადად ჩანს განწირული და მარტოობაში თითქოს უსასოოდ დარჩენილი ადამიანი ყველაზე ძლიერი როგორ ხდება და კეთროვანი გასპარი კი არ განიზიდავს დანარჩენთ, პირიქით, ანდამატივით იზიდავს, იმიტომ, რომ მასთან ღმერთია... კეთროვან გასპარს, რომელსაც, როგორც თვითონ ამბობს, სიკვდილი ძერწავდა, ამ უკანასკნელის არ შეშინებია. რომ შეშინებოდა, ასე აღარ იტყოდა: „\სიკვდილი\ თავის საიდუმლოებებს მიმხელს. ისიც გავიგე, რომ ადამიანი არ თავდება. ის სხვანაირად, სხვა ნივთებში აგრძელებს არსებობას, იმიტომ რომ სიკვდილის შემდეგაც უნდა სიცოცხლე. მე ამას ახლა მივხვდი. სიკვდილმა მოთმინება მასწავლა. მე კი მას ცოტაოდენ მუსიკას ვჩუქნი...“ და იქვე: „ვიტანჯები? დიახ, ვიტანჯები. მაგრამ არა ამის გამო... — თავი შეათვალიერა, — მარტოობით ვიტანჯები, იმიტომ, რომ, როცა შემეძლო, ძალიან ცოტა რამ ვიღონე ჩემს მსგავსთათვის.“ არადა, დურგალ გასპარის სული ყველგან ტრიალებდა, ყველა ოჯახში იყო ნივთი, მისი მიერ გაკეთებული... უკვე სნეული ყველას გაურბოდა, მაგრამ ყველა მას ეძებდა.

ასე ეძებს კაცობრიობა თავის თავს, იმ უკეთეს ნაწილს, რომელიც დიდი ხანია დაუკარგავს და მის დასაბრუნებლად რას აღარ ცდილობს...

და, რა იღონა გასპარმა, როდესაც მარტო ყოფნა არ უნდოდა? ასე უბრალოდ ახსნა მისმა თანასოფლელმა მიზეზი, რომელმაც თვისტომთაგან კეთროვნების გამო გაქცეულს ხისგან მაცხოვარი გამოაქანდაკებინა. ხისგან ადამიანისხელა ქრისტე გამოთალა, რადგან მარტოობა უფრო საშინელი და გაუსაძლისი გამოდგა, ვიდრე მისი სენი.

არადა, სოფელმა იტაპეში ჩამოსული მღვდლის წაქეზებით კინაღამ ცეცხლს მისცა ის, რაც ბევრად მეტი იყო, ვიდრე ხის ნატეხი. ეს ქანდაკება ადამიანის განივთებული სურვილი გახლდათ — დაეთრგუნა მარტოობა და სასოწარკვეთის წყვდიადი. მან ეს შეძლო, რაც მასთან, იესოსთან, მიახლოებას გულისხმობდა.

აქ ჯიბრან ხალილ ჯიბრანის წიგნში „იესო ძე კაცისა“ (გიორგი ლობჟანიძის თარგმანი) წაკითხული გაგვახსენდა: „განა იესოს არ შეეძლო ეთქვა: მე დასავლეთის ქარებთან ერთად აღმოსავლეთით მივეშურებიო, და ამ სიტყვებით და ბაგეებზე მოციალე ღიმილის ათინათით ჩვენთვის თავი გაენებებინა.

დიახ, ჭეშმარიტად ხელეწიფებოდა, რომ ებრძანებინა: დაუბრუნდით თქვენს გვარტომს, ქვეყანა ჩემს მისაღებად ჯერ მზად არ არის. ათასი წლის შემდეგ დავბრუნდები და თქვენს შვილებს დაუბარეთ, ჩემს მოსვლას ელოდნენო. ეს ყველაფერი შეეძლო, თუ მოისურვებდა, მაგრამ ესმოდა, რომ იმ უხილავი ტაძრის ასაგებად, რომელსაც აშენებდა, თავი ქვაკუთხედად უნდა ჩაეკირა ამ ტაძრის საძირკველში. ჩვენ კი პატარ-პატარა ქვებივით უნდა შემოვწყობოდით.“

ადამიანის გონება მაინც ვერ სწვდებოდა იესოს თავგანწირვას, რომელმაც თავისი ხვედრი მადლად და ღვთივკურთხეულ წყალობად მიიღო. თუმცა ადამის მოდგმას სულში ყოველთვის უღივის უფლისაგან აღმოსაცენებლად ჩათესილი მარცვალი, მარცვალი სიკეთისა, რომელიც შემდეგ ძალადობას, ნების დათრგუნვას, ჩაგვრას, უსამართლობას უნდა დაუპირისპიროს. იტაპელები წელიწადში ერთხელ ადიოდნენ მთაზე, რათა გასპარის გამოთლილი ქანდაკება გარდამოეხსნათ ჯვრიდან და გაეტარებინათ სოფელში „არა როგორც ღმერთი, რომელმაც თავი გასწირა ადამიანებისათვის, არამედ როგორც მსხვერპლი, რომლის გამოც შური უნდა ეძიათ“.

ამგვარ დამოკიდებულებას მოეძებნებოდა თავისი ახსნა. ერთი რამ კი უეჭველი იყო და ღრმად გაედგა ფესვები იტაპელების სულში. იესოს დახმარებით, რწმენის წყალობითა და ნიჭით, რომელიც ისევ ღვთისგან მოდიოდა, კეთროვანი გასპარი ორჯერ დაიბადა. ერთხელ, როდესაც გაჩნდა ამქვეყნად, და მეორედ, როდესაც მოკვდა, რადგან სხვებში გააგრძელა სიცოცხლე. გააგრძელა სიცოცხლე მარია როსაში, რომელიც უთუოდ გაგახსენებთ მარიამ მაგდალელს, მაკარიოში, რომლის გაცნობისას მარადიული ბრძენკაცი და მეზღაპრე წარმოგიდგებათ, და თვითონ ბასტოსში, რომელიც ამ სამყაროში შეგვიძღვა.

მიგელ დე უნამუნომ დასვა რიტორიკული კითხვა: „განა უნივერსალურები არ არიან ის გენიოსები, რომლებიც ინდივიდუალურსა და დროებითში მარადიულს აღმოაჩენენ?“ — და ამ კითხვას მოადევნა მსოფლიო გენიოსთა სახელები. ვფიქრობთ, ამ სიტყვებს არაერთი მკითხველი ბასტოსსაც დაუკავშირებს.

მაია ნაჭყებია

„აქ ვდგავარ და სხვაგვარად არ შემიძლია“

(ვაცლავ ჰაველი: დრამატურგი და პოლიტიკოსი)

მსოფლიო ისტორიაში არიან პიროვნებანი, რომელთა ცხოვრების გზა და მოღვაწეობა სტიმულს აძლევს, მათი სიმტკიცე და გაუტეხლობა აღაფრთოვანებს, ხოლო მათი ნააზრევი — აძლიერებს და მომავლის იმედს უნერგავს დანარჩენთ.

„ადამიანი წინასწარ არ გეგმავს, რომ ერთი წელი მოქალაქე იქნება, მომდევნო წელს კი – მწერალი“ — ამბობს XX საუკუნის 70-იანი წლების ერთ-ერთ ინტერვიუში ვაცლავ ჰაველი. ეს სიტყვები მისი ავტორის ხასიათის მონოლითურობასა და მთლიანობაზე მეტყველებს და საუკეთესოდ გამოხატავს დრამატურგის, ესეისტის, ადამიანის უფლებათა დამცველის, დისიდენტის, ფილოსოფოსის და პოლიტიკოსის — ვაცლავ ჰაველის პიროვნებას. შეუძლებელია დრამატურგი ჰაველის ან ესეისტი ჰაველის გამოცალკევება პოლიტიკოსი ჰაველისაგან, რადგან მისი ლიტერატურული და პოლიტიკური მოღვაწეობა მისივე ფილოსოფიური შეხედულებებიდან ამოიზარდა.

ჰაველი 1936 წელს დაიბადა პრაღაში, ცნობილ ოჯახში, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა XX საუკუნის პირველი ათწლეულების პრაღის აღმშენებლობაში. ყველაფრის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ვიტყვი მხოლოდ, რომ ბაბუამ, ასევე ვაცლავ ჰაველმა, ააშენა სასახლე ლუცერნა, მამამ — ვაცლავ მილოშ ჰაველმა კი — ბარანდოვის საცხოვრებელი სახლების კვარტალი, ხოლო ბიძამ, მილოშ ჰაველმა, რომელიც კინემატოგრაფიის ხაზით ეწეოდა ბიზნესს — ბარანდოვის სტუდიები. ბაბუა დედის მხრიდან — ჰუგო ვავრეჩკა იყო დიპლომატი — ელჩი ვენაში, გახლდათ „ბატას“ ფაბრიკების მმართველი, ასევე რედაქტორობდა ჟურნალს და ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდა — იგი ჰუგო ვავრისის ფსევდონიმით იბეჭდებოდა და მის კალამს ეკუთვნის იმ დროს პოპულარული რომანი „ფრანტიშეკ ლელიჩეკი შერლოკ ჰოლმსის სამსახურში” (1908). ერთი სიტყვით, ეს ის ჩეხური ბურჟუაზია იყო, რომელმაც ჯერ კიდევ ჩეხეთის პირველი რესპუბლიკის (1918-1939 წწ) დროს ჩაუყარა საფუძველი ქვეყნის აყვავებას და გავლენა იქონია თანამოქალაქეთა განათლებასა და კულტურაზე. ეს ოჯახი ჩეხური ჰუმანიზმის საუკეთესო ტრადიციებს იცავდა, სწორედ ამ გარემოში იზრდებოდა ვაცლავ ჰაველი.

ჰაველებს შესანიშავი საოჯახო ბიბლიოთეკა ჰქონდათ და ვაცლავიც გატაცებით კითხულობდა. მასზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მე-19 საუკუნის ცნობილი ჩეხი ისტორიკოსის — პალაცკის — ბიოგრაფიის იმ ადგილს, სადაც ეწერა, რომ პალაცკის (1798-1876) — „ერის მამას” ჩეხეთის ეროვნული აღორძინების წამყვან ფიგურას, ისტორიკოსს, პოლიტიკოსს და მწერალს — მ.ნ.) ათი წლისას უკვე მთელი ბიბლია ჰქონდა წაკითხული. მართალია, პატარა ვაცლავს ბიბლიის კითხვა არ დაუწყია, მაგრამ შეუდგა ათასგვერდიანი რომანის კითხვას ჩეხეთის ისტორიიდან. მერე ამბობდნენ, რომ თურმე დადიოდა და თავისთვის ბუტბუტებდა: „ათი წლისას უკვე მთელი „ვ. ფ. ვიეკი“ (ცნობილი ჩეხი ისტორიკოსის, პროზაიკოსის, პატრიოტისა და პოლიტიკოსის ალოიზ ირასეკის (1851-1930) ხუთტომიანი რომანის სათაური და მთავარი გმირის სახელი — მ.ნ.) წაკითხული ჰქონდა“.

მას შემდეგ, რაც 1947 წელს ვაცლავ ჰაველმა დაწყებითი სკოლა დაამთავრა, დედამ იგი შეიყვანა მეფე ირჟის სახელობის ვაჟთა დახურულ სკოლაში, რათა ვაცლავი დამოუკიდებელ ცხოვრებას მიჩვეულიყო. სწორედ იქ გაიცნეს ერთმანეთი და დამეგობრდნენ ვაცლავ ჰაველი და მილოშ ფორმანი. შემდგომში ფორმანმა ხელოვნებათა აკადემიის კინოფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა: მას ამის უფლება ჰქონდა, ვინაიდან მშობლები ომის დროს საკონცენტრაციო ბანაკში დაეღუპნენ და კომუნისტებმა მას ვეღარაფერი გაუბედეს. ყმაწვილი ვაცლავი ბედნიერი იყო, რომ მასთან მასზე ოთხი წლით უფროსი მილოშ ფორმანი მეგობრობდა და მისი მეშვეობით მაინც ჰქონდა კავშირი იმასთან, რაზეც თავად ოცნებობდა. ის კი ოცნებობდა კინოსა, თეატრსა და პოეზიიაზე, მაგრამ სოციალისტურ ჩეხოსლოვაკიაში სწორედ მისი ბურჟუაზიული წარმომავლობა იქცა ქვად შებრკოლებისა. ბურჟუაზიული წარმოშობის, ანუ ე. წ. „საკადრო შეუთავსებლობის” გამო მისთვის დაკეტილი აღმოჩნდა იმ უმაღლესის კარი, სადაც იგი სწავლის გაგრძელებაზე ოცნებობდა.

შემდგომ, თავისი შემოქმედების ერთი ეტაპის შეფასებისას, ესეიში „ჩემი ცხოვრებიდან” ჰაველი წერს: „გარეგნულად ძალიან არახელსაყრელ კომბინაციას — ბურჟუაზიულ წარმომავლობას და კომუნისტურ სახელმწიფოში ცხოვრებას — უნდა ვუმადლოდე, რომ შესაძლებლობა მქონდა სულ თავიდანვე სამყარო დამენახა ასე ვთქვათ, „ქვემოდან” ანუ ისეთი, როგორიც სინამდვილეშია, რაც დამეხმარა თავიდან ამეცილებინა სხვადასხვა შესაძლო ილუზიები ან მისტიფიცირებული წარმოდგენები”.

ჰაველი და ფორმანი ცნობილ ყავახანაში „სლავია“ ხვდებოდნენ ერთმანეთს და იქ უყვებოდა შემდგომში დიდი რეჟისორი ფორმანი მომავალ დრამატურგ ჰაველს იმ ფილმების შესახებ, რომლებსაც უმაღლესში ნახულობდა. შესაძლოა, სწორედ „სლავიაში“ მოუვიდათ აზრად დაეწერათ კინოსცენარი, რომლის მიხედვითაც შემდეგ ფორმანი ფილმს გადაიღებდა. იმ დროს კაფკა აკრძალული მწერალი იყო, რომლის შესახებაც მათ მაქს ბროდის იმ გერმანული წიგნიდან შეიტყვეს, რომელიც ჰაველების ბიბლიოთეკაში ინახებოდა. ამ წიგნიდანვე ამოიკითხეს, რომ კაფკამ თავის დასთან — ოტლესთან შირემში, იგივე ციურაუში (Zürau) სტუმრობისას დაწერა „კოშკი“ და რომ „კოშკი“ სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა გორაკზე მდგარი ბეღელი, ხოლო თუ ადამიანი თან წაიღებდა კაფკას „კოშკს“, შეეძლო შირემი დაევლო და ზუსტად აღედგინა რომანის ტოპოგრაფია. სცენარი მზად ჰქონდათ,

ადგილზე ჩასულებს ერთი კურიოზული ამბავიც კი შეემთხვათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში ახალი რეჟიმის დამყარებასთან ერთად ძირფესვიანად ამოშანთულიყო ხსოვნა კაფკას შესახებ და დარწმუნდნენ, რომ ამ ფილმის გადაღება შეუძლებელი იყო. ჰაველს არაერთხელ უთქვამს ინტერვიუებში, რომ მისი ოცნება ფილმის გადაღება იყო. ამ ამბიდან თითქმის ექვსი ათეული წლის შემდეგ ძველმა მეგობრებმა ისევ გადაწყვიტეს ფილმის გადაღება, ამჯერად „მიუნხენის შეთანხმებაზე" (მეორე მსოფლიო ომი), ეს უნდა ყოფილიყო კულისებსმიღმიდან დანახული ისტორიული მოვლენები, მაგრამ, როგორც ჰაველმა თქვა, მიზეზთა გამო საპროდიუსერო ფირმამ გადაიფიქრა და ეს ფილმიც ვერ შედგა... მოვლენებს წინ გავუსწრებ და ვიტყვი, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ვაცლავ ჰაველმა მაინც გადაიღო ფილმი. ეს არის ფილმი მისი ბოლო პიესის „წასვლის" (2007) მიხედვით, რომელიც ჰაველის დისიდენტობისდროინდელ ავტობიოგრაფიულ პიესებთან („აუდიენცია", „ვერნისაჟი" (ორივე 1975), „პროტესტი (1978) შედარებით ბევრად უფრო მეტადაა აღბეჭდილი მისი ცხოვრებისეული რეალობებით და ეხება 2003 წლის მოვლენებს, როდესაც ორი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ მან პოსტი დატოვა. ფილმის პრემიერა 2011 წლის 24 მარტს შედგა.



ვაცლავ ჰაველი

თხუთმეტი წლის ვაცლავ ჰაველმა ლექსების წერა დაიწყო. მამამ ახალგაზრდა პოეტს შეხვედრა მოუწყო ჩეხური ლირიკის მეფესთან, შემდგომში ნობელის პრემიის ლაურეატ იაროსლავ სეიფერტთან (1901-1986). ჰაველმა თავისი ლექსები მეტრს მიუტანა და მისგან წერილიც მიიღო, შემდგომ კი მილოშ ფორმანთან ერთად სტუმრობდა ხოლმე დიდ ჩეხ პოეტს. ვაცლავმა თავის თანატოლებთან — 1936 წელს დაბადებულებთან — ერთად ჩამოაყალიბა ლიტერატურული ჯგუფი „ოცდათექვსმეტიანელები", — ისინი გიმნაზიის ასაკში იყვნენ, მაგრამ „საკადრო შეუთავსებლობის" გამო უკვე მუშაობდნენ და მხოლოდ საღამოს სკოლაში ჰქონდათ სწავლის უფლება. ყმაწვილები მართავდნენ სიმპოზიუმებსა და იწვევდნენ ყრილობებს, საკუთარ, „სამიზდატის" ჟურნალსაც კი გამოსცემდნენ, რომელშიც იმისგან რადიკალურად განსხვავებული აზრები იბეჭდებოდა, რაც ოფიციალურად იყო ნებადართული.

მართალია, ბურჟუაზიული წარმოშობის გამო ჰაველისთვის დაკეტილი იყო იმ უმაღლესის კარი, რომელზეც ოცნებობდა, მაგრამ ოფიციალური ლიტერატურული სამყარო მას არც აინტერესებდა, არ ეკარგებოდა დრო ფსევდოისტორიისა და დამახინჯებულ მეცნიერებათა შესწავლაზე: მან თვითგანათლებას მიჰყო ხელი, თუმცა პარალელურად მუშაობდა და ისეთ სპეციალობას ეუფლებოდა, რომელიც სრულებით არ იტაცებდა. ჰაველს ის იზიდავდა, რაც პირველ რესპუბლიკასთან ინარჩუნებდა კავშირს და ევროპული განათლების სოლიდურ ბაზაზე იყო დაფუძნებული. ეს კი პირველ რიგში გახლდათ „ჯგუფი 42", სადაც თავი მოეყარა იმდროინდელ საუკეთესო ახალგაზრდობას. როგორც ჰაველის პირველი ბიოგრაფიის ავტორი ედა კრისეოვა შენიშნავს, „ჯგუფ 42"-ში მან ისეთი მაღალი მწერლური მორალის სკოლა გაიარა, რომელსაც ვერანაირ უმაღლესში ვერ მიიღებდა.

* * *

პიესების წერა ვაცლავ ჰაველმა ორმოცდაათიანი წლების ბოლოს დაიწყო. პირველი თეატრალური გამოცდილება სამხედრო სამსახურში მიიღო, სადაც დაწერა პიესა „მთელი ცხოვრება წინ გაქვს" (1957). 1959–1960 წლებში თეატრში „ABC" სცენის მუშად მუშაობდა. აქ მოღვაწეობდა ცნობილი იან ვერიხი (1905-1980; ჩეხი მწერალი, დრამატურგი და კინოსცენარისტი, ომისშემდგომი ავანგარდის თვალსაჩინო წარმომადგენელი, კინოსა და თეატრის მსახიობი, მომღერალი) და მისი გავლენით ჰაველმა გააცნობიერა, რომ თეატრი შეიძლება ნამდვილად გამხდარიყო ნაციონალური კულტურის ცენტრი.

აქ უნდა გავიხსენოთ ვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგდროინდელ ჩეხოსლოვაკიაში, სადაც 1948 წელს ძალაუფლების გადასვლამ კომუნისტების ხელში გამოიწვია ის, რომ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა საბჭოთა კავშირზე გახდა დამოკიდებული. ამას მოჰყვა პოლიტიკურად და იდეოლოგიურად მიულებელ პირთა რეპრესიები, დაპატიმრებები, პოლიტიკური პროცესები, დევნა და იძულებითი ემიგრაცია. სტალინის სიკვდილის შემდეგ ვითარება ქვეყანაში შედარებით ლიბერალური გახდა, უკვე შესაძლებელი იყო პირად საუბრებსა და საჯარო გამოსვლებში რეჟიმის კრიტიკა. ეს იყო ჩეხოსლოვაკიის უახლესი ისტორიის ე. წ. „ოქროს ხანა". ორმოცდაათიანი წლების დამლევს თეატრი აღარ იყო ისე მკაცრად იდეოლოგიზებული, როგორც მთელი ორმოცდაათიანი წლების განმავლობაში. არ ყოფილა შემთხვევითი, რომ საზოგადოების თვითგათავისუფლების პროცესი პატარა თეატრებიდან დაიწყო. სწორედ ასეთ პატარა თეატრში „ABC" დაიწყოს ჰაველმა სცენის მუშად მუშაობა.

1960 წელს ჰაველმა დაიწყო მოღვაწეობა თეატრში „ნა ზაბრადლი", რომელიც არსებითად განსხვავდებოდა სხვა თეატრებისგან და საზოგადოებრივი თვითშეგნების ერთ–ერთი ამაფორიაქებელი კერა იყო. ამ თეატრში იდგმებოდა იონესკოს, ბეკეტის, იარის და ჰაველის აბსურდის დრამები. თეატრის ატმოსფერო დემოკრატიული და ანტი–იდეოლოგიური იყო. თეატრმა პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა და იგი XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისის ჩეხოსლოვაკიაში თავისუფლებისთვის ბრძოლის ყველაზე გაბედულ კულტურულ ცენტრად იქცა.

ვაცლავ ჰაველის აბსურდის თეატრი

ჰაველის პირველი აბსურდისტული ნაწარმოები ეჟენ იონესკოს პიესათა ტიპის ერთმოქმედებიანი „ოჯახური საღამო“ (1959) იყო, ამას მოჰყვა პირველი ვერსიები პიესისა „შეტყობინება“; გარდა ამისა, იგი თეორიულ სტატიებს აქვეყნებდა რევიუ „დივადლოში“.

მაშასადამე, ჰაველის შემოქმედების პირველი ხანა დაემთხვა სამოციან წლებს — ამ შედარებით ხელსაყრელ ეპოქას. მიუხედავად იმისა, რომ ჰაველის პიესები ბევრად განსხვავდებოდა იმისგან, რაც მანამდე შეიძლება ყოფილიყო ნებადართული ოფიციალური ცენზურის მიერ — ისინი თანდათანობით სცენაზე მოხვდა. მაგრამ ჰაველისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა არა ის, რომ მისი პიესები სცენაზე დაუშვეს, არამედ ის, რომ საზოგადოებამ მიიღო ისინი, რომ ისინი ეხმაურებოდნენ საზოგადოების საერთო ვითარებას, იმდროინდელ სულიერ კლიმატს. როგორც თავად ჰაველი წერდა, „ყოველ ახალ ნაწარმოებთან იდენტიფიცირება და მათი ინტეგრირება ეპოქის სულიერ სინამდვილესთან კანონზომიერად ხსნიდა სივრცეს უფრო რადიკალური აქტისთვის და ყოველი ახალი ნაწარმოები კიდევ უფრო ასუსტებდა რეპრესიული სისტემის შესაძლებლობას“.

ვაცლავ ჰაველის პირველი მნიშვნელოვანი პიესაა „ზეიმი ბაღში“, რომელიც 1963 წელს დაიდგა „ნა ზაბრადლის“ სცენაზე. ამ პიესის შესახებ ცნობილმა დრამატურგმა პაველ კოჰოუტმა თქვა: „ზეიმმა ბაღში“ მოახდინა ჰაველის კატაპულტირება სამყაროში“.

პიესაში ასახულია ჩეხოსლოვაკიის ვითარება XX საუკუნის 60-იან წლებში. მასში ნაჩვენებია მაშინდელი ჩეხის ფსიქოლოგია, ის, რომ არაფერში ჩარეულიყო, არ გამოეთქვა საკუთარი აზრი, შენიღბულიყო ფრაზებით, მაგრამ მოეხერხებინა სიტუაციის გამოყენება თავის სასარგებლოდ. პიესა გვიჩვენებს ადამიანს, რომელიც კარგავს საკუთარ იდენტობას. ჰაველი მიუთითებს არსებული რეჟიმის უაზრობასა და ბიუროკრატიულ უსუსურობაზე და აჩვენებს, რომ ასეთ რეჟიმში ადამიანის საკუთარ თავთან გაუცხოება გარდაუვალია.

პიესის „ზეიმი ბაღში“ მთავარი პერსონაჟი ჰუგო პლუდეკია. ესაა ახალგაზრდა კაცი, რომელმაც თავისი კარიერა ფრაზებზე ააგო და ბოლოს მთლიანად დაიკარგა კიდეც მათში. ერთი შეხედვით უაზრო, აბსურდული ფრაზები, სიტყვები დაშიფრული სახით ასახავენ სახელმწიფო სისტემას, რომელიც თავს იქებდა იმით, რომ წვლილი შეჰქონდა ისტორიის დინამიურ განვითარებაში, სინამდვილეში კი ერთ ადგილზე იტკეპნებოდა. „ორივე ცდებოდა და ორივე მართალი იყო, არა? ჰო, არა? *(პაუზა)* ჰო, ასევე მგონია, რომ არა, მიუხედავად იმისა, რომ არ მგონია, რომ ჰო. საქმე ისაა, რომ ორივეს რაღაცნაირად დაავიწყდა, რომ მომავალში ხელოვნება და ტექნიკა ისე რაღაცნაირად ჰარმონიულად შეავსებენ ერთმანეთს — ლირიკულ-ეპიკური ლექსები დახმარებას გაუწევენ სალიკვიდაციო პრაქტიკის ქიმიზაციას — ელემენტთა პერიოდული სისტემა დაეხმარება იმპრესიონიზმის განვითარებას“ — ეს არის ჰუგო პლუდეკის სიტყვები ჰაველის პიესიდან „ზეიმი ბაღში“. მიუხედავად იმისა, რომ ჰუგო ამ პიესის მთავარ მოქმედ პირად უნდა მოიაზრებოდეს, რადგან ის, რაც პიესაში ხდება, მისი „თავგადასავალია“, ამ სტატუსით მისი აღქმა ერთი მიზეზით არის შეუძლებელი — აქ, ისევე როგორც ჰაველის სხვა პიესებშიც, მთავარი მოქმედი პირი ფრაზაა. პლუდეკი, ისევე როგორც დანარჩენი მოქმედი პირები, მხოლოდ საშუალება, მხოლოდ მედიუმია, რომლის მეშვეობითაც ლაპარაკობს და მოქმედებს პროტაგონისტი. ფრაზამ ისეთ განვითარებას მიაღწია, რომ იგი აღარც კი არის დამოკიდებული მის წარმომთქმელ ტუჩებზე, ფრაზამ ადამიანური არსებებს მხოლოდ მისივე, ფრაზის მატარებლის და მისი არტიკულატორის ფუნქციაღა დაუტოვა.

ჰაველის ამ აბსურდის პიესაში არის ეპოქალური ფსევდოფილოსოფიის შესანიშნავი ნიმუშიც, რომელიც გორკის ცნობილი ფრაზის „Чело-век! Это — великолепно! Это звучит... гордо! Че-ло-век! Надо уважать человека! Не жалеть... не унижать его жалостью... уважать надо!” პაროდირებას შემდეგნაირად ახდენს: „ადამიანი — ეს არის რაღაც მდიდარი, რთული, ცვალებადი და მრავალფეროვანი, არ არსებობს სიტყვა, წინადადება, წიგნი, არაფერი, რაც მის აღწერას მთელი მოცულობით შეძლებდა და მთლიანად მოიცავდა. ადამიანში არ არის არაფერი მუდმივი, მარადიული, აბსოლუტური, ადამიანი უწყვეტი ცვლილებაა, მაგრამ, ცვლილება, რომელიც ამაყად ჟღერს!”

აბსურდულობა პიესაში განსაკუთრებით მოქმედი პირების დაყოფით არის ნაჩვენები: ერთნი გამხსნელები არიან, მეორენი ლიკვიდატორები. იმას, რასაც ერთი ხსნის, მეორე იმისავე ლიკვიდაციას ახდენს, და ასე გაუთავებლად, როგორც ერთგვარი perpetuum mobile. ანუ ეს არის საქმის კეთების სიმულაცია. იგივე მნიშვნელობა აქვს ჭადრაკის თამაშის მეტაფორას. ჰუგო საკუთარ თავს ეთამაშება ჭადრაკს: როდესაც ერთ მხარეს ცოტას მოიგებს, მეორე მხარეს ცოტას წააგებს და პირიქით. იქ არაფერი არ ხდება, პერსპექტივაში არანაირი რეალური შედეგი არ ჩანს. ამიტომაც ბუნებრივია, რომ ასეთ სამყაროში ბევრს ლაყბობენ, მაგრამ არაფერი არ ითქმება. ზუსტად ისე, როგორც აბსურდის თეატრში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ჰაველმა პირველმა აღმოაჩინა ცხოვრებისეული აბსურდულობის სოციალისტური განზომილება.

...ამ დროს კი საზოგადოებას სურდა სცოდნოდა, რაში იყო საქმე და ამას ჰაველის პიესებიდან რაც დრო გადიოდა, მით უფრო ზუსტად და უკეთ იგებდა. იმ დროს თეატრს პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, იგი სულიერ კლიმატს ქმნიდა. თავის ესეში „ჩემი ცხოვრებიდან” ჰაველი წერს: „რაც უფრო მეტი შეგვეძლო, მით მეტს ვაკეთებდით, რაც მეტს ვაკეთებდით, მით უფრო მეტი შეგვეძლო. ეს იყო რაღაც დაჩქარებული ნივთიერებათა ცვლა ხელოვნებასა და ეპოქას შორის, რომელიც აუცილებელია ისეთი სოციალური ორგანიზმისთვის, როგორიც თეატრია, არაჩვეულებრივად ინსპირატორული და პროდუქტიული”.

„რა განსაზღვრებას მიანიჭებთ აბსურდის თეატრს?!“ – ეკითხება ჟურნალისტი და მწერალი კარელ ჰვიჟდიალა ჰაველს „დაუსწრებელ დაკითხვაში“, რაზეც ჰაველი პასუხობს: „პირადად მე ვფიქრობ, რომ ეს არის უმნიშვნელოვანესი მოვლენა XX საუკუნის თეატრალურ კულტურაში, რადგანაც იგი თანამედროვე კაცობრიობას ასახავს მის „კრიზისულ მდგომარეობაში“ ანუ უჩვენებს კაცობრიობას ადამიანს, რომელმაც დაკარგა ძირითადი მეტაფიზიკური რწმენა, აბსოლუტის გრძნობა, დამოკიდებულება მარადი-

ულობისადმი, საზრისის შეგრძნება, ანუ – მტკიცე საფუძველი ფეხქვეშ. ეს არის ადამიანი, რომელსაც ყველაფერი ხელიდან ეცლება, მისი სამყარო ინგრევა, იგი გრძნობს, რომ რაღაც სამუდამოდ დაკარგა, მაგრამ არ ძალუძს აღიაროს თავისი მდგომარეობა და ემალება მას. აბსურდის პიესების თამაში არ შეიძლება ბუკვალურად, ისინი არაფრის ილუსტრირებას არ ახდენენ. არც პათეტიკურნი არიან და არც დიდაქტიკურნი, პირიქით – დეკადენტურად სახუმაროები. მათთვის ნაცნობია ფენომენი უსასრულო სიმძიმილისა. ამ პიესებში ხშირად სუფევს დუმილი და ბრიყვული ლაყბობა. ვისაც სურს, შეუძლია დაესწროს მათ, როგორც ცარიელ კომედიებს. ეს პიესები არ არის ნიჰილისტური და ეს მნიშვნელოვანია — ისინი გამაფრთხილებელია. არ გვამშვიდებენ და არ გვისახავენ იმედს. მხოლოდ იმას გვახსენებენ თუ როგორ ვცხოვრობთ. იმედის გარეშე. ამაშია მათი გამაფრთხილებელი მისია“.

უნდა ითქვას, რომ ვაცლავ ჰაველის აბსურდის დრამებს თავისი სრულიად გამოკვეთილი სტილი აქვთ. მათ უმეტესობაში არის ძლიერი რაციონალური და ინტელექტუალური ინსპირაცია. ინტერვიუების წიგნში „დაკითხვა შორ მანძილზე“ ჰაველი ამბობს, რომ პიესის დაწერამდე ჯერ სტრუქტურის სქემას აგებდა. მისი პიესებში ხშირად არის სიმეტრიული, მათემატიკური ან გეომეტრიული კონსტრუქციები. უაღრესად სტილიზებული კომუნისტური ცხოვრების წესს ისინი კარიკატურის სახით წარმოადგენენ. ჰაველის 1960 წლების აბსურდის დრამები ძირითადად ენის როლის ანალიზზეა კონცენტრირებული. ენა ჰაველისთვის ძალაუფლების, დამონების, დეჰუმანიზაციის ინსტრუმენტია. ჰაველის პიესების კარიკატურული ენა ადამიანთა კომუნიკაციის ძირითადი ინსტრუმენტია. ჰაველის პროტაგონისტებს აქვთ არჩევანი: ან მოიქცნენ ბუნებრივად და გამოიყენონ ნორმალური ადამიანური ენა და განადგურდნენ, ან მიიღონ ბიუროკრატიის ენა, მოერგონ დეჰუმანიზებულ საზოგადოებას და გაიკეთონ წარმატებული კარიერა თავისი პირადი იდენტობის დაკარგვის ხარჯზე. ჰაველის პიესები შესანიშნავად აჩვენებს იმას, თუ როგორ აღწევს იდეოლოგიური ენა კომუნიზმის პირობებში ცხოვრების ყველა სფეროში, რადგან განდევნის ყოველივე აზრიანს, ავთენტურ ადამიანურ დისკურსს და საზოგადოებას აქცევს მდუმარე მასად, რომელსაც არ ძალუძს საკუთარი პრობლემების განხილვა. ჰუგო პლუდეკი პიესიდან „ზეიმი ბაღში“ მაღალი რანგის წარმატებული ბიუროკრატი ხდება, მაგრამ იმის ფასად, რომ იგი კარგავს თავის ადამიანურ იდენტობას.

ენა ბრძოლის ინსტრუმენტს წარმოადგენს მის სხვა პიესაშიც „შეტყობინება“ (1965). პიესის დასაწყისში შედარებით გონიერი და ტოლერანტული დირექტორი გროსი იგებს, რომ მის ოფისში მისგან დაუკითხავად ამკვიდრებენ „მეცნიერულ“ სინთეტურ ენას — „პტიპედს“, ეს კი იმისთვის ხდება, რომ ბიუროკრატებმა უკეთ და უფრო მკაფიოდ შეძლონ თავიანთი აზრების გამოხატვა. უსიცოცხლო, უაღრესად რთული და აბსურდული ენა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მეტაფორაა. „შეტყობინებაც“ მკაფიოდაა ნაჩვენები, რომ ის ადამიანები, რომლებიც ძალაუფლების მოპოვებას ცდილობენ ტოტალიტარულ სტრუქტურებში, მხოლოდ საკუთარი გამორჩენისთვის იბრძვიან.

„პრაღის გაზაფხულამდე“ და მის შემდეგ

60-იან წლებს ჰაველი უწოდებს წარმოუდგენლად ხელსაყრელს თავისი შემოქმედებისთვის: „ვიცოდი, რატომ და ვისთვის ვწერდი”. მაგრამ უკვე სამოციანი წლების ბოლოს, 1968 წლის დრამატული მოვლენების შემდეგ, ჰაველი ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მას წაართვეს არა მხოლოდ მისთვის საყვარელ „ნა ზაბრადლიში” მოღვაწეობის საშუალება, არამედ საერთოდ მოუსპეს ყოველგვარი შესაძლებლობა, რაიმე საერთო ჰქონოდა ჩეხურ თეატრთან, და როგორც ავტორი, იგი ყველაზე აკრძალულთა შორის აღმოჩნდა. ჰაველის ბიოგრაფი — ედა კრისეოვა — ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდს აღწერს: უკვე მოგვიანებით, როდესაც ჰაველი სადღაც ბარში იჯდა, მასთან მამაკაცი მივიდა და უთხრა, ორწლიანი სასჯელის მოხდისას იმით ვიყავი დაკავებული, რომ ჩეხური ლიტერატურის ისტორიიდან შენ სახელს ვაქრობდიო...

* * *

პიესა „ასენიზაცია” 1987 წელს დაიწერა. მოქმედება ვითარდება ერთ-ერთი ძველი ციხე-სიმაგრის დარბაზში, სადაც დროებით არქიტექტორთა ჯგუფი ცხოვრობს, რომელიც ციხე-სიმაგრის ქვემოთ არსებული დასახლების ასენიზაციის პროექტზე მუშაობს. ძველი ქალაქის ადგილზე უნდა შექმნან ახალი, თანამედროვე დასახლება. ამას არ ეთანხმებიან დასახლების მოქალაქეები, რომელთათვისაც ძვირფასია ძველი ქალაქის განსაკუთრებული ტრადიციები და ატმოსფერო, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა.

ეს პიესა არის ზოგადად ძალაუფლებისა და იმათ შესახებ, ვისაც ეს ძალაუფლება სხვადასხვა დონეზე ხელთ უპყრია. პიესა იმაზეა, თუ რამდენად ადვილად იღებენ ისინი გადაწყვეტილებებს ადამიანთა ბედის შესახებ. ეს არის პიესა ერის ისტორიული ფესვების, მისი უწყვეტობის შენარჩუნებისთვის ბრძოლაზე და იმ ხალხის ბედზე, ვისაც ამის გამო სიკვდილმისჯილთა დილეგებში ყრიან, და იმათზე, ვინც კონფორმიზმის გზას ადგას. დროის კავშირთა უწყვეტობის აუცილებლობის იდეა კარგად ჩანს პიესის ამ ფრაგმენტში:

„მეორე დელეგატი *(კითხულობს):* როგორც ამ პატარა ქალაქის ძველი მაცხოვრებლები, რომელიც ისტორიულ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს და მშენებლობის თვალსაზრისით უნიკალური დასახლებაა აქაური ციხე-სიმაგრის გარშემო, ამ დოკუმენტით გამოვხატავთ ჩვენს პროტესტს აქ დაგეგმილი ასენიზაციის გამო. გვესმის, რომ მისი მიზანია ჩვენი საცხოვრებელი და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება, მაგრამ ის ფასი, რადაც ეს დაგვიჯდება — ანუ მრავალი წლის მანძილზე სანაცვლო საცხოვრებლის მიღება და შემდეგ დაბრუნება იმ გარემოში, რომელსაც უკვე არაფერი ექნება საერთო ჩვენს ნამდვილ სახლთან — ჩვენთვის ძალიან ძვირია. მრავალი ათწლეულის მანძილზე სიამოვნებით ვცხოვრობდით აქაური დასახლების თავისებურ და ხატოვან გარემოში, შევეჩვიეთ მის განუმეორებელ ატმოსფეროს, გვიყვარს იგი და არ გვსურს მისი დაკარგვა. თუ წაგვართმევთ ჩვენს ახლანდელ სახლს — გაგვაუბედურებთ. ხელს აწერს ორასს თექვსმეტი მოქალაქე *(ხანგრძლივი პაუზა)”.*

ამავე პიესაში არის ეპიზოდი, სადაც საუბარია შინაგან ხმაზე, რომელიც ადამიანს ეუბნება, თუ რისი გაკეთებაა სწორი გარკვეულ სიტუაციაში, მაგრამ, ამავე დროს, ამ ადამიანმა იცის, რისი გაკეთებაა მისთვის უფრო მომგებიანი. ანუ იგი არჩევანის წინაშე დგება. ეს შინაგანი ხმა, რომელსაც იგი უმეტეს შემთხვევაში არ უსმენს, მისი სინდისი, მისი მორალური ორიენტირია. ამ პიესაშიც, როგორც ჰაველის მთელ შემოქმედებაში, ადამიანის იდენტობის კრიზისზეა საუბარი, საუბარია ადამიანის გაუცხოებაზე საკუთარ თავთან და იმაზე, რომ მაინც ყოველთვის გამოჩნდება ადამიანი, რომელიც აღიმაღლებს ხმას უსამართლობის წინააღმდეგ, თუნდაც ეს პროტესტი იყოს უტყვი, მაგრამ მით უფრო ტრაგიკული. ამის გამოხატულებაა პიესის ერთ-ერთი მთავარი გმირის თვითმკვლელობა. საერთოდ ამ პიესაზე ბევრია სათქმელი, მაგრამ ეს სხვა დროს...

ერთმოქმედებიანი პიესა „ვერნისაჟი" ჰაველმა 1975 წელს დაწერა. ის გარკვეულწილად ავტობიოგრაფიულია. ისევე, როგორც „ვერნისაჟის" მთავარი გმირი, დისიდენტი მწერალი ბედრჟიხი, ვაცლავ ჰაველიც ერთ დროს ლუდსახარშ ქარხანაში მუშაობდა დამხმარე მუშად. ეს იყო ე. წ. „ნორმალიზაციის" ხანა ჩეხოსლოვაკიაში, რომელიც 1968 წლის „პრაღის გაზაფხულს" მოჰყვა. მაშინ ხელისუფლებამ განსაკუთრებულ წნეხქვეშ მოაქცია ყველა, ვინც არ იზიარებდა ან ეწინააღმდეგებოდა მის პოლიტიკას.

მთავარ გმირს თავისთან პატიჟებს ცოლ-ქმარი, რომელიც აღფრთოვანებულია თავისი მატერიალური კეთილდღეობით. ცოლ-ქმარი სტუმარზე შთაბეჭდილების მოხდენას ცდილობს ბინის რემონტით, ავეჯით, საკვებით, ცხოვრების წესით. ეს არის პროტესტი მომხმარებლური საზოგადოების წინააღმდეგ, რომელიც დაცლილია ყოველგვარი ადამიანური ღირებულებებისგან. მათთან სტუმრობით თავმობეზრებულ და შეძრწუნებულ ბედრჟიხს წასვლა სურს, მაგრამ იძულებული ხდება დარჩეს და კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის იმას, თუ რა ცარიელია ამ ოჯახის ცხოვრება, რომელიც დამყარებულია არა გრძნობებზე, არამედ მატერიალური კეთილდღეობისკენ სწრაფვაზე.

კომუნიკაცია დარღვეულია, მასპინძლების ფრაზები ხელოვნურია, სტუმრად მოსული ბედრჟიხი კი მხოლოდ მოკლე პასუხებით იფარგლება. სიტუაციის უაზრობას და აბსურდულობას გამოხატავს ის, რომ მოქმედება წრიულია, იგი გაუთავებლად მეორდება:

ადამიანის იდენტობის კრიზისი

ერთ-ერთ ინტერვიუში, როდესაც ჰაველს ეკითხებიან, რის შესახებ მოგვითხრობენ მისი პიესები, ასე უპასუხა: „როდესაც ამაზე ვფიქრობ, მგონია, რომ ჩემი ყველა აქამდე დაწერილი პიესა არსებითად ერთ თემაზეა, ეს არის თემა ადამიანის იდენტობის კრიზისისა. მას, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ფორმით ვუბრუნდები, მაგრამ, მინდა ეს თუ არა, ეს თემა მათში ყოველთვის რაღაც სახით იჩენს ხოლმე თავს".

ადამიანის იდენტობის კრიზისს კი ჰაველი ასე განმარტავს: „ვფიქრობ, რომ ღმერთის დაკარგვით ადამიანმა დაკარგა რაღაც აბსოლუტურ და უნივერსალურ კოორდინატთა სისტემა, რისთვისაც შესძლებდა ნებისმიერი რამის, უპირველეს ყოვლისა კი — საკუთარი თავის შეფარდებას. ადამიანის სამყარომ და მისმა პიროვნებამ ნელ-ნელა დაიწყო დაშლა მისგან განცალკევებულ და ერთმანეთთან დაუკავშირებელ ფრაგმენტებად, რომლებიც სხვა, პირობით კოორდინატთა სისტემებს შეესაბამება. სწორედ ამით დაიწყო ადამიანის შიგნით იდენტობის დაკარგვა ანუ დაკარგვა იგივეობისა საკუთარ თავთან და, ამასთან, ადამიანმა დაკარგა იერარქია განცდებისა და ღირებულებებისა".

დისიდენტობა

1960–იან წლებში ჰაველი მსახიობებისა და მწერლების ანტიკომუნისტური მოძრაობის მნიშვნელოვანი ფიგურა გახდა, ხალხის ამ გულანთებული ძალისხმევის, დემოკრატიულ გარდაქმნათა (სიტყვის თავისუფლება, ადამიანის უფლებათა დაცვა, პოლიტიკური პლურალიზმი, ეკონომიკური რეფორმები) იმედების კულმინაცია კი 1968 წლის „პრაღის გაზაფხული" იყო. ჰაველი ამ დროს აქტიურად იყო ჩაბმული მოვლენებში და რადიომაუწყებლობის მეშვეობით გამოხატავდა თავის აზრს. მაგრამ ჩეხოსლოვაკიის მოქალაქეთა აღტყინება და ოპტიმიზმი ტრაგიკულად დასრულდა — ქვეყანაში ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების ჯარები შემოიჭრა, რასაც ტრაგიკული მოვლენები მოჰყვა. 1968 წლის „პრაღის გაზაფხულის" შემდეგ ქვეყნის შედარებით ლიბერალური ლიდერი ა. დუბჩეკი გადააყენეს და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად გუსტავ ჰუსაკი დაინიშნა (1969). ჰუსაკი სსრკ-სთვის მისაღები და მის მიერვე მხარდაჭერილი ლიდერი იყო, რომელსაც ქვეყანაში „ნორმალიზაციის" სახელით ცნობილი კურსის გატარება დაევალა.

1975 წელს გუსტავ ჰუსაკისადმი ჰაველის მიერ მიწერილი წერილი სრულიად გარდამტეხი მნიშვნელობის მქონე იყო იმ დროისთვის. რატომ დაიწერა „წერილი გუსტავ ჰუსაკს"? ყველაზე მარტივი პასუხი: იმიტომ, რომ სხვაგვარად არ შეეძლო, ვიტყვი მარტინ ლუთერის სიტყვებით: „მე აქ ვდგავარ და სხვაგვარად არ შემიძლია". ინტერვიუში ამ წერილის შესახებ იგი ამბობს: „წერისას მწამდა, რომ მას შეიძლება ჰქონოდა, მე ვიტყოდი „საზოგადოებრივ-ჰიგიენური" მნიშვნელობა. საერთოდ ვფიქრობ, რომ სიმართლის თქმას ყოველთვის აქვს აზრი, ნებისმიერ გარემოებაში, მეორე მიზეზი სრულიად პირადული იყო: რამენაირად უნდა გადამელახა ჩემი საკუთარი დეტერმინირებულობა. უკვე დიდი ხანია მაქვს ისეთი შეგრძნება, რომ რაღაც გამზადებულ სიტუაციაში ვარ ჩაგდებული. რომ ვიღაცამ შემაფასა და რაღაც ადგილი მომიჩინა, რომ მე ამ სიტუაციას მხოლოდ პასიურად ვიღებ და საკუთარი მონაწილეობის გარეშე ვთამაშობ როლს, რომელიც განმისაზღვრეს... მოკლედ, მომბეზრდა ეს და ვიგრძენი იმის საჭიროება, რომ თავად შემექმნა რაღაც ახალი სიტუაცია, თავად დამეყენებინა ვიღაც რაღაც ახლის წინაშე და მეიძულებინა ცვლილებები მოეხდინა, რათა დაფიქრებულიყო იმაზე, თუ როგორ გაუმკლავდებოდა სიტუაციას, რომელიც მე შევქმენი".

„წერილში გუსტავ ჰუსაკს" ჰაველმა გააანალიზა შიშის ფენომენი, რომელიც ჰუსაკის მმართველობამ დანერგა საზოგადოებაში. ეს იყო ეგზისტენციალური წნეხის სისტემა, რომელსაც ვერ აიცდენდა ვერცერთი მოქალაქე, რადგან

შავი მუშაც კი შეიძლება გადაეყვანათ კიდევ უფრო უარეს სამუშაოზე. ესეიში ჰაველი ლაპარაკობს იმაზე, რომ ამ საყოველთაო შიშის გამო ყოველი მოქალაქე იძულებული ხდება იფარისევლოს, ამან კი ხალხის გულგრილობა გამოიწვია, რაც ქვეყნის ხელისუფალთა მიზანია. ხალხს ეჩვენებოდა, რომ აზრი არ აქვს და არც ღირს რაღაცისთვის ბრძოლა. მათ აპათია დაეუფლათ და ინტერესი დაკარგეს უნივერსალურ ღირებულებათა მიმართ. მშვიდად რომ ყოფილიყვნენ, ასრულებდნენ პოლიტიკურ რიტუალებს, მთავრობა კი მიესალმებოდა იმას, რომ ხალხი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდა და არ აქცევდა ყურადღებას სულიერ, პოლიტიკურ და მორალურ ძალადობას. მთავრობას სჭირდებოდა მშვიდი სოციალისტური ობივატელი, რომლის ძირითადი ცხოვრებაც შოვნაზე, მატერიალურ ღირებულებებზე იქნებოდა დაყვანილი. ადამიანი იქცა მომხმარებელთა ჯოგის მორჩილ წევრად, პოლიტიკაზე კი თვით მთავრობა ზრუნავდა და მას არავის აკარებდა. სუფევდა წესრიგი და სიმშვიდე საზოგადოების სულიერი და მორალური მკვლელობის ფასად: „იმ ხალხის რაოდენობა, რომელთაც გულწრფელად სჯერა ყველაფრისა, რასაც ოფიციალური პროპაგანდა ქადაგებს და უანგაროდ უჭერს მხარს სახელმწიფო ხელისუფლებას, დღეს გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ოდესმე. სამაგიეროდ ფარისევლები მომრავლდნენ — გარკვეულ დონემდე საკუთრივ ყოველი მოქალაქე ვალდებულია პირმოთნე იყოს" (ვაცლავ ჰაველი. წერილი გუსტავ ჰუსაკს. ახალი ათასწლეული, უნივერსალი, თბ., 2007, გვ: 16) და „წესრიგი მიღწეულ იქნა სულის მოკვდინების, გულის დაჩლუნგებისა და ცხოვრების დაცარიელების გზით. მიღწეულ იქნა შინაგანი კონსოლიდაცია საზოგადოებისა სულიერი და მორალური კრიზისის ფასად" (გვ:19). ჰაველი წერილში კულტურის საკითხებსაც შეეხო. იგი წერდა, რომ საზოგადოების თვითშეგნების მთავარი იარაღი კულტურაა. ის კი აბსოლუტურად დასაჭურისებულია და დაყვანილია მხნე ობივატელის ფსიქოლოგიამდე.

ჰაველმა დასვა კითხვა: „კულტურის დღევანდელი კასტრაცია რამდენად ღრმა სულიერ და მორალურ იმპოტენციამდე მიიყვანს ხვალ ერს?" (გვ: 23)

ჰაველი წერდა, რომ რადგან ჩეხოსლოვაკიაში დაამყარეს წესრიგი სიცოცხლის გარეშე, ისტორიაც სადღაც გაქრა, ისტორია ფსევდოისტორიამ შეცვალა. „ვცხოვრობთ წლისთავიდან წლისთავამდე, ყრილობიდან ყრილობამდე: დიახ, აქ წესრიგია: უღიმღამო ერთფეროვნების ბიუროკრატიული წესრიგი, რომელიც კლავს თავისუფლებას, წესრიგი მანქანური მექანიკურობისა, დამყაყებული უძრაობისა, — რომელიც გამორიცხავს ტრანსცედენტს. ეს არის წესრიგი სიცოცხლის გარეშე. დიახ, ჩვენს მიწაზე სიმშვიდეა: მაგრამ ეს მორგის ან კუბოს სიმშვიდე ხომ არ არის?" (გვ: 24) მაგრამ იმით, რომ ხელისუფლება კლავს სიცოცხლეს, ამავე დროს საკუთარ თავსაც აკვდინებს და ამიტომ, მერე მოხდება რაღაც ისეთი, რაც არ არის დაგეგმილი ოფიციალური კალენდრით. ისტორია მოითხოვს სიტყვას".

სწორედ ამ წერილით დაიწყო ჩეხოსლოვაკიის ისტორიის ახალი ეპოქა. გარეგნულად თითქოს ყველაფერი ისევ ისე იყო, ჰუსაკს წერილზე რეაგირება არ მოუხდენია, მაგრამ წერილი ხელიდან ხელში გადადიოდა, ხალხი კითხულობდა და აცნობიერებდა იმას, რაც შეიძლება ყველამ იცოდა, მაგრამ ფრაგმენტულად. ჰაველმა კი ამ ფრაგმენტებს შორის ურთიერთკავშირი დაამყარა და გააერთიანა. მოხდა ის, რისიც ხელისუფლებას ყველაზე მეტად ეშინოდა: ხალხი მიხვდა, რომ ყოველივეს, რაც ხდებოდა, ერთი საერთო მნიშვნელი ჰქონდა და ერთი საერთო დამნაშავე ჰყავდა.

ამ წერილის შემდეგ ცოტა ხანში შეიქმნა „ქარტია 77" — სამოქალაქო ინიციატივა. იმხანად ინტელექტუალთა ცალკეული ჯგუფები ცდილობდნენ შეექმნათ დამოუკიდებელი აზროვნების რაღაც ფორმები, მაშინ გაჩნდა „სამიზდატის" გამოცემა „პეტლიცე". წარმოიშვა სხვა კულტურული ინიციატივებიც, მაგრამ უმეტესწილად ისინი იზოლირებულ ჯგუფებს წარმოადგენდა. იზოლაციის გადალახვის პირველი მცდელობა აღმოჩნდა როკჯგუფის „The Plastic People of Universe" სასამართლო პროცესი. ჰაველი განმარტავს, რომ ეს მომენტი იმიტომ იყო გადამწყვეტი, რომ ახალგაზრდა ადამიანები, რომლებსაც არავითარი პოლიტიკური წარსული არ ჰქონდათ და ამ ახალი რეჟიმის პირობებში დაიწყეს ჩამოყალიბება, მასთან დაპირისპირებულები აღმოჩნდნენ. თავისი ნონკონფორმიზმის გამო მათ მალე აეკრძალათ საჯარო გამოსვლები. ეს იყო ჯგუფი, რომელიც დამოუკიდებლად და თავისუფლად ქმნიდა იმ მუსიკას, რომელიც მოსწონდა და რომელიც ახალგაზრდობის გრძნობებს გამოხატავდა. 1976 წლის გაზაფხულზე ჯგუფის 19 მონაწილე დააპატიმრეს და მათ წინააღმდეგ საქმე აღიძრა. ამ დროს ქვეყანაში უკვე არსებობდა დისიდენტთა ჯგუფები, რომლებიც ჰუსაკის მმართველობის დაწყების შემდეგ პროპაგანდის და პოლიციის სამიზნედ იქცა. ახალგაზრდა მუსიკოსებს და დისიდენტებს შორის არავითარი კონტაქტი არ არსებობდა, სანამ მათ დაიჭერდნენ. მაგრამ როგორც კი დაიჭირეს და თავისუფლება აღუკვეთეს, დაიწყო უაღრესად საინტერესო პროცესი, როდესაც ამ — აქამდე იზოლირებულმა — ჯგუფებმა დაიწყეს თავისუფლების ფენომენის განუცალკევლობის გაცნობიერება: რომ ეს შეტევა ახალგაზრდა მუსიკოსებზე იყო შეტევა ყველაზე, ვინც ქვეყანაში ჯერ კიდევ არ ემორჩილებოდა ხელისუფლებას და მხოლოდ მწერლებისა და პოლიტიკოსების ცნობადობა იყო ის მიზეზი, რის გამოც მათ არ აპატიმრებდნენ, და რომ ეს ახალგაზრდები აირჩიეს იმიტომ, რომ ახალგაზრდები და უცნობები იყვნენ. ამით აქამდე იზოლირებულმა ჯგუფებმა გაიცნობიერეს, რომ მუსიკოსებზე თავდასხმით თავს დაესხნენ ყველას და რომ თავდასხმა მოხდა ყველაზე მნიშვნელოვანზე — სიმართლის გამოხატვაზე, მართალ ცხოვრებაზე, და ამიტომ ახალგაზრდები უნდა დაეცვათ.

დაიწყო საპროტესტო წერილების წერა, ხელმოწერების შეგროვება. როგორც ჰაველი აღნიშნავს, ეს იყო გაცნობიერების საინტერესო პროცესი, როდესაც, მაგალითად, პროფესორმა იან პატოჩკამ (1907-1977; ცნობილი ჩეხი ფილოსოფოსი, „ქარტია 77"-ის სულიერი მამა) გააცნობიერა, რომ მისი ფენომენოლოგიური კვლევების თავისუფლება მდგომარეობდა იმ როკჯგუფის თავისუფლებაში, რომლის მუსიკაც, რა თქმა უნდა, მისთვის ვერ იქნებოდა ახლობელი.

მოხდა ის, რასაც რეჟიმი არ ელოდებოდა, უეცრად ამ ამბავს გამოეხმაურა ხალხი, რომელთაგანაც არ მოელოდნენ ამ ახალგაზრდების მიმართ სიმპათიის გამოხატვას. სასამართლო შენობაში, სადაც ამ მუსიკალური მოძრაო-

ბის ოთხი მთავარი მონაწილე გაასამართლეს, გამოიკვეთა „ქარტია 77"-ის ჩანასახი. იქ იმყოფებოდა „ქარტია 77"-ის სულიერი საფუძველი, საიდანაც ცოტა მოგვიანებით შეიქმნა ქარტია. ის, რაც ცალკეულ ჯგუფებს აერთიანებდა, იყო საერთაშორისო ხელშეკრულება ადამიანთა უფლებების დაცვის შესახებ, რომელსაც 1976 წელს შეუერთდა ჩეხოსლოვაკია და რაც ქვეყნის პარლამენტის მიერ იყო რატიფიცირებული. „ქარტიის" პირველი განცხადების არსი სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ჩეხოსლოვაკიის მიერ მიღებული საერთაშორისო ხელშეკრულება ადამიანის უფლებათა შესახებ უპირისპირდებოდა ტოტალიტარული რეჟიმის რეალობას. მთავარი აქ ის იყო, რომ ქარტიის პირველმა 250 ხელმომწერებმა გაიგო „ქარტიის" აზრი არა როგორც ერთი განცალკევებული გამოსვლა, არამედ როგორც თანამიმდევრული საქმიანობის დასაწყისი (ჰაველი 1990: 50-54). ამ დაჯგუფების საქმიანობა უნდა დაყრდნობოდა „ჰელსინკის კონფერენციის" (1975) დასკვნებს და რეაგირება მოეხდინა ჩეხოსლოვაკიის სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებაზე.

1978 წელს ჰაველი წერს ვრცელ პოლიტიკურ ესეის „ძალა უძალოთა", რომელიც ეხება პოლიტიკური რეჟიმის, დისიდენტობის და „ქარტია 77"-ის შესაძლო საქმიანობის საკითხებს. დისიდენტობა მასში დახასიათებულია, როგორც ჯგუფების პოლიტიკური საქმიანობა, რომლებიც პოსტ-ტოტალიტარულ რეჟიმში ცდილობენ პოლიტიკური საქმიანობის განხორციელებას, აქედან მომდინარეობს სახელწოდება „უძალოთა ძალა". როგორც თავად ჰაველი შენიშნავს, ესეი სიჩქარეში იწერებოდა, რადგან იგი მოიაზრებოდა, როგორც ჩეხოსლოვაკურ-პოლონური კრებულის შესავალი და ყველა ავტორს წინდაწინ უნდა მიეღო ჰაველის ესეი, როგორც ამოსავალი წერტილი. პროექტი მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა.

ავიეზრ ტაკერი წიგნში „ჩეხური დისიდენტობის ფილოსოფია და პოლიტიკა პატოჩკადან ჰაველამდე" დაწვრილებით განიხილავს „ქარტია 77-ის სულიერი მამის" იან პატოჩკას ფილოსოფიას და მასთან კავშირში — ჰაველის შეხედულებებს. მნიშვნელოვანია ტაკერისეული აღწერა იმისა, თუ როგორ განვითარდა ცნება „ცხოვრება სიმართლეში", რომელიც ჰაველის მსჯელობებში პატოჩკას გავლით ჰაიდეგერისგან ხვდება. ჰაველი ცნებას „ცხოვრება სიცრუეში" იყენებს, როგორც პასუხისმგებლობით ცხოვრების საწინააღმდეგო პოზიციას. ჰაველი იზიარებდა ჰაიდეგერის მოთხოვნას ავთენტური ცხოვრების, დამოუკიდებელი არჩევანის, პასუხისმგებლობის, რეალობის პასიურად მიღების უარყოფის შესახებ. ამას უკავშირდება ჰაველის ძალაუფლების მქონეთა მიმართ ბრმა მორჩილების უარყოფა, მიუღებლობა მრავალფეროვანი ცხოვრების დაყვანისა კლასიფიცირებულ სისტემამდე, როგორც ამას მარქსისტული იდეოლოგია ცდილობდა.

იდეოლოგია, როგორც სამყაროსთან ურთიერთობის სპეციფიკური სახე, რომელიც ადამიანს უქმნის თავისუფლების, ღირსების, ზნეობის ილუზიას, სინამდვილეში კი უიოლებს ყოველივე იმისგან დაცილებას, როგორც მატარებელი რაღაც „ზეპიროვნულის" და ობიექტურისა. იგი ადამიანს საშუალებას აძლევს თავი მოიტყუოს, როგორც ქვეყანას, ისე საკუთარ თავს დაუმალოს ნამდვილი პოზიცია და სამარცხვინო modus vivendi. ვაცლავ ჰაველის დახასიათებით ესაა იდეოლოგია გაჟღენთილი სიცრუით და თვალთმაქცობით. რეჟიმის ბიუროკრატიის მიერ მთავრობა იწოდება სახალხო მთავრობად, რაც სიცრუეა; ინდივიდის სრული დეგრადაცია მონათლულია მის უზენაეს თავისუფლებად; ხელისუფლების თვითნებური გამოყენება იწოდება კანონიერების დაცვად; კულტურის რეპრესია — მის განვითარებად; ხალხისთვის ინფორმაციის დამალვა — სასარგებლო აქტად; ძალაუფლების თვითნებური გამოყენება — კანონიერების დაცვად; თავისუფალი გამოხატვის შეუძლებლობა — უმაღლეს თავისუფლებად; არჩევნების გაყალბება — უმაღლეს დემოკრატიად; დამოუკიდებელი აზროვნების აღკვეთა — მსოფლიოში ყველაზე მეცნიერულ შეხედულებათა გამოვლინებად; სამხედრო ოკუპაცია — ძმურ დახმარებად; იმის გამო, რომ რეჟიმი თავისივე სიცრუის ტყვეა, იგი ყველაფერს აყალბებს და ხალხს აიძულებს იცხოვროს სიცრუეში.

საინტერესოა კონკრეტული ფორმები, რომლებსაც ეს „ცხოვრება სიცრუეში" სოციალისტურ ჩეხოსლოვაკიაში იღებდა. პოსტ-ტოტალიტარულ სახელმწიფოში, ანუ ასეთ სისტემაში რიგითი მოქალაქის ლოიალობის ნიმუშად ჰაველს მოჰყავს ხილ-ბოსტნეულის მაღაზიის გამგის მიერ სტაფილოსა და ხახვს შორის მოთავსებული ლოზუნგი: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" ლოზუნგი არის ნიშანი, რომელიც შეიცავს შეფარულ, მაგრამ მკაფიო შეტყობინებას. იგი ნიშნავს: „მე, ხილ-ბოსტნეულით მოვაჭრე X ვიქცევი ისე, როგორც ჩემგან მოითხოვება რომ მოვიქცე, ვარ სანდო და არაფერი მაქვს მოსადავებელი, ვარ მორჩილი და ამიტომ უფლება მაქვს ვიცხოვრო მშვიდად" (ჰაველი 1990: 60). ხილ-ბოსტნეულით მოვაჭრე ადასტურებს თავის ლოიალობას ერთადერთი მოსაზრებით, რომ რეჟიმი ამას გაიგონებს, ანუ იგი იღებს აღწერილ რიტუალს, იღებს სინამდვილედ გასაღებულ მოჩვენებითობას, იღებს მოცემული თამაშის წესებს.

იდეოლოგია, რომელიც სისტემის გარეგანი სტაბილობის ერთ-ერთი ბურჯია, დაშენებულია არამყარ საძირკველზე. ის დაშენებულია სიცრუეზე და მუშაობს მხოლოდ მანამდე, სანამ ხალხი თანახმაა, რომ იცხოვროს სიცრუეში. მაგრამ თუ ერთ მშვენიერ დღეს ხილითა და ბოსტნეულით მოვაჭრემ აღარ გამოფინა ლოზუნგი იმიტომ, რომ საკუთარი თავის პატივისცემა იგრძნო, აღარ სურს არჩევნებში მონაწილეობა, რომელიც ფარსად მიაჩნია, კრებებზე დაიწყებს იმის ლაპარაკს, რასაც ფიქრობს და საკუთარ თავში იმის ძალასაც კი იპოვის, რომ სოლიდარობა გამოუცხადოს იმათ, ვისთვისაც სოლიდარობის გამოცხადებას მისი სინდისი უკარნახებს, ამ თავისი ამბოხით ხილ-ბოსტნეულით მოვაჭრე გამოვა „სიცრუეში ცხოვრებიდან" და დაარღვევს თამაშის წესს, იგი ისევ იპოვის თავის დათრგუნულ იდენტობას და ღირსებას და მისი ამბოხი „სიმართლეში ცხოვრების" ცდა იქნება.

ჰაველი თავის ესეიში „უძლურთა ძალა" ერთმანეთს უპირისპირებს ორ ცნებას — „ცხოვრებას სიცრუეში" და „ცხოვრებას სიმართლეში" — და მათ კონფლიქტს, მათ შეჯახებას ათავსებს ადამიანის სულში. მაშინ, როდესაც კლასიკურ დიქტატურაში ერთმანეთთან დაპირისპირებულნი არიან სოციალური ან სხვა ჯგუფები, „პოსტ-ტოტალიტარულ სისტემაში ეს ხაზი გადის de facto ყოველ ადამიანზე, რადგანაც ყველა ერთგვარად მისი მსხვერპლი და საყრდე-

ნია". ამგვარად, ჰაველის თანახმად, სახეზეა ორი ტენდენცია ადამიანში, პირველი არის მისი წყურვილი ღირსებისადმი, სიმართლეში ცხოვრებისადმი, და მისი უნარი, საკუთარ თავს აპატიოს და დაემორჩილოს ტყუილში ცხოვრების თვითმოძრაობას, ხშირად მხოლოდ იმიტომ, „რომ ასე იქცევიან", იმიტომ, რომ ასე ცხოვრობს ყველა და რომ აქ არ არის ალტერნატივა, რომელიც ადამიანს სხვა გზას მიუთითებდა. ცხოვრება სიცრუეში ქმნის რაღაც უეჭველობის, ჩვევის განცდას; მაგრამ ადამიანში არის სიმართლეში ცხოვრებისადმი სწრაფვაც, რაღაცნაირი ფარული შესაძლებლობა, პოტენცია, რომელსაც შეიძლება მიმართო.

სიმართლე, როგორც პოლიტიკური ძალა

„ცხოვრება სიცრუეში" — ეს მთელი საზოგადოების მიერ გაზიარებული მოჩვენებითობა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს მიღებული, თუ ის არ არის ამოცნობილი როგორც ყალბი. ეს არის „სიცრუეში ცხოვრების" ძირითადი წინაპირობა. რადგანაც ძალაუფლების მთელი სტრუქტურა მუშაობს საყოველთაოდ გაზიარებული იდეოლოგიის საფუძველზე, რომელიც არ არის ჭეშმარიტი, მაგრამ რომელიც მიღებული უნდა იქნას, როგორც ჭეშმარიტი, რადგან ის უნდა დარჩეს ძალაუფლების ფუნქციურ საყრდენად, მაშინ ამ იდეოლოგიის დარღვევა, მის ჭეშმარიტ ბუნებაზე მითითება ეჭვქვეშ აყენებს ძალაუფლების მთელ სტრუქტურასაც.

ისევ დრამატურგია...

დავუბრუნდეთ ისევ ჰაველის დრამატურგიულ მოღვაწეობას. მაშინ, როდესაც ჩეხოსლოვაკიაში ჰაველი აკრძალული იყო, საზღვარგარეთ მას ხოტბას ასხამდნენ. მან ზედიზედ ორჯერ მოიპოვა ამერიკული პრიზი „Obia" „შეტყობინების" და „გონების მოკრების გართულებული შესაძლებლობისათვის". სამშობლოში მისი პიესები არ იდგმებოდა, თეატრში კი, სადაც მუშაობდა, მისვლა აუკრძალეს. ამ პერიოდში იგი მეუღლესთან ერთად ჰრადეჩეკზე გადასახლდა, სადაც წლის უმეტეს ნაწილს ატარებდა და ტრუტნოვში, ლუდის ქარხანაში მუშად დაიწყო მუშაობა.

ჰაველის პიესაში „გონების მოკრეფის გართულებული შესაძლებლობა" (1968) ნაჩვენებია თანამედროვე ცხოვრების ფრაგმენტულობა. მთავარი გმირი არის დოქტორი ედუარდ ჰუმლი, რომელსაც სოციოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლები ეწვევიან იმ მიზნით, რათა მისი გონების ანალიზი მოახდინონ კომპიუტერის მეშვეობით. კვლევის მიზანი ისაა, რომ გააანალიზონ ადამიანი მთელი მისი სირთულეებით და განუმეორებელი ადამიანური ინდივიდუალობით. ჯგუფს სურს შექმნას ადამიანური ინდივიდის მოდელი, მაგრამ აღმოჩნდება, რომ კომპიუტერი ერთადერთი „ადამიანური" ინდივიდია დეჰუმანიზებულ და მექანიზებულ მეცნიერთა შორის.

„სამგროშიანი ოპერა" „ჩინოჰერნი კლუბისთვის" იყო დაწერილი, მაგრამ იქ მისი დადგმის განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა. მოამზადა მოყვარულ მსახიობთა მონაწილეობით. მისი წარმოდგენა კი გაიმართა რესტორნის დარბაზში დოლნი პოჩერნიცებში, სადაც დარბაზი იქირავეს და ბილეთების შეზღუდული რაოდენობა გასცეს. იქ სამას შესანიშნავ, ნიჭიერ ადამიანს მოეყარა თავი, რომლებსაც კომუნისტებმა დარაჯებად და მუშებად მიუჩინეს ადგილი. ამ წარმოდგენას ბევრი უსიამოვნება მოჰყვა, მაგრამ ახლა ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ძალიან ძნელია ერთ, თუნდაც ვრცელ წერილში ჩაატიო ვაცლავ ჰაველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თუნდაც ძირითადი მომენტები. სათქმელი ბევრი დამრჩა...

მოკლედ პოლიტიკაზე

ერთ-ერთი ინტერვიუს დროს, რომელიც მორიგი პატიმრობის შემდეგ არის ჩაწერილი, ჟურნალისტმა მას სამომავლო გეგმების შესახებ დაუსვა შეკითხვა, რაზეც ჰაველმა უპასუხა: „თუ გარეთ ვიქნები, სიამოვნებით დავუბრუნდებოდი ჩემს ლიტერატურულ მოღვაწეობას, მაგრამ ამით იმის თქმა არ მინდა, რომ მოქალაქეობრივ საქმიანობას თავს დავანებებ — ადამიანი წინასწარ არ გეგმავს, რომ ერთი წელი მოქალაქე იქნება, მომდევნო წელს კი – მწერალი".

* * *

1989 წლის ნოემბერში „დრამატულ კლუბში" ჩამოყალიბდა სამოქალაქო მოძრაობა — „სახალხო ფორუმი". ისევ ჰაველის ერთ-ერთ ადრეულ ინტერვიუს დავიმოწმებ, სადაც იგი ამბობს, რომ მას არ უნდა აქტიურ პოლიტიკაში ყოფნა და სურს მწერლობა, თეატრში მუშაობა... მაგრამ არსთა გამრიგემ სხვაგვარად გადაწყვიტა... 1989 წლის „ხავერდოვანი რევოლუცია" სწორედ თეატრიდან დაიწყო, სწორედ ვაცლავ ჰაველი იყო ის ფიგურა, რომელმაც სხვადასხვა შეხედულებების ადამიანთა გაერთიანება შესძლო და მოახდინა იმის ფორმულირება, რასაც ყველა ფიქრობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა ჩამოყალიბებას. მან კი ერთიანი სამოქმედო გეგმა დაუსახა მათ.

რევოლუციას, რომელიც თეატრში დრამატურგის მეთაურობით დაიწყო, ჰქონდა ეპიგრაფი, რომელსაც ჰაველის მეგობრები იმ დღეებში ხშირად იმეორებდნენ: „ნუთუ ეს შესაძლებელია?" რაც ჰაველმა ასე განმარტა: „პოლიტიკა შეუძლებელის ხელოვნებაა".

* * *

დაბოლოს, ჰაველის მთელი შემოქმედება დამაფიქრებელი და გამაფრთხილებელია. ვფიქრობ, მისი ნააზრევი მუდამ აქტუალური იქნება, ვინაიდან იგი ეხება ადამიანისთვის ყველაზე მთავარს — მის ეგზისტენციას, მის მრწამსს, მის თავისუფლებას, მის ადგილს სამყაროში, მის დანიშნულებას ამ სამყაროში და ამიტომ, „არასოდეს იკითხო, ვისთვის რეკს ზარი, ის რეკს შენთვის!" (ჯონ დონი. მედიტაცია 17).

P.S.S. 5 ოქტომბერს ვაცლავ ჰაველის დაბადების დღეა. რამდენიმე თვის წინათ ჩეხეთის მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო პრაღის რუზინის აეროპორტისთვის ვაცლავ ჰაველის სახელი მიენიჭებინა. ამ დღეებში კი ბოლო სამუშაოები მიმდინარეობს და აეროპორტის შენობასა და დარბაზებზე აღიმართება მთელი მსოფლიოსთვის კარგად ცნობილი გვარი და სახელი VACLAV HAVEL.

თამთა ცეცაძე

უხამსი მწერლობა – მიზეზთა შედეგი

2003 წელს გამოიცა წიგნი სახელწოდებით – „გენდერული თეორიების ანთოლოგია", რომლის შემდგენელია სოციო-ფსიქოლოგი ნანა ბერეკაშვილი. წიგნი პირველია ქართულ ენაზე, სადაც წარმოდგენილია გენდერული (სოციალურ პროცესებში ქალთა თანაბარი მონაწილეობის საკითხები) კვლევების უცხოელ ავტორთა თეორიული ნაშრომები. ამ ნაშრომებმა "მსოფლიოს მისცა ქალის, ადამიანის უფლებები, კაცობრიობის ალტერნატიული — არაძალადობრივი განვითარების თეორია... გენდერული სტერეოტიპების და როლების ცვლა ყოფაში, ქალის მიმართ დამამცირებელი პრაქტიკის, ანუ სექსიზმის გაცნობიერება, ქალის სექსუალობის გადააზრება და ა.შ."

საქართველოში გენდერული ცვლილებანი მხოლოდ ახლა მკვიდრდება. გენდერულ საკითხებს ამუშავებენ ენთუზიასტი მკვლევარები, პედაგოგები და ქალთა მოძრაობის აქტივისტები.

მეცნიერთა, კრიტიკოსთა, ლიტერატორთა დაბეჯითებით, ჩვენს უახლეს სიტყვიერ ხელოვნებაში არსებული ვულგარიზმები, რომელსაც გვთავაზობს უხამსი ენით მოაზროვნე შემოქმედთა ნაწილი, განეკუთვნება არა ხელოვნებას, არამედ ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ პრობლემათა სფეროს. რამდენადაც სოციოლოგია და ფსიქოლოგია ლიტერატურაში იჭრება, მხოლოდ ამდენად შეიძლება მსჯელობა ამგვარ საკითხებზე და მიიჩნევენ არა ლიტერატორთა, არამედ ფსიქოლოგთა და სოციოლოგთა საკვლევ სფეროდ.

ამ პრობლემებთან დაკავშირებით გავესაუბრეთ საქართველოში გენდერული კვლევების ერთ-ერთ აქტიურ მკვლევარს, მეცნიერს, სოციო-ფსიქოლოგს ნანა ბერეკაშვილს.

— ქალბატონო ნანა, თუ შეიძლება განგვიმარტეთ, რა არის გენდერი?

— გენდერი სქესის სოციალური შესატყვისია. მეცნიერებს ამ მოვლენის აღსაწერად დასჭირდათ გამოეყოთ ბიოლოგიური სქესი სოციალური სქესისაგან. სოციალურ სქესი გულისხმობს, რომ იმას, თუ როგორები არიან ქალი და მამაკაცი, ბიოლოგიით კი არ განისაზღვრება, არამედ მათ ასეთად ყოფნას განსაზღვრავს საზოგადოებრივი ნორმები, ესა თუ ის კულტურა, საზოგადოებრივი როლები, სოციუმი. სოციალურ მეცნიერებათათვის, ან ვინც გენდერულ თეორიებსა და პერსპექტივებს იზიარებს, ქალის და კაცის მოცემულობა მთლიანობაში ძირითადად არის შეძენილი, მიწებებული. ქალი, როგორც სოციალური კონსტრუქტი, და მამაკაცი, როგორც სოციალური კონსტრუქტი, სხვადასხვა ეპოქასა თუ კულტურაში სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი.

— რა ძირითადი განსხვავებანი და მსგავსებანია ფემინიზმსა და ემანსიპაციას შორის?

— ამ საკითხს ამგვარად ვერ განვასხვავებდი. ემანსიპაცია შეიძლება ეხებოდეს ყველასა და ყველაფერს, ყველა სოციალურ ჯგუფს. ემანსიპაცია არის გათავისუფლება, გაშლა, ჩარჩოებიდან გამოსვლა, რომელიც შეიძლება ეხებოდეს როგორც რასობრივ, ისე ნებისმიერ სოციალურ ჯგუფსა თუ მოვლენას. რატომღაც ტრადიციულად ისე დამკვიდრდა, რომ ემანსიპაცია ქალთა მოძრაობასთან იყო ასოცირებული. ალბათ იმიტომ, რომ ბოლო საუკუნეში ყველაზე გაშლილი და ეფექტური მოძრაობა ქალებმა წარმოგვიდგინეს, რასაც XX ს-ის დასაწყისში ემანსიპაციას უწოდებდნენ. როდესაც ყოფითობაში ემანსიპაციაზე საუბრობენ, ქალთა ემანსიპაციას გულისხმობენ, თორემ ემანსიპაცია არ ნიშნავს მხოლოდ ქალებს, შესაბამისად ფემინისტურ მოძრაობას, რაც არის მართლაც ქალთა გათავისუფლებისათვის მოძრაობა.

— ხომ არ არის ფემინისტური მოძრაობა და გენდერული ხედვა ოჯახის ინსტიტუტთან მიმართებით განყენებული. თითქოს ფემინური მოძრაობა და გენდერული ხედვა უარყოფს ოჯახის ინსტიტუტს, რომელიც ეპოქების მანძილზე და ყველა საზოგადოებაში არსებითია.

— საერთოდ, ფემინიზმისათვის დამახასიათებელია კრიტიკული ხედვა ყველა არსებული ინსტიტუტის მიმართ, შესაბამისად ფემინისტური კრიტიკის ქვეშ ოჯახის ინსტიტუტიც ექცეოდა. გენდერული მიდგომის საფუძველი ძველი ინსტიტუტების რეკონსტრუქციაა, სამაგიეროდ, იწყება ახალ პერსპექტივათა დანახვა, რაც თავისთავად ძალზე კრეატიული მიდგომაა.

ფემინიზმისა და გენდერულ კვლევათა მთავარ სამიზნეს (რადგან გენდერული კვლევებიცა და მიდგომაც ამოზრდილია ფემინიზმიდან) წარმოადგენს პატრიარქატი, მისთვის დამახასიათებელი ყველა ინსტიტუტით, პრაქტიკითა და თეორიებით. ფემინიზმი მიიჩნევს, რომ ყველა საზოგადოებრივი მანკიერება გამოიწვია პატრიარქალურმა მდგომარეობამ. პატრიარქატში იგულისხმება არამარტო მამაკაცთა ბატონობა ქალებზე, არამედ ზოგადად იერარქიული ურთიერთობების, აგრესიულ, ძალადობრივ მეთოდებთა დომინირება. პატრიარქატში წამყვანია უფრო დირექტიული და ავტორიტარული ფორმები. ამერიკელმა მეცნიერმა, ფსიქოლოგმა რიან აისლერმა ნაშრომში „თასი და მახვილი" პატრიარქატს მახვილის, ხმლის კულტურა უწოდა, რომელიც აგრესიულობაზე, კონკურენციაზე, მოხვეჭაზე, გამარჯვებაზე, დათრგუნვასა, და ბატონობაზეა მთლიანად ორიენტირებული.

— განა ბიოლოგიაშიც ასე არ არის?

— რა თქმა უნდა არა. ბატონობა ადამიანური ცნებაა. ბუნებაში არის სახეობანი, სადაც დომინირებენ მამრები, მაგრამ ზოგ სახეობაში მამრი არ არის არც ზომით დიდი და არც ძლიერი. მაგალითად, ფრინველთა და მწერთა ზოგ სახეობაში თანაცხოვრება პარიტეტულია და ამ მხრივ ისინი ძალზე სიმპათიურებიც არიან. ამფიბიების ზოგ სახეობაში მდედრები დომინირებენ სიდიდითაც და ძალმოსილებითაც. ბიოლოგიურად სიდიდე-სიძლიერე მიკუთვნებულია თუ არა სქესს, ძნელი სათქმელია. არის სახეობანი, სადაც ლიდერობენ მდედრები, მაგრამ სადაც ჯგუფური ცხოვრება მიმდინარეობს, ძირითადად მამრი ლიდერობს. ამის მიუხედავად, ეს არ არის აუცილებელი მოდელი თვით ბიოლოგიაშიც კი, მითუმეტეს, როგორც გვთავაზობს გენდერი და სოციო-კულტურული მიდგომები, ნუ მივეჯაჭვებით ბიოლოგიას.

— პოლიგამურობა და მონოგამურობა სისუსტე-ძალასთან ხომ არ არის კავშირში, ხომ არ თამაშობს ძალა წამყვან როლს პოლიგამურობაში და სისუსტე მონოგამურობაში?

— მოდით ასე დავაკონკრეტოთ, არა ძალა, არამედ ძალაუფლება. პატრიარქატში რა თქმა უნდა ძალაუფლება მამაკაცის სასარგებლოდაა და პატრიარქატიც სწორედ ამით ხასიათდება. მომხვეჭელობა, გამდიდრება, მრავალი სექსუალური პარტნიორის ყოლა, სხვათა დამორჩილება... ყოველივე ეს ძალაუფლებას ახასიათებს. თუ ვიგულისხმებთ, რომ მამაკაცებს კუნთური სისტემა უფრო მეტი და განვითარებული აქვთ, ან ძვლოვანი სისტემა შედარებით უფრო მსხვილი, შეიძლება ეს გახდეს გადამწყვეტი მიზეზი, რომ სხვათა და სხვათა გადაწყვეტილების მიღება, ან სხვადასხვა პროცესებში წამყვანი როლით მონაწილეობა მხოლოდ მამაკაცებს შეეძლოთ? არადა, ძალაუფლების არათანაბარი განაწილების შემთხვევაში სწორედ ამაზე ახდენენ აპელირებას. იმავე ლოგიკით, ზოგიერთი ცხოველის ძალა ბევრად აღემატება ადამიანის და კერძოდ მამაკაცის ძალას. ჩვენთვის სულ სხვა ფაქტორებია საძიებელი: რატომ ხდება, რომ ერთი ჯგუფის ხელში თავმოყრილია ძალაუფლება თითქმის ყველა სფეროში.

ნანა ბერეკაშვილი

— მამაკაცთა ძალმოსილება ხომ მათთვის დამახასიათებელი ბიოლოგიური რიტმიდან მომდინარეობს, რომელიც თვისობრივია უპირატესად მათთვის, მაგალითად, აგრესიული ქმედებანი, მიკერძოებული აღქმა სამყაროს, რომელიც ძალისმიერი აზროვნებიდან გამომდინარეობს, თქვენი აზრით, პოლიგამურობის გამოა თუ სოციუმის მიერ „მიწებებული“ წესებისა და პატრიარქალური ინსტიტუტებისა?

— თქვენ ეს შეკითხვა შეგიძლიათ დაუსვათ სოციო-ბიოლოგებს ან ევოლუციონისტებს, რომლებსაც ძალიან უყვართ ბიოლოგიურ საწყისებში ჩაძიება, საიდანაც აგებენ თეორიებს, თუ რატომაა მამაკაცი უფრო აქტიური, რატომ უნდა დომინირებდეს, ჰყავდეს მრავალი სექსუალური პარტნიორი და ა.შ. გენდერული თეორიები ასეთ მიდგომას არ იზიარებს, თუმცაღა ბიოლოგიური განსხვავებანი არის ქალსა და მამაკაცს შორის, მაგალითად რეპროდუქციულობაში უამრავი ბიოლოგიური განსხვავებაა, მაგრამ თუ ასე ძალიან ჩავაცივდებით ბიოლოგიურ განსხვავებებს, განვითარებისა და სხვა სოციალურ მოდელებს არსებობის პერსპექტივას მოვუსპობთ.

— არამარტო ბიოლოგია, კაცობრიობის ისტორიის ამა თუ იმ მეცნიერების უწყვეტი ნაკადი სხვადასხვა რაკურსით არ გვაწვდის მამაკაცის სამყაროს უპირატესობას ქალის სამყაროსთან შედარებით?

— საუკუნეების მანძილზე ყველა მეცნიერება ანდროცენტრიზმის ნიშნით ვითარდებოდა. მამაკაცებისგან შედგებოდა მკვლევართა და თეორეტიკოსთა უწყვეტი ხაზი. მაგალითად, მეცნიერებაში ადამიანს მხოლოდ მამაკაცი განასახიერებდა. მამაკაცი ადამიანის თეორეტიზაციას ქალის ხედვის გარეშე ახდენს. მისი მეცნიერული კვლევის სტანდარტი მხოლოდ მამაკაცი გახლდათ, ადამიანის სხეულებრივი სტანდარტიც კი არსებობდა, და ამას მხოლოდ მამაკაცი განასახიერებდა. რაც შეეხება ქალს, ის სტანდარტიდან, ნორმიდან ერთგვარ გადახვევად მიიჩნეოდა. ბიოლოგიურ თეორიებში აშკარად ჩანს, რომ XVIII ს-მდე ქალის სხეული არ იყო შესწავლილი, როგორც განსხვავებული. მხოლოდ ის განიხილებოდა, მამაკაცს რაც აქვს და ქალს არა, რის გამოც ყოველთვის არასრულფასოვნების თემა ტრიალებდა ქალთან დაკავშირებით. ის უამრავი ბიოლოგიური უნარი-უპირატესობა, რაც ქალს გააჩნია კაცთან შედარებით, განგებ იჩქმალებოდა. ბუნებრივია, საუკუნეების მანძილზე აღზრდილი თაობები, საზოგადოებები, სხვადასხვა მეცნიერებათა დინების შესაბამისად იზრდებოდნენ, ცხოვრობდნენ. ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებაში ქალის სტატუსიც. ქალი ბავშვის სტატუსშია ჩაყენებული, რომელსაც ყოველთვის უნდა მოუძებნონ ან მოიძებნოს პატრონი — უფროსი. შესაბამისად, საზოგადოებაში მეცნიერული სწავლებანიც ანდროცენტრულია.

— ფემინისტთა აზრით, რელიგია, უკლებლივ ყველა კულტურაში ძირითადად ემსახურება მამაკაცის ძალის დემონსტრირებას. ამ ფონზე, თქვენმა მოღვაწეობამ რა სახის ცვლილებანი შეიძლება მოუტანოს საზოგადოებას?

— გააჩნია როგორ გვესმის რელიგია, თუ რელიგიაში პირველ რიგში ვიგულისხმებთ სულიერებას, სულიერებისაკენ ყველას აქვს გზა. მაგრამ თუ რელიგია მორიგი პატრიარქალური ინსტიტუტია, შეიძლება განვიხილოთ პატრიარქატის ერთ-ერთ გამოვლინებად. ბუნებრივია, პატრიარქალურ საზოგადოებაში პატრიარქალური ინსტიტუტები იქმნება, ანუ სწავლება რელიგიების შესახებ, თუ პატრიარქალურ საზოგადოებაშია შექმნილი, იგი ისეთ ფორმებს მიიღებს, როგორიც დღესდღეობითაა. ძველ წარმართულ რელიგიებში მდედრობითი ღმერთების კულტები დომინირებდა. სავარაუდოა, საზოგადოებამ ჩამოაყალიბა ამ სახით რელიგია, ანუ როგორც პატრიარქალური ინსტიტუტი, თორემ რელიგიაში მისტიკური კავშირი უზენაესთან, სწრაფვა სულიერებისაკენ უსქესო უნდა იყოს, მაგრამ უსქესო არ არის, რადგან ინსტიტუციური სტრუქტურით პატრიარქალურია.

— 60-70-იან წლებში ფემინისტური მოძრაობის ერთი ფრთა მამაკაცთა სოციალური ჯგუფისაგან სრული გამოთავისუფლების მიზნით, რადგანაც სარწმუნოება მამრობითი სქესისაა, მოითხოვდა ქალური — ფემინური რელიგიის დაარსებას.

— არ გამიკვირდება, მაგრამ უშუალოდ ამის შესახებ არაფერი მსმენია. 60-70-იან წლებში უამრავი მოძრაობა და

გაერთიანება არსებობდა, რომლებსაც ძველის ნგრევის, ახლის ძიებისა და შექმნის სურვილი ჰქონდა, რის გამოც ვითარდებოდა მრავალფეროვანი იდეები. ფემინისტთა ერთ-ერთი ფრთა ქადაგებდა მამაკაცთა კულტებისაგან სრულ იზოლაციას. მიიჩნევდნენ, რომ თანაარსებობაც კი ძალზე ძნელია მათთან. რასაკვირველია, უკიდურესი პოზიციაა, მაგრამ ძალზე კარგად გამოხატავდა ერთ კონკრეტულ აზრს, რომ ჩვენი თანაარსებობა ყოველთვის ერთის დომინირებაშია და მეორის ჩაგვრაში. წადილი გასაგებია, მოწყდე იმას, რაც საუკუნეთა მანძილზე გთრგუნავს. დღეს პროტესტანტულ სამყაროში ქალი თავისი სულიერების ხორცშესხმას ახდენს ინსტიტუციურ სტრუქტურაში ჩართვით, არამარტო როგორც მორწმუნე, არამედ აქტიური მსახურიც. სხვადასხვა პროტესტანტულ ქვეყნებში, მათ შორის ბალტიისპირეთშიც კი, დაახლოებით ბოლო ორი დეკადის მანძილზე ძალზე ფართოდ გაიშალა ქალთა რელიგიური მოღვაწეობა. საინტერესოა ის, რომ ქალი მრევლი უმეტესად ქალ მოძღვარს ირჩევს, ვიდრე მამაკაცს. ქალი კი არ ამსხვრევს რელიგიურ ჩარჩოებს, არამედ თავისი წვლილითაც შემოდის.

— ქალბატონო ნანა, თქვენი ხედვით, სოციუმში რომელი ფსიქო-სოციალური მიზეზებია გამომწვევი მამაკაცის ასე პასიურ მდგომარეობაში ყოფნის და ქალთა სოციალური ჯგუფის ასე გააქტიურების?

— ისევ პატრიარქატს რომ მივუბრუნდეთ, პატრიარქატში მამაკაცს შეუძლია იყოს პასიური. უფლებრივად უფროსის, მებატონის სტატუსი ისედაც აქვს, რის გამოც პრაქტიკულად შეუძლია იყოს ძალზე პასიური, დატკბეს ცხოვრებით და ნომინალურად ასრულოს ლიდერის ფუნქციები. პატრიარქალური როლების გადანაწილებაში კი შემსრულებელი, მით უფრო საქართველოში, ყოველთვის ქალია, თუ სამსახურს (შრომას) გულისხმობთ, ქალი ყოველთვის წელებზე ფეხს იდგამდა. ამის საუკეთესო მაგალითი ქართული სოფლების ყოველდღიური ყოფაა. კაცების უმეტესობა მხართეძოზეა წამოწოლილი, ხოლო ქალაქურ რეალობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდა მამაკაცები, დგანან რაღაცის, აბსტრაქტულის მოლოდინში, რომ „რაღაცა გამოჩნდება...“ რაც შეეხება ქალს, მან ყველგან და ყოველთვის იცის, რომ მუდმივი შრომის ვალდებულება ყოველთვის მისი საზიდია. დასავლეთის იდეური დახმარება მიმართულია ქალების პოლიტიკასა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გააქტიურებისათვის, რომელიც მრავალი პროცესითა და პროგრამით ხორციელდება. მაგალითად, ადგილობრივ თვითმართველობაში, პარლამენტში, რაც პატრიარქალურ ზღვაში წვეთია. ქალის გააქტიურებას არქმევთ ალბათ საჭესთან მომართულ მანდილოსანს, რაც 20, 30 წლის წინათ ტაბუირებული იყო. შეიძლება ითქვას, საქართველო უცნაურ ტაბუთა სამყაროა. მაგალითად, მოწევა მავნებელია ორივე სქესისათვის, მაგრამ ქალებისათვის სოციალურ-კულტურულ ტაბუს წარმოადგენს. დაუკვირდით, ნებისმიერ პარკში პენსიონერ მამაკაცთა ჯარია, ანუ ხანდაზმულ მამაკაცთა ინსტიტუტია, ამ დროს დასვენებულ პენსიონერ ქალს ვერ წააწყდებით. ქალისათვის ტაბუა იმის დემონსტრირება, რომ მას აქვს დრო. თუ ქალს კიდევ რაიმეს კეთება შეუძლია, ქანცის განყვეტამდე უნდა აკეთოს საქმე. მართალია ქართულ საზოგადოებაში რაღაც ცვლილებანია, მაგრამ უმნიშვნელო და მინიმალურია, ვიდრე დანარჩენ სამყაროში.

— უახლეს ქართულ მწერლობაში, შემოქმედთა მიერ სამყაროს (ყოველდღიურობის) უხამსი აღქმა ხომ არ ნიშნავს სოციუმში მათდამი მინიჭებული უპირატესობის შესუსტება-დაკარგვის გაუცნობიერებელ, ან თუნდაც წინასწარ ცნობიერ შიშს?

— თქვენი ლოგიკით, სადაც მართლა ყველაზე ეგალიტარული ურთიერთობებია, სადაც ქალმა მართლაც აქტიური პოზიციები დაიკავა და გათანასწორებისკენაა ცხოვრების წესები მიმართული, მაგალითად, სკანდინავიურ ქვეყნებში, მამაკაცი ყველაზე უფრო გაღიზიანებული იქ უნდა იყოს და ყველაზე უფრო უხამსი თხზულებანიც იქ უნდა იწერებოდეს, მაგრამ ეს ასე არ არის. ჩვენს რეალობაში გადამწყვეტი როლი საბჭოთა პურიტანიზმმა ითამაშა. აღნიშნულ თემაზე ტაბუირებული იყო ფიქრიც კი, არათუ წერა.

— თუნდაც დაგეთანხმოთ, მაგრამ კომუნიზმის პურიტანული მარწუხები ხომ არ ზღუდავდა არც ამერიკას და არც ევროპას?

— რაც ჩვენ ვერ გავიარეთ, მოდერნიზმის, პოსტმოდერნიზმის სახით ყველაფერმა ერთად სიტყვის შეუკავებლობაში მიიღო ასეთი ფორმა. ძირითადად ტაბუს ახსნასაც აქვს ადგილი.

— უკლებლივ ყველა ეპოქასა თუ კულტურაში (უკულტურობაშიც) ყოველთვის იყო ტაბუირებული თემა ინცესტის გამოხატულება, სიტყვიერ, მითუმეტეს ცნობიერ დონეზე. აუტოაგრესიაც რომ გამოვრიცხოთ მაგალითად, „ჩემი დედა...“ „მამაჩემის...ვიყო“-ს სახით, არა მგონია, რომელიმე კულტურისათვის ახსნილ ტაბუდ ჩაითვალოს მაგალითად, „დე, პირში აიღებ?..“

— უკიდურესად უსიამოვნო ფორმაა თუ როგორ წერენ და რა თქმა უნდა არასასურველია, შემოქმედებითი სიახლე ჩვენთან უხამსობის სახით შემოვიდეს, მაგრამ მაინც შემოვა თუნდაც იმიტომ, რომ მსოფლიო უკვე ღია სივრცეა. ეს უფრო რაღაცა ტიპის ახალი მოვლენაა, რომელიც აუცილებლად შესასწავლია. საინტერესოა შევადაროთ თუ რა ხდება სხვა ქვეყნების კულტურაში, საყურადღებოა, თუ რამდენად თანადროულია იქ მიმდინარე თუ არსებული ლიტერატურული ტენდენციებისათვის.

— მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა მოხსნა კაცის ძალის უპირატესობა; კლონირება, როგორც მოვლენა აშკარა პროტესტია მამაკაცის მიმართ; მასშტაბური სოციალური დაუსაქმებლობით გამოწვეული უფუნქციობა მათ სტატიკაში აქცევს; მამაკაცი (შემოქმედი) ალღოთი ხომ არ გრძნობს: ყველაფერში, რაშიც იყო წარმმართველი, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესითა თუ ცხოვრების ახალი წესებით თანდათან ხელიდან ეცლება. პასუხად აგრესიულ უხამსობას გვთავაზობს ცნობიერების იმ გამოხატულებით, რასაც ზოგადად (მსოფლიო) შემოქმედება და კერძო (მსოფლიო) მწერლობა ეწოდება.

— ასეთი წერის კულტურა (კულტურა ბრჭყალებში, რადგან ძნელია ამ მოვლენას კულტურა ვუწოდო) გაჩნდა. ექსპერიმენტატორ მწერალთა ლიტერატურული ამოცანა მკითხველზე ერთგვარი შოკის მოგვრაც იყო და ამ ტიპის მწერლებმა მიზანს ნამდვილად მიაღწიეს, შოკური ეფექტი მართლაც გამოუვიდათ.

ჩემთვის ცნობილი ვერცერთი სოციალური პროცესი ამ სახის ნაწერებს ვერ ახსნის. სოციალური თვალსაზრისით, ბოლო რამდენიმე წელიწადია არავითარი სიახლე არ მიმდინარე-

ობს. რაც შეეხება ტექნოლოგიებს, კაცობრიობის განვითარება ტექნოლოგიათა განვითარებასაც ნიშნავს. დღეს არანაირი განსაკუთრებული დრო არ არის საიმისოდ, რომ მამაკაცს რაიმე საშიშროება ეგრძნო. პირიქით, მასკულინური აზროვნება დომინირებს და საკმაოდ წარმატებულადაც. ეს იქიდანაც თვალნათლივ ჩანს, ქალს თუ უნდა ცხოვრებაში იყოს წარმატებული, მხოლოდ მასკულინური მოდელით ხელმძღვანელობს. ფაქტობრივად წარმატებისათვის ქალს სხვა არჩევანი არცა აქვს. იგი ირჩევს დომინირების, კონკურენციის, ცოტა ძალადობრივი მანიპულაციების პრინციპს, ირჩევს სიმრავლისა და არა ხარისხის, მომხვეჭელობის (რაც მკვეთრად მასკულინური ბუნებისთვისაა) პრინციპს. დღევანდელი წარმატებული მოღვაწე ქალის ტიპი ძირითადად მასკულინურ თვისებათა და ღირებულებათა ხარჯზე აღწევს წარმატებას. ძალიან გამიჭირდება დავასახელო, ფემინური ღირებულებებით რომელიმე ქალი განსაკუთრებულად წარმატებული იყოს. დღევანდელი კონკურენცია წარმოადგენს ურთიერთობათა წმინდა მასკულინურ მოდელს და თუ ამ კონკურენციაში რომელიმე ქალი „გაძვრა“ (ბიზნესში, პოლიტიკაში, ხელოვნებასა თუ მეცნიერებაში), უკვე ნიშნავს, რომ მასკულინური ტიპის ღირებულებანი მას გაზიარებული ჰქონია და საკმაოდ ეფექტურადაც შეუთვისებია. მე უფრო სხვა რამეს განვიცდი, კარგი იქნებოდა ღირებულებათა ტრანსფორმირება მომხდარიყო არა იმ სახით, რომ მამაკაცმა იგრძნოს თავისი ნაკლულობა, არამედ სხვა ღირებულებანიც გახდეს გაზიარებული და წამყვანი მამაკაცთა სოციალური ჯგუფის მხრიდან. მაგალითად, ისეთი ფემინური ღირებულებები, როგორიცაა პარტნიორობა, ზრუნვა, სილამაზე... სკანდინავიურ საზოგადოებაში თვალსაჩინოა სწორედ ფემინურ ღირებულებებზე ორიენტირება, მაგალითად, მათთან ბავშვზეა ორიენტირებული მთელი კულტურა, რაც ფემინური ღირებულებაა. მათთვის ძირითადი საზრუნავია თუ როგორ შეიქმნას ბავშვის ზრდისა და განვითარებისათვის არაჩვეულებრივი გარემო, რომელშიც მამაკაცი არ თაკილობს, პირიქით, სიამოვნებით მონაწილეობს აღზრდის ყველა პროცესში. დიდ ღირებულებათა ტენდენციები თუ ასეთი ტრანსფორმაციით შემოვა, რაღა თქმა უნდა, მისასალმებელი იქნება. რაც შეეხება მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს (ან კი სადა გვაქვს ასეთი რამ), განსაკუთრებით ქართულ ურთიერთობათა სამყაროში, ვერ ვიტყოდი, თითქოს მამაკაცი ამან ისე დააფრთხო, რომ ცნობიერება შეუცვალა მწერალს და მით უფრო საზოგადოებას.

— **გენდერული ხედვით, ქალის ფსიქოლოგია განსხვავდება თუ არა მამაკაცის ფსიქოლოგიისგან, მაგალითად, როგორც ორი სხვადასხვა მონაცემი?**

— თუ ფსიქოლოგიას მივუდგებით როგორც სოციალურ მეცნიერებას, ფსიქოლოგია აგროვებს უფრო და უფრო მეტ მონაცემს იმის თაობაზე, რომ ამ მეცნიერებაში სქესთა შორის აღიარებული განსხვავებანი ხელოვნურად იყო გაზვიადებული. დღესდღეობით ფსიქოლოგები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თუ ხელოვნურად უტრირებულ განსხვავებებს გამოვრიცხავთ, ძალზე მინიმალური დარჩება განსხვავება ორ სქესს შორის. მაგალითად, აგრესიულობის დონე მამაკაცებში უდავოდ განსხვავებულია; ყოველთვის დაჟინებით ამტკიცებდნენ, მათემატიკური და სივრცითი უნარები მამაკაცს უფრო განვითარებული აქვსო, მაგრამ ეს განსხვავებანი ბოლო ხანს იმდენად შემცირდა, ანუ იმდენად მიუახლოვდა ერთმანეთს, რომ, როგორც ჩანს, დიდად იყო განპირობებული სოციალიზაციის — აღზრდის პროცესით და არა ქალთა ნაკლებუნარიანობით. თუ ჩვენ მივუახლოვებთ აღზრდისა და სოციალიზაციის პირობებს, საბოლოოდ ვნახავთ, რა შეგვრჩება განსხვავება და რა იქნება საერთო. დღესდღეობით გენდერული ფსიქოლოგია ხელაღებით ვერაფერს ვერ ამბობს ქალსა და მამაკაცს შორის უზარმაზარ განსხვავებათა შესახებ. მაგალითად, ქალი დღეს სოციალურად უდავოდ უფრო კონფორმულად იქცევა. იმის ხარჯზე, რომ აღმზრდელი ასწავლის მას, იყოს უფრო შემგუებლური და დამთმობი.

— **გენდერული ხედვიდან გამომდინარე, რატომ უნდა იყოს უფრო შემგუებლური და დამთმობი, როლების გადანაწილება ხომ ისევ მასკულინურია და არა ფემინური. თქვენ ხომ სოციალიზაციისა და აღზრდის მასკულინური მოდელის ცვლილებებისთვის იღვწით?**

— ეს აღზრდის ტრადიციული მოდელებია, რომლებიც ძალიან ძნელად დაექვემდებარება რაიმე სახის ცვლილებას. სრულიად არაცნობიერად, გოგონას ვესაუბრებით სხვანაირად, განსხვავებული ხმის ინტონაციითაც კი. სტატისტიკურად დადგენილია, ჩვილ ბიჭებს გარეთ ატრიალებენ სახით, ხოლო გოგონებს თავისკენ. გოგონას ტირილს უფრო თანავუგრძნობთ, უფრო შევიცოდებთ, ბიჭს — პირიქით, გავამხნევებთ: შენ ძლიერი ხარ; ან შევუძახებთ: პრობლემას არ დაუფრთხე...

— **ამგვარი მიდგომა უფრო მამაკაცის სქესის მოტყუებას არ ჰგავს?**

— არა, ეს უფრო ორივე სქესის მოტყუებაა. ქალს შთავაგონებთ, რომ ის არის სუსტი და დამთმობი, ხოლო ვაჟს შთავაგონებთ ძლიერებას იმისათვის, რომ დავუკმაყოფილოთ უძლურების უარყოფის მოთხოვნილება. ანუ აღზრდისას მიმდინარეობს სისუსტის კომპლექსთა აღმოფხვრის პროცესები. აღზრდაში ტრადიციული ფორმების შენარჩუნება აუცილებელია მანამდე, სანამ საზოგადოებაში არ მოხდება გაცნობიერება სიახლის გავლენის აუცილებლობის შესახებ. თვითონ საზოგადოება უნდა შეთანხმდეს, რომ მას სურს თანასწორი ადამიანები ყველაფერში, სქესობრივად, რასობრივად და ა.შ. მხოლოდ და მხოლოდ ამის შემდეგ გვეცოდინება, თუ როგორი ცვლილებანი უნდა წარმოვადგინოთ აღზრდის პროცესში. მაგალითად, ამერიკის სასკოლო ლიტერატურაში წინასწარაა განსაზღვრული, თუ რამდენი შავკანიანი ბავშვი უნდა ეხატოს, რათა შავკანიანთა გამოუსახველობამ არ მიიღოს საზოგადოების მხრიდან მათი უარყოფის ხასიათი. არაცნობიერად ხომ ყოველივე ილექება. ჩვენს საბავშვო სახელმძღვანელოებში კი ორჯერ მეტი ბიჭი, მამაკაცი პერსონაჟია გამოსახული, რაც არაცნობიერად, ლატენტურად ასევე ილექება ბავშვის ცნობიერებაში. ბიჭის ცნობიერებაში არეკლილია მეტობით („რადგან მეტნი ვართ“), ძლიერებით („რადგან აქტიურად ვართ გამოხატულნი“). შესაბამისად, გოგონები წარმოჩენილნი არიან ნაკლები როლური მოდელით, განვითარებისათვის და მიბაძვისათვის იმპულსი ნაკლებია და ა.შ.

— **ვთქვათ, გამომსახველობითი თუ სხვა რამ სახით წარმოდგენილი აღქმითი მეტ-ნაკლებობა შემდგომში უარყოფითად არ იმოქმედებს ვაჟებზე?**

— რას ნიშნავს უარყოფითად, უბრალოდ, იმოქმედებს ეპოქის შესაბამისად. მაგალითისათვის გადახედეთ პრესას, სადაც პირველი ოთხი გვერდი, თუ რამ ხდება მნიშვნელო-

ვანი (პოლიტიკაში, ბიზნესში, სკანდალებში, სპორტში...) მხოლოდ მამაკაცთა სახეები ფიგურირებს. შემდეგ ჩნდებიან ლამაზმანი მოდელები, ანუ მეორეხარისხოვანი მოხმარების მანეკენური დატვირთვის ქალთა სახეები. ჩვენს საზოგადოებას თუ ენდომება ამგვარი პრაქტიკის გაგრძელება, გარწმუნებთ, არსებული მდგომარეობა კვლავაც გაგრძელდება. დღეს ქალს არამარტო ჩურჩხელა ამოჰყავს, როგორც ეს ერთი საუკუნის წინათ ხდებოდა და ჩვენი საზოგადოება დღესაც იგივე მოდელს სთავაზობს ბავშვებს სასკოლო ლიტერატურაში, არამედ კომპიუტერთანაც შეიძლება ისხდნენ. ამერიკის უნივერსიტეტის ქალთა ასოციაციამ სახელმძღვანელოების სპეციალური შესწავლის შემდეგ გარკვეული გამომსახველობითი სტანდარტები შეიმუშავა, რათა გოგონებში არ გამოწვეულიყო დაბალი თვითშეფასების შეგრძნება. ისინი ფსიქოლოგიური შედეგებით იყვნენ დაინტერესებულნი, რაც მართლაც იწვევდა ფსიქოლოგიურად გოგონებში ნაკლოვანების განცდას. თანასწორობის მოწოდება შეიძლება სხვადასხვა დამხმარე ხერხებით. შეიძლება მოხდეს ქალის რეპრეზენტაცია, რაც უარყოფითის მომტანი სულაც არ იქნება ვაჟებისათვის. ჩათვლიან, რომ გოგონას ასევე შეუძლია გამოისახოს კომპიუტერთან, როგორც არის ცხოვრებაში, ანუ იყოს ეპოქასთან შესატყვისი. ქართულ საზოგადოებაში, სამწუხაროდ, პირიქით ხდება, წიგნებში ბავშვებს მოცემული აქვთ სულ სხვა რეალიები და ცხოვრობენ სულ სხვა ეპოქაში.

— ქალბატონო ნანა, თქვენ ბრძანდებით დედა. ტრადიციული მიმართულებით ზრდით შვილებს თუ ისე შემართული, როგორც თქვენს ნაშრომებში წარმოგვიდგებით?

— ძალიან გამიჭირდება მთლიანად ამოვვარდე რეალური კონტექსტიდან. ჩემს დაკვირვებებსა და აზრებს არ ვმალავ, ვცდილობ გავაცნობიერო შეცდომები, მცდარი მიდგომები, რომელსაც მე თვითონ მივუთითებ ლექციებსა თუ შემოქმედებაში, მაგრამ ძირითადს განსაზღვრავს გარე სოციალური კონტექსტი. კონტექსტი არის ოჯახი, მეგობარ-ნათესავები, მთელი საზოგადოება. ჩემი შვილებისთვისაც მხოლოდ მე არ ვარ კონტექსტი. სხვათაშორის, მთელ რიგ ქვეყნებში იქმნებოდა ძალიან საინტერესო ექსპერიმენტები: ეგალიტარულად განწყობილი მშობლები იკვრებოდნენ კომუნებად და ცდილობდნენ ბავშვები აღეზარდათ გენდერული თანასწორობის პრინციპებით, მაგრამ ბავშვებს როგორც კი კომუნის გარეთ უხდებოდათ გასვლა, ეჯახებოდნენ ყოველდღიურ, სულ სხვა რეალობას, რომელშიც მათ ძალიან უჭირდათ ადაპტაცია. ბავშვებისათვის უცნობი იყო ის გაზიარებული ღირებულებანი, რომლებიც ძალიან შორს იყო სქესთა თანასწორობის გაგებასთან, და ეს მათში ღირებულებითი კონფლიქტის და ფრუსტრაციის წყარო ხდებოდა.

— სტუდენტებს რამდენად იზიდავს ახალი ცოდნა?

— სტუდენტებს ძალიან აინტერესებთ, თუმცა მიიჩნევენ, რომ ეს ის სფეროა, სადაც უნდა იკამათონ, განსაკუთრებით ვაჟებმა. ნებისმიერი, თუნდაც სხვა სფეროდან მოყვანილი მეცნიერულად დასაბუთებული ფაქტები, რომელსაც აწვდი, იღებენ, ითვალისწინებენ, მაგრამ აქ თავს უფლებას აძლევენ, რომ ყველაფერზე იკამათონ. იმიტომ, რომ ცოტა არ იყოს, დაზაფრულები და შეშინებულები არიან, თითქოს ახალი ცოდნით რაღაცა ემუქრებათ. საბოლოოდ ახალი ცოდნა ძალზე სასარგებლო და მიმზიდველი რჩება ყველასათვის.

გურამ ყორანაშვილი

როგორ იწერება საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია

„საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეულის ბოლო, მეოთხე ტომი გადმოსცემს ჩვენს ახალ და უახლეს ისტორიას 1801 წლიდან მოყოლებული 1990 წლის 14 ნოემბრის ჩათვლით, როდესაც ბოლო მოეღო საბჭოურ პოლიტიკურ წესწყობილებას. პირველი პერიოდის ავტორი გახლავთ აწ განსვენებული ცნობილი ისტორიკოსი ალექსანდრე ბენდიანიშვილი, 1921 წლიდან მოკიდებული პერიოდისა — ისტორიკოსები მაყვალა ნათმელაძე და ალექსანდრე დაუშვილი.

მკითხველებს ეცოდინებათ, რომ 1801 წლიდან დაწყებული პერიოდის ისტორია დიდად გაყალბებული იყო, რის მიზეზსაც ოდენ ბოლშევიკურ-კომუნისტური იდეოლოგია კი არ წარმოადგენდა, არამედ ახალრუსული იმპერიალიზმის აპოლოგიაც. მიჩუმათებული იყო საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის ფაქტი და იგი რუსეთთან „შეერთებად“ ცხადდებოდა. დამპყრობლის მხრიდან გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების უხეშმა, უტიფარმა უგულებელყოფამ ქართველობის დიდი შეწინააღმდეგება გამოიწვია, კერძოდ — აჯანყებები. რუსი და საბჭოელი ქართველი ნაფიცი ისტორიკოსების მიხედვით კი მათ შინაარსს ძირითადად წარმოადგენდა სოციალური დაპირისპირებულობა ქართველ გლეხკაცობასა და თავადაზნაურობას შორის. მავანნი იქამდეც კი მიდიოდნენ, რომ ქართველთა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას მხოლოდ 1860-იანი წლების დასაწყისიდან, ე.ი. თერგდალეულთა დასის გამოჩენიდან იწყებდნენ.

შესაბამისი პერიოდის ავტორის — ალექსანდრე ბენდიანიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თემას იგი ობიექტურად, ნამდვილად მეცნიერულად მიუდგა. ჯერ კიდევ საბჭოური სოციალური სისტემის დროს, 1980 წელს მან გამოაქვეყნა წიგნი „ეროვნული საკითხი საქართველოში (1801-1921 წწ.)“, რომლის ტირაჟის უდიდესი ნაწილიც ხელისუფლების მიერ განადგურებულ იქნა და ამდენად საზოგადოებაში ფართოდ ვერ გავრცელდა. ეს ერთ-ერთი მცირერიცხოვანი ფაქტთაგანი გახლდათ ქართველ ისტორიკოსთა „მოუთვინიერებელი“ სულის გამოვლინებისა. ასე რომ, ხსენებული ავტორის მიერ ჩვენი რუსულკოლონიური ხანის ისტორიის ახლებური გაგება-გააზრება სხვებსავით ისტორიული კონიუნქტურის შეცვლის შედეგი არ ყოფილა.

რასაკვირველია, ეროვნულ-გამათავისუფლებულ მოძრაობასთან ერთად XIX საუკუნის საქართველოში ადგილი ჰქონდა სოციალურ მოძრაობასაც გლეხობის მხრივ, რაც მიზნად ისახავდა ბატონყმობის გაუქმებას და

მიწის სამართლიან გადანაწილებას, მაგრამ პირველ ტენდენციასთან შედარებით, ყოველ შემთხვევაში დიდი ხნის მანძილზე, მეორე ტენდენცია ბევრად უფრო სუსტი იყო. ავტორი ამ საკითხსაც ობიექტურად აშუქებს.

ისტორიისადმი ობიექტური, მეცნიერული მიდგომის გამო ჩვენი XIX საუკუნის ისტორია, ასევე XX საუკუნის დასაწყისისა, 1921 წლის ავბედითი დროის (თებერვალ-მარტის მოვლენების ჩათვლით), დიდი ინტერესით იკითხება, მასში (თხრობაში) წამოყენებულია მთელი რიგი ახალი მოსაზრებებისა.

მაგრამ გვაქვს შენიშვნებიც. ავტორი, სხვა ისტორიკოსებთან ერთად, ჩვენი აზრით, გაზვიადებულად წარმოადგენს XIX-XX საუკუნის დასაწყისი პერიოდის საქართველოს კაპიტალისტური, გნებავთ ინდუსტრიული ვთქვათ, დონეს. წიგნის 98-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ერთი სიტყვით, XIX საუკუნის 80-იან წლებში სამრეწველო გადატრიალება კოლონიურ საქართველოშიც განხორციელდა“; „საქონელწარმოება და მიმოქცევა საქართველოშიც კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ დონემდე ამაღლდა“ (გვ. 92).

გურამ ყორანაშვილი

ფაქტია, რომ მაშინ მაინცდამაინც ვერც ეროვნულმა ბურჟუაზიამ, სომხურისგან განსხვავებით, გამოიჩინა თავი და თანაც, უცხო სახელმწიფოებრიობა ქვეყნის ნორმალურ, მათ შორის, ეკონომიკურ, განვითარებას ხელს უშლიდა. აკი თვითონ ავტორიც წერს: „მეტროპოლია საქართველოს სამრეწველო განვითარებას განგებ აფერხებდა და ცდილობდა იგი ტიპურ კოლონიად — რუსეთის სამრეწველო პროდუქციის გამსაღებელ ბაზრად და ნედლეულის ბაზად გადაექცია“ (გვ. 142); ამიტომაცო „...მეტროპოლიის კოლონიური პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ საქართველო მრეწველობის განვითარებით საგრძნობლად ჩამორჩა რუსეთს“ (გვ. 143). ე.ი. რუსეთსაც კი, აღარას ვამბობთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებზე. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, საქართველოს ახალი განვითარება დღევანდელი აფრიკის ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნების დონეზე თუ იმყოფებოდა.

ამდენად, ილიასა და მის თანამოაზრეთა შეხედულება ამ საკითხში ბევრად უფრო ადეკვატური იყო, ვიდრე ნოე ჟორდანიასა და სხვა სოციალ-დემოკრატებისა.

გაუგებარი რჩება მოსაზრება, რომ „ყალიბდებოდა თავისი შინაარსით რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულება, რაც თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე გრძელდებოდა“ (გვ. 126). წიგნის გაცნობით კი უფრო ის შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ქართველი სამოციანელები რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ბრმა მიმბაძველნი არ ყოფილან, სხვაგან ავტორი ლაპარაკობს ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებაზე.

ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით სარეცენზიო წიგნში ვკითხულობთ: „1907 წლის 30 აგვისტოს წინამურთან ქართველი ხალხის მტრებმა მოკლეს საქართველოს უგვირგვინო მეფე, უდიდესი ქართველი პატრიოტი ილია ჭავჭავაძე“ (გვ. 149). ესაა და ეს, ამის მეტს წიგნიდან ვერაფერს ვგებულობთ, მაშინ, როდესაც ქართული ისტორიული საკითხის გაგებაში — ყოველ შემთხვევაში — რაღაც მაინც გაკეთდა.

გადაჭარბებულად მიგვაჩნია აზრი, რომ XX საუკუნის დასაწყისში „მოსახლეობის 90% ცარიზმის დამხობაზე, ეროვნულ და სოციალურ თავისუფლებაზე, დემოკრატიული მართვა-გამგეობის შექმნაზე ოცნებობდა“ (გვ. 112).

წიგნში გვხვდება უფრო წვრილი ხასიათის შეცოდებებიც, რაც ოთხტომეულის საერთო რედაქტორსა და ბოლო ტომის რედაქტორს უნდა გამოესწორებინათ. ახლებური ენობრივი მოდის თანახმად, უცხოელთა წაბაძვით, გვხვდება ტერმინები: „სამხრეთ კავკასია“, „ჩრდილო კავკასია“. ბაგრატიონთა წარმომადგენლების მიმართ გამოყენებულია (ხშირად) სიტყვები: „უფლისწული“, „უფლისწულები“. რასაკვირველია, უნდა ხმარებულიყო „ბატონიშვილი“, „ბატონიშვილები“. 27-ე გვერდზე აღნიშნულია „ხევსურთა თავადები“. ტერმინ „რაიონის“ ხმარება იმდროინდელ საქართველოს მიმართ (გვ.13, 146, 153) ცხადია, ანაქრონიზმია. რა მნიშვნელობითაა ნახმარი „მკინძაობა“? (გვ. 54). შეცდომაა „ნარმანიოს გადასასვლელი“ (გვ. 50), „ნედლეულგარეშე მიწები“ (გვ. 76). „მთის ძირის“ (გვ. 41) ნაცვლად უნდა ხმარებულიყო „მთისწინეთი“. დიმიტრი ყიფიანი აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობამ თავის წინამძღოლად (მარშლად) 1865 წელს კი არ აირჩია, არამედ — 1864 წელს. უხერხულია, აშკარად რუსული კალკაა „გირაოს ქვეშ“ (გვ. 99). ცხადია, უნდა იყოს „გირაოთი“. ვერ დავეთანხმებით აზრს, თუმცა იგი საყოველთაოდ არის გავრცელებული, რომ რუსეთში აბსოლუტური მონარქია არსებობდა (გვ. 102, 113, 117). ისევე როგორც უწინ, აღმოსავლური ქვეყნების უმრავლესობაში, აქ სახელმწიფოებრივ ფორმას დესპოტია წარმოადგენდა. მომავალი „ხალხთა დიდი ბელადის“ გვარ-სახელი მოიხსენიება „ჯუღაშვილის“ ფორმით (გვ. 105, 107, იხ. აგრეთვე გვ. 404), მაშინ როდესაც წიგნის ერთ-ერთი თანაავტორის ალექსანდრე დაუშვილის მიერ საბოლოოდ დადგენილია

„ჯუგაშვილი“. „მომენტური“, ჩანს, ნახმარია დროებითის მაგიერ (გვ. 117). იაკობ მალამა 1905 წელს კავკასიის მთავარმართებელი კი არ გახლდათ, არამედ — მეფისნაცვლის მოადგილე სამხედრო ნაწილში (1905-06 წლებში). 118-ე გვერდზე მოთხრობილი ამბავი, სოფელ გრემში (კახეთშია) კი არ მოხდა, არამედ — გრემისხევში (ქართლში). რას უნდა ნიშნავდეს „ლიბერალური და ზომიერი დემოკრატები“ (გვ. 120)? „ამომრჩევლის მაგიერ“ (გვ. 128, 132), მაშინ ხომ დამკვიდრდა „ამრჩევი“ (რუსულად «выборщик»)? რუსეთის სახელმწიფო დუმაში 1906 წელს მოქმედებდა არა „შრომის“ ფრაქცია, არამედ — ტრუდოვიკებისა. სხვათა შორის ამ დროს ვასილ (უნდა იყოს ვარლამ) გელოვანი და მიუთუმეტეს ზურაბ ავალიშვილი სტუდენტები აღარ ყოფილან (გვ. 132). 135-ე გვერდზე თბილისის მიმართ აღნიშნულია 28 პროფესიული გაერთიანება, „საქართველოს პროფესიული კავშირების ისტორიის ნარკვევებში 1905-1970“ კი მითითებულია შესაბამისად 34 და 8-9 ათასი (გვ. 45). თითქოს 1906 წელს პირველ სახელმწიფო დუმაში კავკასიიდან გავიდა (კადეტებისაგან) ალექსანდრე ხახანაშვილი. ეს მცდარი აზრია, უნდა იყოს არტემ აივაზოვი. 109-ე გვერდზე ორ შეცდომას ვაწყდებით: გაზეთმა „საქართველომ“ პარიზში გამოსვლა 1902 წელს კი არ დაიწყო, არამედ — 1903 წელს; ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაერთიანებათა კონგრესი პარიზში კი არ გაიმართა, არამედ — ჟენევაში.

პიოტრ სტოლიპინის მიმართ აღნიშნულია „მეფის მთავრობის პირველი მინისტრი“ (გვ. 137). უნდა იყოს „მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე“. 1912 წელთან მიმართებით აღნიშნულია „სახელმწიფო სამინისტრო“ (გვ. 138). 144-ე გვერდზე აღნიშნულია „რომის პლანტაცია“ რამის ნაცვლად. ნახმარია „მანგანუმის გაუხვება“ (გვ. 146) „გამდიდრების“ პარალელურად. იგივეს ვიტყოდით „საწარმოო კაპიტალზე“ (გვ. 147) „სამრეწველო კაპიტალის“ მაგიერ. ავტორი სწორად მიუთითებს, რომ 1897 წელს თბილისში ცხოვრობდა 160.000 მოსახლე, მაგრამ ძალზე გაზვიადებულია ციფრი 1917 წლისათვის — 400.000 (გვ. 148). ამ ციფრობრივ მაჩვენებელს თბილისმა 1930-იანი წლების შუახანებში მიაღწია. 168-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ეროვნულ პარტიებს და სოციალისტ-ფედერალისტებს“, რაც, რა თქმა უნდა, დიდი უზუსტობაა. უხერხულია „ხან მოთეული დოქტრინა“ (გვ. 172), „ხალხური და ლიტერატურული ენის იდენტიფიკაცია“ (გვ. 189), „ხალხოსნური რეალიზმი“ (გვ. 199). გიორგი წერეთლის ნაწარმოების სრული სახელწოდება გახლავთ „მგზავრის წიგნი, ანუ კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“ და არა „მგზავრის წიგნი“ (გვ. 199). 202-ე გვერდზე წერია, თითქოს ჟურნალი „მოამბე“ მხოლოდ 1894 წელს გამოდიოდა, მაშინ როდესაც ეს ხდებოდა 1905 წლის ნოემბრამდე. ამავე გვერდზე ვკითხულობთ, რომ ქუთაისში 1888 წელს ეკატერინე ლორთქიფანიძემ გამოსცა ჟურნალი „ქართული ბიბლიოთეკა“. სინამდვილეში ეს იყო ელენე ლორთქიფანიძე (სხვათა შორის, დიმიტრი ყიფიანის ქალიშვილი), რომელმაც აღნიშნული ჟურნალი დააარსა 1883 წელს და იგი 1884 წლის შემდეგ აღარ გამოდიოდა. გაურკვეველია აზრი სიტყვებისა: „ნაციონალისტების ლიდერი გრიგოლ ვეშაპელი“ (გვ. 255). 21-ე ფოტოზე აღნიშნულია „კოხტა აფხაზი“. მარო მაყაშვილი, სხვა დაღუპულ მეომრებთან ერთად, თითქოს დაკრძალეს დიდუბის ტაძრის ეზოში (გვ. 266). ცხადია, უნდა იყოს დიდების ტაძრის ეზო. იხმარება „არდაგანი“ (თურქული ფორმა) და „არტაანი“ (ქართული ფორმა) (გვ. 268 და სხვაგან).

ახლა სარეცენზიო წიგნის მეორე ნაწილს შევეხებით, რომელიც, ვიმეორებთ, 1921 წლიდან მოკიდებული 1990 წლის 14 ნოემბრამდე პერიოდს ეხება. მათ ავტორებზე უკვე მოგახსენებდით. აქ დავუმატებდით იმას, რომ ისინი საბჭოთა ეპოქის ბოლომდე „მართლმორწმუნე“ საბჭოთა ისტორიკოსები იყვნენ, ამასთანავე შემდგომშიც განზე იდგნენ ახალი პოლიტიკური პროცესებისგან. ამ უკანასკნელმა გარემოებამ, ცხადია, თავისი კვალი დააჩნია შესაბამის საისტორიო თხრობასაც. მიუხედავად აღნიშნულისა, წიგნის ეს ნაწილიც მთლიანობაში საინტერესოდ იკითხება, რამეთუ იგი ამჯერად შორსაა ისტორიის საბჭოური იდეოლოგიისებრი გაყალბებისგან და უახლოვდება ისტორიული პროცესის ობიექტურ სურათს.

თუმცა ავტორები ხშირად უხდიან ხარკს ძველებურ შტამპებსაც. ლაპარაკობენ მხოლოდ „მე-11 წითელი არმიის ნაწილებზე“ (გვ. 269). თითქოს საქართველოს ასე მცირე რაოდენობის წითელი ურდოები შემოსევიან და მხოლოდ მათ აღუსრულებიათ საქმე. იოსებ სტალინზე წერია: „მან დაწერა ნაშრომი „ლენინიზმის საკითხები“, რომელშიც თეორიულად გაიაზრა ლენინის უზარმაზარი თეორიული მემკვიდრეობა“ (გვ. 316). აშკარად ჩანს, რომ ისტორიის დიდი ავანტიურისტის უბადრუკი თეორიული ნააზრევი დადებით კონტექსტშია მოხსენიებული. წიგნში საბჭოთა ტოტალიტარული სახელმწიფო „პროლეტარიატის დიქტატურის“ სახელით მოიხსენიება, რაც გაუგებრობას იწვევს. გაუკუღმართებული შესაბამისი საბჭოური სინამდვილის მიმართ რას ნიშნავს „ეკონომიკის მოდერნიზაცია?“ (გვ. 344), ანდა საბჭოთა საზოგადოების „მზარდი კულტურული მოთხოვნილების (!) დაკმაყოფილება“ (გვ. 346), „ლენინური საბჭოები?“ (გვ. 347).

351-ე გვერდზე ვკითხულობთ: „მაგრამ, რადგან უსაზღვრო იყო კომუნისტური იდეების რწმენა...“ საბედნიეროდ, იმჟამინდელ საქართველოში ასე არ ყოფილა, ანდა რას ნიშნავს „სოციალიზმის კანონები“ (გვ. 351), რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ „პიროვნების სუბიექტურ ბუნებას?“ (გვ. 351). თითქოს „30-იანი წლების შუახანებში ჩინებული პირობები შეიქმნა ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის“ (გვ. 361). ეს რომ ბლეფია, ამას ხომ სანდრო ახმეტელისა და სხვა მსახიობთა ტრაგიკული ბედიც ადასტურებს. 1936 წელს მოსკოვში რუსთაველის თეატრის გასტროლებთან დაკავშირებით ტიპური საბჭოური პათეტიკით აღნიშნულია: „მოსკოვის პრესა აღფრთოვანებულ რეცენზიებს აქვეყნებდა, საუბრობდნენ ეროვნული ხელოვნების განვითარებისათვის საუკეთესო პირობებზე სტალინურ ეპოქაში“ (გვ. 362). ცხადია, ამ შემთხვევაში ავტორთა რაიმე ირონიული დამოკიდებულება გამორიცხულია. 364-ე გვერდზე სერიოზულად არის საუბარი „საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთობის მიღწევაზე“. 367-ე, 368-ე გვერდებზე მცდელობაა ი. სტალინის გამართლებისა. როგორ გავიგოთ აზრი

წინადადებისა: „საბჭოთა კავშირი გახდა გადამწყვეტი ძალა დემოკრატიული ძალების ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“ (გვ. 369). კვლავ სრული სერიოზულობით არის ნახმარი „დიდი სამამულო ომი“, „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი“ (სხვათა შორის, ერთ-ერთ რუკაზე აღნიშნულია: „საქართველოს სამეფო-სამთავროების შეერთება რუსეთის იმპერიასთან. XIX ს.“). წიგნში უპირობოდ ლაპარაკია ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის, ასევე კიევისა და პოზნანის „გათავისუფლებაზე“ (გვ. 344), შემდეგ — ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უნგრეთის, ასევე ბუდაპეშტისა და ვენის „გათავისუფლებაზე“ (იქვე). „სახალხო დემოკრატიის ქვეყნებზე“ ლაპარაკია ნაღდი გაგებით. ასევეა მტკიცებულება: 1940 წელს სოციალისტური განვითარების გზაზე შედგა მონღოლეთი (გვ. 432).

440-ე გვერდზე საუბარია ნიკიტა ხრუშჩოვის ვოლუნტარიზმზე. ასევე „60-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირში განმტკიცდა ნიკიტა ხრუშჩოვის ერთპიროვნული ძალაუფლება“ (გვ. 464). თითქოს მსგავს ტენდენციებს საბჭოთა კავშირში მხოლოდ იმხანად ეჩინოს თავი. ტიპური საბჭოური შტამპია: „ამაღლდა გლეხობის ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის დონე“ (გვ. 454). დიდად ფასეული მეცნიერული ნაშრომების ავტორებად გამოცხადებული არიან გიორგი ხაჭაპურიძე და აკაკი სურგულაძე (გვ. 453). თითქოს დიდი წარმატება ჰქონია ალექსანდრე ქუთათელის რომანს „პირისპირ“ (გვ. 456). XVIII თავში ლაპარაკია სოციალიზმის კრიზისზე საქართველოში — თითქოს საბჭოურ სინამდვილესთან მიმართებით ამ ტერმინის გამოყენება გამართლებული იყოს. ასევე თითქოს მხოლოდ ამჯერად ჰქონდა ადგილი „ეკონომიკური კანონების უგულებელყოფას“ (გვ. 465). 479-ე გვერდის მიხედვით, „საყოველთაო აღიარება მოიპოვა აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის გამოკვლევებმა“. თუ ავტორები ერთობლივ გამოკვლევებსაც გულისხმობენ, მაშინ აღნიშნული უნდა ყოფილიყო სხვათა გვარ-სახელებიც. თურმე „ქართული ისტორიოგრაფიის დიდი მიღწევაა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის გამოქვეყნება, რომელმაც 1982 წელს საქართველოს სახელმწიფო პრემია დაიმსახურა“ (გვ. 479). რასაკვირველია, რაიმე დათქმის გარეშე აღნიშნულია „ქართული მეცნიერების მაღალი დონე“ (გვ. 480), ხაზგასმულია დიდი მნიშვნელობა ლევან სანიკიძის „ისტორიულ-ჰეროიკული ნაწარმოებებისა“ (იქვე).

ამგვარ გაზვიადებათა ფონზე იგნორირებულია ქართველ ფილოსოფოსთა წარმატებული მცდელობები 1960-იანი წლებიდან მოკიდებული, რასაც ნიკო ჭავჭავაძის ინსტიტუტის დირექტორობისას ჰქონდა ადგილი (აქსიოლოგიის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის, კულტუროლოგიის „ლეგალიზაცია“). სამაგიეროდ, წიგნში გაზვიადებულად წარმოიდგინება მერაბ მამარდაშვილი, როგორც „დიდი ქართველი ფილოსოფოსი და მოაზროვნე“ (ასევე „დიდი მამულიშვილი“) (გვ. 505).

სარეცენზიო წიგნის შესაბამის ნაწილში უამრავი ელემენტარული ხასიათის ფაქტობრივ შეცდომას ვაწყდებით, რაც თვალნათლივ წარმოაჩენს ავტორთა შესაბამის პროფესიულ დონეს.

270-ე გვერდზე ფიგურირებს „საქართველოს დამოუკიდებლობის მანიფესტი, აქტის ნაცვლად. 279-ე გვერდზე საუბარია აგრონომიაზე, თუმცა ამ შემთხვევაში აგროტექნიკა იგულისხმება. სიტყვა „განზოგადება“ ნახმარია (გვ. 306) განზოგადოების მაგიერ“. ბობოლა საბჭოთა დიდმოხელე კუიბიშევის სახელად „ვალერი“ არის მოხსენიებული (გვ. 384). 329-ე გვერდზე აღნიშნულია „სამართლის სისტემა“, სასამართლო სისტემის სანაცვლოდ. ფიქცია გახლავთ „ხულოს მაზრა“ (გვ. 324). ამავე გვერდზე მითითებულია „ქედი“ (დაბა) ქედას ნაცვლად. 1920-იან წლებთან მიმართებაში საუბარია ქალაქებზე: ცაგერი, ლანჩხუთი, ტყიბული, მაშინ როდესაც ქალაქის სტატუსი მათ (თანმიმდევრობით) 1968, 1961 და 1939 წლებში მიიღეს. საქართველოში დუხაბორების განსახლებას ხომ ჯავახეთში ჰქონდა ადგილი და არა ქვემო ქართლში (გვ. 326). 1932 წელს ე.წ. საქართველოს კომპარტიის III ყრილობა კი არ ჩატარდა (გვ. 338), არამედ — VIII ყრილობა. არაზუსტია გამოთქმა „ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურები“ (გვ. 343). „სახასიათო კორექტივები“ (გვ. 345) უხერხულია, უნდა იყოს: „დამახასიათებელი“. თითქოს 1931 წელს ჩატარდა აფხაზეთის საბჭოების I ყრილობა (გვ. 345). სინამდვილეში კი ამ დროს VI ყრილობა ჩატარდა. VIII საგანგებო ყრილობა (1936 წელს) საქართველოს საბჭოებისა იყო და არა „სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელ დეპუტატებისა“. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველ სესიაზე ფილიპე მახარაძე შესაბამისი საბჭოს თავმჯდომარედ კი არ აურჩევიათ, არამედ — უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა. ლავრენტი ბერიამო „თავისი ადგილი დაუთმო საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ მდივანს, კანდიდ ჩარკვიანს“ (გვ. 350). მაგრამ ცნობილია, რომ ამ უკანასკნელს იმხანად (1938 წელს) უფრო მაღალი პოსტიც — ცეკას მდივნისა ეკავა. 1937 წელს დასჯილი ბობოლა კომუნისტის სამსონ მამულიას სახელად სერგოა მოხსენიებული (გვ. 354).

თურმე გამოჩენილ ქიმიკოსის პეტრე მელიქიშვილის მიერ „დაწყებული საქმე“ გაუგრძელებიათ ვითომც მის მოწაფეებს, გეოლოგოსებს — ალექსანდრე ჯანელიძესა და ალექსანდრე თვალჭრელიძეს (გვ. 357). ცნობილი მეცნიერი „ქეთევან ბახტაძე“ კი არ გახლდათ (იქვე), არამედ — ქსენია ბახტაძე, თანაც იგი მუშაობდა ჩაის კულტურაზე და არა საერთოდ „ტექნიკურ კულტურებზე“. ასევე არქეოლოგოსი გახლდათ არა გრიგოლ ლომთათიძე (გვ. 358), არამედ — გიორგი ლომთათიძე. ცნობილი კინორეჟისორი იყო არა „ნიკოლოზ შენგელია“ (გვ. 362), არამედ — ნიკოლოზ შენგელაია. „თვითმფრინავების დაღუპვა“ (გვ. 337) უხერხული გამოთქმაა, უნდა იყოს „განადგურება“. ერთ-ერთ ფოტოს (44-ს) თავში აწერია „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები და ხელმძღვანელები“. გარჩევა იმისა თუ კონკრეტულად ვის — ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას თუ აკაკი ბაქრაძეს ამ შეფასებათგან რა მიეყენება, ძნელია. ასევე ერთ-ერთ ფოტოზე არასწორად არის მინიშნებული ვახტანგ კოტეტიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია. 397-ე გვერდზე აღნიშნულია „დუბლინსკის სავოევოდო“ (პოლონეთში) (გვ. 397), ლიუბლინის ნაცვლად. ლათინური ენის ელემენტარული ცოდნაა საჭირო იმის გასაგებად, რომ უნდა იყოს არა „პირტუტი მილიტარის“ (გვ. 397),

არამედ — „პირტუტი მილიტარის“. 403-ე გვერდზე წერია: „ჩვენი ისტორიის ბედუკუღმართობის გამო, ქართველები მუდამ სხვის მიწაზე და სხვისთვის იბრძოდნენ“. საბედნიეროდ, მთლად ასე როდი იყო საქმე! ამავე გვერდზე ფიგურირებენ „ერიტრია“ (ერითრეას მაგიერ) და „მაიდენეკი“ (მაიდანეკის მაგიერ). 408-ე გვერდზე აღნიშნული „ჩეკეტის“ ნაცვლად უნდა იყოს ჩეგემი. სოფელი ზემო ალვანი არ არის „დუშეთში“ (გვ. 411), არამედ — კახეთში. თურმე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას დაარსებისთანავე „გარდაუქმნია კვლევის მეთოდები“ (გვ. 420). 421-ე გვერდზე ფიგურირებს „ნაგებობათა ჰიდროტექნიკის თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“ საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სანაცვლოდ. 1945 წელს (მარტში) დაარსებულა ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტები. უნდა იყოს ერთი — მეტალურგიისა და სამთო საქმის ინსტიტუტი.

425-ე გვერდზე აღნიშნულია აკაკი ბელიაშვილის რომანი „ბესიკი“ „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისას“ მაგიერ. რას ნიშნავს „წიგნის მკითხავი“? (გვ. 428). ცხადია, უნდა იყოს მედავითნე. აშკარა გაზვიადებაა „ცნობილი ქართველი მწერალი და დრამატურგი ილო მოსაშვილი“ (იქვე). აშკარა შეცდომაა ითქვას ან დაიწეროს: „ფილოსოფიის დარგში მომუშავე მეცნიერები (შალვა ნუცუბიძე, კოტე ბაქრაძე, სერგი დანელია, სავლე წერეთელი და სხვ.)“ (გვ. 453). თითქოსდა „მნიშვნელოვანი მოვლენა“ იყო აკაკი ბელიაშვილის „ვეფხია ხალიბაური“ და ლადო ავალიანის „ახალი ჰორიზონტი“ (გვ. 455-56). შექსპირის ცნობილი ნაწარმოების სახელწოდება არის „ანტონიუსი და კლეოპატრა“ და არა „ანტონიო და კლეოპატრა“ (გვ. 457). დიდებული ფილმი „ქეთო და კოტე“ შეიქმნა არა 1949 წელს (გვ. 458), არამედ 1948 წელს და ვახტანგ ტაბლიაშვილთან ერთად მისი თანარეჟისორი გახლდათ შალვა გედევანიშვილიც. 460-ე გვერდზე მხატვარ კორნელი სანაძის სახელი „კარლოთი“ მოიხსენიება (გვ. 460). 461-ე გვერდზე აღნიშნულია „მხატვარი დიმიტრი ხახუტაიშვილი“ ხახუტაშვილის ნაცვლად (ამასთანავე იგი მოქანდაკეც გახლდათ). არქიტექტორი მ. ნეპრინცევა კი არ იყო (გვ. 462), არამედ — მ. ნეპრინცევი. გორში დაუარსებიათ „სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“ (გვ. 462), რომელსაც, ცხადია, თავისი სახელწოდება (კვებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა) გააჩნია. ბუნდოვანია გამოთქმა „ქეთევან მაღალაშვილის პორტრეტები“ (გვ. 463). მთლად გამაოგნებელია „სოციალურ ინფრასტრუქტურაში“ მუშათა კლასი ვიგულისხმოთ (გვ. 469). აშკარად ჩანს, რომ ამ შემთხვევაში ავტორები აღნიშნულ სიტყვას ურევენ „სოციალურ სტრუქტურაში“.

აშკარად არასწორია ინტელიგენციაზე, რომლის რაოდენობაც 1970 წლისათვის 343.507-ს აღწევდა, დაიწეროს: „ეს გახლდათ საქართველოს ინტელექტუალური ელიტა“ (გვ. 470). გაურკვეველია აზრი წინადადებისა „ენათმეცნიერები დიდი წარმატებით იკვლევდნენ თანამედროვე ენის ზოგადთეორიულ პრობლემებს“ (გვ. 479). ამავე გვერდზე ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე ვლადიმერ ფუთურიძის სახელი ვალერიანად მოიხსენიება. თანაც ეს უკანასკნელი წევრ-კორესპონდენტის წოდებას და არა, აკადემიკოსისას ატარებდა. სასტუმრო „ივერიის“ შენობის ერთ-ერთი თანაავტორის კალანდარიშვილის სახელი ტონი კი არ იყო (გვ. 483), არამედ — ოთარი.

416-ე გვერდზე აღნიშნულია ერთ-ერთი ვეტერანი ქართველი დისიდენტი „ვ. ღლონტი“. უნდა იყოს ვაჟა ღლონტი. გაუგებარია გამოთქმა: „საბჭოთა მენტალიტეტის წინააღმდეგ დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა“ (გვ. 481). იური ანდროპოვი და ოთარ ჩერქეზია შესაბამისი დონის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეები კი არ იყვნენ (გვ. 491, 499), არამედ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა. პირველ თავისუფალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ ძალთა სია (გვ. 505) საკმაოდ განსხვავებულია გამარჯვებულთა სიისგან (გვ. 506).

აღნიშნულს დავუმატებდით იმასაც, რომ IV ტომის ამ ნაწილში ხშირია გამეორებანი, არათანმიმდევრობანი, რაშიც, ვიმეორებთ, თავს იჩენს რედაქტორების დაუდევრობა.

დაბოლოს აღვნიშნავთ, რომ სარეცენზიო წიგნში (მეორე ნაწილში) აშკარად იკვეთება ედუარდ შევარდნაძის ე.წ. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას პირველმდივნობის აპოთეოზი, რაშიც თავის მხრივ, ჩანს „მაგთიკომის“ როლი. რასაკვირველია, ეს კომპანია ოთხტომეულის ხელნაწერებით ტყუილუბრალოდ, ანდა საერთოდ ისტორიის პოპულარიზაციით როდი დაინტერესებულა. ასე მაგალითად, თუ ერთ-ერთ გვერდზე ფიგურირებს ხუთი პირის ფოტო — ცეკას ყოფილი სამი მდივნისა (კანდიდ ჩარკვიანის, აკაკი მგელაძისა და ვასილ მჟავანიძისა, ასევე ყოფილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გივი ჯავახიშვილისა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის გიორგი ძოწენიძისა), თანაც ჩვეულებრივი, შავ-თეთრი გამოსახულებით, ასევე ერთ გვერდზეა მოთავსებული ქართული კულტურის ხუთი გამოჩენილი მოღვაწის ფოტო, ხოლო ედუარდ შევარდნაძის სურათს უკავია მთელი გვერდი, ამასთანავე ფერადი. ამგვარი პატივი წიგნში მხოლოდ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს აქვს მიგებული. იგივე ითქმის ედუარდ შევარდნაძის შესახებ გაზვიადებულ თხრობაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით ისმის კითხვა: რატომაა წიგნში თხრობა მოყვანილი 1990 წლის ნოემბრამდე? რა არ ეყოთ ავტორებს იმისთვის, რომ შემდეგი წლების თაობაზეც მოეთხროთ. მით უფრო რომ 2004 წელს მაყვალა ნათმელაძემ და ალექსანდრე დაუშვილმა გამოსცეს „საქართველოს უახლესი ისტორია“ (1901-2000 წწ.), რომელშიც თხრობა ფაქტობრივად 2004 წლამდე წარმოებს. იმხანად ავტორებს „ეყოთ გამბედაობა“ და მათ გააკრიტიკეს ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური მოღვაწეობის ბოლო პერიოდი (გვ. 487-89). ამავდროულად ისინი საკმაო სიმპათიებით მოიხსენიებდნენ მის ოპონენტებსაც (ასე ვთქვათ, „ტრიუმვირატს“). მაგრამ ამჯერად ამას სარეცენზიო წიგნში ვერ ვხვდებით. ცხადია, ავტორებმა მით უფრო თავი აარიდეს ე. შევარდნაძის პოლიტიკური კრახის თემასაც. ამ ფაქტებიდან კარგად ჩანს, რომ აღნიშნულ ისტორიკოსთა მენტალიტეტი, ფსიქოლოგია საბჭოური აზროვნების ჩარჩოებიდან შორს არ არის წასული. ამ შემთხვევაში იგივეს თქმა შეიძლებოდა ოთხტომეულის სარედაქციო კოლეგიის წევრების მიმართაც.

როსტომ ჩხეიძე

ქება სიბნელის, სიბრმავის ქება

ხორხე ლუის ბორხესი მარტოდენ აპოლოგეტადაც რომ დასდგომოდა ბრმა მწერლებს, რა გასაკვირი იქნებოდა. ვის-ვის და, ამ არგენტინელ ბელეტრისტს მოეხსენებოდა, თუ რას ნიშნავს სიბრმავე ზოგადად და რას ნიშნავს კიდევ მწერლის სიბრმავე.

მაგრამ თურმე ბორხესს უფრო მეტიც მოეხსენებოდა, უფრო მეტს ხედავდა შინაგანი მზერით და რა აპოლოგეტობა, რის აპოლოგეტობა, სულაც პანეგირისტად მოევლინებოდა ბრმა მწერლებს.

ლექციებისა თუ ესეების ციკლს „შვიდი საღამო“ სწორედ ამ ესეით დააგვირგვინებდა — „სიბრმავე“, წრე რომ უნდა შეეკრა იმ სიმძაფრითა და ფილოსოფიური გააზრებით, იმ მხატვრული ჩაღრმავებითა და ფსიქოლოგიური სარჩულის გამოძებნით, გვირგვინს რომ შეჰფერის.

ლექციების ეს ციკლი ჩვენს ლიტერატურაშიც შემოანათებდა ჟურნალის — „ჩვენი მწერლობა“ — ფურცლებიდან და თანდათანობით, ვიდრე „სიბრმავის“ მოულოდნელი შინაარსი და მხატვრული მრწამსი კიდევ ახლებურად არ წარმოსახავდა მთელ ციკლს, ნინო ქაჯაიას ამჯერადაც მარჯვედ რომ მოერგო ქართული ენობრივი სამოსელი და ამ უკანასკნელი, ციკლის შემკვრელი ესეის გადმოღებისას იმ შთამბეჭდაობისთვისაც მიეღნია, ექსტაზის მარცვლებსაც რომ მიმოაბნევდა.



ჰომეროსი

სიბრმავის დითირამბი შესაფერის სიმაღლეზე ატყორცნილიყო.

არა, რაღაც სხვა არხები რომ იხსნება ბრმების არსებაში და თვალთახედვის დაშრეტა სხვა თვისებათა გამახვილებით ანაზღაურდება ხოლმე, ეს კი საყოველთაო ჭეშმარიტებაა, მაგრამ იმის დადგენას სწორედ არგენტინელი მწერლის პირადი გამოცდილება, ფსიქოლოგიზმის უნარი და ღრმა ინტელექტი სჭირდებოდა, სიბრმავის სიკეთე რომ ეწამა თვითონაც და მერე ამ რწმენის ქადაგებას სხვებისთვისაც მოჰყოლოდა.

ის კი არა, სულაც შესცოდებოდა დანარჩენი კაცობრიობა, ვისაც სიბრმავე არ გამოეცადა და მაშ ვერც იმ იდუმალებას და უჩვეულო სიღრმეებს ჩაწვდომოდა, რასაც ბრმები და მარტოდენ ბრმები თუ ეზიარებოდნენ.

სიბრმავე ჩემთვის სრულ უბედურებად არ ქცეულა, არ არის საჭირო მისი ტრაგიკულად მიღება. ეს უნდა აღიქვა როგორც ცხოვრების წესი, როგორც ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი სტილიო, — რომ ირწმუნებოდა, დასძენდა:

— სიბრმავეს თავისი უპირატესობანიც აქვს. ამ წყვდიადს რამდენიმე ძღვენს ვუმადღი: ძველ ინგლისურ ენას; ზერელე ნაცნობობას ისლანდიურთან; სიხარულს, რომელიც მომანიჭა უამრავმა ლექსმა, პოემამ და სტრიქონმა; იმას, რომ დავწერე წიგნი ოდნავ ყალბი და რამდენადმე პრეტენზიული სათაურით — „სიბნელის ქება“.

სიბრმავეს თავისი უპირატესობანიც აქვსო...

პარადოქსია?

პარადოქსი ეძახე და... მგონი მართლა მიეკვლია იმ რაღაცისთვის რაც მსჯელობის კვალობაზე სულ უფრო დამარწმუნებელი გამოჩნდებოდა, გნებავთ ილუზია უწოდეთ, მაგრამ ეს ილუზია იოლი გასაფანტი არ არის.

საგანგებოდ ჩაუკვირდებოდა და შეგვახსენებდა, რომ ჯონ მილტონის სიბრმავე ნებითი გახლდათ, რაკიღა მას მხედველობა დააკარგვინა პამფლეტებმა, რომლებიც მეფის სიკვდილით დასჯისაკენ მოუწოდებდნენ, და თვითონაც, „დაკარგული სამოთხის“ შემოქმედიც დაბეჯითებით ირწმუნებოდა: თვალისჩინი ჩემი ნებით დავკარგე თავისუფლების დაცვისასო.

რა სიამაყითაა წარმოთქმული ეს სიტყვები!..

— უსინათლობის გამო არ ჩივის, — ყურადღებას მიგვაქცევინებს ბორხესიც, — მიიჩნევს, რომ მხედველობა თავისი ნებით შესწირა მსხვერპლად, და ახსოვს თავისი მთავარი ამოცანა — პოეტობა.

ამ ფონზე არ უნდა დაგვვიწყნოდა ისიც, რომ დემოკრიტემ თვალები დაითხარა, რათა გარე სამყაროს სახეს ხელი არ შეეშალა მისთვის ყურადღების მოკრებაში;

და არც ის, ორიგენმაც ნებაყოფლობით რომ დაიბრმავა თავი.

ამ მიმართულებით დაჟინებული ფიქრი ბორხესს კიდევ ერთ პერსონაჟს აღმოაჩენინებდა ბრმა შემოქმედთა მწკრივში.

ჰომეროსის თვალდაშრეტილობა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილიყო, აბუ-ლ ალა მაარისაც, ჯონ მილტონისაც, კიდევ სხვათა და სხვათაც, მაგრამ... ჯეიმზ ჯოისი? თვალის ოპერაცია უამრავი რომ გადაეტანა და მხედველობა ძალიან მობურუსებოდა, ეს კი ცნობილია, მაგრამ ნუთუ ისე ვეღარ ხედავდა, რომ სულაც ჰომეროსს შეიძლება შევუთანაბროთ ამ მხრივ?

თვითონ სხვა მხრივ ესწრაფოდა ამ შეთანაბრებას — მწერლური ტალანტისა და ლიტერატურული ზეგავლენის თვალსაზრისით... მაგრამ „ულისე“ „ოდისეას“ ფარდად და ტოლად რომ ჩაეფიქრებინა, ეგებ ბედისწერას ძველი ბერძენი ეპიკოსის ეს გარეგნული ნიშანიც გადმოებარებინა მისთვის?!.

„ეგებ“ ამ შემთხვევაში ბორხესისათვის არ არსებობდა და როდესაც საგანგებოდ ჩაუკვირდებოდა და საკუთარი ძიებითაც მიაკვლევდა, რომ ჯოისი წერდა თავისივე გამოგონილ, გასაგებად ძნელ, მაგრამ საოცრად მუსიკალურ ენაზე, და რომ მან ინგლისურში ახალი მუსიკა შემოიტანა, ამ სიახლის საყრდენად და შთამაგონებლად მიიჩნევდა იმ გარემოებას: თავის ნაწარმოებთა ნაწილი უსინათლომ შექმნაო.

— მეხსიერებით ხვეწდა ფრაზებს, ხანდახან მთელ დღეს ანდომებდა ერთ ფრაზას, მერე იწერდა და ასწორებდა მათ. ეს ყველაფერი აკეთა ნახევრად ბრმამ, დროდადრო კი — ბრმამ.

რაც შეეხება ჯოისის სიტყვებს:

— რაც კი ცხოვრებაში დამმართნია, ყველაზე ნაკლები მნიშვნელობა მხედველობის დაკარგვას ჰქონდა.

ბორხესი ვაჟკაცურს კი უწოდებს, მაგრამ... მათ გულწრფელობაში ეჭვი ეპარება.

რატომ ვითომ — ბორხესი თუ დითირამბიკოსია სიბრმავისა, ჯოისი აპოლოგეტიც არ იქნებოდა?!.

ნუთუ ვინმეზე ნაკლებ იამაყებდა, თვალისჩინი მწერლობას შევწირე მსხვერპლადო?!.

მაგრამ ამდენს ნუღა ჩავეძიებით, მთავარია, რომ გარეგნული ნიშნითაც დამგვანებოდა ჯეიმზ ჯოისი ჰომეროსს.

ბორხესის გარდა ამაზე სხვა არც არავინ დაფიქრებულიყო.

ჯოისს ბრმათა შორის მოსახვედრად არავინ გაიმეტებდა და ის ოდნავი, სულ ოდნავი სინათლე, რაც თვალებში უკრთოდა, სავსებით კმაროდა, თვალდაშრეტილობა რომ არც მიეწერათ მისთვის.

ნაკლი ეგონათ და ნაკლი კი რატომ უნდა ეკიჟინებინათ, თუკი მზერაში შუქის ნასახი მაინც ჩადგომოდა?!.

მაგრამ ბორხესისთვის სიბრმავე ნაკლი კი არა, ერთი უპირველესი ღირსება რომ გახლდათ?

მაშ ვეღარც ვერაფერი გადაუდგებოდა წინ, ჰომეროსისა თუ მილტონის გვერდით მისთვისაც მიეჩინა ადგილი და სიბრმავის დითირამბის შუაგულშიც სწორედ იგი მოექცია, ჯოისის გარშემო მოექსოვა იმ ესეის სიუჟეტური ქარგა, მისი ლექცია-ესეების განთქმული ციკლი უამისოდ იმ სიმაღლეს რომ ვერ მიაღწევდა, რადაც წარმოგვიდგება და ლიტერატურულსა და ფილოსოფიურ განსჯა-ანალიზს ღრმა ფსიქოლოგიური ძიება მოხდენილად რომ აგვირგვინებს ბრმის მონუმენტური სახების წარმოჩენით იმ თითქოსდა უცნაური მსჯელობის ფონზე, ასეთ დამაჯერებლობას რომ იძენს.

ბრმა აედს შეექმნა „ოდისევსი“ და ბრმა რომანისტს კი „ულისე“ შეექმნა.

თუ შეყელყელავებაა, ბარემ გარეგნული იერითაც დამსგავსებოდა.

„ჰომეროსის თვალებში ბინდი“ არამარტო მეტაფორული გააზრება აღმოჩნდებოდა სიმონ ჩიქოვანისათვის, არამედ — პირად გამოცდილებაზე ამოზრდილი განცდაც, თვალდაშრეტილს რომ მოუწევდა წუთისოფელში ტრიალი, სწორედაც ტრიალი და არა ბორიალი, რაკილა ისეთი შეუმცდარობით აღიქვამდა ირგვლივ ყველასა და ყველაფერს, მეგობარ-ახლობელნი ლამის დაეჭვებულიყვნენ მის სიბრმავეში.

სხვა თითქოს არც არავინ მოჩანდა ჩვენს მწერალთა უგრძეს მწკრივში, ბრმა შემოქმედთა შორის რომ გვეგულისხმა. თუმც... არ მოჩანდა ხელშესახები ბიოგრაფიით, თორემ ლეგენდაში გადასულს მიკვლევით მიაკვლევდა პავლე ინგოროყვას მახვილგონივრული მზერა, როდესაც სალექსო საზომის — ფისტიკაური — ეტიმოლოგიის დადგენისას უეცრად შემოეფეთებოდა ბრმა პოეტის ლანდი: ბისტიკასი.

— სახელი „ბ ი ს ტ ი კ ა“ ქართულ ონომასტიკონში არ გვხვდება. საფიქრებელია, რომ „ბისტიკა“ არის არა ჩვეულებრივი საკუთარი სახელი, არამედ შერქმეული სახელია. „ბისტი“ — როგორც ცნობილია თვალის ბლანტს ეწოდება, რაც სიბრმის დროს თვალის გუგას გადაეკვრის ხოლმე. ბისტი-კა უნდა ნიშნავდეს იმასვე, რასაც ბისტი-ანი, თვალ-ბისტიანი, ბრმა. ამის მიხედვით ბისტი-კა დარქმევია ამ პოეტს ალბათ იმის გამო, რომ იგი ბრმა იყო... ბისტიკა სახალხო რაფსოდი ყოფილა; იგი ეკუთვნოდა არა არისტოკრატიულ წრეს, „დიდი გვარი“-ს წოდებას, არამედ მდაბალი წრიდან ყოფილა გამოსული, სახალხო პოეტი იყო. ბისტიკას ლექსებს, როგორც ეს დამოწმებულია თეიმურაზის ცნობით, შემდეგ ხანებში მოარული სახალხო აშუღები სტვირზე და ჭიანურზე ამღერებდნენ ხოლმე, და ამის მიხედვითაც საფიქრებელი ხდება, რომ ბისტიკა თვითაც სახალხო აშუღი იყო, რომლის ტრადიციას შემდეგი ხანის აშუღები აგრძელებდნენ. ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ ბრმა აშუღები, როგორც ცნობილია, ხშირს მოვლენას წარმოადგენდა...

პავლე ინგოროყვას ვარაუდით, ბისტიკა რუსთველამდელი პოეტი უნდა ყოფილიყო და თანაც საკმაოდ მნიშვნელოვანი. ამას ადასტურებდა ის გარემოება, რომ მის მიერ შემოღებული სალექსო ფორმა საბოლოოდ დამკვიდრებულიყო ქართულ პოეზიაში. იგი გამოეყენებინათ არამარტო კლასიკური ხანის პოეტებს, შავთელსა და ჩახრუხაისძეს, არამედ „ბისტიკაური“ გავრცელებული გახლდათ აღორძინების ხანის ქართულ პოეზიაშიც.

ლეგენდაში რომ ტრიალებდა ძველი ბერძენი აედის ტამირისის სახელი, აი, იმის, მუზები პოეტური პაექრობისას ლირას რომ გაუტეხდნენ და დააბრმავებდნენ კიდეც, მისგან არაფერი გადარჩენილიყო — სტრიქონი რა არის, სტრიქონიც კი, ხოლო ბისტიკას ორიგინალური სალექსო-საზომის აღმოჩენით აგერ რაოდენ საგრძნობი კვალი დაეჩნია ქართული პოეტური აზრის განვითარებისათვის.

ის მაინც ლეგენდიდან მოდიოდა — ბისტიკა, ეს ლეგენდაში გადადიოდა — სიმონ ჩიქოვანი, მეუღლის ანუ პოეტური მუზის ფერფლი რომ მიმოებნეოდა მის საფლავს... და ესაა და ეს — ორი პოეტი ემატებოდა ქართული სინამდვილიდან მსოფლიო ბრმა მწერალთა რიგს, და ასეც იქნებოდა, ასე გვეცოდინებოდა ყველას, ვიდრე ხორხე ლუის ბორხესის ესეი ახლებურად მიმოგვატარებინებდა მზერას გარშემო.

ვითომ ალექსანდრე ყაზბეგს ჯეიმზ ჯოისზე უკეთესი მხედველობა ჰქონდა?

ძლივძლიობით რომ არჩევდა ნაწერს, ეს თავისთავად, და ისიც არანაკლებ აოცებდათ, ეს თითქმის ბრმა კაცი ხანჯლურს რომ ცეკვავდა — ასე უშიშრად და თამამად, ასეთი ჟინითა და მოუწყინრად. გული უსკდებოდათ, აი, ახლა დაისერავს ფეხებს და, აი, ახლაო... მაგრამ რაკიღა თვალდაშრეტილთ სხვა თვისებები უფრო უმძაფრდებათ თუ უვითარდებათ, ალექსანდრე ყაზბეგიც უვნებლად ჩამოდიოდა ხოლმე სცენიდან.

ის მაინც რა იყო, გრიგოლ ორბელიანს ჰომეროსისთვის რომ გაეტოლებინა?

მისი კავკასიური ილიადა ძველი ბერძენი პოეტის ეპიკური ქმნილებისათვის შეეთანაბრებინა.

და რას წარმოიდგენდა, რომ მისი ეს რჩეული მწერალი ჰომეროსს იმ უმთავრესი გარეგნული ნიშნითაც დაემგვანებოდა.

ჯოისი თუ თვითონ გამოთამაშებოდა ჰომეროსს, ალექსანდრე ყაზბეგს ასეთი რამ ფიქრადაც არ გაუელვებდა, მაგრამ აგერ კი წამოჰგონებოდათ მისი მხატვრული ქმნილებების კითხვისას საგმირო ეპოსის მამა.

გრიგოლ რობაქიძესაც წამოაგონდებოდა ჰომეროსი, მაგრამ მას ვაჟა-ფშაველას საგმირო ეპოსი გაუღვივებდა ამ ასოციაციას.

და ეს რაღა იყო, ვაჟას ცალი თვალი რომ ჩამოეხეოდა ციმბირის წყლულის გამოისობით და მეორეც საგრძნობლად ჩაუქრებოდა?!.

გარეგნობით ისიც ჰომეროსს დამსგავსებოდა და ეგაა.

ხოლო თუ აკაკი წერეთლის ხსენება უშუალოდ არ გამოიხმობდა ჰომეროსის ლანდს, ანკი რა აუცილებელია, მაინცდამაინც ეს ეპიკოსი იყოს მისი წინამორბედი თუ თავისებური არქეტიპი.

ალექსანდრე ყაზბეგისა თუ ვაჟა-ფშაველას მოაზრებას ჯოისის გვერდით უნებლიეთ გადაეჯაჭვებოდა ჰომეროსის აჩრდილიც, თორემ აკაკი წერეთელი ლიბრგადაკრული თვალებით ვაივაგლახით რომ არჩევდა გარესამყაროს და მთლიანად შინაგან მზერას მინებებოდა, ვითომ ისიც მათ გვერდითვე არ მოხვდება ამ მოულოდნელ ჩამონათვალში?!.

ბორხესისათვის ისევე ნაცნობი რომ ყოფილიყო ქართული ლიტერატურული რეალობა, როგორც ევროპული მწერლობა საერთოდ და ინგლისური თუ ირლანდიური განშტოება კერძოდ, სამივე ამ მწერალსაც აუცილებლად აქცევდა თავისი ესეის პერსონაჟებად და ისევე მოჰყვებოდა მათ თვალდაშრეტილობაზე საუბარს, როგორც ჯოისი გაეხვია ამ — მისი დაბეჯითებული რწმენით — მომხიბლავ საბურველში, კიდევ ერთი არხი რომ გაეჭრა მისთვის „ულისეს“ დასაახლოებლად „ოდისეასთან“.

არგენტინელი მწერლის შეგულიანებით აგერ ალექსანდრე ყაზბეგსაც და ვაჟა-ფშაველასაც გაეჭრებოდათ ეს ახალი არხი მათ ბელეტრისტულ თუ პოეტურ ეპოსთა დასაახლოებლად „ილიადასთან“, აკაკი წერეთელი კი კიდევ ერთი გზასავალით დაუკავშირდებოდა იმ ძველ პოეტურ სამყაროს, გალაკტიონ ტაბიძეს სულაც იმ სამყაროს მკვიდრად რომ წარმოედგინა — არა მარტოდენ გარდასულ საუკუნეთა ყველაზე მძლავრ მემკვიდრედ, არამედ უშუალოდ იქ მაცხოვრებლად, ღვთიურ დავალებას სამარიდან რომ გამოეხმო იმ სულის ხელშესახებად მოსატანად ახალ რეალობაში.

ჰოი, რა მასალა აღმოჩნდებოდა მათი ნაწერები ბორხესისათვის, იშვიათი ლაკონიურობით რომ ჩაწურავდა თავისი ლექციების დამაგვირგვინებელ მონაკვეთში!..

ისე ნეტა როგორ წარმოისახებოდა მათი სილუეტები ბორხესის შინაგანი მზერის ნათელში?!.

მარჩიელობაა?..

მარჩიელობა რატომ — ქართველი ბორხესის მოლოდინია, ადრე თუ გვიან კიდეც რომ მოგვევლინება და თავის დაბინდულ თვალთახედვას უჩვეულო მხატვრულ და სულიერ სამყაროში შესასვლელ კარიბჭედ გადააქცევს; და თვალდაშრეტილ შემოქმედთ აპოლოგეტად კი არ გამოუჩნდება (თუნდ ჯარჯი ფხოველივით), არამედ დითირამბიკოსად, მათ ყველაზე იდუმალ, ყველაზე ინტიმურ და ფაქიზ სულიერ მიმოქცევათა შემტყობად და ისევე ასაელვარებლად უჩვეულო მხრივ, ჯეიმზ ჯოისი როგორც ამოგვესვეტებოდა და ჯერაც ვერ დაგვიჯერებია, ჰომეროსისა და მილტონის გვერდით როგორ ამოჰყო თავიო.

* * *

თუნდ ჯარჯი ფხოველივითო...

უსინათლო პოეტებს (სახელწოდებად სწორედ ამ სიტყვათშეთანხმებას ამჯობინებდა) აღტაცებით რომ მიმართავდა: გულით სიბრმავეს თქვენ არჩიეთ თვალით სიბრმავე! ამქვეყნიური ყვავილები დაგიმალეს და: სამაგიეროდ თქვენ სამოთხის ყვავილებს რგავთ და სამაგიეროდ თქვენ სამოთხის ყვავილებს ხატავთო! და გულით ხედავთ იმას, რასაც თვალხილულნი ვერა ხედავენო... — გულით მხედველთა შორის ხორხე ლუის ბორხესის აჩრდილიც გამოეცხადებოდა, მათი ერთი ძმა, ვისაც რგებოდა ბედისწერის ღვთაებრივი, შავი სიბრმავე, მაგრამ მზე დაენთებოდა იმის ღამეში და ვარსკვლავთა ბრაილით დაწერდა.

მაინც გარედან რომ შეჰყურებს ქართველი პოეტი ბრმათა ხვედრსა და ბედისწერას, თორემ თვითონ ბორხესი ირწმუნება: ერთ-ერთი ფერი, რომელსაც მოკლებულნი არიან ბრმები (ყოველ შემთხვევაში ის ბრმა, რომელიც თქვენს წინაშეა), არის შავიო. და შეგვახსენებდა უილიამ შექსპირის სტრიქონს: შემყურე სიბნელისა, რომელსაც ხედავს ბრმა, — რათა შესაფერისი კომენტარი დაერთო: თუკი სიბნელეს სიშავედ მივიჩნევთ, შექსპირის სტრიქონი უმართებულო აღმოჩნდებაო.

გარედან კი შეჰყურებს, მაგრამ...

ვიცი, სულ მალე ჩემი დილაც გათენდება და თქვენ რომ ხატავთ, მეც ვიხილავ იმ ყვავილებს, ცით მოფენილებს და სამოთხის ყვავილების დახატვაშიც დაგეხმარებითო, — ეს განცდაც ძალუმად უნდა შემოიჭრას ლექსში, რათა ჰომეროსსაც შესთხოვოს, გულდარდიანს, და ბორხესსაც, ღამის მესაიდუმლეს, შეეწიონ გულშემზარავი წყვდიადის შეყვარებაში:

ღამეს როგორ გამოვტაცო
უკვდავების მწარე წვეთები
და გულმოკლულმა მტკივან გულში
სიმღერები როგორა ვთქვა
მაშინ,
როცა სიყვარულის ცაში აწვდილ მთებს
და იმათ ღრუბლებს ვერ დავინახავ!

ესეც ბორხესის ლექციის ის პოეტური კომენტარი, თვითონ არგენტინელი მწერალიც რომ მოინდომებდა მის შეტანას თავისი ლექციების დანართში, თორემ ჩვენ „შვიდი საღამოს“ ქართული ვერსია ჯარჯი ფხოველის „უსინათლო პოეტების“ გარეშე აღარც უნდა გამოვცეთ.

* * *

...აქამდე ბისტიკა მარტოდენ სიმონ ჩიქოვანის წინამორბედი რომ გვეგონა, თურმე მთელ ჩამონათვალს უნდა ჩასდგომოდა სათავეში, თანაც რა სახელებით დამშვენებულს!..

ნეტა მართლა როგორ წარმოისახებოდა აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას სილუეტები ხორხე ლუის ბორხესის შინაგანი მზერის ნათელში?!.

პოლიტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული გია ფოცხვერია (1964-2006) დაეუფლა მეორე პროფესიასაც — სარეჟისორო კინოხელოვნებას. ამ მიმართულებით სწავლა განაგრძო კენტის უნივერსიტეტში (ინგლისი), სადაც მოიპოვა ფილოსოფიის მაგისტრის ხარისხი კინოსა და მედიის განხრით. პროფესიონალურ მოღვაწეობასთან ერთად მის მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა ქართულენოვანი მართლმადიდებლური ეკლესიის დაარსება ლონდონში. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი მანვე გადადგა, მაგრამ სიკეთით მოსილი საქმე შუაგზაზე ბედმა შეუწყვიტა. მისი სულიერი ცხოვრების კრედოს პოეზია წარმოადგენდა და მწუხარებაზე მეტია, რომ უკანასკნელი ლექსის წერის დროს აღევლინა უცხოეთის ცად. გია ფოცხვერიას მაგიერ სიცოცხლე განაგრძეს საქართველოს სიყვარულით გაჟღენთილმა მისმა ლექსებმა და მოთხრობებმა, ნოსტალგიით შეზავებულმა მხატვრულმა ჩანაწერებმა, ძველი თბილისის სურათებზე შექმნილმა კინოსცენარებმა, რომლებმაც ახლახან იხილეს დღის სინათლე.

გულბად ამირანაშვილი

მზე დამსხვრეულ სარკეში

ძველთაგანვე ნათქვამია, ყველა წიგნს თავისი ბედი აქვსო, — და ალბათ ეს ასეც არის, მაგრამ საოცრად გულსაკლავი ბედი ერგოთ გია ფოცხვერიას წიგნებს. თუნდაც მარტო იმიტომ, რომ საზოგადოების წინაშე მათი წარდგენა ავტორის გარეშე მოხდა.

ბუნების კაპრიზებს, გარდაუვალს, მაგრამ უაღრესად უსამართლოს, ჩვენ წინ ვერ აღვუდგებით, მეტად უძლურნი ვართ, მაგრამ შეიძლება თავი იმით ვინუგეშოთ, რომ წიგნებიდან ჩვენამდე აღწევს გიას ნაფიქრი და განცდილი, და იგი, ამ წარმოსახვითი ფორმით კვლავ ჩვენს გვერდითაა.

გია ფოცხვერია

მათ, ვინც გიას ახლოს იცნობდა, ბუნებრივია, ამ წიგნებისადმი თავიანთი პირადსუბიექტური დამოკიდებულება ექნებათ და ეს სავსებით გასაგებია, მაგრამ ამ პირადსუბიექტური განწყობების მიღმა ნებისმიერ ტექსტს აქვს თავისი მნიშვნელობა, რადგანაც ის არამარტო გარკვეული პიროვნების (როგორც ავტორის!), არამედ გარკვეული ეპოქის ასახვასაც წარმოადგენს.

გია ფოცხვერიას პოეტური ნაწარმოებებიც, მათი დასრულებული თუ ფრაგმენტული სახით, კარგად ასახავენ მთელი იმ თაობის განცდებსა და მისწრაფებებს, ვინც გასული საუკუნის მიწურულის კატაკლიზმებს შეეწირა. ამავე დროს, ეს განცდები და მისწრაფებანი შორს სცილდება ერთი თაობის ჩარჩოებს და ჩვენს სინამდვილეში გაცილებით მასშტაბური ხდება.

მეტად ბევრია დაწერილი სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის პოეტთა შესახებ. კიდევ უფრო მეტი დაიწერება. მაგრამ ალბათ ყოველთვის უკმარი იქნება პოეტური ფენომენის ფსიქოლოგიური კონსტიტუციის დადგენა. ეს იმიტომ, რომ პოეზია სიტყვაში განსხეულებული გრძნობაა, ხოლო შეგრძნების უნარი ყველა ადამიანს საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი აქვს. ეს საკითხი დიდი ხნის წინათ ლაკონიურად იყო გადაჭრილი: პოეტი ჩვეულებრივ ადამიანად არც მიაჩნდათ. რა თქმა უნდა! რომელი ჩვეულებრივი ადამიანი გაუძლებდა თოთხმეტი გრძელი წლის მანძილზე იმ უზარმაზარ სულიერ ტკივილს, რომელიც გიას ნაწერებიდან ჩანს, და რომელსაც სამშობლოს სიყვარული? არა! სამშობლოს მონატრება? არა! რომელსაც ბერძნულად nostalgos, შინ დაბრუნების ტანჯვა ეწოდება:

მე ჩაგისვამთ გულში ყველას,
ყველა სანატრელს.
აგიშენებთ სასახლეს და
ციხესიმაგრეს.
ყვავილების ნერგით მოვრთავ
ყველა ოთახებს
და დაგირწევთ სიყვარულით
ნაქარგ აივნებს.
ოცნებების ხიდებს გავდებ
ფერად ლაჟვარდებს.
რაც არ უნდა შორს არ ვიყო
მაინც მოვაღწევ,
დანაპირებს შევასრულებ,
ვერ გიღალატებთ!

უცხო ქვეყნის გარემო სევდით ავსებდა მის სულს, ხოლო გავლილი დღეების მოძალება კიდევ უფრო ამძაფრებდა სამშობლოს მონატრების განცდას:

ჰაიდ პარკის შიშველი ხეები,
გაშავებული მყარი ტოტები,
იდუმალებით დაღონებულნი
მიჩურჩულებენ: „შენც იქ მოკვდები“.
ჩემი ცოდვების ტრიალებს ნუსხა,
არ გამომივა თავის დაძვრენა,
თქვენ ჩაგრული ხართ თქვენს ქვეყანაში,
ჩემს სულს კი უნდა
სამშობლოსაკენ ბოლო გაფრენა.

აქ სურათია საინტერესო: მიწას მიჯაჭვული ხეების ჩურჩული ფსიქოლოგიური პარალელიზმის იმპერატიულ ბუნებას ასახავს: — „შენც!”... პოეტი თითქოს ემორჩილება გარდაუვალ განაჩენს, მაგრამ ამ მორჩილებაში ფოლადის დრეკადობაც ჩანს: „ჩემს სულს კი უნდა სამშობლოსაკენ ბოლო გაფრენა“.

მოგზაურობისა და თავგადასავლების მოყვარულისთ-

ვის რა თქმა უნდა არც ნისლიანი ალბიონი იქნებოდა უინტერესო და არც მოქუფრული ლონდონი, მაგრამ თბილისის „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო"-ზე აღზრდილს მუდმივად თან ახლდა სამშობლოს მონატრების ისეთი განცდა, რომელიც ვერავითარი სიტყვით ვერ გამოიხატება. და მაინც, შემოქმედი ადამიანის ბუნება იბრძოდა ამ განცდის სიტყვიერი ხორცშესხმისათვის:

დაჭყეტილი თვალები, ნაცარი კედლის,
ისევ სიმარტოვე ლონდონში ჟღერს,
წვიმიანი ქუჩა, არსად წასასვლელი,
უნდა ესაუბრო სევდიან წვიმის წვეთს.
სადღაც მიმინო, კვლავ კვეთს ცისთვალა მზეს,
იქ, სადაც ყვავილობის სიმღერები ჟღერს.
და ჩვენი ცისფერი, შეშლილი პიპია
აწყვეტილი ვნებით ეთამაშება კლდეს!
და ჩემს ოპტიმიზმს აბა რა გამოლევს.

დიახ, ნისლიანი ლონდონის ნაცრისფერ რეალობაში გამოკეტილს კვლავ და კვლავ სამშობლოს სურათების მოძალება აძლევდა იმის ძალას, რომ სულის სიღრმიდან იმედის ნაკადი გამოეწვია და თავისუფალი ამოსუნთქვით ეთქვა: „ჩემს ოპტიმიზმს რა გამოლევს"-ო. ამ ოპტიმიზმის წყარო კი ისევ და ისევ მისი ხალხი და მისი ქვეყანა იყო:

თქვენზე ვლოცულობ და მენატრებით,
ლონდონში წვიმს და არ დგება დარი,
როცა ჩამოვალ, ერთი თხოვნა მაქვს,
სახლის გამიღოთ მე ცოდვილს კარი.
ჩემს სამშობლოში გაზაფხულია,
აქ ისევ ცივი თარეშობს ქარი.
და ჩემს დაკარგულ უაზრო ყოფას
არ უჩანს კიდე, არ უჩანს ზღვარი.

აქ კვლავ პესიმისტური ნაკადი მძლავრობს სამშობლოს გაზაფხულზე, და ლონდონის წვიმა და ცივი ქარი ისევ ნოსტალგიის არტახებს უჭერს:

მე, ნოსტალგიით დატყვევებული,
მძიმედ ვისუნთქავ ლონდონის ჰავას,
ქარი მოსული საქართველოდან
მიმღერის თბილად მე იავნანას.

ყოველი ეპოქა თავის კვალს ტოვებს ადამიანის ცნობიერებაზე და გია ფოცხვერიას პოეტურ ნაწარმოებთა არაკლასიკური, ამორფული ფორმები ზუსტად შეესაბამება ეპოქას, რომელშიც ცხოვრებაც წილად ერგო.

ეს ამორფული ფორმები იმ საზოგადოების ანარეკლია, რომელიც ვერ გარკვეულა სოციალური კატაკლიზმების გამომწვევ მიზეზებში და მასის ფსიქიკიდან გამომდინარე, შეგნებულად თუ შეუგნებლად ტანჯავს და ტკივილს აყენებს მას, ვინც ვერ თავსდება მასისათვის მორგებულ ჩარჩოში და სწორედ ამ მიზეზით დისკომფორტის გამომწვევ მიზეზად იქცევა.

აუხდენელი მიზნების მხოლოდ ოცნების სფეროში დარჩენა პოეტს კრიტიკულად განაწყობს წარსულისადმი და ამ განწყობის სიძლიერე თითქმის მთლიანად ახშობს პოეზიისათვის დამახასიათებელ ატრიბუტიკას და ნათელი, კრიტიკულად გამჭვირვალე, მაგრამ პროზაული ფორმით დგება მკითხველის წინაშე:

გახსოვთ, ვიბრძოდით პატარა ჭკუით
ჩვენი რწმენისთვის და სამშობლოსთვის...
ჩამოდი მალე, რომ მეუბნებით,
რა გინდათ, ისევ ტყვია ვისროლოთ?!
უაზრო ბრძოლა აღარ მოგვბეზრდა?!..

ამ უაზრო ბრძოლის გროტესკულ ასახვას ვღებულობთ, როდესაც პოეტი ყველასთვის ცნობილი ხალხური სიმღერის რეფრენის მაღალ ტონალობას დისონანსად აბამს ბრძოლის მიზეზსაც და ბრძოლის შედეგსაც:

„ჰერი, ბიჭებო, ჰერიო,"
ჩვენ დავანგრიეთ ერიო.
ჩვენი სიგიჟის გულისთვის
დაიწვა ბაიოს ველიო...

მოსახდენიც მომხდარია და არმოსახდენიც! ისტორიის ჩარხი უკან აღარ დაბრუნდება და დანგრეულსა და დამწვარს აღდგენა არ ელის. ეს იცის პოეტმა და ამის ცოდნა სტანჯავს. მაგრამ ტკივილს კიდევ უფრო ამძაფრებს ცხოვრებისეული რეალობა: ის მარტოა თავის ფიქრებში და სხვები სხვანაირად ფიქრობენ. მას არ შესწევს ძალა, გავლენა მოახდინოს არსებულ სინამდვილეზე. ყოველივე ეს კი თრგუნავს მის შინაგან ძალას და მელანქოლიისთვის მყარ ნიადაგს ქმნის: **„რა უნდათ ნეტავ, ვიცოდე ერთი, გული მიკვდება, უბედურები... სჯობს ისევ ჩუმად ვატარო ტვირთი, ვის დაუმტკიცებ, რას დაუმტკიცებ... ვის ემდურები?!"**

და უცებ, ამ პასიური და ბედს დაყოლილ-დამორჩილებული განწყობის გვერდით შემართული მახვილივით ომახიანი სტრიქონები:

დარეკა ნაგავმა,
მოიკითხა ამბავი.
მოუნდა, რომ დასცეს
ლონდონში კარავი.
იტყუება ისევ
და უძვრება ყველას.
თუ შემხვდება სადმე,
არ ელოდოს შველას!
ვერ გაძღება ვერაფრით,
ბანძს რომ კოშკი აუგო.
ღორმუცელა საცოდავს
ალბათ უნდა გაუგო.

მაგრამ ასეთი სტრიქონები მეტად იშვიათია და გია ფოცხვერიას პოეზია ძირითადად სევდიან კილოზეა მომართული. თვით ისეთ ლექსებშიც კი, რომლებიც აშკარად სასიმღერო მოტივზეა აწყობილი, მაინც სამშობლოს ძალით მოწყვეტილი ადამიანის სულიერი ტკივილი ისმის: **„სოროში ვარ, სოროში ვარ... დავიმალე აქ. გადავცურე**

ზღვა, რომ დავხუჭო თვალები, დავინახო ცა... მეგობრების ლოცვებით დამილოცეს გზა. იქნებ სადმე ვიპოვო ოცნებების ტბა... მიყუჟული ფიქრებში და გიტარის ხმა, დაკვნესებულ სიმღერით სიმარტოვის კვლა.“

ნებისმიერი დროისა და ხალხის პოეზიაში პესიმისტური განწყობის საფუძველს ავტორის მკაცრი ასკეტური ტენდენციები განაპირობებენ. ამის შედეგი იყო რეალური ცხოვრების ფასეულობათა დეკლარაცია და განცდილი ტკივილების გამძაფრებული აღქმა:

დაღლილი ბლუზი ამაოების,
ამქვეყნიური ცოდვა და ოხვრა,
დანაწევრებულ ტვინის ხნულებში
დასაფლავებულ იმედის პოვნა.
დადგება დრო და ბედნიერების
წუთები მოვა სამარადისო,
როდესაც მოვა ჩემი ბატონი,
ტკივილს მომირჩენს და ცრემლს შემიშრობს.
მზიანი დღე და მცხუნვარე სხივი,
მძიმედ სასუნთქი ჰაერი შმორის,
მტვერში გაბურულ გამხმარ სხეულში
მაინც ტრიალებს სურნელი შორის.

მიუხედავად იმისა, რომ პოეტის უმეტეს სტრიქონებში ძლიერი მელანქოლიის ანარეკლი მოჩანს, დროდადრო ამ განწყობის მიმართ ამბოხსაც აქვს ადგილი ძალით თავსმოხვეული მარტოობის წინააღმდეგ, თუმცა სევდის სრულ ნიველირებას მაინც ვერ ახერხებს:

როდის მოხდება, ნეტავი,
ცა რომ გააპობს ზღვას
და მოგონება ნეტარი,
რომ აგითრთოლებს ხმას?!
ალბათ შევხვდებით ოდესმე,
ალბათ შემოგხვევ მკლავს
და ცრემლებისგან შემკული
გულში ჩამირგავ თავს.
ტკივილი გარდაუვალი
ააგიზგიზებს ალს,
ფერფლსაც კი დასწვავს თავიდან,
აღარ დატოვებს კვალს...
გვიან იქნება, ამიტომ
ვერ მოვიტყუებ თავს,
მოვტრიალდები, გავქრები,
ამაში ვნახავ ხსნას...

ვკითხულობთ გია ფოცხვერიას პოეტურ მემკვიდრეობას და ძალაუნებურად ოდესღაც ნათქვამი სენტენცია გვახსენდება: ჩვენი ცხოვრება ღია ჭრილობიდან განუწყვეტელი სისხლის დენა იქნებოდა, პოეზია რომ არ ყოფილიყოო...

ალბათ ასეც არის! უცხოეთში ყოფნით გამოწვეულ სევდას ისევ ქართული სიტყვა ედებოდა მალამოდ, მაგრამ ვაი, რომ ტკივილის განკურნება მაინც შეუძლებელი იყო. და ეს ტკივილი — მთელი თავისი ძალით — სრულად აღწევს მკითხველის გულამდე.

ნინო დეკანოიძე

ლექსის ფერი და ლექსის სურნელი...

ჩვეული სტუმარმასპინძლობა

ტრადიციული თავყრილობა „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში; შესაბამისად, სტუმარმასპინძლობაც ჩვეული.

წარსადგენი წიგნი, სოლიდურად გამოცემული ლექსების კრებული — **„სიზმარში ნანახ სიზმარივით“** — ავტორი **გია კობახიძე**. წიგნი დაიბეჭდა „პეტიტში“. რედაქტორი — **თამარ ღონღაძე.**

...და რომ ღირებული ლიტერატურული ნიმუშების გამოსაქვეყნებლად ჟურნალის მესვეური უშურველია, შესაბამისად გულღია და სიტყვატკბილი მასპინძელია იმ შეხვედრებისა, დაუბრკოლებლად რომ იმართება აქვე, ამ ჭერქვეშ, ლიტერატურისა და ხელოვნების სახელით.

აუდიტორიაზეც რომ გითხრათ: მრავალრიცხოვანი და არაერთფეროვანი, მაგრამ არაშემთხვევითი მსმენელი, ლიტერატურული საუბრებისთვის მოუწყინრად განწყობილნი.

ვიდრე შესავალ სიტყვას იტყოდეს, **როსტომ ჩხეიძე** იმდღევანდელი ღონისძიების ქარგას შემოუფარგლავს მსმენელს; რომ შეენაცვლება ერთმანეთს ლექსი და სიმღერა, შესაძლებლობა ექნებათ, ყური დაუგდონ **მურმან ჯინორიას** შეუდარებელი პროფესიონალიზმით წაკითხულ ლექსებს, ამავე დროს ავტორისეულ დეკლამირებასაც მოუსმინონ; რომ პოეზიის საღამოს თავის წილ მომხიბლაობას შემატებს ანსამბლი „შვიდკაცა“ — **ბიძინა ზათიაშვილი, ნოდარ მეტრეველი, დავით შიშნიაშვილი, დავით ნოზაძე, გიორგი ლომთათიძე, ლევან თოლორდავა, ნიკოლოზ კირვალიძე.** აგრეთვე ახალგაზრდული ტრიოს ორი წარმომადგენელი — **ზურაბ ნემსაძე** და პოეტის ვაჟი **სანდრო კობახიძე.**

ოღონდაც, ლექსისა და სიმღერის ჰარმონიამ რომ არ მოუჩრდილოს მსმენელს და არ ააცდინოს ლიტერატურულ გარემოს, დროდადრო მოხსენებებსაც მოისმენენ გია კობახიძის პოეზიაზე, უშუალოდ, ახალ კრებულზე.

იმ სამზერიდან ამ დღემდე

იტყვის როსტომ ჩხეიძე: — სამი წლის წინათ, სწორედ შემოდგომა იყო, ამ დარბაზში მოვიწვიეთ გია კობახიძე. არადა წიგნიც არ ჰქონდა გამოცემული, მხოლოდ რამდენიმე ლექსი დაიბეჭდა „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე და ინტერესიც ძალიან დიდი გამოიწვია მკითხველში. ასე არც ისე ხშირად ხდება ხოლმე. მოგეხსენებათ, ასეთ დროს სკეპტიკოსებიც არ დაილევიან და თუმცა ლექსები ყველას მოეწონა, მაინც ვარაუდობდნენ, რომ ეს იყო ერთი ამოფრქვევა, ერთი გაბრწყინება, იქვე რომ დამთავრდებოდა. თუნდაც ყოფილიყო ასე, ის ერთი გაბრწყინებაც არ უნდა დარჩენილიყო შეუნიშნავი ან აღუნიშნავი. ვინც ასე თუ ისე ვერკვევით ლიტერატურაში, ვგრძნობდით, ეს არ იყო შემ-

თხვევითობა და გია კობახიძე, მრავალმხრივი ნიჭის კაცი, ამ სფეროშიც გამოავლენდა მანამდე დაფარულ უნარს. ის, რასაც ჩვენ ვკითხულობდით, იყო ნამდვილი პოეზია და ეს ნამდვილი პოეზია გაგრძელდებოდა ძალიან ინტენსიურად.

უკვე სამი წიგნის ავტორია ბატონი გია. ბოლო გამოცემა კი „სიზმარში ნანახ სიზმარივით“ საკმაოდ სოლიდურია, დიდტანიანია. ამხელა კრებული სავარაუდოდ, წამგებიანი უნდა იყოს ავტორისათვის. დიდი წიგნი რომ სრულყო, ნამდვილი პოეტი უნდა იყო. და შესაბამისად ეს წიგნიც არის სრულფასოვანი, რადგან ნამდვილი პოეტია გია კობახიძე. ის არის ექიმი, მაგრამ სახალისოდ არ წერს ლექსებს. ის არის პროფესიონალი ექიმი, პროფესიონალი მომღერალი და პროფესიონალი პოეტი...

— და პროფესიონალი ძმაკაცი — მასპინძლის კეთილ სიტყვებში ეპითეტს ჩააბნევს მურმან ჯინორია.

ხოლო მწერლობაში ექიმობა შეღავათს რომ არ გულისხმობს, როსტომ ჩხეიძე იმ სახელებს შეახსენებს მსმენელს, კლასიკოსებად რომ შეემატნენ მსოფლიო ლიტერატურას. არც ჩვენს სინამდვილეში მოღვაწენი დაივიწყა, კვალი რომ დააჩნიეს მშობლიურ მწერლობას.

ასე რომ, ითქვა შესავალი სიტყვაც, გამოჩნდნენ საჩინონიც და ცოცხალი პროცესი, რაც გულისხმობს აუდიტორიის აქტიურ ჩართვას ღონისძიების მსვლელობაში, არც იმ დღეს აუკრძალავთ.

მურმან ჯინორია, როსტომ ჩხეიძე, გია კობახიძე

სად წყდება პოეტის ბედი

გია კობახიძე ჯერ სამადლობელ სიტყვას იტყვის, მერე ნებისად გადაფურცლავს კრებულს, წაიკითხავს საკუთარ ლექსებს და ზოგიერთის, დაწერის საბაბსაც გაიხსენებს.

სამადლობელი სიტყვა იყო გულითადი, მსგავსი, რასაკვირველია, აქამდეც რომ ბევრჯერ თქმულა და იტყვიან მომავალშიც: — რომ ამაზე კარგი გარემო ძნელი წარმოსადგენია ლექსისთვის, ამ განწყობის ადამიანების თავმოყრა აქ, ამ ჭერქვეშ რომ ხერხდება, სანატრელია. ვახტანგ ჯავახაძეს აქვს ნათქვამიო, პოეტის ბედი წყდება მის საწერ მაგიდასთან და არა საკონცერტო დარბაზებსა და ტელევიზიებშიო. მე კი დავძენდიო, ამ სიმყუდროვეს, აქ რომ სუფევს, ვერ მოიპოვებს ვერსად პოეტი და მისი ლექსი. ასეთ საღამოზე ლექსის წაკითხვას სხვა ელფერი აქვს და მე პირადად, ყოველთვის მიყვარს აქ მოსვლა როგორც მსმენელს და, რასაკვირველია, როგორც ავტორსო...

და მაინც, ნეტა სად წყდება პოეტის ბედი? ბედი — ვაი რომ საბედისწერო!..

ეპითეტი დამსახურებისათვის

გულისყურით, მეტისმეტი სიბეჯითით წაიკითხავს მოხსენებას პირველი გამომსვლელი. — ქართული კრიტიკის სოხუმური ფრთის თვალსაჩინო წარმომადგენლებიო, უყვარს როსტომ ჩხეიძეს და ეამაყება კიდეც ამ დარბაზში აფხაზეთის უნივერსიტეტის პროფესორ-პედაგოგთა ამდაგვარად წარდგინება. ისღა დაგვრჩენია, მივყვეთ კვალს და გავიმეოროთ სიამოვნებით ეს დამსახურებული ეპითეტი ქ-ნ **ნანა კუციას** მისამართით. ოღონდაც ამჯერად მისი მოხსენების შემცირებულ ვარიანტს გთავაზობთ:

„მადლი“ სულხან-საბას „სიტყვის კონაში“ განმარტებულია, როგორც *„ყოველივე კეთილი, რაიცა ცოდვა არა არს; ხოლო მადლიერი იგი არს, რომელმან დაიხსოვნოს კეთილმოქმედება, მას ზედა ქმნილი...*

„მე ვენაცვალე შენს სიტყვის კონებს, შენს სულხან-საბას“, — მადლიერებით იტყვის პოეტი გია კობახიძე, მამულს გაერინდება და გაენდობა მეტყველსათაურიან ლექსთა კრებულში ***„სიზმრად ნანახ სიზმარივით“.***

მაღალი ეპითეტი — „პოეტი“ — უპრიანი და ალალია მკურნალ გია კობახიძისათვის, რადგან მისი სიტყვა, უპირველესად, სულის მკურნალია, სულის სალბუნი.

პოეტს ძალუძს, მადლის — ღვთაებრივი სიტყვის ყუჩი საბურველი შემოაქსოვოს გრძნობის სიშიშვლეს, სიტყვა — „სამოსელი პირველი“, უფლისაგან ნაწყალობევი.

მადლიერება მადლია, „ნათელი, ზეცით მოსული.“

გია კობახიძე მადლიერთა და მადლიანთა „თაბუნისაა“ — „თვალი გულისა“ *[იოვანე საბანისძის „ყური გულისას“ ანალოგიით]* განჰმარტებია და გზნებს მზერადახშულთათვის უხილავს, რადგან „უხილავის დანახვას“ *[ეს კი უკვე — ვაჟას ანალოგიით]* მხოლოდ მთანი მაღალნი და კაცნი მაღალნი თუ შეიძლებენ.

ხარ მხოლოდ მაშინ, როდესაც გიხარია, გახარებს ყოფა. მთავარ, უნათლეს წიგნსაც ხომ სახარება ჰქვია, ყოფიერებით გახარებას, ყოფნის სასწაულის აღქმას რომ გვასწავლის, „განიცადენითო შროშანნი ველისანი“, ცისა მფრინველთა ლამაზი, ლაღი სიცოცხლე.

სახარების სინათლე და სიმშვიდეა გია კობახიძის პოეზიაში — ქართულ ხალხურ, თუ ქართულ ტრადიციულ, თუ იაპონურ ტანკასავით გამჭვირვალე ლექსებში — ნათელ პოეტთან განმარტოების, ყუჩ, მაღალ პოეზიასთან ზიარების ბედნიერება გვეწყალობება.

იაპონურ ლექსთან იდუმალი მსგავსების მიუხედავად, ეს ქართული პოეზიაა, „იზმების“ მეტასტაზებისაგან, ფსევდო-ფილოსოფიური „ზაუმებისაგან“ ბედნიერად და-

ცული, ტრადიციული თავისი სიკამკამითა და გამჭვირვალებით — რაჭის წყაროებივით, რაჭისავ კრიალა, უძირო ცასავით. ზოგადქართულ, შეურყვნელ წიაღშია ამ მშვიდ, ნატიფ ლექსთა ენგადი, მარადი წყაროსთვალი, ბინული.

პოეტი თბილისშია დაბადებული, პირველი სკოლა და სამედიცინო ინსტიტუტი დაუმთავრებია, მაგრამ ქართული სოფლის (წუთისოფლის ქართული მოდელის), ფესვთა მადლით განწმენდილი კაცის ღვთაებრივ უბრალოებას იმარხავს მისი პოეზია.

პაწაწინა ქოხში ვარ. გარეთ ნელი წვიმა მოდის.
ვეწაფები ოხშივარს გალუმპული მიდამოსი.
გზისპირებში მომწვანო, ხავსიანი ლოდებია,
კაცებივით გისმენენ და შენს სიტყვას ელოდებიან.

ლექსში ფერია — მომწვანო, ხავსიანი ლოდების. ნაცნობი ფერი, სადა და ძველი — ხანძთის სანახებისა, ვაჟას ხეობებისა, თუ რობაქიძისეული „ხავსისფერი, ქვიშისფერი, ღვინისფერი“ — უზუსტესად ნაპოვნი პალიტრა ფერთა, ქართული სულის სიძველისა და ჰარმონიულობის დასტური — ხავსისფერი შავნარევი მწვანეა, სილისფერი — შავნარევი ყვითელი, ღვინისფერი — შავნარევი წითელი — სამყაროული ოქსიმორონის, ნათელ-ბნელის ჯუფთობის ანარეკლები.

სურნელიცაა ლექსში — „ოხშივარი გალუმპული მიდამოსი“ — ნეშოს ყუჩი, მშვიდი სურნელი, წვიმისა და მიწის იდუმალი ალქიმია *უნებლიე ასოციაცია სულ სხვა ქვეყნის დიდებული თხზულებისა — „ნაწვიმარი ხეების სუნი აქვს კედის“ ფოლკნერის „ხმაურსა და მძვინვარებაში“, ნაწვიმარი ხეების და არა — იაფფასიანი სუნამოსი [ნაწვიმარი ხეების სურნელთან ხომ ყველაზე ნატიფსურნელოვანი სუნამოც „ტყუის“!].*

სხვა ლექსში, სიზმარ-ცხადის მიჯნაზე მითოლოგიურ ხილვად დაიღვრება ამბავი ცაზე ვარსკვლავთ გაბრწყინებაჟიკჟიკისა, ყოველღამიერი ვიზიონი სასწაულად აღიქმება:

მთვარე მზისგან გოგოს აჩენს, ძირს დაფინეს ხავსი.
ჩემმა მზემ, მზის გოგონაა, ბადრი მთვარის მსგავსი.
მარგალიტით ავსებულა სადედოფლო ტახტი —
ვარსკვლავები ციმციმებენ, ზეიმია ნაღდი.
გამეღვიძა. ისე ვღელავ, თითქოს მამა გავხდი.

ფოლკლორულ სტრიქონთა სისადავე, ტრადიციული ლექსის ნატიფი სიმსუბუქე ჩაღვრილა გია კობახიძის მისტიკურ ვიზიონში. დაწურული, მოსხეპილი ფინალი იმარხავს სათქმელის დვრიტას.

უფლის ბაღიდან ჩამოღვრილად აღიქმება გია კობახიძის პოეზიის მშვიდი სინათლეები და ყოფიერების ბედნიერების ყუჩი განცდა. ისეთი სიმშვიდეა ფესვებთან, მეტაფორების ისეთი თაიგულები, ლექსის რომელიმე სტრიქონს ძნელად შეელევი:

ნიკორწმინდის გუმბათს ცის წვეთები რწყავენ,
ამჩნევია სულმნათს საუკუნე ცხრავე.
დაჭყეტილი თვალი დარჩენია კუნელს,
ისევ ვიგრძნობთ მალე გათიბულის სურნელს...
შეტოკდება ოდნავ ჩვენიანთა ძვლები,
ფრთხილად ვაღებთ ჭიშკარს, ბალახია სველი, ...
წვიმას ებრძვის ხავსი სიფრიფანა ყავრის,
მოჰკლებიათ კაკლებს ბაბუების ხელი...
დილის ხმები სიოს აქეთ-იქით დააქვს,
ნაქეიფარ მამალს ხრინწიანი ხმა აქვს,
ალიონმა ნისლი გადიყარა ავდრის,
დაგვდგომია თავზე რაჭის დილის მადლი.

ფერთა და სურნელთა გამეორება პალიტრის სიმწირეს როდი გულისხმობს — პარადიგმად, მყარ სახე-ფორმულად ჩამოინაკვთება...

გია კობახიძის პოეზიას თითქოს ხავსის ფერი და ნეშოს სურნელი აქვს. გავიმეორებთ — ქართული ფერი, ქართული სურნელი, არაფერში რომ არ აგერევა, ქართული ლანდშაფტის „განწირული მშვენიერება“ (რ. ინანიშვილი), ფერები და სურნელებანი, პოეტი რომ ფრთხილად ამოკრეფს მეხსიერების საგანძურიდან და მეტაფორებად გვიწყალობებს...“

მეორე მომხსენებელი, უფრო ზუსტად სიტყვით გამომსვლელი, ლიტერატორი **ადა ნემსაძე** წარდგება სასაუბროდ და რეპორტაჟის შესაძლებლობის გათვალისწინებით, ამ გამოსვლიდანაც ფრაგმენტებს შემოგთავაზებთ:

„გია კობახიძის ახალი კრებული „სიზმარში ნანახ სიზმარივით“ სასიამოვნო გაოცების განცდას უტოვებს მის პოეტურ სამყაროში მოხვედრილ ადამიანს. წიგნის პირველივე გვერდებიდან იგრძნობა, რომ პოეტისთვის სიტყვა, ფრაზა არ არის უბრალოდ აზრის ან განცდის გადმოსაცემი საშუალება, იგი, პირველ ყოვლისა, მისი სულის გამოძახილია, ხან ბედნიერებით განათებული, ხან უიმედობით და ტრაგიზმით სავსე, უაღრესად ტევადი და ღრმააზროვანი.

გია კობახიძეს ადარდებს სამშობლოს ბედი, მარადიულ საფიქრალად გადაქცევია სიყვარული, დღევანდელი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში მოდად ქცეული რწმენის საკითხი, არ ასვენებს წინაპრებზე (საბა, გურამიშვილი...) და მათ მიერ დატოვებულ სულიერ კულტურაზე ფიქრი...

მის ლექსებში შეინიშნება ის დიდი სულიერი ტკივილიც, რაც არაერთ ქართველ მამულიშვილს აწვალებს და რასაც მამისმკვლელი ერის შვილობა ჰქვია: **„არჩევანს მიჰყვე, მოფიქრალი კაცის წესია, გდია წიწამურს, სადღაც ტყვიის მასრა ბერდანის, ვერ გავჩუმდები, როცა სინდისს შუბლში ესვრიან,არც მამისმკვლელი საქართველო არ მწამს, ღმერთმანი!“**

პატრიოტული ხაზის ლექსებში მნიშვნელოვანია ვალის შეგრძნება მამულისა და ღვთის წინაშე. ისინი ღრმა მოქალაქეობრივი შეგნებითაა დაწერილი. პოეტს კარგად ესმის სამშობლოს თხოვნა თუ მოთხოვნა მისი შვილებისადმი და იმასაც აღიარებს, რომ გმირობის ჩადენა დღეს საკმაოდ ძნელი საქმე გამხდარა. თუმცა არის, ერთი შეხედვით, თითქოს არც ისე რთულად შესასრულებელი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი მისია, რაც აუცილებელია, გაითავისოს თითოეულმა მამულიშვილმა — შვილი მაინც გაზარდოს ნამდვილ ქართველად:

მაშინ ჩათვალე, რომ ტყუილად არც შენ მოსულხარ
შენი გულით და საკუთარი შენი სათქმელით.

არ შეიძლება აღნიშვნის გარეშე დავტოვოთ კრებულის მხატვრული გაფორმება, წიგნში აქა-იქ მიმობნეული ილუსტრაციები, რომლებიც საინტერესოდ ერწყმის პოეტურ სათქმელს. განსაკუთრებით კი ერთი გვერდი იქცევს ყურადღებას, რაც წიგნის უბრალო გადაფურცვლისასაც კი ხვდება თვალში

მკითხველს — შავ ფონზე თეთრად დაბეჭდილი ერთი ლექსი. შავ-თეთრის ოპოზიციას, სიკეთე-ბოროტების მარადიულ დაპირისპირებას აქ მისი გრაფიკული სახეც უსვამს ხაზს, ცნობიერებითა და მხედველობით ერთდროულად აღქმული მოვლენა უფრო დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე და სათქმელიც აქტუალობასა და მარადიულ ხასიათსაც გამოკვეთს: **„შავი ნიშნავს კუპრს, ღამეს და ბნელს, თეთრი ნიშნავს სიხარულს და სიცილს, შავი საქმე შავს ატყვია ხელს, თეთრი ფიქრი თეთრ ღრუბლებში იცდის...“**

განსაკუთრებით ნაზი და ფერადია ბატონი გიას სატრფიალო ლირიკა. აქ წვიმა ქალია, ფოთოლი — სატრფო და მათი სიყვარულის დაგვირგვინება ცისარტყელა — მამლის კუდი.

მოულოდნელად მოსული წვიმა მოულოდნელად მოსულ ქალს ჰგავს, მასავით ლამაზი და თბილია. აქ სევდაც კი გამჭვირვალე, ნაზი და ფერადია.

პოეტური სახეები განსაკუთრებული სიუხვით გვხვდება სიყვარულის თემაზე შექმნილ ლექსებში. აქ პოეტის წარმოსახვა იძენს უამრავ ფერს, ნათდება კაშკაშა და ელვარე შუქით, მეტაფორები თუ შედარებები ისე მოულოდნელად ჩნდება პოეტურ ქსოვილში, რომ თვალს ჭრის მათი სიმკვეთრე და მრავალფეროვნება“.

ხმაშეწყობილნი ვით ძმები

ანსამბლი „შვიდკაცა“, რომ იტყვიან, პირდაპირ დაატყვევებს დარბაზს საშემსრულებლო ოსტატობით. მათი გამოსვლის მერე გია კობახიძე, როგორც მეწინავე და დამამეგობრებელი ამ ჩინებული ახალგაზრდებისა, თანაც ტკბილქართულად ხმისშემწყობი, ორიოდე სიტყვით, მაგრამ სიამაყით იტყვის: — ჩემთვის რას ნიშნავს ეს ბიჭები? ძალიან მოწიწებული და თავმდაბალი ახალგაზრდები არიან. წლების წინათ, სრულიად ყმაწვილები დავიმეგობრე. და მოვდივართ როგორც ძმები, ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად. არაჩვეულებრივები არიან... სწავლობენ რისი შესწავლაც შეიძლება და მეც ვსწავლობ ამათგან...

სიმღერას კვლავ ლექსი დაამშვენებს, ოღონდ მსახიობის მიერ წაკითხული.

შევნატრი, ოღონდ არ მშურს

მურმან ჯინორია თავდაპირველად პოეზიის იდუმალების ახსნას შეეცდება. შეეცდება და შთამბეჭდავადაც გამოუვა. იტყვის, რომ ლექსი არა მარტო ისმინება, იხედება კიდეც: — ძალიან ბევრ ლექსს ვკითხულობ, მაგრამ ერთ სტრიქონს ვერ დავწერ. ეს სულ სხვა მადლია, სიტყვებით გამოიყვანო რაღაც დიდი აზრი. წამიკითხავს, კარგი პოეტი ის არის, სიტყვების მოულოდნელ შეერთებებს ვინც აკეთებსო. ამის გენიალური მაგალითია გალაკტიონ ტაბიძე.

ჩვენ ვერ მოვატრიალებთ ასე ფრაზას: — მზიან ქარად იქცა ცქერა. გრამატიკულადაც გაუმართავია. არადა სტრიქონს გრძნობ კარგად, ზედმიწევნით ემოციურად, სახიერად... ნამდვილი პოეზია მეხსიერებაა სამოთხიდან...

მე შევნატრი კარგ პოეტებს, ოღონდ არ მშურს.

მერე მიწვდა გია კობახიძის ლექსებს... სხვათაშორის საქებარად მიუთვალა ამ დიდ წიგნში ლექსების უსათაურებოდ თავმოყრა. გია კობახიძემაც დაუდასტურა: — ეს შეგნებული ქმედებაა. მკითხველს ვუტოვებ უფლებას, თვითონ დაარქვას, ან არ დაარქვას... რომელიმე ნიმუშს სახელიო... — ასე მგონია, როცა ლექსს კითხულობ, პოეტის განწყობა ანუ სხვისი ემოცია არ უნდა გადაგედოსო. მთლად გასაზიარებელ თვალსაზრისად ვერ დავიმახსოვრეთ, მაგრამ რახან საკითხი ამდაგვარადაც დაისვა, გავახმაურეთ კიდევაც.

სამი ლექსი ავარჩიეო, ბრძანა მურმან ჯინორიამ. სამივეჯერ აპლოდისმენტები არ მოაკლეს. და ამ ფონზე სასხვათაშორისოდ იკითხა რიტორიკულად: — ისე არტისტიც სჭირდება არა, ლექსებსო? ზოგიერთი კი გამოდის და ამბობს: პოეტები უკეთესად კითხულობენ საკუთარ ლექსებსო...

— რაღა ზოგიერთი, მე ვამბობ ხოლმეო, — ალალად აღიარებს როსტომ ჩხეიძე და არც თავის ნათქვამს წაიღებს უკან. იუმორის მოშველიებით ასე გამართავს საპასუხო ფრაზას მოსწრებულად: — ლექსები უნდა იკითხონ თვითონ ავტორებმა და მურმან ჯინორიამ.

მხატვრული სიტყვის სივრცეში...

ლაკონიურობით, მისადაგებით გამოირჩა **ლია კარიჭაშვილის** სიტყვა: „...გია კობახიძეს მოძენილი აქვს რაღაცა პოსტულატები, რომელსაც ეყრდნობა და შეუძლია თვალი გაუსწოროს, გააცნობიეროს ბოლომდე ის, რომ ეს ცხოვრება სასრულია და ზესთა სოფელში შეუძლია წავიდეს თავისი სიმართლით.

ბატონმა რევაზ სირაძემ ლიტერატურათმცოდნეობაში შემოიტანა ასეთი ცნება **ჯვარსახოვნება,** რომელიც გულისხმობს მიმართებას მოყვასისადმი და მიმართებას უზენაესისადმი. ეს არის ჰორიზონტალისა და ვერტიკალის გადაკვეთა. აი ამ ჯვარსახოვნების მისადაგება გია კობახიძის პოეზიასთან ძალიან იოლია. ამ მხრივ ბევრის მეტყველია მისი ლექსები.

წიგნი იწყება „ანაბეჭდით“. მე ვფიქრობ, სიმბოლურია ამ ლექსის დაწინაურება კრებულში, იმიტომ, რომ ანაბეჭდი და კვალი მხატვრული სიტყვის სივრცეში პოეტს აქვს“.

„სიყვარულო, ძალსა შენსა“...

საგანგებოდ, ხაზგასმით ითქვა გია კობახიძის სატრფიალო ლირიკაზე. სიყვარულმა, სასაუბროდ მართლაც რომ მასშტაბურმა თემამ აალაპარაკა გამორჩეული არტისტი, დრამატული სახასიათო როლების აღიარებული შემსრულებელი **ნოდარ მგალობლიშვილი** და ცნობილი ექიმი, კოლორიტული თბილისელი (უყვართ ასეთნაირად დახასიათება) **ლადო კახაძე.** მათი ხალისიანი გამონათქვამები, შეფარულად ითავსებდა ჩვენი ყოველდღიურობიდან გამომდინარე, დარდსაც, რომ ამ გაშიშვლებულ საუკუნეში, სავალალო ხდება ადამიანური ურთიერთობანი საერთოდ, განსაკუთრებით ქალისა და კაცისა; რომ თავისუფლება და თავაშვებულება გასამიჯნავია; რომ „თავი ერთსა დააჯეროს“... მოდურ ცვალებადობას არ უნდა შეეწიროს, მიუხედავად აღრეული დროისა, ქალი უნდა ქალობდეს და კაცი კაცობდეს. აი, სწორედ ამნაირად აღსრულდება ღვთის სასურველი საქმე ცისქვეშეთშიო.

...ეს ორიგინალური და ძნელად შესალევი საღამო იმერული „მრავალჟამიერით“ დააგვირგვინეს გია კობახიძემ

სალომე ასათიანი

„გახსოვდეს სიკვდილი“! „გახსოვდეს სიცოცხლე“!

შემოქმედებითი სამყარო იმთავითვე არაერთ ლიტერატურულ თამაშს იცნობს, იქნება ეს ფსევდონიმი, მისტიფიკაცია თუ მათი ათასგვარი ვარიაცია, რაც საუკუნეთა განმავლობაში ეპოქის შესატყვის ფორმას იძენს და ერთგვარად იდუმალების საბურველში ხვევს მხატვრულ ტექსტს.

ამის მიზეზი ხან რეჟიმია, ხან სიმართლის თქმის გამო საფრთხის მოლოდინი, ხან საკუთარი თავის გამოცდა — რა შეგიძლია, სად გადის შენი შესაძლებლობების ზღვარი, ხანაც, უბრალოდ, თამაში თამაშისათვის.

სოციალურ ქსელებში იაკი კაბეს ლექსები მკითხველთა დიდ ნაწილს კარგა ხანს თარგმანები ეგონა, მით უფრო, რომ საქმე ეხებოდა იაპონელებისათვის ასე საყვარელ ხუთსტრიქონიან სალექსო ფორმას — ტანკას. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიონალებსა და ლიტერატურის ექსპერტებს ფსევდონიმის ქვეშ ირაკლი კაკაბაძის ლექსების აღმოჩენა დიდად არ გასჭირვებიათ.

ოქტომბრის თვეში, ილიას უნივერსიტეტთან არსებულ წიგნის სახლში, სწორედ იაკი კაბეს ლექსების წარდგენა გაიმართა. „ინტელექტის“ საგამომცემლო ჯგუფმა (ეთერ ბაიდოშვილი, მარიკა ბაკურაძე, თამთა ჯანაშია, ალექსანდრე ჯიქურიძე) და დიზაინერმა ბესო დანელიამ წიგნის ფორმატით დაწყებული, საღამოს მხატვრული გაფორმებით დამთავრებული, პოეზიის მოყვარულებს ნამდვილი ზეიმი მოუწყვეს...

მეორე სართულის ვრცელ დარბაზში გულშემატკივართა ტევა არ იყო, სუფრაგადაფარებულ გრძელ მაგიდებზე ლოტოსის ყვავილივით გადაშლილ თეთრ იაპონურ ფინჯნებში ჩასხმული სურნელოვანი სითხე ამომავალი მზის ქვეყნის ტბებივით ლიცლიცებდა. ფერადოვან კიმონოში გამოწყობილი, მაკიაჟით სახეშეცვლილი მშვენიერი „იაპონელი“ გოგონები ღიმილით გვთავაზობდნენ ჩაის. გვანცა ჯობავა ძლივს ვიცანი. ახალგაზრდებით გადაჭედილ დარბაზში აქა-იქ ცნობადი კი არა, საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი უფროსი თაობის სახეებიც გაკრთებოდა.

შეხვედრა გამომცემლობა „ინტელექტის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა **მარიკა ბაკურაძემ** გახსნა და პირველი სიტყვა **იაკი კაბე** — **ირაკლი კაკაბაძეს** გადასცა.

საინტერესო და ოდნავ უცნაური აღმოჩნდა ავტორის მიერ მონათხრობი, წიგნის ე.წ. თავგადასავალი. რამდენიმე გამომცემლობას უარი უთქვამს წიგნზე, ხოლო ერთ-ერთს საკმაოდ გაუჭიანურებია ეს პროცესი. სამაგიეროდ გამომცემლობა „**ინტელექტისა**“ და „**არტანუჯის**“ კოორდინატორს, პროზაიკოს **ზვიად კვარაცხელიას** არც ამჯერად უმტყუნა ალღომ. მრავალ საინტერესო პროექტთან ერთად, იაკი კაბეს იკებანასავით შეკრული ლექსები ლამაზი თაიგულივით აჩუქა მკითხველს.

ირაკლი კაკაბაძემ რედაქტორით — **თამარ ბარბაქაძით** დაწყებული, გულითადი მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მუშაობაში ხელი შეუწყო და სიტყვა შეაწია. განსაკუთრებით იაპონური ენის მცოდნე ქალიშვილი, **მარი ბეჟანაშვილი** გამოჰყო.

წიგნის შესაფასებლად პირველი სიტყვა მწერალსა და ლიტერატურის დოქტორს **მაკა ჯოხაძეს** გადასცეს:

— ახლაც ახალგაზრდაა, მაგრამ პირველად რომ მელიქიშვილის გამზირზე მდებარე ჟურნალ „ომეგასა“ და „ჩვენს მწერლობაში“ ირაკლი კაკაბაძემ თავისი ნაწერები მოიტანა, თითქმის პატარა ბიჭი იყო. ორი წინადადებაც არ უთქვამს ზედიზედ. მოკრძალებით დამიტოვა და არც ის უკითხავს, პასუხისთვის როდის მოვიდეო. გამოცდილებამ მიკარნახა, რომ ეს სანდომიანი, სიმპათიური გარეგნობისა და ქცევის ადამიანი აუცილებლად ნიჭიერიც იქნებოდა. ჩემი ინტუიცია გამართლდა.

ეს იყო წმინდა წყლის მხატვრული ტექსტი, რომელსაც ასე ადვილად ჟანრის ჩარჩოებში ვერ ჩასვამდი, ჩვეულებრივი ლექსწყობის საზომებით ვერ მიუდგებოდი. რითმასა და რიტმზე მეტად მათში გულისცემა, პულსაცია ისმოდა. ზღვის სტიქია ისე დრამატულად იყო აღწერილი, ვიგრძენი, როგორი განცდები ბობოქრობდა ამ ჭაბუკში და ისიც აშკარა იყო, რომ ნიჭიერება და სიტყვის მადლი ნებისმიერ სტიქიას მომავალში კიდევ უფრო მეტად მოათვინიერებდა და ლიტერატურულ ფორმას მიანიჭებდა, — გაიხსენა ქალბატონმა მაკამ და იქვე დაამატა, რომ ირაკლი კაკაბაძეს თავისი თაობისთვის ასე ნიშანდობლივი ამბიციის, ეპატაჟისა და ეგოცენტრიზმისა წვეთიც არ გააჩნია. მისი, როგორც შემოქმედის, ხედვა იმდენად ღრმა და სერიოზულია, რომ მსგავსი საყმაწვილო სახადებისაგან იმთავითვე დაზღვეული იყო. მან არაჩვეულებრივი პოეტური კრებულები გამოსცა, მაგრამ ამ წიგნით, გარდა ლიტერატურული თამაშისა, ნამდვილი ოსტატობაც გვაგრძნობინა. ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ ლექსებში ძირითადად სოციალური თემატიკა ჭარბობს, კრებული კი დაცულია სწორედ ამ თემატიკისათვის მახასიათებელი სენტიმენტალიზმისა თუ ხელოვნური მელოდრამატიზმისაგან. მინიმალისტური პოეზიით ზუსტად დაჭერილი განწყობილებანი, ურთულესი პროცესებისა და მოვლენების არსში წვდომა და იაპონური ესთეტიკისათვის მახასიათებელი საოცარი სისადავე, სიმშვიდე და ინტიმი ქართველი პოეტისათვის ორგანული და გათავისებული აღმოჩნდა.

პაწია, ქათქათა წიგნი, ყდის ეკრანზე გამოსახული, შემეცნების გზით მიმავალი ბიჭის პირველ ნაბიჯებს თითქოს თვალს ადევნებს და წმინდანისა და პოეტის ორი უმთავრესი შეგონებით აფრთხილებს: „გახსოვდეს სიკვდილი!“ (პავლე მოციქული) და „გახსოვდეს სიცოცხლე!“ (ოთარ ჭილაძე).

ეს ტანკები არ არის იაპონური პოეზიის გავლენა. ეს არის სულთა ნათესაობა სამყაროში და, რომ ითარგმნოს, დარწმუნებული ვარ, იაპონელებს გაუჭირდებათ იმის დაჯერება, რომ სადღაც, დედამიწის რომელიღაც წერტილში არსებულ სხვა ქვეყანაში, სხვა ეროვნების კაცმა დაწერა ეს ლექსები. იმდენად თავისიანად, თავიანთი მიწა-წყლის შემოქმედად მიიღებენ მას, უბრალოდ გაუკვირდებათ, სად იყო ამდენ ხანს, იაკი კაბეს აქამდე რატომ არ ვიცნობდითო.

ირაკლი კაკაბაძის მეგობრებმა და კოლეგებმა **დიანა ანფიმიადიმ** და **ნატო ინგოროყვამ** დიდი სიყვარულით ისაუბრეს ირაკლიზე, როგორც შესანიშნავ ქართველ პოეტსა და პიროვნებაზე. ამის შემდეგ, არ ვიცი სპონტანურად თუ წინასწარ

დაგეგმილი დრამატურგიული სცენარით, დარბაზში მყოფი სტუმრები, სტუდენტები თუ უბრალოდ, პოეზიის მოყვარულები ყველა თავის საყვარელ თითო ტანკას კითხულობდა კრებულიდან. მათი მონაცვლეობა კი უაღრესად ამაღლებულ, ამაღელვებელ გარემოს ქმნიდა.

ეს იყო ყველაზე მშვენიერი და აშკარა დასტური იმ ფაქტისა, რომ ირაკლი კაკაბაძეს (იაკი კაბეს) არა მხოლოდ იცნობენ როგორც პოეტს, არამედ ქართველმა მკითხველმა უკვე მოასწრო მისი შეყვარება და აღიარება.

ჯერჯერობით მხოლოდ ქართველმა...

ზურაბ ლავრელაშვილი

არაბი თუ ხარ, ტფილისელი ხარ!

ანუ აქა ამბავი „ვეფხისტყაოსნის“ უცნაური გეოგრაფიისა და რუსთველოლოგიის გაბედითებისა

ვთქვათ და დავუჯერეთ ალექსანდრე ელერდაშვილს:

„ვეფხისტყაოსნის“ არაბეთი რომ ტფილისის საამიროა;

ავთანდილი — რუსთაველის ალტერ ეგო;

თინათინი — თამარ მეფე;

ხოლო ადგილი, სადაც სატრფოსათვის ცრემლის მფრქვეველი ტარიელი როსტევანსა და ავთანდილს გადაეყრება — ჩვენი მშობლიური მტკვრის ნაპირი, დაახლოებით ორთაჭალასა და ფონიჭალას შორის...

ვინც კი ეს სტატია წაიკითხა (ალექსანდრე ელერდაშვილი „იყო არაბეთს როსტევან?“ ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, 12. 2012), ერთი შეხედვით, ფრიად ნასიამოვნები დარჩებოდა, რომ თანამედროვე რუსთველოლოგია კვლავაც შეუნელებელი ინტერესით ეკიდება „ვეფხისტყაოსანს“ და მრავალი, აქამდე მიჩქმალული თუ მიუკვლეველი მარგალიტი ამოაქვს სამზეოზე; სხვა საკითხია, რამდენად სარწმუნოა ესა თუ ის ჰიპოთეზა თუ ვარაუდი — უმთავრესი მაინც ის მუდმივი ინტერესია, რაც რუსთველის პოემას ჩვენი ცხოვრების აუცილებელ ნაწილად აქცევს...

თითქოს მოწმენი ვართ რუსთველოლოგიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის აღზევებისა, მაგრამ ვაგლახ, რომ ეს მოჩვენებითი აღფრთოვანებაა...

რადგან არა მგონია, მსოფლიო ლიტერატურაში მოიძებნებოდეს სხვა ისეთი გენიოსი პოეტი, ვისი შემოქმედების კვლევაც ჯერაც ასე პრიმიტიულ დონეზე, ლამის ქვის ხანაში იყოს ჩარჩენილი...

განსაცვიფრებელია ამ სფეროში მკვლევართა სრული არაკომპეტენტურობა და უუნარობა ჟანრულ-ესთეტიკურ კანონზომიერებებს მაინც დაუკავშირონ რუსთველის პოემა და არა თავიანთ აჩემებულ თვალსაზრისს...

რუსთველოლოგია ხომ ყველაფერს იკვლევს, გარდა „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრობრივ-მხატვრული გენეზისისა და კაცსაც გული აუტირდება, როცა ამ გამაოგნებელ შემოქმედს ასე უპატიოდ ექცევა ქართველი მკვლევარი... არ მეგულება მეორე ისეთი მსოფლიო დონის პოეტი, ვისაც ასე ჰაი-ჰარად, ზერელედ კითხულობდნენ და მერე ასევე ნაჩქარევად აცხობდნენ ერთი-ერთმანეთზე კურიოზულ ჰიპოთეზებს...

ალბათ, ქართულ რუსთველოლოგიას ეკუთვნის პირველობა ფილოლოგიურ მეცნიერებაში სრულიად ახალი მეთოდის დანერგვისა — ტექსტის უგულებელყოფით და წაუკითხაობით მისი ანალიზი...

ალექსანდრე ელერდაშვილის სტატიაც ტიპური ნიმუშია თანამედროვე რუსთველოლოგიის ასეთი გაბედითებისა (როგორც „ვეფხისტყაოსნის“ დამწერი იტყოდა ამგვარ შემთხვევაში!), როცა ნაირ-ნაირი მოსაზრებები სრულებით არამეცნიერული თვალთახედვით ითხზვება, მათი დასაბუთებით კი მკვლევარი თავს როდი იწუხებს...

მთავარია, რაღაც „ახალი“ თქვა და არავინ გკითხავს, პოემის ტექსტი ეთანადება თუ არა შენს ვარაუდს...

მით უმეტეს, თუ რუსთველოლოგიაში ისეთ მყარად ფეხმოკიდებულ არაკებს იყენებ საბუთად, როგორიცაა, ვთქვათ, თამარ მეფისადმი პოეტის სიყვარული და კონსპირაციის ის თეორია, რომლის ძალითაც თურმე რუსთველს „თავისი გულისნადები შეუნიღბავს“ პოემაში...

ავთანდილი არის თვით შოთა და მისი სატრფო თინათინი კი თამარ მეფეო...

ამიტომაც „ვეფხისტყაოსნის“ არაბეთი მართლა არაბეთი როდია, არამედ დიდი ხნის წინათ დავიწყებული ტფილისის საამირო, რამაც თურმე საქართველო უნდა გაახსენოს მკითხველს...

თინათინის გამეფების ეპიზოდს ტყუილად ხომ არ ჩართავდა რუსთველი პოემაში, თუკი იგავურად და ქარაგმულად არ მიუთითებდა, ეგ ყოველი საქართველოში ხდება და თამარ მეფე იგულისხმეთო...

მიუთითა კიდეც: „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებული ყველა პუნქტის ზუსტი პოვნა შეიძლება რუკაზე, გარდა ერთისა და ეს გამონაკლისი არაბეთიაო...

ალექსანდრე ელერდაშვილიც ფეხდაფეხ მიჰყოლია პოემის პერსონაჟებს და ბოლოს მტკვრის ნაპირას მისულა, სწორედ აქ შეხვდა ტარიელი სანადიროდ გამოსულ როსტევანსა და ავთანდილსო...

ვთქვათ და დავიჯერეთ ეს ამბავი...

განა რა, ამაზე ნაკლები უცნაური თეორიები გვსმენია ჩვენი რუსთველოლოგებისაგან, ეს რომ არ ვირწმუნოთ: ავთანდილი მართლა არაბი კი არა, თვით შოთა რუსთველიაო...

მისი სამშობლო არაბეთი კი — ტფილისის საამირო...

ალექსანდრე ელერდაშვილი თითქოს უცილოდ გვარწმუნებს, რომ დედამიწაზე სხვა არაბული ქვეყანა არ არსებობს, რომელიც ამ პერსონაჟის სამშობლოდ გამოდგებოდა, ოდენ კარგა ხნის წინათ გამქრალი ტფილისის საამიროსი, და თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად ფრიად ორიგინალურ ხერხს გვთავაზობს: რაკი ავთანდილი სამი დიდი არაბული რეგიონის მკვიდრი არ არის, უთუოდ ტფილისელი იქნებაო...

ეგვიპტელი არ არის, ბაღდადელი არ არის, საუდის არაბეთიდან არ არის, მაშასადამე ტფილისელიაო...

და ამ პერსონაჟის უეჭველი ტფილისელობის დასადასტურებლად გამორიცხვის მეთოდი მოუმარჯვებია... უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს მეთოდიც თანამედროვე რუსთველოლოგიის უნიკალური მონაპოვარია, რადგან ალექსანდრე ელერდაშვილის დრო-სივრცულ მოდელს, როგორც თავად არქმევს ამ უცნაურ მოსაზრებას, საერთო არაფერი აქვს „ვეფხისტყაოსნის“ სამოქმედო არეალთან და შედგენილია ოდენ მექანიკური გათვლით, პოემის ტექსტის გაუთვალისწინებლად...

უფრო მეტიც: ალექსანდრე ელერდაშვილი ზოგჯერ უგულებელყოფს ან პირუკუ წარმოაჩენს ამა თუ იმ ეპიზოდს, რაც, ზოგადად, ისევ და ისევ თანამედროვე რუსთველოლოგიის „საფირმო ნიშანია“. მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ წერია:

„არაბეთს გასცა ბრძანება დიდმან არაბთა მფლობელმან“.

ან კიდევ:

„მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი განმრავლდა ხასისა“.

მკვლევარი კი მაინც გვარწმუნებს, რომ ეს „სრული“ თუ „დიდი“ არაბეთი თურმე ერთიბეწო ტფილისის საამიროა.

ავთანდილის მულღაზანზარიდან წამოსვლისა და ვაჭრებთან შეხვედრის შესახებ ალექსანდრე ელერდაშვილი გვამცნობს: „ეგვიპტიდან წამოსული ვაჭრები არ იცნობენ ავთანდილს. ესე იგი, ავთანდილი არ არის ეგვიპტელი არაბი“.

ნამდვილად კი ავთანდილს ეგვიპტელი ვაჭრები არ უნახავს იმ უბრალო მიზეზით, რომ ისინი მეკობრეებმა დახოცეს ძელის სახნისის წვერით მანამ, სანამ ავთანდილი მობაღდადე ვაჭრებს გადაეყრებოდა.

ასევე თვითნებურად უსწორებს მარშრუტს ალექსანდრე ელერდაშვილი „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს: „მანამდე კი ავთანდილი ირანის გავლით მივიდა ხატაეთამდე... და უკან გამობრუნდა დასავლეთისაკენ“.

პოემაში კი არც ირანია ნახსენები და არც დასავლეთი...

გაურკვეველია ალექსანდრე ელერდაშვილის შედგენილ რუკაზე თურქთა ქვეყანაც, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ არ იხსენიება.

იგივე ითქმის სხვა გეოგრაფიული პუნქტების მიმართაც: მაგალითად, გულანშარო და ქაჯეთი მკვლევარს ეგვიპტეში „გაუმწესებია“... რის საფუძველზე? ალექსანდრე ელერდაშვილი არ განმარტავს მათი ადგილმდებარეობის ვერსიას და ისღა დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ ის აქაც თვითნებურად უთითებს ტოპონიმებს...

ოღონდ ეს სულაც არ უშლის ხელს, განაცხადოს, რომ „ეს გზები და ქვეყნები პოემის ავტორს თვითონ ჰქონდა მოვლილი და ნანახიო“.

რა იცის ალექსანდრე ელერდაშვილმა, რუსთველს სად უმოგზაურია?

თუმცა ეს კითხვა მაშინ იქნებოდა მართებული, რუსთველოლოგიურ „შტუდირებას“ რომ არ ეხებოდეს, რადგან თანამედროვე ქართულ რუსთველოლოგიას თავისი მეთოდი და ლოგიკა აქვს. აი, რას წერს ალ. ელერდაშვილი თამარ მეფისა და თინათინის იგივეობის შესახებ:

„ამ ალეგორიულ წიაღსვლას, ალბათ, დამტკიცება არ სჭირდება“.

მაშასადამე, რუსთველოლოგიაში არსებულა რაღაც ფაქტები თუ თეზისები, რომლებიც უცილო ჭეშმარიტებას წარმოადგენს და მტკიცება არ სჭირდება...

ერთი მათგანი კი სწორედ ალექსანდრე ელერდაშვილმა აკი გაგვაცნო: „ავთანდილი არის თვით შოთა და მისი სატრფო თინათინი კი თამარ მეფეო“...

პოემის პროლოგი კი სულ სხვა რამეს გვეუბნება:

მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი,
მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი!

როგორც ჩანს, „ალეგორიული წიაღსვლებიც“ ჩვენი მშობლიური რუსთველოლოგიის მეთოდოლოგიური არსენალია...

ცხადია, ამის შემდეგ აღარ უნდა გაგვიკვირდეს მკვლევარის ასეთი უცნაური ლოგიკა თუ ულოგიკობა: „როცა ჩვენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევდიოდით, ყველას ეგონა, რომ ჩვენ ვცხოვრობდით რუსეთში და ვიყავით რუსები“...

ანდა ამგვარი მტკიცება, რომ ავთანდილს თურმე თვით ავტორმა შეუთხზა სახელი „რეალურად არსებული (!) არაბული ენიდან“...

ოღონდ ისე, რომ ეს სახელი, თავად მკვლევარის თქმით, არსად იძებნება რუსთველამდე არსებულ ლიტერატურასა თუ ისტორიულ ძეგლებში!

ესე იგი თან არაბულია და თან არ არსებობს! თანვე, არაბულია მხოლოდ მკვლევარისათვის, რომელიც ამჯერად რუსთველს უსწორებს პერსონაჟის სახელის დაწერილობას, ავთანდილი კი არა, ავთან-დინი უნდა იყოსო...

სხვა შემთხვევაში კი სახელი ავთანდილი არაბული არანაირად არ გამოდის, რაღაი დაბოლოება „დილ“, მკვლევარისავე განმარტებით, სპარსულია!

მაშ, როგორღა შეთხზა პოეტმა ეს სახელი „რეალურად არსებული არაბული ენიდანო“, აქ მაინც იკითხავს მკითხველი!

როგორ და როგორც ალექსანდრე ელერდაშვილმა შეთხზა „ვეფხისტყაოსნის“ დრო-სივრცული მოდელი: ჟანრის კანონების უცოდინრობით და გენიოსი შემოქმედის უგულებელყოფით!

რადგან თანამედროვე რუსთველოლოგებისათვის ჩვენი უპირველესი საუნჯე — „ვეფხისტყაოსანი“, რომლის ერთი სტროფი მეტ სიბრძნეს შეიცავს, ვიდრე მის შესახებ დაწერილი სქელტანიანი ნაშრომები ერთად აღებული, ან გეოგრაფიის სახელმძღვანელოა, ან თეოლოგიური კატეხიზმო, ანდა პოლიტიკური პამფლეტი!

და არამც და არამც პოეტური თხზულება, რომლის მხატვრულ-ესთეტიკური სიღრმეები ჯერაც მიუკვლეველია!

უკვე ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ ჟანრულ-ესთეტიკური კვლევის ნაცვლად, თანამედროვე რუსთველოლოგია კვლავაც ჩხირკედელაობით ერთობა და რომ ამ დარგის მეცნიერულ რელსებზე გადაყვანას, ალბათ, ერთი ასწლეული დასჭირდება!

მანამდე კი თავი უნდა ვინუგეშოთ პოეტისავე ფრაზის გარდათქმით:

„მო, დავსხდეთ რუსთაველისთვის ცრემლი გვდის შეუშრობელი!“

რადგან ასე თუ გაგრძელდა „ვეფხისტყაოსნის“ კვლევა და ანალიზი, პოემა და პოეტიც ისე შემოგვაკვდება ხელში, ვერც კი ვიგრძნობთ...

მურმან ჯგუბურია

მის კითხვაში მთელი ცხოვრება გაატარო



მორიგი წიგნის („ჩემი სავანე“) ბოლო, XXV თავში ოთარ ჩხეიძე ამბობს:

„რომანიაო, ითქმის. თუ რამ აკლია, — რომანული ძაფი აკლია, სატრფიალო ძაფი აკლია... მენანება, სატრფიალო ზოლი რო გამოვტოვე... სიყვარული რო მაინც სხვა რამ გახლავს, მაინც ლაზათია რომანისა...“

ასე ამბობს, თუმცა სინამდვილეში „ჩემი სავანეს“ ერთ-ერთი მთავარი გმირი სწორედ რომ ქალია. და ამ მანდილოსნის სახელი გახლავთ ფატმანი, ვისზედაც თავდავიწყებით არის შეყვარებული რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი, პროფესორი ს. გ. ანუ დრო წაიშალა, XX საუკუნის მამაკაცს შეუყვარდა XII საუკუნის მანდილოსანი, ანუ დრო გაჩერდა, როგორც არის გაჩერებული გორის პედაგოგიური ინსტიტუტის შენობის შესავალზე ჩამონტაჟებული საათი.

„ჩემი სავანე“ — გასული საუკუნის საალიტერატურო ცხოვრების მატიანეა. მე კი ამჯერად წიგნის ერთადერთ პასაჟზე მინდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება.

ოთარ ჩხეიძე, ჩვეულებისამებრ, განუმეორებელი შტრიხებით ხატავს წიგნის პერსონაჟებს.

აქაა: იპოლიტე ვართაგავა, იოსებ გრიშაშვილი, ლადო გუდიაშვილი, ლევან გოთუა, სერგი მაკალათია, თედო ჟორდანია, გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია, სიმონ ჩიქოვანი, კარლო კალაძე, დემნა შენგელაია, სიმონ გაჩეჩილაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ლავროსი კალანდაძე, და გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დიდი და მცირე თანამშრომელი, ჩინიანნი და უჩინონი...

აქ ჩამოთვლილთაგან მე ახლო ურთიერთობა მაკავშირებდა კონსტანტინე ლორთქიფანიძესთან. იგი იყო ჟურნალ „საუნჯის“ მთავარი რედაქტორი და მე ჟურნალის ერთი რიგითი თანამშრომელი. აქვე ვიტყვი, კ. ლ. იყო კარგი რედაქტორი. კარგი მოქართულე. „ერთი ისეთი მასალა მაინც უნდა გამოქვეყნდეს ჟურნალის ნომერში, რომ მკითხველი შეჩქვიფდეს“ (კ.ლ.).

და აი, იბეჭდება იმ ხანებში ჯერ კიდევ აკრძალული ისააკ ბაბელის „ცხენოსანთა არმია“, რაც გადმოაქართულა ცნობილმა პროზაიკოსმა და პუბლიცისტმა რ.ჯ. რედაქტორმა ჟურნალის სასიგნალო ნომერი დაიჭირა ხელში და გამოიძახა თანამშრომლები. კორექტურა ვინ წაიკითხაო? ტექსტი ვინ ჩაასწორაო. შენ თუ წაიკითხეო, მეკითხება. არა-მეთქი, ვპასუხობ, „ცხენოსანთა არმია“ დედანში მაქვს-მეთქი წაკითხული. ეს როგორ გაგეპარათო. ყველას გვეუბნება. „იკოტა ეძგერა ყელში და დახრჩობა დაუწყოო“ — ცხონებულ მთარგმნელს იკოტა, როგორც ჩანს, ნაწარმოების გმირად მოეჩვენა და სლოკინი გვარად მიიჩნია. „ვაი, ჩემს თავს, რა დღეში ვარო, რედაქტორმა, ჩემი მტრები ხართო ყველანი“, და ჟურნალის სასიგნალო ნომერი დასაჭრელად გააგზავნა.

ახლა ვნახოთ, თუ ვინ იყო და რა კაცი იყო კ.ლ. საუკუნის მემატიანის თვალით:

სიმონ ჩიქოვანს, წერს ავტორი „კოწია ლორთქიფანიძე და ლავროსი კალანდაძე მოჰყვნენ. მომებოდიშა. სტუმარი ღვთისაა-მეთქი. ღვთისა�აო. დამიდასტურა. იმათ ნარდი მოითხოვეს მოსვლისთანავე, გზაშივე რო დანაძლევებულიყვნენ. ითამაშეს უამრავი ხელი, დალეწეს ნარდი. დაკვნიტეს კამათელი, ამოიხრინწეს ყელი მჭახე შეძახილებითა, ვერც ჟინი მოიკლეს და ადგომაც არ უნდოდათ. ყველა ხელი ლავროსიმ წააგო. არ ეშვებოდა. ყველა ხელი კოწიამ მოიგო. ის უფრო მეტად არ ეშვებოდა, უფრო შმაგობდა, გაფიცხებულიყო, კანკალებდა სიფიცხისაგანა. „ამასგან არ მიკვირს“, მივმართე კოწიასა, „აგებს და ხელის გამობრუნება უნდა. თქვენ რატომ აღარ მოეშვებით, გამარჯვებული ჰო თქვენა ხართ?!“ „რა გამარჯვებაა თუ ძირისძირამდე არ გაანადგურე მოწინააღმდეგეო, შესძახა კოწიამა“.

მეც მითამაშია ნარდი კ. ლ.-სთან, არაერთხელ. გავშალეთ ერთხელაც ნარდი. გამომიგორა ცალი კამათელი, მეორე თვითონ დაიჭირა ხელში, ესე იგი, დავადგინოთო, ვინ უნდა გააკეთოს პირველი სვლაო. რა მნიშვნელობა აქვს-მეთქი. აბა, თუ არა აქვს მნიშვნელობა, მომეცი აქეთ! მითხრა და გააგორა პირველმა.

სხვა დროს:

ჭადრაკს ვთამაშობთ. თავზე გვადგანან მოსეირენი, მისი და ჩემი გულშემატკივრები. უფრო მისი, ცხადია, რედაქტორია კაცი. კ. ლ. აგვიანებს სვლის გაკეთებას. დრო მიდის. დაფას დასცქერის. მაყურებლებს ასცქერის. კარნახს ელის. კარნახობენ. არ მოსწონს. ვერ გადაუწყვეტია, რა უნდა ითამაშოს. „შენ? — მეუბნება, — შენ რას მირჩევ?“ მე-მეთქი? ვიკითხე გაოგნებულმა. „ჰო, შენ! აბა ვინ?!“ ცხენით უნდა გააკეთოთ სვლა, ბატონო კონსტანტინე. „აგაშენა ღმერთმა!“ თქვა და ცხენით სვლა გააკეთა.

ერთხელაც ასეთი სურათის მოწმე შევიქენი: კ. ლ.-მ შეიძინა ერთ-ერთ უნივერმაღში ექვსი ჯინსის შარვალი, ექვსივე ერთი ფერისა და ზომისა. და აგრეთვე, ექვსი უთო. ხომ დაუჯერებელია თითქოს, მაგრამ სიმართლეა. თორმეტი უნდა შემეძინაო, თქვა გულნაკლულმა. „რატომ-მეთქი?“ „შენ მაგას ვერ გაიგებო“, მითხრა.

ცხონებული გიორგი ნატროშვილი და მე ვართ სტუმრად კ. ლ. -სთან.

გ. ნ. და კ. ლ. რაღაცაზე საუბრობენ. კამათობენ. მე ვათვალიერებ კ. ლ.-ს ბიბლიოთეკას. ერთ-ერთ თაროზე ერთმანეთზეა მიწყობილი ჯერ კიდევ აკრძალული მიხაილ კუზმინის ლექსთა კრებულები. ერთი და იგივე კრებულები. გადავითვალე. ექვსი კრებული. ერთი კრებული ხელში დავიჭირე და კ.ლ.-ს ვეუბნები, ხომ არ მათხოვებთ-მეთქი ამ წიგნს. „თავის ადგილზე დადეო“, მითხრა. იქნება ალექსანდრ ბლოკის გამონათქვამი მოაგონდა-მეთქი, გავიფიქრე, კუზმინის „ალექსან-

* **ერთი თავი წიგნიდან: „ჩემი რჩეული თანამედროვენი“ (ოთარ ჩხეიძე)**

დრიული სიმღერების“ კრებულზე რომ მისწერა ავტორს, შენი ლექსების წიგნი ისეთია, მარცხენა ხელიდან მარჯვენაში გადატანა დაგენანებაო. „ათხოვე მურმანს წიგნი, შენ ამით რა დაგაკლდებაო“, ბატონმა გიორგიმ. არ მათხოვა. „მერე, მერეო“, ჩაილაპარაკა და სათვალე გაისწორა.

კ.ლ. მერვე ათეულში იყო გადამდგარი, ოციოდე წლის ქალი რომ შეირთო. „ცოლებით მეწვიეთო“, დაანამუსა ნაცნობ-მეგობრები, ქორწილი რომ უნდა გადაეხადა.

დადიანის ქუჩის კუთხეში, რედაქციაში ვართ. კონსტანტინე გამსახურდია გამოასვენეს მწერალთა სასახლიდან. მოაცილებენ მიცვალებულს და ყველა რადიომიმღებიდან ისმის შოთა ნიშნიანიძის ცნობილი ლექსი: „მცხეთას ხომ არ მიბრძანდებით, კონსტანტინე ბატონო“. „ვაი, ჩემს თავს, მე ახლა აქ უნდა ვიჯდე?“ ჩაილაპარაკა კ. ლ.-მ და ნება დაგვრთო პროცესიას მივყოლოდით. თვითონ კი მარტოდმარტო დარჩა თავის ოთახში. თავისთავთან, თავის მოგონებებთან თუ მომავალთან.

„ნაღდი მწერალი ხარ, ბრატ, ვირიშვილი ვიყო!“ — უთხრა ერთხელაც სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან ცხონებულმა გიორგი ბაქანიძემ. და დიდად გაიხარა. „ბრატი“, არ ესიამოვნა თითქოს ახალგაზრდა მწერლისაგან ამგვარი ფამილარობა, მაგრამ არ შეიმჩნია. „ნაღდმა მწერალმა“ გადასწონა. მწერალი იყო, ცხადია. ნაღდი მწერლის ნიჭი გააჩნდა. თუმცა მთელი თავისი ცხოვრება იმას წერდა, რაც არ უნდა ეწერა. ანუ წერდა იმას, რასაც პარტია ავალებდა. „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“. „მთას დაუბრუნდა მთიელი“. და მისთანანი, და მისთანანი. „ვაი, ჩემს თავს“. იმეორებდა ხშირ-ხშირად, ნანობდა რაღაც-რაღაცებს და ბალღივით მიამიტი ხდებოდა ხოლმე. წითელი ჰალსტუხი მოსწონდა და მისი ასაკისათვის ძნიად შესაფერი, წითელი პერანგი. „ხომ მიხდება?“ „ძალიან“. „ძზეც წითელია“.

ათასი რამე მაქვს კიდევ სათქმელი, მაგრამ არ ვამბობ. არ ვამბობ იმიტომ, რომ იმდენი რამე თქვა ცხონებულმა ოთარ ჩხეიძემ და იმდენი რამე ჩაატია თავის მოკლე შტრიხში, ყველა ჩემეულ მოგონებას გადასწონის.

დააკვირდი, ძვირფასო მკითხველო, ღერი სიტყვითაც კი არ უხსენებია ოთარ ჩხეიძეს კ. ლ.-ს სიხარბე და გაუმაძღრობა, მაგრამ მაინც რომ ყველაფერი გამოიფინა. ანუ უთქმელად ითქვა.

რა არის ეს: მონოგრაფია კ. ლ.-ს შესახებ, თუ ესკიზი, ჩანახატი, ეტიუდი, მინიატურა, მოთხრობა თუ რომანი?

მეტი რა უნდა დაიწეროს, რომ ამ ერთი პერსონაჟის იერსახე უფრო მეტად წარმოჩნდეს?!.

„ჩემი სავანე“ რომანი არ არიო, გვითხრა წიგნის ბოლოში, არადა, „ჩემი სავანე“ რომანებითაა გაძეძგილი.

„ჩემი სავანე“ დაარქვა ნაწარმოებს ავტორმა, თუმცა საკუთარ თავზე თითქმის არაფერს გვეუბნება. სხვათა და სხვათა პორტრეტებს გვიხატავს და ავტორისეული პორტრეტი იხატება. დაახლოებით მსგავსი ხერხითაა გადმოცემული ჰომეროსის ეპოსის ერთი დიდად სამახსოვრო ეპიზოდი: ერთად თავმოყრილი გმირების თვალწინ მშვენიერმა ელენემ ჩაიარა. მაგრამ საკუთრივ ელენეს მშვენიერებაზე რაფსოდი ღერ სიტყვასაც არა სძრავს, არამედ აღწერს ელენეს მნახველთა განცვიფრებულ თვალებს.

რა ძვირფასია, რომ არსებობს ასეთი მესიტყვე, — ოთარ ჩხეიძე, რომლის ნაწერების კითხვაში შეიძლება მთელი შენი შეგნებული ცხოვრება გაატარო.

P.S. მწერალთა კავშირის ბაღის კიდეში გამოყვანილი წყაროს თავზე წარწერაა:

„შესვი, გაამოს!“

რამ გააცარა ჰაინრიხ ბიოლი

(ოთარ ჩხეიძის გახსენება „ჩემი სავანის“ გარემოში)

იმ დღეს ოთარ ჩხეიძეს იხსენებდნენ გორის უნივერსიტეტის ოთარ ჩხეიძის სახელობის ქართული ლიტერატურის კაბინეტში.

ეს არ იყო ხსოვნის საღამო, ეს იყო მონატრება ადამიანისა, რომელმაც დიდი ამაგი დასდო უნივერსიტეტს. თურმე რამდენი შეძლო იმ ძნელბედობის ჟამს, როცა „ზღაპარია მგოსანთ სითამამე“, თურმე რამდენი რამ სურდა და ვერ შეისრულა, ვერ გვაზიარა, ჩვენ, მისი სტუდენტები, კოლეგები, თანამოაზრენი ყველაფერ იმას, რაც ჩაფიქრებული ქონდა. კითხულობ მის ახალგამოსულ ჩანაწერებს და გული სევდით ივსება. რატომ? ამაზე დღეს დაუსრულებლად შეიძლება საუბარი — რა სურდა, რა ვერ აისრულა. სწორედ ამას გაუსვამს ხაზს უნივერსიტეტის რექტორი გიორგი სოსიაშვილი თავის გამოსვლაში. „მე ვიცი როგორი მძლავრი კერა არსებობდა გორის უნივერსიტეტში სულიერებისა, ლიტერატურის (არა მარტო ქართული) პოპულარიზაციისა, და ჩვენ გვინდა ეს ყველაფერი გავაგრძელოთ. ამ კაბინეტის დაარსება ამის წინაპირობაა. მე მქონდა ბედნიერება შევხვედროდი ბატონ ოთარს. ბევრი ვისაუბრეთ მწერლობაზე, მე სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში მისი გაცისკროვნებული სახე ამ საუბრისას“.

უნივერსიტეტის კანცლერი — გიორგი ხორბალაძე: დღეს ჩვენ ბევრ კარგს ვაკეთებთ ბატონი ოთარის გახსენებით და მის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელებით. ჩვენთვის, უნივერსიტეტისათვის, საპატიო და საამაყოა ბატონი ოთარის კავშირი ჩვენს უნივერსიტეტთან. დიდი მადლობა იმ ადამიანსაც, ვინც ყველაფერ ამის ორგანიზებას აბამს თავს.

უნივერსიტეტის პროფესორმა **ელდარ მამისთვალიშვილმა** თავისი გამოსვლა ასე დაიწყო: იმდენად ხშირად ვხვდებით ჩვენ ბატონ ოთარზე სასაუბროდ, მის გასახსენებლად, რომ თითქოს უნდა გაჭირდეს მასზე ახალი რამის თქმა, მაგრამ კარგად ვხედავთ, რომ ასე არ არის. თითოეულს ბევრი გვაქვს მასზე სათქმელი. ლექტორი — ჭკუის დამრიგებელი, საამაყო — პრინციპულობისა და მოქალაქეობრივი მრწამსის გამო. მისი დიდი დამსახურებაა, რომ 69-ე აუდიტორიაში გავიცანი ბევრი სახელოვანი ადამიანი, მე იმდენი ვინმე ვნახე, რომელთა სახელებიც მხოლოდ გაგონილი თუ მქონდა.

ბატონი ოთარ ჩხეიძის სტუდენტი, პროფესორი **თამილა გოგოლაძე** დიდ საიდუმლოს გაუმჟღავნებს აუდიტორიას და ამით ერთხელ კიდევ გაამყარებს ბატონ ელდარ მამისთვალიშვილის ნათქვამს — თითქოს რა შეიძლება ითქვას ახალი ოთარ ჩხეიძეზეო: შეიძლება და თანაც როგორ. წლობით ნალოლიავები საიდუმლო, რომლის გახსნის შემდეგ ცხადი გახდება ამდენი წლის განმავლობაში მისი არგამხელის მიზეზი და შედეგი: „მეცხრე კლასიდან ვწერდი, ჩემი ნაწერები ვაჩვენე ჩემს ლექტორს, მწერალ როსტომ ბეჟანიშვილს, შემდეგ ვაჩვენე ბატონ ოთარსაც, რომელიც მთხოვდა, ამის შემდეგ სისტემატურად მიმეტანა მისთვის ეს ჩანაწერები, და სისტემატურად მიწუნებდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ აღარ ვიცი რა ვქნა, მინდა ვკითხო რამე და ვერ ვეკითხები. აქ მორ-

ჩა ჩემი წერა. დასაბეჭდად მიიღო ჩემი ერთი ესეი და სოფრომ მგალობლიშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა. რა დამიწუნა, მაშინ ვერ გავიგე. (**ზაურ წაქაძე** — ჩემთან ინახება თქვენი მოთხრობა ბატონი ოთარის რეზოლუციით) და მხოლოდ ახლა, ამდენი წლის შემდეგ მე ვხვდები — სტილი არ მქონდა და იმას მიწუნებდა. ყველამ უნდა გაითვალისწინოს სამომავლოდ, რომ შეიძლება ბევრი წერო, მაგრამ რთულია სტილის პოვნის პროცესი, უამისოდ მწერალი არ გამოვა.

ღიმილით მეტყოდა რაღაცას, თან მაიმედებდა, თან მაფრთხობდა“.

ოთარ ჩხეიძის თანამოაზრე, უმცროსი მეგობარი **ზაურ წაქაძე** იტყვის, რომ ოთარ ჩხეიძის გახსენებას ყოველთვის სევდა თან ახლავს. „50-ანი წლები, კრიტიკოსები რატომღაც არ სწყალობდნენ, მაგრამ დიდი ქება-დიდება ჰქონდა მეორე გორელს (ვანო ურჯუმელაშვილს ხომ არა? — კითხვა დარბაზიდან). ჩვენ მაინც ბატონ ოთარს ვბაძავდით, მე პირადად ვბაძავდი და ბ-ნი ოთარის გულისთვის ჩავაბარე ამ ინსტიტუტში. პირველ წელს ვერ მოვეწყე და წასვლის წინ ორი მოთხრობა დავუტოვე ჯემალ ინჯიას იმ იმედით, რომ „ცისკარში“ (არ შეგეშალოთ ეს ოთარ ჩხეიძის „ცისკარია“) დაიბეჭდებოდა. არ დაიბეჭდა. მეორე წელს რომ მოვეწყე და ერთმანეთს შევხვდით ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდა და ჟურნალ „კლდეკარში“ რომ შევხვდით, წლების შემდეგ, მაშინ მითხრა — არ გაინტერესებს რატომ არ დავბეჭდე შენი მოთხრობები? იმიტომ, რომ გაზეთებით გამომიგზავნე, თორემ ორივე დასაბეჭდი იყოო. არც მე მითქვამს ამის შესახებ არსად.

მწერალმა **ვანო ჩხიკვაძემ** სინანულით აღნიშნა, რომ ოთარ ჩხეიძე იყო კაცი, რომელიც ასე დააკლდა ჩვენს ქალაქს. მან გაიხსენა ჰაინრიხ ბიოლის ჩამოსვლა საქართველოში, როცა მწერალთა კავშირში მდივანთა ცვენა იყო და მარტოდენ ოთარ ჩხეიძე აღმოჩნდა „მხოლოდ მწერალი“. ძლივს მწერალი არ ვნახეო, გაიხარა ჰაინრიხ ბიოლმა. მეგობრებო, ოთარ ჩხეიძე იყო კაცი, რომელიც ვისაც ზრდიდა, მფარველობდა კიდეც. მახსოვს ის ქარიანი დღე, როცა ჩემი ლექსები დაბეჭდილი ვნახე.

პროფესორი **ელენე ხოჯევანიშვილი** სიყვარულით საუბრობს ლექტორზე, რომელიც გამორჩეულად ახსენდება ახლაც, წლების შემდეგ, და „წარმოიდგინეთ დიალოგსაც კი ვმართავ მასთან.

ბატონი ოთარის ლექციაზე შემოსვლას განსაკუთრებული მოლოდინით ველოდით. გამართლდა ჩვენი მოლოდინი, შემოვიდა ჩვენდამი კეთილგანწყობილი ადამიანი და ანდამატივით მიგვიზიდა მისმა ლექციამ.

ამ გადასახედიდან კიდევ უფრო ფასეულია მისი ლექციები, რომლებიც არ იყო ტრადიციული. ის კითხვებს გვისვამდა და ეძებდა პასუხებს“.

მწერალი **ჯემალ ინჯია** — არასოდეს დამავიწყდება ჩვენი პირველი ნაბიჯების დამაკვალიანებელი; ადრე გარდაცვლილი პოეტი ვაჟა დადიანიძე, ასევე ბატონი ოთარის შეგირდი, მეტყოდა ხოლმე — ოთარი არასოდეს მეტყვის, ეს ლექსი ვარგა, ეს არა, მაგრამ ჩვენ ყველა ვხვდებოდით — კარგი იყო ის ლექსი, რომელსაც დაგვიბეჭდავდა.

ბატონი ჯემალის პირად არქივში ინახება ყველა ის ლიტერატურული ალმანახი, რომელთა გამოცემასაც ამდენი ძალისხმევა შეალია ბატონმა ოთარ ჩხეიძემ. გაიხსენა როგორ გამოიყენეს მაგიდაზე გადასაფარებელი მუყაო ჟურნალის ყდებად. მოიტანა ყველა ჟურნალი, აჩვენა დამსწრე საზოგადოებას, და თუ დღეს გორის უნივერსიტეტში მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოიცემა სამეცნიერო შრომები თუ პროფესორ-მასწავლებელთა წიგნები, ეს ოთარ ჩხეიძის საქმის გაგრძელებაა, მისი ნატვრის აღსრულება.

ბატონი ოთარ ჩხეიძის თანამშრომლები ჟანა წიკლაური და ლევან იაშვილი სიყვარულით იხსენებენ მას.

ჟანა წიკლაური: „მე ადრე დავქვრივდი, დავრჩი სამი შვილით და ხშირად ვაგვიანებდი სამსახურში მისვლას. ბატონი ოთარი მმფარველობდა, მე ის მამასავით მიყვარდა და, როცა ბოლო დღეს ნივთების წასაღებად მოვიდა, ვტიროდი. რაო, გეშინიაო? მკითხა, ნუ გეშინია, მე ყოველთვის შენთან ვიქნებიო, და მართლაც ის ყოველთვის ჩემს გვერდითაა“.

ლევან იაშვილი: „აქ გაიხსენეს შეხვედრები 69-ე აუდიტორიაში. მე დავამატებ შეხვედრას სერგი წულაძესთან, რომლის შემდეგ დარბაზი შეუკვეთეს ინტურისტში, მაგრამ სერგი წულაძემ სადმე მარანში წასვლა ისურვა. წავედით ტინისხიდში და ეს იყო დაუვიწყარი საღამო, წნილით, ლობიოთი, და რა თქმა უნდა, ოთარ ჩხეიძის თამადობით.

ბატონი ოთარის მთავარი ღირსება იყო ის, რომ დიდ პატივს სცემდა პროფესიონალიზმს, არ აინტერესებდა ლექტორს დისერტაცია ჰქონდა თუ არა დაცული, მან ერთხელ მომიხსენია საჭირო ადგილას და მე ამით ბედნიერი ვარ“.

გორელების საყვარელი ქალბატონი პედაგოგი **მედეა გუდაძე**, ოთარ ჩხეიძის თაყვანისმცემელი, რომელსაც ძილშიც კი ახსოვს ყველა თარიღი, რაც ოთარ ჩხეიძესთან არის დაკავშირებული. ესწრება მისადმი მიძღვნილ ყველა საღამოს, არასოდეს სიტყვით არ გამოდის, მიაჩნია, რომ ეს ადამიანი ჩუმად, თავისთვის უნდა უყვარდეს, მაგრამ ამ საღამოს გადაწყვიტა დაერღვია დუმილი და გულში ნალოლიავები სურვილი გაამჟღავნა: „მე დიდად განვიცადე ბატონი ოთარის სიკვდილი, მაგრამ ერთხელაც ვერ წავედი მის საფლავზე დიდუბეში, რადგან მიმაჩნია (და არა მარტო მე), რომ ოთარ ჩხეიძის ადგილი მთაწმინდაზეა და მჯერა მწერალი ოთარ ჩხეიძე აუცილებლად დაიმკვიდრებს მის შესაფერის ადგილს მთაწმინდაზე“.

უხუცესმა პროფესორმა **შოთა ქურდაძემ** გაიხსენა ის საღამო, როცა მისი ინიციატივით მოეწყო ოთარ ჩხეიძის რომანის „კვერნაქი“ გარჩევა და მთავარმა მომხსენებელმა, როსტომ ბეჟანიშვილმა სტილზე მიანიშნა. რამაც მწერლის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან მისი სტილი იყო ის, რაც ხელისუფლებამ ვერ წაართვა.

ოთარ ჩხეიძის სტიპენდიანტმა **თეონა ქურთაულმა** თქვა: „ძალიან მიხარია, რომ ჩვენს უნივერსიტეტში გაიხსნა ოთარ ჩხეიძის სახელობის კაბინეტი, ეს კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ბატონი ოთარის ხსოვნის უკვდავსაყოფად. მეც შეძლებისდაგვარად ვცდილობ წვლილი შევიტანო ამ დიდ საქმეში. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ბევრს ნიშნავს, რომ ვყოფილიყავი ოთარ ჩხეიძის სტიპენდიის პირველი მფლობელი, მეტარებინა ეს დიდი პასუხისმგებლობა და ჩემი მცირედი წვლილი მაინც შემეტანა ამ დიდი ადამიანის ხსოვნაში, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა როგორც თავის თანამედროვეების გულში, ისე ჩვენი თაობის ახალგაზრდებში“.

დამთავრდა შეხვედრა, მაგრამ არავინ წასვლას არ აპირებდა, ბევრს თვალზე ცრემლი ადგა და როგორც გრიგოლ რობაქიძე იტყოდა „ეს ცრემლი არ იყო ბუტაფორი“.

საღამოს უძღვებოდა ოთარ ჩხეიძის სტუდენტი, კაბინეტის გამგე **მარინა გიგაშვილი-ცერცვაძე**.

პაპუნა ცალქალამანიძე

ჯიბრან ხალილ ჯიბრანის უთარგმნელობა ერთგვარი ხარვეზი გახლდათ ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებისათვის. ეს ხარვეზი თანდათანობით ივსება და საკმაო წარმატებითაც, რაკიღა ქართველი მკითხველი უკვე გაეცნო არაბულ და ინგლისურენოვანი ლიბანელი მწერლის უმთავრეს თხზულებებს: „იესო, ძე კაცისა“, „წინასწარმეტყველი“, „წინასწარმეტყველის წალკოტი“, „სიმღერები“ „პოეტი“, „თვითმკვლელობამდე“, „მესაფლავე“, „მონობა“, „ხილვა“, „ჩემი დაბადების დღე“, თანაც ზოგიერთს რამდენიმე ვერსიადაც.

საგულისხმოა, რომ ირმა მახარაძემ ხელი მოჰკიდა ჯიბრანის იგავთა და აფორიზმთა კრებულის „ქვიშა და ქაფი“ თარგმნას. ეს ორიგინალური თხზულება გარდა ღრმა ფილოსოფიური აზრისა, განმსჭვალულია ფაქიზი ლირიზმითა და პოეტურობით. მოხდენილი პარადოქსებითა და მახვილგონიერებით. ეს ყოველივე ქმნის ამ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ქმნილების რთულ ტექსტობრივ ქსოვილს, რაც მთარგმნელისათვის არ არის იოლი დასაძლევი. და მითუფრო საპატიოა ირმა მახარაძის გაბედულებაც და მთარგმნელობითი უნარიც, ასე წარმატებით რომ გადმოაქვს არაბი მწერლის ფილოსოფიურ-პოეტური აზრთა ნაკადი ქართულ ენობრივ გარემოში. ის ფრაგმენტები, რასაც გაეცნო მკითხველი, საწინდარია იმისა, რომ კარგად დაწყებული საქმე შესაფერისადაც დაგვირგვინდება და ქართული მთარგმნელობითი პროცესი კიდევ ერთი ჩინებული ვერსიით შეივსება.

იქნებ შემთხვევითი არც იყოს, ჯიბრან ხალილ ჯიბრანის ეს თხზულება რომ ჰკრავს კომპოზიციურად „ჩვენი მწერლობის“ წლევანდელ ციკლს: გაიხსნა და ბოლოვდება „ქვიშა და ქაფის“ ფრაგმენტებით — მისი სიღრმით, შთამბეჭდავი მოულოდნელობებითა და დახვეწილი პოეტურობით.

ჯიბრან ხალილ ჯიბრანი

ქვიშა და ქაფი

* * *

ერთხელ ხელი ნისლით ავივსე,
შემდეგ გავშალე ხელი და დახეთ, ნისლი სითბო იყო.
ხელი მუშტად შევკარი, ისევ გავშალე და დახეთ, იქ ჩიტი იყო.
და ისევ შევკარი და გავშალე ხელი. ხელისგულზე კაცი დამხვდა მწუხარე სახით, თავდაყირა.
ისევ შევკარი ხელი და როცა გავხსენი, აღარაფერი დამხვდა ნისლის გარდა.
მაგრამ საოცრად დამატკბობელი სიმღერა გავიგონე.

* * *

მხოლოდ გუშინ იყო — ჩემი თავი ცხოვრების სფეროში ურიტმოდ მოცახცახე ფრაგმენტი მეგონა. ახლა ვიცი, რომ სფერო მე ვარ და მთელი ცხოვრება ჩემში მოძრავი რიტმული ფრაგმენტებია.

* * *

როცა იღვიძებენ, მეუბნებიან: „შენ და ის სამყარო, რომელშიც ცხოვრობ, მხოლოდ ქვიშის მარცვლები ხართ თვალუწვდენელი ზღვის თვალუწვდენელ სანაპიროზე“.
მე კი სიზმარში ვპასუხობ: „თვალუწვდენელი ზღვა მე ვარ და ყველა სამყარო მხოლოდ ქვიშის მარცვალია ჩემს სანაპიროზე.”

* * *

მხოლოდ ერთხელ დავკარგე მეტყველების უნარი. ეს მაშინ მოხდა, როცა ვიღაცამ მკითხა: „ვინ ხარ შენ?”

* * *

ღვთის პირველი ფიქრი ანგელოზი იყო.
ღვთის პირველი სიტყვა — ადამიანი.

* * *

სფინქსმა მხოლოდ ერთხელ დაილაპარაკა. თქვა: „ქვიშის მარცვალი უდაბნოა. უდაბნო ქვიშის მარცვალია; ახლა კი ყველანი ისევ დავდუმდეთ.”



მე გავიგონე სფინქსის ნათქვამი, მაგრამ ვერ გავიგე.

* * *

დიდხანს ვიწექი ეგვიპტის მტვერში, ვდუმდი და არ ვიცოდი, წლის რომელი დროა.
შემდეგ მზემ სიცოცხლე მომანიჭა, ავდექი და ნილოსის სანაპიროს გავუყევი.
დღისით ვმღეროდი და ღამით ვოცნებობდი.
ახლა ჩემს სხეულში მზის სხივები შემოდის, ასე რომ, შემიძლია ისევ დავწვე ეგვიპტის მტვერში.
მაგრამ დახეთ სასწაულს!
სწორედ ის მზე, სიცოცხლე რომ მომანიჭა, ვეღარ მშლის თავისი სხივებით.
მე ისევ ფეხზე ვდგავარ და ნილოსის სანაპიროზე ვსეირნობ.

* * *

გახსენება შეხვედრის ერთ-ერთი სახეობაა.

* * *

ჩვენ დროს უთვალავი მზის მოძრაობის მიხედვით ვზომავთ; ისინი კი დროის საზომად პატარა მოწყობილობებს იყენებენ, რომლებსაც ჯიბით ატარებენ.
ახლა მითხარით, შევძლებთ კი ოდესმე ერთსადაიმავე დროსა და ადგილას შეხვედრას?

* * *

მზეს და დედამიწას შორის მანძილი მცირედ მოეჩვენება მას, ვინც გალაქტიკის ფანჯრებიდან გადმოიხედავს.

* * *

ჰუმანურობა სინათლის მდინარეა, უკვდავებისკენ რომ მიედინება.

* * *

სულებს, ზეცაში რომ დაივანებენ, არა შურთ ადამიანის, ტკივილის განცდა რომ შეუძლია?

* * *

წმინდა ქალაქისკენ მიმავალ გზაზე პილიგრიმი შემხვდა. ვკითხე: „ეს ნამდვილად წმინდა ქალაქისკენ მიმავალი გზაა?"

თქვა: „მომყევი და წმინდა ქალაქში ერთ დღე-ღამეში ჩახვალ."

მივყევი. მრავალმა დღემ და ღამემ განვლო. წმინდა ქალაქს მაინც ვერ მივაღწიეთ.

საკვირველია, მაგრამ ჩემზე გაბრაზდა, მცდარი გზით რომ წამიყვანა.

* * *

ღმერთო, დაე, მე გავხდე ლომის ნადავლი, ვიდრე კურდღელი მოვინადირო.

* * *

ჩემი სახლი მეუბნება: „ნუ დამტოვებ, აქ შენი წარსული ცხოვრობს."

გზა მეუბნება: „ადექი და გამომყევი, მე შენი მომავალი ვარ."

მე ორივეს ვეუბნები, სახლსაც და გზასაც: „არც წარსული მაქვს, არც მომავალი. თუ აქ დავრჩები, ჩემი დარჩენა წასვლის ტოლფასია; წასვლა — დარჩენის ტოლფასი. მხოლოდ სიყვარული და სიკვდილი შეცვლის ყველაფერს."

* * *

არ ვიცი, რა არის აბსოლუტური ჭეშმარიტება, მაგრამ გაცნობიერებული მაქვს საკუთარი უმეცრება. სწორედ ეს არის ჩემი ღირსება და ჯილდო.

მხატვარი კარლო ფაჩულია

* * *

ადამიანის წარმოსახვასა და მიღწევებს შორის გრძელი გზაა, რომლის დაძლევაც მას მხოლოდ ძლიერი მისწრაფებით შეუძლია.

* * *

სამოთხე იქ არის, აი, იმ კარის უკან, მეორე ოთახში, მაგრამ გასაღები დავკარგე.

ალბათ, მცდარი გზით ვიარე.

* * *

შენ ბრმა ხარ, მე — ყრუ-მუნჯი. მოდი, ჩავკიდოთ ხელები და გავუგოთ ერთმანეთს.

* * *

მთავარი ის კი არ არის, ადამიანი რას მიაღწევს, არამედ — რისი მიღწევა სურს.

* * *

მომეცი სმენა და მე ხმას მოგცემ.

* * *

შენ ღვინოს სვამ, რომელმაც შეიძლება მოგწამლოს, მე კი ვსვამ — იქნებ სხვა ღვინისგან გამომაფხიზლოს.

* * *

როცა ჩემი ფინჯანი ცარიელია, ვეგუები მის სიცარიელეს, მაგრამ როცა ნახევრად სავსეა, აღშფოთებული ვარ ნახევრად სისავსით.

* * *

ნახევარი იმისა, რასაც ვამბობ, უაზრობა, მაგრამ ისე ვამბობ, რომ მეორე ნახევარმა შეძლოს შენთან მოღწევა.

* * *

იუმორის გრძნობა ზომიერების გრძნობაა.

* * *

თავი მარტოსულად მაშინ ვიგრძენი, როცა ადამიანებმა ჩემი ნაკლი — მრავლისმეტყველება — შეაქეს და ჩემი ღირსება — დუმილი — გაკიცხეს.

* * *

სიმართლე ყოველთვის უნდა იცოდე, მაგრამ მხოლოდ ხანდახან გაამჟღავნო.

* * *

ჭეშმარიტი ჩვენში სიტყვაძვირობაა; მრავალსიტყვაობა შეძენილია.

* * *

როცა ორი ქალი ლაპარაკობს, არაფერს ამბობენ; როცა ერთი ქალი ლაპარაკობს, მთელს თავის ცხოვრებას გიყვება.

* * *

ბაყაყებმა იქნებ შეძლონ და ხარებზე ხმამაღლა იბღავლონ, მაგრამ ვერასოდეს მოხნავენ მინდორს, ვერც ჭაპანს გასწევენ და მათი არც ტყავი გამოდგება ფეხსაცმლის შესაკერად.

* * *

მხოლოდ მუნჯს შურს ყბედის.

* * *

ზამთარს რომ ეთქვა: „გულში გაზაფხული მაქვს", — ვინ დაუჯერებდა?

* * *

კარგად რომ გაგეხილა თვალები და შეგეხედა, ყველა გამოსახულებაში საკუთარ ანარეკლს დაინახავდი.

სმენა რომ გაგემახვილებინა და მოგესმინა, ყველა ხმაში საკუთარ ხმას გაიგონებდი.

* * *

ორი ადამიანი სჭირდება სიმართლის აღმოჩენას: ერთი, რომ თქვას სიმართლე, მეორე — რომ გაიგოს.

* * *

მოდი, დამალობანა ვითამაშოთ. თუ ჩემს გულში დაიმალები, შენი პოვნა რთული არ იქნება. მაგრამ თუ შენს ნაჭუჭში დაიმალე, ვეღარავინ გიპოვის.

* * *

ქალმა სახე შეიძლება ღიმილით შეიბუროს.

* * *

რა კეთილშობილია სევდიანი გული, რომელიც მხიარულ სიმღერებს იმღერებს მხიარულ გულებთან ერთად.

* * *

მე ვივლი ყველასთან ერთად, არ დავდგები მშვიდად, რომ ვნახო, როგორ ჩაივლის მსვლელობა.

* * *

ოქროზე მეტი ვალი გმართებს იმისი, ვინც გემსახურება. მიუძღვენი შენი გული ან ემსახურე მას.

* * *

ხეები პოემებია, რომლებსაც დედამიწა ცაზე წერს. ჩვენ ვჭრით მათ და ქაღალდად ვაქცევთ, რომ ჩვენი სიცარიელის ჩაწერა შევძლოთ.

* * *

ხეს რომ ავტობიოგრაფია დაეწერა, რასიზმის ისტორიისგან დიდად განსხვავებული არ იქნებოდა.

* * *

მე რომ არჩევანი მქონოდა ლექსის წერასა და დაუწერელი ლექსით აღმაფრენას შორის, აღმაფრენას ავირჩევდი.

მაგრამ შენ და ყველა ჩემი მეზობელი, დამეთანხმებით, რომ ყოველთვის მცდარ არჩევანს ვაკეთებ.

* * *

პოეზია არ არის ნააზრევის გამოხატვა. ეს სიმღერაა, სისხლმდენი ჭრილობიდან ან მოღიმარი პირიდან ამომავალი.

* * *

თუ მშვენიერებას უმღერი, თუნდაც შუა უდაბნოში იყო, მსმენელი მაინც გამოგიჩნდება.

* * *

შთაგონება ყოველთვის იმღერებს; შთაგონება ახსნა-განმარტებებს არასოდეს მოგცემს.

* * *

ჩვენ ხშირად ვუმღერით შვილებს იავნანას; ამ დროს შეიძლება თვითონ ჩაგვეძინოს.

* * *

ჩვენი სიტყვები მხოლოდ ნამცეცებია, რომლებიც აზროვნების სადღესასწაულო ვახშამს სცვივა.

* * *

როგორ შეძლებ საჭმლით გამოვსებული პირით სიმღერას?

როგორ აწევ ხელს სალოცავად, თუ ოქროთი გაქვს სავსე?

* * *

გიჟი არ არის არც შენზე, არც ჩემზე ნაკლები მუსიკოსი. უბრალოდ, ინსტრუმენტი, რომელზეც ის უკრავს, ცოტათი მოშლილია.

* * *

დედის გულში მდუმარედ დავანებული სიმღერა შვილის ბაგეზე ამღერდება.

* * *

არცერთი ძლიერი სურვილი არა რჩება განუხორციელებელი.

* * *

ჩვენ მხოლოდ სილამაზის აღმოსაჩენად ვცხოვრობთ. სხვა ყველაფერი ლოდინის ფორმაა.

* * *

ეშმაკი სწორედ იმ დღეს მოკვდა, როცა დაიბადე.

ახლა აღარ მოგიწევს ჯოჯოხეთის გავლა ანგელოზის შესახვედრად.

* * *

თუ ითმენ, არ უნდა დაიჩივლო.

* * *

როცა მამაკაცის ხელი ქალის ხელს ეხება, ორივენი ერთად მარადიულობის გულს ეხებიან.

* * *

სიყვარული საბურველია ორ შეყვარებულს შორის.

* * *

ყველა მამაკაცს ორი ქალი უყვარს, ერთი — მისი წარმოსახვის ნაყოფია, მეორე — ჯერ არ დაბადებულა.

* * *

მამაკაცები, რომლებიც ქალებს პატარა ნაკლს არ მიუტევებენ, ვერასოდეს ისიამოვნებენ მათი ღირსებით.

* * *

თუ სიყვარული ყოველდღიურად არ განახლდება, ჩვევად იქცევა და შემდეგ — მონურ დამოკიდებულებად.

* * *

სიყვარული სინათლის სიტყვაა, სინათლის ფურცელზე სინათლის ხელით დაწერილი.

* * *

შენი გონება და ჩემი გული ვერასოდეს შეთანხმდებიან, ვიდრე შენი გონება რიცხვებში ცხოვრებას არ შეწყვეტს, ჩემი გული კი — ბურუსში.

* * *

თუ მზეს ზურგს შეაქცევ, საკუთარი ჩრდილის გარდა ვეღარაფერს დაინახავ.

* * *

ყველანი მათხოვრები ვართ ტაძრის კარიბჭესთან და ყოველი ჩვენგანი თავის წილ მოწყალებას იღებს მეფისგან, როცა ტაძარში შედის და გამოდის.

მაგრამ ჩვენ ყველას ერთმანეთისა გვშურს, რაც მეფის გულმოწყალებას აკნინებს.

* * *

გულმოწყალე მგელმა მიამიტ ცხვარს უთხრა: „დასდებ პატივს ჩვენს სახლს შენი სტუმრობით"?

ცხვარმა უპასუხა: „პატივი იქნებოდა ჩვენთვის შენი სახლის სტუმრობა, შენი სახლი შენივე მუცელი რომ არ ყოფილიყო."

* * *

ხელგაშლილობა არ არის მომცე, რაც შენზე მეტად მჭირდება, ხელგაშლილობაა — მომცე ის, რაც ჩემზე მეტად გჭირდება.

* * *

ნამდვილად ქველმოქმედი ხარ, როცა მოწყალების გაცემის დროს პირს იბრუნებ, მიმღების დამორცხვება რომ არ დაინახო.

* * *

ჩვენ ხშირად ვიღებთ სესხს ხვალინდელი დღისაგან, რომ გუშინდელ დღეს გავუსტუმროთ ვალი.

* * *

ჩემთანაც მოდიან ანგელოზები და დემონები, მაგრამ მე მათ თავიდან ვიცილებ.

როცა ანგელოზი მოდის, ძველ ლოცვას ვკითხულობ და მოიწყენს.

როცა დემონი მოდის, ძველ ცოდვას ჩავდივარ და მიდის.

* * *

თუ თევზს ითხოვ და გველს გაძლევენ, ალბათ გველის გარდა არაფერი აქვთ მოსაცემი. მათი მხრიდან ეს ხელგაშლილობაა.

* * *

ჭეშმარიტი მიმტევებელი ხარ, როცა მიუტევებ მკვლელებს, რომლებსაც სისხლი არასოდეს დაუღვრიათ, ქურდებს, რომლებსაც არასოდეს მოუპარავთ, და მატყუარებს, რომლებსაც არავითარი სიყალბე არ ჩაუდენიათ.

* * *

მე მტრები არ მყავს, ღმერთო, მაგრამ თუ მტრის გაჩენა მიწერია,

დაე მისი ძლიერება ჩემსას შეესაბამებოდეს,

რათა მხოლოდ ჭეშმარიტება დარჩეს გამარჯვებული.

* * *

მხოლოდ იდიოტი და გენიოსი არღვევენ ადამიანის დადგენილ კანონებს. ისინი ყველაზე ახლოს არიან ღვთის გულთან.

* * *

ალბათ, ნებადართულია, ადამიანმა თავდაცვის დროს თვითმკვლელობა ჩაიდინოს.

* * *

დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა კაცი, რომელიც იმისთვის აცვეს ჯვარს, რომ ძალიან უყვარდა და ძალიან უყვარდათ.

გაგიკვირდებათ, გუშინ მე მას სამჯერ შევხვდი.

პირველად, როცა პოლიციელს სთხოვდა, მეძავი ციხეში არ წაეყვანა; მეორედ — ღვინოს სვამდა მაწანწალასთან ერთად; მესამედ — როცა ეკლესიაში ფარისეველთან მუშტი-კრივი ჰქონდა გამართული.

* * *

ხშირად შემძულებია თავდაცვის მიზნით. უფრო ძლიერი რომ ვყოფილიყავი, ასეთ იარაღს არ გამოვიყენებდი.

* * *

რა ძუნწი ვარ, როცა ცხოვრება ოქროს მაძლევს, შენ კი ვერცხლს გაძლევ და საკუთარი თავი მაინც ხელგაშლილი მგონია.

* * *

ყველანი პატიმრები ვართ, მაგრამ ზოგი ჩვენგანის საკანს სარკმელი აქვს, ზოგისას — არა.

* * *

უცნაურია, მაგრამ ყველანი ჩვენს შეცდომებს უფრო თავგამოდებით ვიცავთ, ვიდრე სიმართლეს.

* * *

მთავრობა შეთანხმებაა შენსა და ჩემს შორის. ჩვენ კი ხშირად ვცდებით.

* * *

კრიმინალი ან „საჭიროების" ერთი-ერთი სახელია, ან დაავადების სახეობა.

* * *

ერთხელ, ერთი კაცი ჩემს სუფრას მიუჯდა, ჩემი პური ჭამა, ჩემი ღვინო დალია, დამცინა და წავიდა.

შემდეგ ისევ მოვიდა პურისა და ღვინისათვის. მე გავაგდე.

და ანგელოზებმა დამცინეს.

* * *

სიძულვილი მკვდარი რამ არის. რომელი თქვენგანი ისურვებდა მისი საფლავი ყოფილიყო?

* * *

მოკლულისთვის დიდი პატივია, რომ თვითონ არ არის მკვლელი.

* * *

მათ ჩვენს წინაშე სიმდიდრე გამოფინეს: ოქრო-ვერცხლი, სპილოს ძვალი და შავი ხე. ჩვენ მათ გული და სული გადავუშალეთ.

მიუხედავად ამისა, საკუთარი თავი მასპინძლები ჰგონიათ, ჩვენ — სტუმრები.

* * *

ყველაზე საწყალობელი ადამიანთა შორის ის არის, ვინც საკუთარ ოცნებებს ოქროდ და ვერცხლად აქცევს.

* * *

მე არ მოვუსმენდი დამპყრობელს, რომელიც დაპყრობილთა წინაშე ქადაგებს.

* * *

მრავალი წლის წინათ მეზობელმა მითხრა: „მძულს სიცოცხლე. ის ხომ სრული არარაობაა, მხოლოდ ტკივილის მომტანი".

გუშინ სასაფლაოს ჩავუარე და დავინახე, — მის საფლავზე სიცოცხლე ცეკვავდა.

* * *

აქაური უმაღლესი ღირსება შეიძლება უმდაბლესი იყოს სხვა სამყაროში.

* * *

სინამდვილეში ჩვენ მხოლოდ საკუთარ თავს ველაპარაკებით, მაგრამ ხანდახან ისე ხმამაღლა ვლაპარაკობთ, სხვებსაც ესმით.

* * *

ჭეშმარიტად დიდი ის ადამიანია, რომელიც არც თვითონ ბატონობს და არც სხვას გაიხდის ბატონად.

* * *

ყბედისგან დუმილი ვისწავლე, სულსწრაფისგან — მოთმინება, ბოროტისგან — სიკეთე;

და რა უცნაურია, — არცერთ მასწავლებელს არ ვემადლიერები.

* * *

შურიანის დუმილი ძალიან ხმაურობს.

* * *

კდემამოსილი წარუმატებლობა უფრო კეთილშობილურია, ვიდრე კადნიერი წარმატება.

* * *

გათხარე ნებისმიერი ადგილი დედამიწაზე და განძს იპოვი, მაგრამ ამისთვის გლეხის რწმენით უნდა თხარო.

* * *

მელიამ, რომელზეც ოცი მონადირე და ოცი მწევარი ნადირობდა, თქვა: „რა თქმა უნდა მომკლავენ. მაგრამ რა საწყლები და სულელები არიან! განა ღირს ძალისხმევად ოცი მელია ოც სახედარზე ამხედრდეს, თან ოცი მგელი იახლოს იმისთვის, რომ ერთი კაცი მოინადირონ?!"

* * *

ხელგაშლილობაა — გასცე იმაზე მეტი, ვიდრე შეგიძლია; სიამაყეა — აიღო ნაკლები, ვიდრე გჭირდება.

* * *

ის, ვინც მხოლოდ შენს სიხარულს გაიზიარებს, ტკივილს კი — არა, სამოთხის შვიდი კარიბჭის ერთ-ერთ გასაღებს დაკარგავს.

* * *

თუ საიდუმლოს ქარს გაუმხელ, ნუ დაადანაშაულებ, რომ შენს საიდუმლოს ხეებს გაანდობს.

* * *

უცნაურია, რომ უხერხემლო არსებებს ყველაზე მაგარი ნაჭუჭი აქვთ.

* * *

ზოგი შვილი ღვთის წყალობაა, ზოგს არაფერი მოაქვს სინანულის გარდა.

* * *

შემოდგომაზე ყველა ჩემი დარდი მოვაგროვე და ბაღში დავმარხე. როცა აპრილი მოვიდა და გაზაფხულმა დედამიწა საქორწილოდ გამოაწყო, ჩემს ბაღში უბადლო ლამაზის ყვავილები ამოვიდა. მეზობლები მოვიდნენ მათ სანახავად. ყველამ მკითხა: „როცა შემოდგომა მოვა, მოგვცემ ამ ყვავილების თესლს, ჩვენს ბაღებშიც რომ იხაროს?"

* * *

ნეტავ იუდას დედას თავისი შვილი ნაკლებად უყვარდა, ვიდრე მარიამს იესო?

* * *

სამი სასწაულია ჩვენს ძმასთან, იესოსთან დაკავშირებული, რომლებიც წმინდა წიგნში არ ასახულა.

პირველი: იგი ისეთივე ადამიანი იყო, როგორებიც შენ და მე ვართ.

მეორე: მას იუმორის გრძნობა ჰქონდა.

მესამე: მან იცოდა, რომ დამარცხებით გაიმარჯვა.

ინგლისურიდან თარგმნა
ირმა მახარაძემ

* * *

ჩვენი უფროსი თაობის მწერლები კი არ ვარაუდობდნენ, არამედ დაბეჯითებით სჯეროდათ, რომ აკაკი ბელიაშვილის დაღუპვა მეუღლესთან ერთად ავტოკატასტროფაში, არა ყოფილა ბრმა შემთხვევითობა და უშიშროების სამსახურის მიერ იყო მოწყობილი.

ჩვენი თაობიდან, არამცთუ ეს ბიოგრაფიული ეპიზოდი, საერთოდაც ბუნდოვნად მოაგონდებათ ეს ბელეტრისტი, უმცროს თაობას კი — თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა — ალბათ არც სმენია ეს გვარ-სახელი.

არადა, არ არის ეს მწერალი ასე ადვილად მისავიწყებელი, თანამედროვე თემებზე შექმნილი რომანებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ისტორიული რომანები — „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“ და „ოქროს ჩარდახი“ — უთუოდ წაადგებათ ყმაწვილებს სულიერი ჩამოყალიბებისას, უშუალოდ კი XVIII საუკუნის მიწურულის საქართველოს ცხოვრებაში ჩასახედად.

ნოველებიდანაც შეირჩევა რამდენიმე, რომელთა განმეორებაც შეიძლება სხვადასხვა ანთოლოგიაში, თუმც ამჯერად თუნდ ეს ნიმუში გაგვეხსენებინა, სათაურის მიხედვით ნარკვევად რომ უფრო მოგვეჩვენება — „ერთი პოლიტიკური პარტიის ისტორია“, სინამდვილეში კი სატირული ნოველაა, გნებავთ პოლიტიკური პამფლეტი, რომელიც 1937 წელსაა დაწერილი და გამოქვეყნდებოდა როგორც პამფლეტი მენშევიკური ხანის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, მაგრამ ისეთი ოსტატობითაა წარმოსახული პარტიის დაარსებისა და საქმიანობის ამბებიც და მისი ბელადის — იაკინთე ლაშხის — ხასიათიც, რომ ჩვენი დროის საქართველოზე გეგონებათ დაწერილი — 30-იანი წლების მიწურულიდან დღემდე, პარტიების ჩამოთვლას რომ ვეღარც აუვიდოდით და კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება ინერციით პოლიტიკური ცხოვრების ეს ხორცმეტი — თითო და ორ-ორკაციანი პარტიების შექმნა-გაქრობანი. დარწმუნებით ვერ გვითქვამს... თუმც კი პროცესი იქით მიემართება, რომ ორი ან სამი პარტიაღა იქნება ჩვენშიც და პოლიტიკური რეალობაც უფრო მოწესრიგებულ სახეს შეიძენს.

იაკინთეს პარტიის დაარსებას კი აკაკი ბელიაშვილი ხუმრობის შედეგად რომ მიიჩნევდა, ამით ამ მოვლენის არსში გვახედებდა, დღევანდელ ბელადთა ფართიფურთისა არ იყოს, ხუმრობისა, ვიღაც უსაქმური რომ ურჩევდა იაკინთეს: დაე მასაც დაეფუძნებინა პარტია და თავიც წამოეყენებინა კანდიდატად პარლამენტში.

სადაც სოფლის ნახირი, იქ ბებიას ხბოცო...

და იაკინთე ძმას რომ დაავალებდა ამ პარტიის აგიტაციას, მის პროგრამას განუმარტავდა როგორც საფუძველს ქვეყნის გასპეტაკებისა და აშენებისა, მეზობლებს კი უნდა სცოდნოდათ, რომ ასეთი სასურველი და საამაყო პარტია უნდა მოვლენოდა ქვეყანას სათავეში და თანაც ვისი — უაღრესად განათლებული იაკინთეს ხელმძღვანელობით.

— მეზობლებს უთხარი, რა გეგონათ, ბიძია-თქვა. თქვენ იაკინთეს სულელს და დაღუპულს უძახოდით და ახლა ხომ ნახეთ-თქვა, იმისი ნაშრომი არ დაკარგულა და კიდევაც დააფასეს-თქვა, ასე უთხარი, რაც სამინისტრო ხალხია, სულ იაკინთეს ამხანაგებია-თქვა და მასაც ქე პირდებიან მინისტრობას-თქვა. აქეთ მაინც ისეთი ხმები დადის, რომ სამინისტრო ყველა პარტიების წარმომადგენლებისაგან უნდა შესდგესო და ჩემი პარტიის ერთადერთი წარმომადგენელი მე ვიქნები, ცხადია, ალბათ მეც გავალ.

ოცნებებში გახვეულ იაკინთეს თავი უკვე პარლამენტის წევრად რომ წარმოედგინა, დიდ მნიშვნელობას არ მიანიჭებდა, იქ მარჯვენა მხარეს უნდა დამჯდარიყო თუ მარცხენა მხარეს, მაგრამ რაკიღა გამოარკვევდა, დარბაზს ფანჯრები მარცხენა მხრითა აქვს და სინათლესთან ჯდომა თვალებს გამიფუჭებსო, მარჯვენა მხარეს აირჩევდა და... მემარჯვენე დეპუტატიც შეიქნებოდა.

მემარჯვენეობა და მემარცხენეობა ასე წარმოედგინა!..

ეგაა, სადაც კი ლაპარაკსა და კამათში ჩაერეოდა და ნამდვილი ქართულით გამოთქვამდა თავის მოსაზრებებს, ყურს არავინ დაუგდებდა და დაცინვითაც ეტყოდნენ: შენ არაფერი წაგიკითხავსო; თვითონ კი ისეთი თრინჯული ენით ლაპარაკობდნენ, იაკინთე ნახევარსაც ვერ გაიგებდა. ამიტომაც შეიძენდა უცხო სიტყვათა ლექსიკონს, რათა ნელ-ნელა სულ გაეზეპირებინა და ვეღარავის ვეღარ ეჯობნა მისთვის კამათში. და ეღიარებინათ: ესეც განვითარებული კაცი ყოფილაო.

და ეშხში შესული ჩვეულებრივი საუბრის დროსაც ხშირად გამოურევდა: სეპარატიულად დავდივარო, ინდივიდუალურად ვჭამო, ფუჭად მეჩვენება კანტ-ლაპლასის გოპოტეტიური სამყაროო...

თორემ პარლამენტში წარმოსათქმელ სიტყვას ხომ მთლად ისეთს გააშანშალებდა, ამ ჩვენს პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებს ძალიანაც რომ მოეწონებათ და შეეხარბებათ კიდეც, ნეტა ჩვენ ვახერხებდეთ ასე შთამბეჭდავად აზრების ჩამოყალიბებასო, არადა, შესანიშნავი პაროდიის ნიმუშია — გადაჭრელებული ბარბარიზმებითა და უადგილოდ და დამახინჯებულად გამოყენებული უცხო სიტყვებითა და ტერმინებით, გულიანად რომ გაცინებს და... თან მწარე ფიქრებსაც გაგიჩენს, ეს რა დღეშია

ჩვენი ენა ამ ცნობიერებამოშლილ ადამიანთა ხელში, ყველა სიკეთესთან ერთად ქვეყნისათვის ზრუნვასაც რომ იბრალებენო:

— მე მინდა მოვახდინო ტრანსლაცია იმ სუბიექტურ-ფსიქოლოგიური ვარაციების, რომელიც ჩემ ბიოლოგიურ არსებაში არის. თუ რამდენად ტონაჟიანია ჩემი ექსტაზი, ამ სუვერანული ფაქტის ხილვით, თქვენ სრული დარწმუნებული იქნებით ამაში. როგორც ძველი რომაელები ამბობდნენ, „ად მაიორემ დეი გლორიამ“, დღეს ჩვენ უნდა ვთქვათ: ად მაიორემ საქართველო გლორიამ — ყოველი ჩვენგანი თამამად და პათოსით შეჰყვირებს: მორიტური სალიუტანტ დარბაისელნო, მე მინდა ვილაპარაკო აბსტრაქციის კონკრეტიზაციაზე, რომ დღეს ჩვენთვის დარბაზის ერი ანუ დამფუძნებელი კრების შეკრება ფაქტი არის, როგორც ასეთი.

ან ეს ფრაგმენტი:

— ჩემი გული ღელავს ტრანსატლანტიურ ოკეანესავით, ჩემი აღტაცება მისულია ნეკ პლიუს ულტრამდე. კონკრეტულათ, სუბიექტურ-ობიექტური დისპუტის გარეშე ჩვენ ვიცანით ჩვენი თავი. ფაქტი დარჩება ფაქტათ და სხვა ქვეყნებთან პარალელურათ ჩვენ მივექანებით მსოფლიო პლანეტარულ სისტემაში ასტრარულათ აღტაცებულნი.

ან კიდევ ეს:

— დიახ! ომნია ინ მაიორემ დეი გლორიამ, ჩვენი ქვეყანა არ უნდა იყოს პარტეს ინდუფედუემ, ჩვენ ვგევართ მიმოზებს ნოლი მე ტანგერე ექსტრა ეკლესიამ ნულლას სალუს, ამბობდნენ — უინ ექსტრა, საქართველო ნულლა სალუს — უნდა ვთქვათ დღეს ჩვენ...

ძალიანაც მოეწონებათ და შეეხარბებათო...

ვაითუ ამ ფრაგმენტებიდანაც ამოკრიბონ საჭირო მასალა, ანდა უფრო მეტადაც გამოიდონ თავი და აკაკი ბელიაშვილის ნოველა მოიძიონ, რათა იაკინთე ლაშხის სიტყვას თავიდან ბოლომდე გაეცნონ, და საერთოდაც, უფრო გულდასმით მიადევნონ მზერა იმ დოკუმენტებს, რომელთა თავმოყრითაც თვალსაჩინოვდება იაკინთეს პარტიის წარმოშობისა და განვითარების ისტორია — მისი მსოფლმხედველობა, პროგრამა, მიზნები და ამოცანები.

ინერციით აკი ჯერაც გასტანს ეს ტრაგიკომიკური ვითარება იაკინთური პარტიების შექმნისა და თითის რევისა ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში, საპამპულოდ რომ ხდის ჩვენს ისედაც მოშლილ და ათასგვარი სატკივრით სავსე ყოფას.

...რაც უნდა იყოს, აკაკი ბელიაშვილი ასე ადვილად დასავიწყებელი რომ არ არის, აჰა, დასტურად ეს ნოველა — „ერთი პოლიტიკური პარტიის ისტორია“, ვითომ გარდასულზე, ვითომ სამუდამოდ ჩაკარგულზე, არადა, ასე მწარედ რომ შემოგვიბრუნდებოდა და ჯერაც ამ განწყობილებებში ვტრიალებთ, ძველი რომაელებისა არ იყოს: ად მაიორემ დეი გლორიამო, — რომ აცხადებდნენ... და მივექანებით მსოფლიო პლანეტარულ სისტემაში ასტრარულათ აღტაცებულნი.

* * *

ნოდარ გრიგალაშვილს ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე გამოსაქვეყნებლად გავუგზავნიდი ერთ თავს გალაკტიონზე შექმნილი ბიოგრაფიული რომანიდან „კომიკოსი ტრაგედიაში“, თუმც ის თავი — „მთვარიანი ღამის საჩუქარი“ — იმხელა გახლდათ (60 გვერდი) ერთ ნომერში ვერ ჩაეტეოდა და ორად გადანაწილდებოდა. ნოდარი მე აღარ შემაწუხებდა და ჩემი ფოტოსურათის მოძიება-გადაგზავნას ივანე ამირხანაშვილს სთხოვდა, ვისაც ლამის ყოველდღიურად ეხმიანებოდა. ისიც შეარჩევდა და მიაწვდიდა. ის ნომერი რომ გამოვიდოდა, მომდევნო ნომრისათვის მე თვითონ შევურჩევდი ფოტოსურათს მურმან ჩაჩუას კოლექციიდან და... ნოდარისაგან მოკლე ტექსტურ შეტყობინებასაც მივიღებდი ლექსად:



მეგობრული შარჟები შალვა თოფურიასი

იმფერი კარგი სურათია,
გამოფენაზე გამოდგება,
თავის დროზე რომ არ მომაწოდა,
ვანიჩკას მიესაჯოს ჩამოგდება.

მაინც ძველი პოეტი რომ არის!..

თანაც, ეს-ემ-ეს პოეზიაშიც უკვე გამოცდილი, უჩა შერაზადიშვილთან პოეტური გაპაექრების შემდეგ.

ეს „იმფერიც“ ერთ რამედ ღირს — გურული დიალექტის მომარჯვება ბორჯომელი კაცისაგან, მაგრამ გრძნობს, რომ აქ სწორედ ეს დიალექტური ფორმა მოუხდება, ფედია ჩუდეცკისადმი მიძღვნილი გალაკტიონის ეპიგრამისა არ იყოს, „სომთ“ და „გამაუქროლა“ ისე რომ დაშვენდებოდა, რომ მათი სალიტერატურო შესატყვისები ამ კომიკურ ეფექტს ვერაფრისდიდებით ვერ გამოიღებდა.

გამოფენაზე გამოდგებაო...

ცხადია, ეს სწორედ მურმან ჩაჩუას დამსახურებაა, იმ რანგის ფოტოხელოვანის, ვისი თითქმის ყველა ფოტოც საგამოფენოდ გამოდგება.

რაღა ჩემი სურათი აღმოჩნდებოდა გამონაკლისი.

ვანიჩკა კი ცოტა დაგვიზარალდა, მაგრამ ეს დაზარალება ლექსის სტრიქონებს არ გასცილდება — მე ჩამოსაგდებად ვერ გავიმეტებ, სხვა კი ვინ რას დააკლებს!..

სიყვარულმა დაღუპა სამხედრო მინისტრი

ოცდაოთხი წლისა იყო ჯონ პროფიუმო, როდესაც დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრი გახდა. ოცდაოთხი წლისა! საცა სამართალია, გინესის წიგნში უნდა შეეტანათ მისი სახელი. მეორე მსოფლიო ომის წლებში მსახურობდა ჯარში და ომის დასასრულს ბრიგადირის ჩინი მოიხვეჭა. შემდგომში ბიზნესს მოჰკიდა ხელი და იქაც წარმატებას მიაღწია. 1950 წელს დაბრუნდა პარლამენტში, დაოჯახდა — ერთი სიტყვით, ბედი ყოველმხრივ უღიმოდა. 1960 წელს პროფიუმო კონსერვატორთა მთავრობაში სამხედრო მინისტრის პოსტზე დანიშნეს.

წარმატებულ ინგლისელ პოლიტიკოსს, ცხადია, წარმოდგენაც არ ჰქონდა იმაზე, რომ შორეულ ციმბირში, სუსხიან ციმბირში, საზარელი გულაგის სამფლობელოდ გადაქცეულ ციმბირში გამოიზარდა კაცი, რომელიც ულმობელ წერტილს დაუსვამდა პროფიუმოს შესაშურ კარიერას.

ეს იყო მე-3 რანგის კაპიტანი ევგენი ივანოვი, რომელიც 1960 წლის მარტიდან სამხედრო-საზღვაო ატაშეს თანაშემწედ მუშაობდა ლონდონის საბჭოთა საელჩოში.

იგი მალე დაუმეგობრდა ვინმე სტივენ უორდს, სახელმოხვეჭილ ოსტეოპატს, ბრიტანეთის მაღალი საზოგადოების წრეებში რომ ტრიალებდა. ივანოვმა, უორდის მეოხებით, გაიცნო ბრიტანული ელიტის ისეთი თვალსაჩინო ფიგურები, როგორებიც იყვნენ: პრინცი ფილიპი (მეუღლე ელისაბედ დედოფლისა), სერ უინსტონ ჩერჩილი, ლორდი ასტორი, ნავთობმაგნატი პოლ გეტი და, რაც მთავარია, სამხედრო მინისტრი ჯონ პროფიუმო.

მარიფათიანმა საბჭოთა მზვერავმა კარგად ააწყო თავისი საიდუმლო საქმიანობა. საჭირო ინფორმაციას ნამცეც-ნამცეც აგროვებდა წვეულებებსა და დიპლომატიურ მიღებებზე. კარგი სპორტსმენი და გულღია, კომუნიკაბელური პიროვნება საუცხოოდ შეეთვისა ბრიტანულ ბომონდს.

ივანოვმა თავიდანვე ამოიღო მიზანში სამხედრო მინისტრი, ოღონდ პროფიუმოს წინააღმდეგ არც ატომური ბომბი გამოუყენებია, არც ტანკები და ქვემეხები; ცხელი თუ ცივი იარაღი არაფრად სჭირდებოდა „გერეუს“ სასწავლო აუდიტორიებში გამოწვრთნილ მეზღვაურს. მას ხელთ ჩაუვარდა ატომურ ბომბზე მძლავრი იარაღი, რომელსაც ერქვა კრისტინ კილერი (ოფიციალურად — ეგზოტიკური ცეკვების შემსრულებელი, სინამდვილეში — სტრიპტიზიორი და ა.შ.).

ევგენი ივანოვი თავის ავტობიოგრაფიულ თხზულებაში („შიშველი მსტოვარი“) ამგვარად ახასიათებს ზემოხსენებულ ლამაზმანს: „იყო მასში რაღაც ჯადოსნური. თითქოსდა არაფერს წარმოადგენდა ეს პროვინციელი გოგო, თითქოსდა უბრალო და მიამიტი, მაგრამ ამასთან — ფრიად სახიფათო ქმნილება, ცბიერი და მუხანათი. მის თვალებში ამოიკითხავდი მხურვალე ვნებას, ჟინსა და ვერაგობას. ის წააგავდა პანია მხეცუნას, გრაციოზულსა და მომხიბლავს, მაგრამ იმავდროულად რჩებოდა საშიშ მტაცებლად“.

ჯონ პროფიუმომ გაიცნო კრისტინ კილერი 1961 წლის 9 ივლისს. ეს დღე, ალბათ, სიკვდილამდე ემახსოვრებოდა. დიდი სიყვარული და მოახლოებული უფსკრული...

9 ივლისს სამხედრო მინისტრი, მეუღლესთან ერთად, სტუმრად ეწვია ოსტეოპატ სტივენ უორდს ქალაქგარეთ მდებარე კოტეჯში.

პროფიუმოს უმალვე მოსწყვიტა თვალი კრისტინამ, რომელიც სრულიად ტიტლიკანა ჭყუმპალაობდა აუზში. სამხედრო მინისტრს გონება დაებინდა და იმავე დღეს თავდავიწყებით გაეარშიყა ნორჩ მეძავს — მიუხედავად იმისა, რომ თან ახლდა ცოლი.

ივანოვი უკვე ჰყვარობდა (ქართული ევფემიზმია!) კრისტინას. სათანადო ინსტრუქციებით გეშავდა და, რასაკვირველია, სოლიდური ჰონორარითაც აჯილდოებდა.

თავის თხზულებაში ასე ისაწყლებს თავს:

„ეს იყო გაუნათლებელი გოგო, რომელიც თავს იწონებდა მარტოოდენ მშვენიერი ფეხებით. საიდან უნდა მქონოდა იმის იმედი, რომ იგი პროფიუმოს ატომურ საიდუმლოებებს გამოსტყუებდა?“

ცოტა ხნის შემდეგ პროფიუმომ, ივანოვის ხელშეწყობით, შეიყვარა (ისევ ევფემიზმი გახლავთ!) კრისტინ კილერი.

ალაჰმა უნყის, რა დასტყუა და რა ვერ დასტყუა ნორჩმა მეძავმა სამხედრო მინისტრს, მაგრამ ერთი რამ უეჭველია — საბჭოთა მზვერავი ტყუილად როდი გაირჯებოდა, თავის მომხიბლავ პროტეჟეს ტყუილად როდი დააჯახებდა სამხედრო მინისტრს.

ამასობაში ოსტეოპატ უორდის სულში, ჩანს, პატრიოტიზმმა გაიღვიძა და მან თავის ერთ ნაცნობს (ბრიტანეთის უშიშროების სამსახურიდან) უამბო, რომ ივანოვს ეწადა მისგან დაეცინცლა ამერიკელთა გეგმები ბირთვული რაკეტების განლაგების შესახებ დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე.

უშიშროების სამსახურმა მყისვე გააფრთხილა პროფიუმო უორდსა და ივანოვთან მისი ნაცნობ-მეგობრობის თაობაზე. და მართალია, სამხედრო მინისტრმა ჯერ არაფერი უწყოდა ივანოვ-კილერის ურთიერთობათა ირგვლივ, მაინც გადაწყვიტა კავშირის გაწყვეტა მაცდურ ლამაზმანთან.

ვაი, რა ძვირი დაუჯდა სულ რაღაც ოთხ თუ ხუთთვიანი სიყვარული!

ერთი წლის შემდეგ კრისტინ კილერმა საჯაროდ გაამჟღავნა თავისი ურთიერთობა ივანოვთან და პროფიუმოსთან.

სამხედრო მინისტრი ყველაფერს კატეგორიულად უარყოფდა.

1963 წლის 22 მარტს მისი საქმე განიხილეს პარლამენტში. პროფიუმომ ოფიციალურად განაცხადა, კილერთან არავითარი ურთიერთობა არა მქონიაო. ამასობაში უორდს წაუყენეს ბრალდება სუტენიორობაში. თავის გადასარჩენად მან ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს აცნობა, რომ პროფიუმომ იცრუა თემთა პალატის წინაშე.

ერთმანეთს დაუნდობლად სძირავდნენ.

ბრიტანული პრესა ალაპარაკდა სახელმწიფო საიდუმლოებათა გაჟონვის შესახებ პროფიუმო-კილერ-ივანოვის ხაზით.

იმავე წლის 4 ივნისს ჯონ პროფიუმომ პრემიერ-მინისტრ ჰაროლდ მაკმილანს მიართვა თავისი თხოვნა გადადგომის თაობაზე და აღიარა, პარლამენტის წევრები მოვატყუეო.

პრესა განაგრძობდა სკანდალის გაღვივებას, რაც დასრულდა იმით, რომ ოქტომბრის თვეში პრემიერ-მინისტრიც გადადგა.

სამთავრობო ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესები არ დაზარალებულა (ამას ვინ ჭამდა!).

სტივენ უორდმა თავი მოიწამლა.

კრისტინ კილერი ციხეში ჩააყუდეს.

ევგენი ივანოვი დაბრუნდა მოსკოვში 1963 წლის დამდეგს და თბილ სავარძელში მოკალათდა.

გულდამწვარი ჯონ პროფიუმო ორმოცდარვა წლისა წავიდა პოლიტიკიდან და საქველმოქმედო მოღვაწეობას შეუდგა. 1975 წელს ინგლისის დედოფალმა ელისაბედ II-მ უბოძა მას უმაღლესი ეროვნული ჯილდო — ბრიტანეთის იმპერიის ორდენი მე-2 ხარისხისა.

კრისტინ კილერი დღესაც ცოცხალია.

ხვარაზმშა და მულიდები

სამდღიანი სასტიკი ბრძოლა გაიმართა მდინარე სინდის პირას. დასასრულ, სამშობლოდან დევნილმა და დამარცხებულმა ჯალალედინმა, „მორჭმით მჯდომელი“ ხვარაზმშას ძემ და ტახტის მემკვიდრემ, ცხენით გადალახა ადიდებული მდინარე და უკან მოიტოვა მტერი. და მაშინ უსაზღვროდ გაოცებულმა მონღოლთა მბრძანებელმა, მთელი მსოფლიო ჩინგიზ-ხანის სახელით რომ იცნობს, აღტაცება ვერ დამალა და თავის შვილებს ასე მიმართა: მამას მხოლოდ ასეთი შვილი უნდა ჰყავდესო.

იდგა 1222 წელი...

ჯალალედინის სამშობლო — მდიდარი და ძლევამოსილი ხვარაზმი ცეცხლითა და მახვილით დაიპყრეს მონღოლებმა და მისი „მორჭმით მჯდომელი“ ხელმწიფე კასპიის ზღვაში მდებარე პაწაწინა კუნძულზე გარიყულ უსასოო ლტოლვილად აქციეს, მაგრამ ახალგაზრდა ჯალალედინი ბედს არ შეურიგდა, მთელი ათი წელიწადი ებრძოდა იმავე მონღოლებს ინდოეთსა თუ ირანში, თავდაუზოგავად ებრძოდა და დიდი ზიანიც მიაყენა.

მაჰმადიანურ სამყაროსა და აბობოქრებულ მონღოლებს შორის კედელივით ჩადგაო, — ამბობს არაბი მემატიანე.

ინგლისელი ორიენტალისტის ედვარდ ბრაუნის სიტყვით, ჩინგიზ-ხანის ურდოთა თარეშის შავბნელ დღეებში, როდესაც ირანის ზეცა დაბურული იყო ცეცხლმოდებული ქალაქების კვამლით, ხოლო მიწა ირანისა იჟღინთებოდა მისი შვილების სისხლით, კაშკაშა და უნაყოფო მეტეორივით გაიელვა ჯალალედინმა.

ვაგლახ, საერთო ენა ვერ იპოვა ვერც მცირე აზიის მაჰმადიან მბრძანებლებთან, ვერც ქრისტიან ქართველებთან და თავისი უგუნური პოლიტიკის წყალობით თვითონვე გაუკაფა გზა თავის დაუძინებელ მტრებს, რომლებიც იოლად დაეუფლნენ ხვარაზმშას მიერ დარბეულ-აოხრებულ ქვეყნებს.

არსებობდა ირანში ერთი პატარა სახელმწიფო, დღიდან ჯალალედინის გამოჩენისა ვიდრე მის აღსასრულამდე, ჯიუტად რომ ცდილობდა ერთგული მოკავშირეობა გაეწია მონღოლთაგან დევნილი ხვარაზმშასთვის. ეს იყო მულიდთა ანუ ასასინთა სახელმწიფო, რომლის ცენტრს წარმოადგენდა სახელგანთქმული ალამუთის ციხე-სიმაგრე.

მულიდებმა თავიდანვე მტრული პოზიცია დაიჭირეს მონღოლთა მიმართ, რადგანაც თვალნათლივ ხედავდნენ, რომ მრისხანე ურდოების ნიაღვარს ვერაფერი შეაჩერებდა, ვერც მთები და კლდეები, ვერც ციხეები და ვერც გადაცმული ტერორისტის დანა — სიმბოლო მათი პოლიტიკისა.

ამ გარემოებამ გამოიწვია მულიდთა კეთილგანწყობა ჯალალედინისადმი, რომელიც მონღოლთა ყველაზე აქტიურ და ძლიერ მოწინააღმდეგედ გამოიყურებოდა.

ორხანმა, ხვარაზმელთა ლაშქრის ერთ-ერთი სარდალი რომ იყო საქართველოსთვის საბედისწერო გარნისის ომში (1225 წ.), ორიოდე წლის შემდეგ მულიდთა სამფლობელონი დაარბია. მულიდებმა საქმის მშვიდობიანად მოგვარების მიზნით ელჩი წარგზავნეს ჯალალედინთან. ამან კი თავად ორხანს შეახვედრა ელჩი. საჩივრით გაცეცხლებულმა ორხანმა მუქარა ამჯობინა მოლაპარაკებას. ჩექმაში, უბესა და სარტყელში დამალული დანები ამოაძვრინა და აყვირდა: „აი, ჩვენი დანები! ხმლებიც გვაქვს, კიდევ უფრო ბასრი და სისხლმწყურვალნი. თქვენ ვერაფერს გააწყობთ ჩვენთან!“

მალე ანანეს თავდაჯერება.

სამმა გადაცმულმა მულიდმა ქუჩაში შეაჩერა განჯის გამგებლად დანიშნული ორხანი. არზას უფრიალებდნენ თვალწინ — სამართალი გვინდა, სამართალიო. ორხანმა ჰკითხა, ვის უჩივითო. მულიდები გარს შემოერტყნენ, დანები იშიშვლეს და იქვე გაათავეს იგი.

გაღიზიანებული ჯალალედინი შეესია მულიდთა სამფლობელოებს და ცეცხლს მისცა იქაურობა. მულიდებმა ისევ აახლეს ელჩი უხვარაზმოდ შთენილ ხვარაზმშას.

ჯალალედინის ვეზირმა ელჩს სადილი გაუმართა. შექეიფიანებულ სტუმარს სიფრთხილე დაავიწყდა და ვეზირს კვეხნით მიმართა: „შენს ლაშქარშიც გვყავს ჩვენი ხალხი. ისე მარჯვედ არიან შენიღბულნი, რომ შენიანთაგან ვერ გამოარჩევ!“

ამის გაგონებაზე ვეზირი აცახცახდა, სამოსელი შემოიძარცვა, პერანგის ამარა დარჩა და სასოწარკვეთილი ხმით წარმოთქვა: „რისთვისაა ყოველივე ეს? რა უნდა ჩემგან ალაედინს? ასეთი რა დავაშავე, რომ ჩემი სისხლი სწყურია? მე მისი მონა ვარ, ისევე როგორც ჩემი სულტნისა. აჰა, თქვენს ხელთაა ჩემი სიცოცხლე და მომკალით, თუკი გწადიათ“.

ეს ამბავი რომ აუწყეს ჯალალედინს, მაშინვე შეუთვალა ვეზირს, გადაცმულ მულიდებს მიაგენი და სიკვდილით დასაჯეო.

მულიდებმა თავი შეიკავეს შურისძიებისგან. მხოლოდ ფულადი კომპენსაცია მოითხოვეს.

გამოხდა ხანი. ჯალალედინი ხორასანში ებრძოდა მონღოლებს. ალამუთიდან ისევ ეახლა მულიდთა ელჩი, თან ახლდა ცხრა თავგანწირული ტერორისტი. ისინი მზად იყვნენ, რომ ანგარიში გაესწორებინათ ჯალალედინის მტრებთან.

ხვარაზმშამ შეკრიბა თავისი დიდებულნი და რჩევა ჰკითხა. ურჩიეს, მიეღო მულიდთა დახმარება. მაგრამ ჯალალედინმა იუარა და ასე განუცხადა ელჩს: „ისევე როგორც სხვებმა, თქვენც კარგად უწყით, ვინ არის ჩვენი მტერი და მეტოქე. თუკი გნებავთ გააკეთოთ ის, რასაც ამბობთ, ხელს არაფერი გიშლით. ჩვენ ვერაფერს დაგავალდებულებთ. ჩვენი ბასრი ხმლები და მამაცი მეომრები საკმარისია ჩვენთვის“.

მულიდები ჯიუტად ცდილობდნენ მშვიდობის შენარჩუნებას ჯალალედინთან.

დიახ, „წყეული მულიდები“, როგორც უწოდებდნენ მათ მაჰმადიანურ სამყაროში, გაცილებით გონიერი პოლიტიკოსები აღმოჩნდნენ, ვიდრე პირსისხლიანი ჯალალედინი, რომელსაც ისლამის მედროშედ მოჰქონდა თავი, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ სწორედ ისლამის ძალები დაექქაქსა და დაესუსტებინა. საბოლოოდ კი, მონღოლებმა ჯალალედინიც აღგავეს პირისაგან მიწისა და „წყეული მულიდებიც“.

ა. წ. 23-30 ნოემბერს ქართული ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივით ჩატარდა 1937 წელს რეპრესირებული მამულიშვილის, მეცნიერისა და ხელოვანის **ვახტანგ კოტეტიშვილის** დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეული.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზებში გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით „**ვახტანგ კოტეტიშვილის ნაკვალევზე**“.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო **ვახტანგ კოტეტიშვილისა** და მისი ძმების — **ლადოს და გიგოს** — პირადი ნივთები, საოჯახო რელიკვიები, ხელნაწერები და საარქივო მასალები. ფერად ფოტოსურათებზე დამთვალიერებელი გაეცნო მესხეთ-ჯავახეთის, ატენის, ალგეთის, თეძმის ხეობებისა და თბილისის შემოგარენის იმ სოფლებსა და მაცხოვრებლებს, სადაც გასული საუკუნის 30-იან წლებში ვახტანგ კოტეტიშვილი ფოლკლორულ ექსპედიციებს ხელმძღვანელობდა.

გამოფენის გახსნაზე სიტყვით გამოვიდნენ: **გიორგი უშიკიშვილი, ეთერ თათარაიძე, ამირან არაბული, ცაცო კოტეტიშვილი, როსტომ ჩხეიძე, ქეთევან შენგელია, მანანა გაბაშვილი, გუგა კოტეტიშვილი.**

კვირეული დაასრულა **ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის ხალხური პოეზიის საღამომ**, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში გაიმართა. საღამოს უძღვებოდნენ **ეთერ თათარაიძე** და **ამირან არაბული.**